

(...22)9

ს-262

ლევან სანიკოძე



# საქართველოს მეცნები

ვიზნი I

ყველა გიორგი



F 85344

ლევან სანიქონი



# საქართველოს მეცნები

ყველა გილრბი



გამომცემლობა „ცისარტფელა“ 2002 წ.

გამომცემლობა „ცისარტყელა“ ინყებს ჩვენი სასიქადულო მწერლისა და მკვლევარ-ისტორიკოსის, ლევან სანიკიძის გამოუქვეყნებელი ნიგნების გამოცემას.

გამოსაცემად გამიზნული ოთხტომეულიდან ქართველ მეფეთა შესახებ გთავაზობთ | ტომს „ყველა გიორგი“. მომდევნო ტომები მიეძღვნება ყველა ვახტანგს, ყველა დავითს და ა.შ.

ვიმედოვნებთ, აღნიშნული ციკლი მეითხველი საზოგადოების დიდ ინტერესსა და მოწონებას დაიმსახურებს.

## მეცნიერებების მუზეუმი

### მეცნიერებების მუზეუმი

რედაქტორი: რომა ფეიქრიშვილი

წიგნი აიწყო და დაგაბადობინდა გამომცემლობა  
„ცისარტყელას“ ქომიპიურებრულ ცენტრში.

დააკაბდონია: ლაშა მათიაშვილმა

K 238966  
3

© ლევან სანიკიძე. გამომცემლობა „ცისარტყელა“.



XI საუკუნე — დასაწყისი საქართველოს კულავ გაერთიანებისა.

1014 წელს გარდაიცვალა მეფე ბაგრატ მესამე.

დარჩა ორი შვილი — ძე და ასული.

ძე — სახელად გიორგი თორმეტი წლისა „სავსე ყოვლითა კე-  
თილითა“.

უმძიმესი იყო სამეფო გვირგვინი უკვე ერთიანი საქართვე-  
ლოსა, მაგრამ უძლიერესი აღმოჩნდა ქედი თორმეტი წლის  
„ყმანურილისა“.

ყრმობიდანვე გულუძვრელი იყო გიორგი, „ახოვან და ყოვლი-  
თურთ უშიში, ვითარცა უხორცა“.

ხანმოკლე, მძიმე, გაუხარელი ცხოვრება ელოდა ჭაბუკ ხელ-  
მწიფეს.

ის იყო დამთავრდა გიორგის მეფედეურთხევა ქუთათისში მა-  
მისგან — აშენებულ ბაგრატის ტაძარში, რომ აღმოსავლეთ სა-  
ქართველოდან პირველი უსიამო ამბავი მოიქრა:

„განდგა ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა და ლადრობითა აზნაურ-  
თათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანათა კუალადვე  
ეუფლენეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“.

ჩვეულებრივ, თორმეტი წლის ყრმამ წყენა ბავშვური ცრემ-  
ლით უნდა განიქარვოს, მაგრამ გიორგის ხელმწიფების ტახტი  
და გვირგვინი უკრძალავდა თავისუფალი ბავშვის გულნრფელ  
ტირილსაც და სიცილ-კისეისაც.

ბრაზით ჩაფლა გულში ჯავრი ყმანვილმა. წინ უფრო დიდი  
სადარდებელი ელოდა: კახეთ-ჰერეთის საქმე უნდა გადადებუ-  
ლიყო. ძმათაშორის ომით არ უნდა დაეწყო მეფობა ყრმა ხელ-  
მწიფეს.

ჯერ მას სამხრეთულ-ქართული მიწები უხმობდნენ — ტაო-  
ბასიანი, რომელიც იქაურ აზნაურთა ლადრობის (ლალატის)  
გამო აგერ თოთხმეტი წელიწადი ეპყრათ ბიზანტიელებს.

ბიზანტიის ტახტზე კი ისევ ბასილი მეორე იჯდა, უძლიერესი  
ხელმწიფე, ბუნებით სასტიკი, ფუფუნებისადმი გულგრილი,  
ჭკვიანი, თავშეუკავებელი, ენაბრგვილი და გულდვარძლიანი. —  
სწორედ ის ბასილი, რომელიც მეფე დავით მესამე კურაპალატმა

და სარდალმა თორნიკე ერისთავმა ყრმობისას აშკარა საკუთრ-  
ლისგანაც იხსნეს და ბიზანტიის, მსოფლიო იმპერიის ტახტზეც  
დააპრძანეს და დაამკვიდრეს.

ახლა ისე გამოდიოდა, მეფე გიორგისა და მის ქართველობას  
მძიმე სისხლად უნდა დასჯდომოდათ თავიანთი დიდი წინაპრე-  
ბის ვაჟაცური ქველმოქმედება.

ხოლო იმ დროისათვის, როცა საქართველოს ტახტზე თორ-  
მეტი წლის ბიჭი მეფობას იწყებდა, ბასილი კეისარს უკვე ოც-  
დახუთნლიანი სისხლნათხევი გზა ჰქონდა განვლილი. სწორედ  
იმხანად — 1014 წლის ზაფხულში, — როცა გიორგი სამხრეთი-  
საკენ სალაშქროდ ემზადებოდა, საქართველოში შემზარავი  
ამბავი მოვიდა: ბასილი კეისარს თავისი ყველაზე დიდი მტრე-  
ბი, ბულგარელები დაუმარცხებია, 14 000 (თუ 15 000)  
ტყვისათვის თვალები დაუთხრია, ყოველ 100 დაბრმავებულზე  
ერთი ცალთვალმოთხრილი წაუმდლვარებია და ამნაირად,  
ბრმათა კოლონებად, მათი მეფისთვის, სამუილისთვის, გაუგ-  
ზავნია. ათასეულობით თვალდაშრეტილი თანამემამულის  
ხილვით ელდაცემული სამუილი ლოგინად ჩავარდნილა და  
რამდენიმე დღეში კიდევაც მომკვდარა.

ამის გამო თიკუნიც (მეტსახელი) შერქმევია იმ დღიდან ბასი-  
ლი კეისარს — „ბულგართმულეტელი“.

არც ამას შეუშინებია გიორგი...

სამხრეთისაკენ მიემართებოდა ქართველთა ლაშქარი — ქარ-  
თული მინების დასაპრუნებლად და საპატრიონოდ.

ყრმა ხელმწიფეს გამოჩენილი სარდლები მიჰყვებოდნენ: ზვი-  
ად ერისთავი, რატი ლიპარიტის ძე და ხურსი ერისთავი.

ქართველებმა ზედიზედ განდევნეს ბიზანტიური ციხოვანნი  
ტაოდან და ბასიანიდან.

ჯერ კიდევ ტაოში იყო გიორგი, როცა კეისრის ფიცხელი პატ-  
რუცაგი მიიღო კონსტანტინოპოლიდან: ახლავე დაცალე, რაც  
დაგიპყრია და მამიშენის მემკვიდრეობით დაკმაყოფილდიო.

გიორგიმ საპასუხოდ უარი შეუთვალა: ტაო და ბასიანი სწო-  
რედ მამაჩემს ეკუთვნოდა, ხოლო მამაჩემის საკუთრებიდან ერთ  
ქოხსაც კი ვერავის დავუთმობო.

თან ქართველი მეფე მოკავშირის ძებნას შეუდგა კეისრის წი-  
ნააღმდეგ გარდუვალ ომში. მან ელჩები გაუგზავნა ეგვიპტის ხა-  
ლიფას, ალ-ჰაჯიმს, კავშირი შესთავაზა და საომარი გეგმაც

აახლა: ჩვენ-ჩვენი ქვეყნიდან ერთდროულად შევესიოთ ბიზანტიის სამანებსო.

ბასილი კეისარმა გიორგისა და ალ-ჰაქიმის მიმოწერის ჩამანებულ შეიტყო და რისხვით აღვსილმა გადაწყვიტა, სამაგალითო სისასტიკით დაესაჯა ქართველი მეფე.

მაგრამ რამდენიმე ნელი ვერ შეძლო შურისგების განსრულება ჯერ ისევ ბულგარელებთან ომის გამო.

„ბულგართმულეტელმა“ იცოდა, მძიმე იქნებოდა ქართველებთან ჭიდილი და ამიტომ საიდუმლოდ ამზადებდა საქართველოზე დაცემას. 1021 წელს ბასილიმ ხმა დაავდო: მესოპოტამიაში ვაპირებო გალაშქრებას, და საომარი სურსათიც კი, ქვეყნის თვალის ასახვევად, ანტიოქიაში გაგზავნა. თვითონაც სირია-მესოპოტამიის გზას დაადგა მრავალრიცხოვანი, ალმაჭურად (საგანგებოდ) აღჭურვილი ლეგიონებით. მაგრამ ერთბაშად შემობრუნდა და საქართველოსკენ გამოემართა.

გიორგიც სასწრაფოდ დაიძრა მტერთან შესახვედრად.

ბასიანში დაიბანაკეს ერთურთის პირისპირ ქართველებმა და ბიზანტიიელებმა.

დიდხანს, „მრავალდღე“, ზომავდნენ ერთმანეთს თვალით; შერკინების დაწყებას თითქოს ვერცერთი მხარე ვერა ბედავდა.

არავინ იცის, რა მოხდა ქართველთა ბანაკში: გიორგიმ ერთბაშად ჯარი აყარა და ოლთისისკენ წამოვიდა.

ბიზანტიიელები ფეხდაფეხ მოჰყვნენ.

გიორგიმ ოლთისიდან მოსახლეობა გაიყვანა, ჯარიც გააფრთხილა — ხალხზე ეზრუნათ, და თვითონ ციხეებალაქი, მტერს რომ არ ჩავარდნოდა, ცეცხლს მისცა, მერე კი კოლასკენ გამოემართა.

ისევ კვალდაკვალ მოსდევდნენ ბიზანტიიელები.

თვითონ მეფე და ზვიად ერისთავი ქართველთა ლაშქრის წინაკერძს მოუძღვნდნენ, ხურსი და რატი ლიპარიტის ძე უკანაკერძს ედგნენ სათავეში.



გამოჩნდა სოფელი შირიმთა...

გიორგიმ და ზვიადმა ჩამოიტოვეს სოფელი, ხოლო ხურსი და რატი ის იყო შირიმთას მიეახლნენ, რომ კეისრის მენინავე კოპორტები (რაზმები) ნამოენივნენ. ქართველები შემოუბრუნდნენ და შეებნენ მტერს — სასტიკი ხმალთაკვეთება გაჩალდა, შედრუნენ და უკუიქცნენ ბიზანტიელნი, გულდაგულ მიჰყვნენ რატი და ხურსი. მაგრამ თვითონ კეისარმა მოუსწრო ბრძოლას მთავარი ძალებით.

„გვიანად ენია ხმა გიორგი მეფესა, ვითარმედ ომი არს უკანა- მავალთა ზედა“. მაშინ „აღბორგნეს“ მეფე და „უბრძანა სპათა თვისთა და აღიჭურნეს მსწრაფლ“.

მის მოსვლამდე ხელჩართული ბრძოლით აკავებდნენ კეისრის ლეგიონებს (რაზმებს) ქართველები.

ისევ შედრუნენ და გასაქცევად აიშალნენ ბიზანტიელნი.

სწორედ მაშინ მორიდან ნაძგერალმა მაზრაკმა (ლახვარმა) ძირს დასცა ხურსი ერისთავი.

გულშეძრული შედგნენ ქართველნი, გულმოცემულად შემო- უტიეს ბიზანტიელებმა.

რატი ლიპარიტის ძემ კვლავ დაძრა წინ თავისიანნი და თავდა- ვინყებით შეიჭრა ქართველი ერისთავი ბიზანტიელთა მჭიდრო რიგებში.

გიორგიმ და ზვიადმა მოუსწრეს ბრძოლას.

მაგრამ რატი ლიპარიტის ძეს ვეღარ მოუსწრეს ცოცხალს: შუ- ბებით დაეცხრილათ და მახვილებით დაეჩეხათ იგი ბიზანტიე- ლებს.

გავეშებით შეუძახა და შეუტია გიორგიმ მტერს...

ქართველები თითქოს ახლა იწყებდნენ ბრძოლას.

კეისარმაც ბრძოლად ჩააბა სამარქაფო ლეგიონები (რაზმები). დიდხანს წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი.

ბოლოს, როცა „მოისწნეს ბერძენი დიდნი და ფრიადნი“, მარცხს შერიგებულმა კეისარმა ბრძოლის ველს ზურგი აქცია.

მაგრამ „სულმოკლე იქნეს ქართველნი“, ნადავლს დაეტანენ და ბრძოლას გარიდებულ მტერს ბოლომდე აღარ მისდიეს.

სამაგიეროდ, ხელახლად დარაზმულმა ბიზანტიელებმა მო- დიეს ნადავლით დატვირთულ ქართველებს, რომლებიც ამას

ალარ მოელოდნენ და საომრად გაუწყობელნი შეხვდნენ განხილებულ იერიშზე გადმოსულ მტერს.

თავისი განხილება  
მისამართი

შეხვდნენ და იძლივნენ.

ბიზანტიელები არტაანში შევიდნენ და იავარყვეს — გაძარცვეს, გადაწვეს და მცხოვრებთაგან ვინც სიკვდილს გადაურჩა, ბორკილდასხმულნი წაიყვანეს.



## ახალი ხმალთაკვეთებანი

გიორგი სამცხეში გადავიდა ნიალის გზით, იქიდან თრიალეთს მიაშურა — გზადაგზა ჯარებს ერებდა.

ბასილი კეიისარი ფეხდაფეხ მოსდევდა, ყველას და ყველაფერს სპობდა და აოხრებდა. ბრძანება გაეცა „ბულგართმულეტელს“ — არ დაზოგონ არც მოხუცი, არც ახალგაზრდა, არც ჩვილი, არც სრულნლოვანი, არც ქალი, არც კაცი. ასე გაანადგურეს ბიზანტიელებმა ჯავახეთი და თრიალეთსაც შემოუდგნენ.

მაგრამ კეიისარმა შეიტყო, რომ თრიალეთში დაბანაკებულ ქართველებს წანართა და შაქელთა ლაშქარი შეერთებია მაშველ ძალად. ბასილი მსნრაფლ გაბრუნდა ჯავახეთ-არტაანის გზით და ისევ „უბოროოტესადვე შურისგებით მოახრა ქუეყანანი იგი“.

ახლა გიორგი მისდევდა ფეხდაფეხ კეიისარს, შერკინებაც გულით სწყუროდა, „გარნა დაუშალეს შებმა მეორედ“.

ნაადრევმა ზამთარმაც მოუსწრო მორკენალთ.

კეიისარი გამოსაზამთრებლად დაბანაკდა „ქუეყანასა ხალდისასა, მახლობელად ტრაპიზონთასა“, საიდანაც იგი მომავალი წლისთვის საზღვაო ლაშქრობას გეგმავდა, თუმცა გამარჯვების რწმენა ძალზე შერყეოდა. ქართველთა მეფეს ხელუხლებელი ჯარები ჰყავდა მომავალი წლისთვის. შირიმთის ბრძოლის შედეგიც, მართალია, თავის სასარგებლოდ ჰქონდა გამოცხადებული კეიისარს, მაგრამ საკუთარ თავთან ბჭობისას, ეჭვი იპყრობდა: ალბათ, თავის მხრივ, ის „ცხრამეტი წლის ბიჭიც“ თავის თავს თვლის გამარჯვებულად შირიმთის ბრძოლაში.

ერთი სიტყვით, უგემურად ელოდა კეიისარი გაზაფხულებას „ქუეყანასა ხალდისასა“. ზავი სწყუროდა ბასილისდა იმედოვნებდა — იქნებ „იმ ბიჭსაც“ სურდეს ზავი!

თითქოს გიორგი მიხვდა ბასილის გულისწადილს და დესპანი/გაუგზავნა საზავო მოლაპარაკების დასაწყებად, რასაც სახურავი/ლით შეხვდა კეისარი.

და მთელი ზამთარი „ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულისთვის“.

შეთანხმდნენ და დაწერეს კიდეც საზავო გარიგება (1022 წ.).

და სწორედ მაშინ კეისარმა შეიტყო, რომ მის ნინააღმდეგ აჯანყდნენ მისგან ნინა წელს განდევნილი სარდლები — ნიკიფორე ქსიფე და ნიკიფორე ფოკა. ამასთან ისიც გამოირკვა, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ქართველი დიდებულებიც, მათ შორის — გამოჩენილი ტაოელი ქართველი სარდალი და პოლიტიკოსი ფერის ჯოჯიკის ძე, რომელმაც ჯერ კიდევ 998 წელს თავი ისახელა მამლანის სარდლობით შემოჭრილი ასიათასიანი არაბული არმიის განადგურებისას.

ეტყობოდა, გიორგი პირველსაც ჰქონდა კავშირი ბასილი კეისრის ნინააღმდეგ აღძრულ აჯანყებასთან.

მაგრამ ბასილის სწორედ ბედი სწყალობდა: სანამ შეთქმულნი კეისრის ნინააღმდეგ რაიმეს იქმოდნენ, მათი მეთაურები დაეტაკნენ ერთიმეორეს: ნიკიფორე ქსიფემ მოკლა ნიკიფორე ფოკა, ხოლო ქსიფე კეისრის ერთგულმა ქვეშევრდომებმა შეიპყრეს და ბერად აღკვეცეს. დანარჩენ მონაწილეებს, მათ შორის ქართველ ფერის ჯოჯიკის ძეს, თავები დააყრევინეს.

ბასილის ბრძანებით ქსიფესაგან მოკლული ნიკიფორე ფოკას მოკვეთილი თავი გიორგი მეფეს გამოუგზავნეს. ნიშნად იმისა, რომ მისთვის ყველაფერი ნათელი იყო და მათ შორის დავა ერთჯერ და სამუდამოდ მხოლოდ მახვილთა ჯვარედინკვეთებას უნდა გადაეწყვიტა.

და ისევ მოვიდა ბასილი „ბულგართმულეტელი“ დიდალი ლეგიონებით ბასიანს და მოითხოვა იმიერ და ამიერ ტაო. სამაგიეროდ სამარადუამო მშვიდობასა და კავშირ-მეგობრობას აღუთ-ქვამდა კეისარი ქართველ ხელმწიფეს.

გიორგიმ ლაშქრის ერთი ნაწილი, ცხენ-კაციანად მძიმედ შეაბჯრული მხედრობა, ზვიად ერისთავს ჩააბარა და ბიზანტიელთა ბანაკისკენ გაგზავნა, რათა კეისრის შემოთავაზების პასუხად მასთან საზავო მოლაპარაკებაში ჩაბმულიყო, ხოლო გიორგი ყოველი შემთხვევისთვის საომრად გაემზადებოდა.

„უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ, და უკე-

თუ ინებოს ომი, განვემზადეთ მისთვის” — ფიქრობდა გიორგი /  
მეფე.

ეტყობა, გიორგის იმჯერად გულნრფელად უნდოდა კეისარ-  
თან ზავის შეკვრა, მაგრამ დიდებულები აქეზებდნენ ომისაკენ.

ბოლოს და ბოლოს, სისხლისღვრის თავიდან აცდენა აღარ მო-  
ხერხდა.

ზვიად ერისთავის ჯავშნოსანი მხედრობა თავს დაეცა ბიზან-  
ტიკელთა ბანაკს. ქართველებმა „აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრი-  
სა“.

კეისარმა გაქცეულებს თავი მოუყარა და ლეგიონებად მტკი-  
ცედ შეაკავშირა მოპირდაპირის უკუსაქცევად. მან არმიის გა-  
სამხნევებლად ქართველი მეფის ბეჭდით დაბეჭდილი საზავო წე-  
რილი შუბის წვერზე წამოაგო, მაღლა აღმართა, ჯარებს დაანახ-  
ვა და ზეცას შესძახა:

„იხილე, უფალო, წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა ან იქ-  
მან!“

მერე ჯვარი მოაღებინა, მინაზე გაშლილ მანდილზე დაასვენა  
და დასძახა:

„უკეთუ მიმცე მე ხელთა მტერთასა, არღარა თაყუანი-გცე  
უკუნისამდე!“

ეს თქვა და მის ნიშანზე ბიზანტიკელთა არმიას გამოეყო  
რამდენიმე რაზმი — მჭიდრო რიგებად შეყრილი დარჩეული  
ბრგე ვაჟუაცები, რომლებიც მძლავრი წაბიჯითა და იარაღის  
ზრიალით მოდიოდნენ.

მდუმარედ ელოდნენ ქართველნი — იგრძნეს, აზრი აღარ  
ჰქონდა მახვილის დაძვრას და უკუიქცნენ.

ზვიად ერისთავის ლაშქარს მთელის არმიით გამოედევნა ბა-  
სილი კეისარი.

გიორგი მეფეც გამოჩნდა ქართველთა მთავარი ძალებით.

ისევ დასცეს ბანაკი ორივე მხარეს.

ღრმად ჩაეფიქრებინა გიორგი ზვიად ერისთავის თოროსან  
სპათა მარცხს და კეისრის არმიის სიმრავლეს.

მძიმე საგონებელს მისცემოდა ბასილი კეისარიც, „რამეთუ  
შიში აქუნდა საბერძნეთით კუალადცა განდგომილებისა“. ამი-  
ტომ ისევ აცნობა კეისარმა გიორგი მეფეს: დაე, იყოს ჩვენს შორ-  
სი ზავი და მშვიდობა!

დაზავდნენ (1022 წ.) — ტაო კეისარმა დაინარჩუნა, დანარჩენი



სამხრეთული ციხე-ქალაქები გიორგის დაულოცა.

გიორგის უფროსი ვაჟი, ოთხი წლის უფლისნული ბაგრატი, კეისარმა მძევლად წაიყვანა კონსტანტინოპოლს, მტკიცე ფიცით:

„ნელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი“.

ბასილი კეისარმა შეასრულა თავისი სიტყვა: ზავის დადებიდან მესამე ნელს (1025 წ.) უფლისნული ბაგრატი, მაგისტროსის (ოსტატის, მაძლვარის) ტიტულით, მართლაც, გამოუშვა კონსტანტინოპოლიდან სამშობლოში.

ქართველ უფლისნულს კონსტანტინოპოლის სასახლის კატაბანი (წარმომადგენელი) მოაცილებდა საქართველოსკენ. ის იყო, კიდევაც შემოდგეს ფეხი ქართულ მიწაზე, რომ სხვა მოხელე-მანდატური წამოენიათ მოულოდნელი ამბით: უეცრად გარდაცვლილა ბასილი მეორე და მის ნაცვლად კეისარ-იმპერატორი შექმნილა მისივე ძმა, კონსტანტინე მერვე, რომელიც ფიცხელი ბრძანებით ბრძანებდა: სასწრაფოდ უკანვე, კონსტანტინოპოლს, დაებრუნებინათ ქართველი უფლისნული ბაგრატ გიორგის ძე.

ბაგრატმა ფეხად გადმოასწრო ქართულ სამანზე.

ბიზანტიიელებიც გავეშებული შლიგინით მოჰყვნენ, მაგრამ მათი ვერაგობის მცოდნე ხელმწიფეს დროულად უზრუნვია მოსალოდნელი ხიფათისაგან შვილის დასახსნელად: უკვე ქართულ მიწაზე გადმოსულ უფლისნულს შეაგება აღმაჭურად (საგანგებოდ) აღჭურვილი „დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაო-ელნი, მესხნი და ქართველნი“.

ბიზანტიიელები ერთ ხანს ბრაზიანად ათვალიერებდნენ ბაგრატის უკან კედლად აღმართულ ქართველობას...

მერე ბასილი კეისრის მოხელემ მნარე სიცილით უთხრა კონსტანტინე კეისრის მოხელეს: თუ შეგიძლია, შენ წამოიყვანე უკან ბაგრატ უფლისნული, ჩემი იმედი ნუღარ გექნებაო.

ბიზანტიიელები ხელცარიელნი გაბრუნდნენ.

ქუთათისის სასახლე დიდი ზარზეიმით შეხვდა „ვერაგთა ქვეყნიდან“ უფლისნულის დაბრუნებას.





დიდი სიხარული მალე დიდი მნუხარებით შეეცვალა გზებულება, უმცროსი შვილი მოუკვდა, ასული — მართა.

ვერ იქნა და ვერ განიქარვა წუხილი შვილმკვდარმა მამამ.

მეფე იყო და ჩვეულებრივი ადამიანური გლოვის ნებაც არა ჰქონდა.

დაუნდობლად არღვევდა მის მძლავრ სხეულს სიმძიმილი ვითარცა ცალკე კაცისა და სიმძიმილნი ვითარცა საზოგადო ქვეყნის პატრონისა.

შეუსვენებელი, მუხლჩაუკრეფელი და თვალმოუხუჭავი შრომით ცდილობდა ჩაექრო სანუხარნი პირადულიც და ხელმნიფურიც.

დადიოდა საქართველოს ყოველ კუთხეში, ციხე-ქალაქებს ამაგრებდა, ხალხს ამხნევებდა, ქვრივ-ოხერთა და უპოვართ ეხმარებოდა. ნარბგაშლილი, პირზე ღიმილგადაფენილი ეგებებოდა ყველას, თვითონ უჩინო სიმძიმილით გულდალახვრული.

ერთადერთი სიხარული ჰქონდა: სრულდებოდა მამამისის დიდი კულტურული განაზრახი — მესამე ფერისცვალება სვეტიცხოვლისა, არსუებისძის ბრწყინვალე გონებითა და ხელითა.

მაგრამ სვეტიცხოვლის დასრულებამდე ორი წლით დაასწრო სიკვდილმა.

... 1027 წელი იდგა.

მეფე თრიალეთს ჩასულიყო, „ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი, გინა ინრონი“.

და მოკვდა 16 აგვისტოს.

ასე ერთბაშად მოისრა მეფე გიორგი პირველი, „სავსე ყოვლითა სიკეთითა, უამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილიყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა“.

აღესრულა „და დაუტევა გლოვა და მნუხარება ყოველთა მკვიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა, იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა, და სიჭაბუკისა, და ახოვნებისა მისისათვის“.

გამეფდა 12 წლისა, იმეფა 13 წელიწადი, აღესრულა 25 წლისა.

თრიალეთიდან ჩამოასვენეს და ქუთათისის ტაძარში დაკრძალეს.



# გიორგი I აღმეფელი



აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს, მეფე (861-868 წე.) ძე ლეონ მეორისა. საუფლისნულო მამული მისი იყო აღნეფი, საიდანაც მიიღო ზედნოდება — „აღნეფელი“. ერთ ხანს ქართლსაც დაეუფლა, სადაც თავისი ძმისნული დასვა ერისთავ-მმართველად. მალე ქართლიც დაკარგა და თვითონაც გარდაიცვალა.



## გიორგი პირველი

იმერეთის მეფე, 1389-1392 წლებში. ძე ბაგრატ ერისთავისა. დასავლეთ საქართველოს მმართველები მის მეფობას არ ცნობდნენ. 1392 წელს გიორგიმ ოდიშის მთავრის, ვამის დადიანის ნინააღმდევ ილაშქრა, მაგრამ დამარცხდა და თვითონაც იმ ბრძოლაში დაიღუპა.





„ქუეყანა თქუენი ოხერ, ქალაქინი თქუენი ცეცხლითა მომწვარ, სოფელსა თქუენსა ნინაშე თქუენსა უცხო თესლი მოსჭამდნენ, და მოოხრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხო ტომთასა“.  
ესაია, 1,7

1072 წელს, მეფე ბაგრატ მეოთხის სიკვდილის შემდეგ, საქართველოს ხელმწიფობას იწყებს მისი მხოლოდშობილი ძე, გიორგი.

გიორგი მეორე არ ყოფილა საქართველოს მძიმე გვირგვინი-  
სათვის შესაფერისად სრულქმნილი პიროვნება. იყო იგი „უმამაცე-  
სი რაინდი, „ცხენოსან-მშვილდოსანი რჩეული“. ბუნებით კეთი-  
ლი, გულმონყალე და დიდსულოვანი, მაგრამ სწორედ მისი დიდ-  
სულოვნება აღვირასხსნილ, მოღალატე დიდკაცობისადმი მისთვი-  
საც და ქვეყნისთვისაც ყოველთვის საზიანო. მერყევი ხასიათი  
ჰქონდა, დამთმობი და ბოლომდე ლელოგაუტანელი. იყო „გან-  
მკითხველი გლახაკთა“. მაგრამ ასევე გულმონყალე მოსისხლე  
მომტერებისადმი. იყო „პურად უკეთესი ყოველ კაცთასა“, თავ-  
დავინყებით უყვარდა ლხინი, ნადიმობა და ნადირობა. უებრო  
მხედარი იყო, მაგრამ ბრძოლის ველზე მიღებულ გვირგვინებს მა-  
ინც სანადიმო ყანნი და სანადირო მშეილდ-ისარი ერჩივნა.

ხოლო ქვეყანას სააღხინო და სამეჯლისო ჰქონდა კი არა, შიგ-ნიდანაც და გარედანაც საშინელი სისხლისდენა ელოდა.

1073 ნლის შუა ზაფხულში ერთდროულად სამი დიდი ფეოდალი აუჯანცდა გიორგის: ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე ბალვაში და ვარდან სვანთა ერისთავი. ადრე სამივე ნებით თუ უნებურად ერთგულობდა ბაგრატ მეოთხეს. ახლა კი, როგორც ეტყობა, გიორგის სისუსტი იგრძნის და კიდევაც „აუშალეს ქვეყანა“.

ივანე ლიპარიტის ძემ კახელები მეშვეობა ძალად მოირთო და ქსნის ხეობა დაიჭირა. ნიანია თვით სატახტო ქუთათისში შეიჭრა, საჭურჭლელები ხელთ იგდო და იქვე ჩადგა ბანაკად. ვარდან ერის-თავმა კი სამეგრელო ააოხრა.

გაუხდა ახალგაზრდა ხელმწიფე აჯანყებულებს და სამივე და-  
ამარცხა ზედიზედ, მაგრამ სამივეს არამცთუ სასჯელი დასდო,  
უბრალოდ „ძვირუსესნებელი იქმნა“. უფრო მეტიც — კადნიერი  
მოაჯანყენი უხვადაც დააჯილდოვა: ივანე ლიპარიტის ძეს,  
მართალია, რუსთავი გამოართვა და აღსართან კახთა მეფეს მის-

ცა, სამაგიეროდ, სამშვილდე და ლონიბანი მიართვა; ნიანის ქვები ბულის ძეს „თმოგვი და სხუანი საქონელნი რჩეულნი“ უბოძა ხოლო ვარდან ერისთავს ასკალანა აჩუქა.

გიორგის ბავშვური გულნრფელობით სჯეროდა, რომ დიდსულოვნებით „დაიწყნარა მეფობა თვისი“.

მაგრამ იმ წელსვე ისევ განუდგა კლდეკარის ერისთავი. გიორგი ქუთათისიდან სასწრაფოდ სამცხეს გადავიდა, მესხთა ჯარიც აიყოლია და სამშვილდეს მიადგა. აქვე მას შეუერთდა აღსართან კახთა მეფე, რომელმაც ამჯერად ივანესთან კავშირს გიორგის თანადგომა ამჯობინა.

ივანე ლიპარიტის ძემ შეტაკება უიმედოდ ჩათვალა, ციხიდან იდუმალ გაიპარა და სამხრეთის მთებს შეეხიზნა. გიორგიმ ადრე გაჩუქებული ლონიბანიც დაიჭირა და ჯავახეთს გადავიდა. აქ, ეკრანთის ციხეში, ივანე ლიპარიტის ძე თავის ფეხით მივიდა და მეფეს შენდობა და შერიგება სთხოვა. ისევ უმტყუნა ნებისყოფამ მეფეს. კადნიერი აზნაურისგან მხოლოდ ფიცი იკმარა და ისევ დაუმტკიცა კლდეკარი და სამშვილდე.



## ფარცხისი

არ გასულა დიდი დრო და ამჯერად კიდევ უარესი კადნიერება ჩაიდინა ივანე ლიპარიტის ძემ: გაგის ციხე გიორგი მეფის მეციხოვნეებს გამოსტყუა და მიჰყიდა განძის ამირა, ფადლონს, ქართველთა დაუძინებელ მტერს.

გიორგიმ გათავხედებული ქვეშევრდომის წინააღამდეგ გამოსვლაც ვერ მოასწრო, რომ საქართველოს სამხრეთ სამანებს მალიქ-შაპი მოადგა, თურქ-სელჩუკთა დიდი სულთანი. ივანე ბალვაშმა სულთანს მაშინვე თავისი ვაჟი, ლიპარიტი, შეაგება და ქვეშევრდომიბა შესთავაზა. მალიქ-შაპი დიდად ნასიამოვნები დარჩა და ახალგაზრდა ლიპარიტ ივანეს ძე თავისთან დაიტოვა. ეს უკვე მძევლობას ნიშნავდა. ლიპარიტიც ხერხიანი გამოდგა და მალიქ-შაპის გამოეპარა.

გაჯავრებული მალიქ-შაპი სამშვილდეს ანაზდაითად დაეცა და ივანე ლიპარიტის ძე თავისი ცოლით, შვილიშვილითა და ქვეშევრდომ აზნაურთა სახლეულობით, ტყვედ ნაიყვანა. სამშვილდიდან

თურქები ქართლის სოფელ-ქალაქებს მოედვნენ, გაძარცვეს, ჩამოხატეს, წარტყვევნეს და წავიდნენ.

საქართველოდან მალიქ-შაჰი განძას მიადგა, აიღო და მიზანმის გებლად ერთი თავისი სარანგი (მეთაური) დატოვა 48 000 მეომრით.

სარანგმა განძის ამირა ფადლონს ბორკილები დაადო 1074 წლის ადრიან გაზაფხულზე კი თავისი მხედრობა ისევ საქართველოს შემოუსია.

გიორგიც ფრთამალედ გაეშურა მტერთან შესახვედრად. ბრძოლა მოხდა ფარცხისას.

ქართველებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს და საქართველოს სამანებიდან განდევნეს. ეს იყო ჭეშმარიტად „დიდი ძლევაი“ გიორგი მეორისა.

ამ გამარჯვების შემდგომ გიორგი ტაოს ჩავიდა და დადგა ბანას.

სადაც მეფეს ეწვია გრიგოლ ბაკურიანის ძე, დიდად სახელგანთქმული ქართველი სარდალი და პოლიტიკოსი ბიზანტიის იმპერიაში, დასავლეთის დიდი დომესტიკიკოსი (მხედართ მომარავებელი, მნე) და „ზორავარი აღმოსავლეთისა“, შემდგომში პეტრიონის ქართული სავანის დამარსებელი. კეისრისაგან გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბოძებული ჰქონდა ქალაქები: ოლთისი, კარნუ-ქალაქი (ერზერუმი) და კარი (ყარსი). ახლა სასურელი და სასიხარულო შეხვედრა იმით აღინიშნა, რომ გრიგოლმა „მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა“.

გიორგიმ ქალაქ კარში შავშელი აზნაურები ჩააყენა და ჩრდილოეთისკენ წამოვიდა.



„აჰა, „ქუეყანა საქართველო!“

მაგრამ გიორგის დიდხანს არც გრიგოლ ბაკურიანის ძისგან ბოძებული ქალაქები შერჩენია და აღარც საკუთარი ქვეყნის გადარჩენის იმედი.

თურქ-სელჩუკებმა მოიცვეს მთელი შუა და წინა აზია. ბიზანტიას წაართვეს აღმოსავლეთი და ცენტრალური ანატოლია.

ამრიგად, ახლა უკვე სამი მხრიდან ერტყა თურქული საფრთხე საქართველოს — აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით.

ამიერიდან მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი დამანგრეველი „მეზობლობით მოეახლნენ საზღუართა ჩუენთა, კუნი მრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ ინტერეს მოქრიოთვან რბევად, ტყუენვად, ნუად, სრვად და ტყვეობად ჩუენ ქრისტიანეთა“.

1079 წელს თურქთა ურდომ, აპმად ამირას სარდლობით, ქალაქი კარიც დაიჭირა და ტაო-კლარჯეთსაც შემოესია. გიორგი ყველისციხეს იდგა, როცა მტერი „უგრძნეულად“ (იდუმალ) დაცა თავს. მეფემ მოლალატე თავისიანიც ბევრი შენიშნა მტრის ბანაკში.

გიორგი ბრძოლის ველს დამარცხებული გაშორდა და აჭარის გზით აფხაზეთისკენ ნარემართა, ხოლო თურქებმა ხელთ იგდეს „საქურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვერცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამნდეონი პატიოსანი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი“.

დიდძალი ნადავლით დატვირთული აპმად ამირა უკვე გაშორებული იყო საქართველოს საზღვრებს, როცა მას წინ შემოეყარა თურქთა ორჯერ უმეტესი ურდო, რომელსაც სათვეში ორი ამირა ედგა — იასი და ბუჟდუშ.

— საიდან მოდიხართო, — ჰეკითხეს აპმადს იასმა და ბუჟდუშმა და თან შურით აღვსილი თვალებით ხარბად დაუწყეს ჭამა საქართველოდან გამოტაცებულ სიმდიდრეს.

— თქვენ საით გაგინევიათო, — კითხვა შეუბრუნა აპმადმა.

— საბერძნეთს მივდივართ სალაშქროდ, — იყო პასუხი.

მაშინ კი აპმადს ეს უთქვამს იასისა და ბუჟდუშისათვის:

„რად ნახვალთ საბერძნეთად? აპა, ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესევითარითა სიმდიდრითა“.

საქართველოს დამაცევევარი ალმოჩნდა ველურის მიერ ნათქვამი ეს ცინიკური სიტყვა — უსაზღვრო ძარცვა-გლეჯისა და სისხლისთხევის უნით აღვსილი უზარმაზარი თურქობა ბიზანტიის გზიდან საქართველოსკენ შემოტრიალდა. ჯგროდ და ხვივილად მოვარდნილნი „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწვეს ქუთათისი, და არტანუჯი. და უდაბნონი კლარჯე-

თისანი და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოხ-  
ლვამდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოწყვიდეს, თუ საფლაკ  
ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელზე ქუე-  
ყანისათა". ვინც მთაში გახიზვნა მოასწრო, იმათ თითქოს საგან-  
გებოდ დამდგარმა სასტიკმა ზამთარმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

ქართველი ხალხის ეს უმძიმესი ტრაგედია მოინათლა, ვითარ-  
ცა „პირველი დიდი თურქობა" (1080 წ.).

ამიერიდან ყოველ გაზაფხულს იწყებოდა „დიდი თურქობა".  
ადრიან გაზაფხულიდან დაზამთრებამდე ძარცვავდნენ, აოხრებ-  
დნენ და წყვეტდნენ ქვეყანას თურქ-სელჩუკები. ზამთარს სამ-  
ხრეთში ატარებდნენ, გაზაფხულზე ისევ მოდიოდნენ... ისევ და  
ისევ... მოსაჭმელად, მოსაწყვეტად, მოსაძარცვავად, მოსაოხ-  
რებლად...

„და არა იყო მათ უამთა შინა თესვა და მეა: მოოხრდა ქუეყანა  
და ტყედ გადაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ვე-  
ლისანი დაემჟვიდრნეს მას შინა".

ანგრევდნენ და სპობდნენ ყველაფერს.

ალარსით ჩანდა ხსნა.

იქნებ ბიზანტია?!

თვითონ მათაც უაღრესად მისჭირვებოდათ თურქთაგან.

1078 წელს ახალი იმპერატორი ავიდა კონსტანტინოპოლის  
ტახტზე — ნიკიფორე მესამე ბოტანაიტე, რომელმაც ცოლად შე-  
ირთო წინა კეისრის, მიხეილ დუკას, მეუღლე, ბაგრატ მეოთხის  
ასული და გიორგი მეორის დაი — დედოფალი მარიამი.

კეისარი მარიამის საქვეყნოდ განთქმული სიმშვენიერით ჭკუ-  
იდან იყო გადასული, მაგრამ უნებო და მოხუც ხელმწიფეს მაინც  
არავითარი დახმარების განევა არ შეეძლო ცოლისძმისათვის.

გიორგიმ დიდებულთა სათათბირო შეყარა და ბჭობა გამართა.  
გადაწყდა — თვითონ მეფე უნდა პხლებოდა სულთან მალიქ-  
შაჰს ზავის ჩამოსაგდებად.

წავიდა გიორგი მეფე ისფაჰანში, თურქთა მაშინდელ სატახ-  
ტოში.

დიდის პატივით მიიღო სულთან მალიქ-შაჰმა ქართველი მეფე  
და „შეწყნარებულ იქნა მისგან, ვითარცა შვილი საყუარელი".

მალიქ-შაჰმა გიორგის პირობა დაუდო, რომ ამიერიდან შეწ-  
ყდებოდა თურქთა მაოხარი ლაშქრობები საქართველოში. ამას  
გარდა, კახეთ-ჰერეთის შემოერთების ნებაც მისცა და საამისოდ

ჯარიც გამოუყო დასახმარებლად. სამაგიეროდ, ყოველწლიური  
ხარავის გადახდა ეკისრებოდა ქართველ ხელმწიფეს.

გამოისტუმრა მალიქ-შაჰმა ქართველი მეფე „განდიდებითა  
დიდითა, თან „ნამოაყოლნა სპანნი დიდნი“.

გიორგი ქართველთა და თურქთა ჯარებით კახეთს შეიჭრა და  
ვეუინის ციხეს ალყად შემოეწყო.

ვეუინის ალყა დაიწყო „უამსა სთვლისასა“; მთელი შემოდგო-  
მაც მიიღურა, ზამთარიც შემოვიდა და ალყა მხოლოდ ალყად  
დარჩა.

თოვა დაიწყო... გიორგი მეორემ მთელი თანამედროვე და მო-  
მავალი ისტორია გააკვირვა უცნაური ახირებულობით:

მოახსენეს, აჯამეთის ტყეში ნადირობის უამი დადგაო და...  
ახლავე სანადიროდ უნდა წავიდეო აჯამეთს!

თქმა და ქმნა ერთი იყო: ვეუინს ალყა მოხსნა, თურქთა ჯარი  
ივრის ხეობას საძარცვავად მიუსია და თვითონ იმერეთს გადავი-  
და სასწრაფოდ, აჯამეთის ტყეებში სანადიროდ.

თურქებმა საშინლად მოაოხრეს და „მოსჭამეს“ ივრის ხეობა.

ახლა აღსართან კახთა მეფემ — მტრის ხელით მტრობა აგრე  
არ უნდაო და — თვითონაც ენვია სულთან მალიქ-შაჰს, ქრისტი-  
ანობა უარყო, მუსლიმობა მიიღო და კახეთიც ისევ თურქთა ძა-  
ლებით დაიბრუნა.

მეფე გიორგის საქციელმა ღალატის „გუნებაზე დააყენა“  
ძლიერი ფეოდალი ძაგან აბულეთის ძე, არავის ერისთავი, რო-  
მელმაც ირნმუნა, რომ მეტოქეობის სასწორი საბოლოოდ კახთა  
მეფისკენ გადაიხარა; გიორგისგან ნაბოძები ციხეები — მუხრანი  
და ზედაზენი, აღსართანს გადასცა და თვითონაც მის ბანაკში  
გადაბარგდა.



### ნაბიჯი — „ყველაზე ჭკვიანური“

ქვეყანა უსძიმეს განსაცდელს მისცემოდა.

ანაზდაითად ბუნებაც საოცარი სისასტიკით შემოსწყრა  
მტერთაგან ამოგდებულ ქართველთა ქვეყანას. 1088 წელს მა-  
ნამდე გაუგონარმა მინისძვრამ დააქცია საქართველო.

მთელი წლის მანძილზე ირყეოდა და ირღვნებოდა დედამინა.

პირქვე ემხობოდა და მტკურად იქცეოდა უზარმაზარი მთების  
კლდეები.

ინგრეოდნენ და იმარხებოდნენ სოფლები, ქალაქები, ეკლესი-  
ები, სრა-სასახლეები.

ჩამოქცეულ თმოვვის კედლებქვეშ ცოცხლად, ცოლთან ერ-  
თად, ჩაიმარხა ერისთავი კახაბერ ნიანიას ძე.

იმ წელს კიდევ სახელოვანი ქართველი მხედართმთავარი  
გრიგოლ ბაკურიანის ძე პაჭანიკებთან შეტაკებაში დაღუპული-  
ყო გმირის სიკვდილით.

თურმე მოადგილე სარდალი, ვრანი, ჩასციებოდა გრიგოლს,  
დაუყოვნებლივ შევებათო პაჭანიკებს. გრიგოლ ურიცხვი მტრის  
აშკარა უპირატესობას ჰქედავდა და ბრძოლის გადადებას აპი-  
რებდა, მაგრამ ვრანი არ ისვენებდა. ბოლოს, რაკი ვრანი ბერძე-  
ნი იყო, გრიგოლს უფიქრია — ბიზანტიის მე უცხოელი  
ვარ, ლაჩრობა არ დამნამონო, და მაშინვე ბრძოლად გაუყვანია  
ლაშქარი. შეტაკების დაწყებისთანავე ნათელი გამხდარა ქარ-  
თველი მხედართმთავრის სიმართლე. მაგრამ უკვე გვიან იყო: ბი-  
ზანტიიელები განადგურდნენ. გმირის სიკვდილით დაეცა გრი-  
გოლ ბაკურიანის ძე. მოიკლა ვრანიც. კონსტანტინოპოლმა თალ-  
ხი ჩაიცვა გრიგოლ ბაკურიანის ძის დაღუპვის გამო. კეისარმა  
ალექსი კომნენოსმა ცხარედ დაიტირა დიდი მხედართმთავარი.

ხოლო საქართველო სულს ღაფავდა.

თითქოს ღმერთიც გასწყრომოდა ისედაც კაცთაგან სის-  
ხლდადენილ და ამონყვეტილ ქვეყანას.

ნუთუ მართლა სამუდამოდ აღმოსაფხვრელად გაიწირა ქარ-  
თველი ხალხი?!

არა!..

გიორგი მეორემ 1089 წელს გადადგა ნაბიჯი, ყველაზე ჭკვია-  
ნური მთელ თავის უბედურ ხელმწიფობაში: საქართველოს სამე-  
ფო ნიშნები მოიხსნა და გადასცა თავის 16 წლის მხოლოდშობილ  
ძეს — დავითს.



აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფე 922-957 წლებში, ძე მეფე კონსტანტინე მესამისა. მის მორჩილებაში შედიოდა ქართლიც, სადაც ერისთავად თავისი უფრო ძე, კონსტანტინე დაენიშნა. კონსტანტინე მამის დასამხობად აჯანყდა ქართლის აზნაურთა მხარდაჭერით. გიორგიმ შვილი დაამარცხა, სიკვდილითაც დასაჯა და ქართლის ერისთავად მეორე ძე, ლეონი (შემდგომ მეფე ლეონ III) დანიშნა. შემდეგ მეფე გიორგი მეორე კახეთშიც შეიჭრა და იქაური უმაღლესი ხელისუფალი, ქორეპისკოპოსი კვირიკე მეორე დაამარცხა და შეიცყრო. კვირიკემ გამარჯვებული მოპირდაპირის ბატონობა სცნო და თავისუფლება დაიბრუნა. მაღვე მან, ქართლისა და კახეთის აზნაურთა დახმარებით, კახეთის უმაღლესი ხელისუფლება კვლავ დაიბრუნა. 957 წელს გიორგიმ კახეთის დასამორჩილებლად თავისი ძე ლეონი გაგზავნა. ლეონმა გაიმარჯვა, მაგრამ გიორგი შვილის ამ წარმატებას უეცარი სიკვდილის გამო ვეღარ მოესწრო.



## გიორგი მეორე

იმერეთის მეფე 1565-1586 წლებში. ძე ბაგრატ მესამისა. გიორგი გამეფებისთანავე გურიის მთავარს, გიორგი II გურიელს დაუმოყვრდა. ამის გამო მას სამეგრელოს მთავარი ლევან I დადიანი გადაემტერა. მათ შორის ბრძოლაც მოხდა სოფ. იანეთთან. გიორგიმ დადიანი და მისი მოკავშირე ჭილაძეები დაამარცხა, საჭილაო და საჯავახოც შემოიერთა. მაშინ დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ იმერეთის მეფის წინააღმდეგ, სძლიეს იგი. საჯავახო წაართვეს და შუაზე გაიყვეს.

ამ წინაფეოდალური ომების გარდა, გიორგი მეორეს ბრძოლა უხდებოდა ოსმალო დამპყრობლებთან. 1578 წელს მან ლიხის მთასთან სასტიკად დაამარცხა და უკუაქცია ლალა ფაშა მისი ოსმალური ლაშქრით.

კახეთის მეფე 1511-1513 წლებში, ძე ალექსანდრე პირველისა. გიორგიმ 1511 წელს ტახტის დაუფლებისათვის მოქლა საკუთარი მამა-მშობელი (ამისათვის უწოდეს „ავგიორგი“), უმცროს ძმას, დიმიტრის, თვალები დასთხარა და კახეთიდან გააძევა. გიორგი მეორე განუწყვეტლივ თავს ესხმოდა და აოხრებდა ქართლს. ბოლოს, ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს, ავგიორგი ბაგრატ მუხრანბატონმა შეიპყრო, მუხრანის ციხეში ჩააგდო და იმ ტყვეობაშივე ამოჰხადა სული კიდევაც.





„ვითარ უამთა და უამთა ზეგარდმო ჩინებითაც  
აღმონათდებიან ქუეყანის მფლობელნი“.  
„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“

იყო იგი ძე მეფე დემეტრე პირველისა, შვილიშვილი დიდი და-  
ვით აღმაშენებლისა.

საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა 1156 წელს, დემეტრეს  
გარდაცვალების შემდეგ.

იყო რაინდი, გმირი სულით, მტკიცე ნებით, შინა და გარე  
მტერთა მიმართ შეუპოვარი, ბრძოლასა შიგან უმამაცესი მეომა-  
რი, სწორედ საომარ განაგისში (ხელოვნებაში) უნიჭირესი ზო-  
რავარი (სარდალი), ნადირობის მოტრფიალე, უბადლო ჩუბინ-  
მოისარი.

მამამისი დემეტრე თუ უმეტესად აღმაშენებლისგან მიღებუ-  
ლი მემკვიდრეობის შენახვაზე ზრუნავდა, გიორგიმ განაგრძო  
თავისი დიდი პაპის ფართო შეტევითი პოლიტიკა საქართველოს  
საბრძანისთა გასაფართოებლად.

სამხრეთით, სომხეთისა და რანის საზღვრებთან, ისევ მძლავ-  
რობდნენ თურქული სასულთნოები და საამიროები. მათ შორის  
უძლიერესი იყო ხლათის სასულთნო, ანუ შაჰ-არმენთა სახელ-  
მწიფო.

პირველად მეფე გიორგიმ კალზევანს მოაწყო დიდი ლაშქრო-  
ბა, შაჰ-არმენი სასტიკად დაამარცხა და „ნარმოტყუენა ყოველი  
ხევნები კლდოვანნი და ქალაქები აშორნისა“. ეს ამბავი გიორგის  
გამეფების წელსვე (1156 წ.) უნდა მომხდარიყო.



## ანისისათვის

როგორც ეტყობა, გიორგის არ მოსწონდა, რომ ქალაქი ანისი  
მამამისმა აბულ-სოვარის ნაშიერთ ყმადნაფიცობით ჩააბარა. ამი-  
ტომ იგი 1161 წელს, აგვისტოში, ანისის სრულიად შემოსაერთებ-  
ლად და შემოსამტკიცებლად გაემართა. ქალაქს ორშაბათ დღეს

მიადგნენ ქართველები და დასასვენებლად დაიბანაკეს. სამშაბათ დილით კი მეფემ იერიში ბრძანა. სასტიკი ბრძოლა და „ძველი მცირე ნეთა“ მუსლიმური მხედრობის განადგურებით გათავდა. გიორგიშ ანისში ციხოვნად ორი ათასი ქართველი ჩააყენა. ქალაქი სამართველოდ თავის ამირსპასალარს — ივანე ორბელს ჩააბარა, ხოლო თანაშემწედ სარგის მხარეობის დაუნიშნა.

ანისიდან გიორგი მეფე ნადირობით გამოუყვა მთასა და ბარს, მაგრამ განცხრომისათვის დიდი დრო არ დარჩენია — ქართველების ახალი წარმატებით შეშფოთებული და ზარდატეხილი მუსლიმური სამხრეთი აღიჭურვა ჩრდილოეთის დასალაშქრავად.

მოდიოდნენ სულთნები, ამირები, ათაბეგები, სარანგები (მხედართმთავრები) ... 80 000 მუსლიმ მხედრობას მოუძღვნენ: შაჰირმენი სულთანი ნასირ ად-დინ სუკმან მეორე, დიარბექრის ამირა კუტბ ად-დინ ილაზი და არზრუმის ამირა ალ-მელიქ სალიკ-სალტუხი.

გიორგი იმ დღეს, როცა მტრის ალძვრის ამბავი აცნობეს, ნაჭარ-მაგევს იყო ჯირითითა და ისრის სროლით გართული. მეფემ სას-ნრაფოდ „იხმნა დასნი და დასნი“ ქართველთა მხედრობისა. რაკი ძალზე ეჩქარებოდა, ლაშქრის სრულ წვევასაც აღარ დაუცადა, — აღარ დაელოდა „სახელგანთქმულ ჭაბუკთა ლიხთიმერეთით“, — უკვე გამზადებული ქართლელთა ჯარი სულ 9 000 კაცი, იკმარა და ფრთამაღედ გაემართა სამხრეთისაკენ.

მეფეს თანამოლაშქრეობდნენ: მწიგნობართუხუცესი იოვანე, სუმბატ „სვიმონ-ქმნილი“, ამილახორი ლიპარიტ სუმბატის ძე, ბექა სურამელი და ქირქიშ აბულეთის ძე.

სულთნები და ამირები „დიდითა და მიუწვდომელითა ძალითა და უჰამრავითა ლაშქრითა“ უკვე ანისს მოსდგომოდნენ და იერი-შებიც წამოენყოთ ქართულ ციხოვანზე.

გიორგიმ ჯარი მტრის თვალდათვალ შეაყენა, საომრად განარიგა, ჩამოუქროლა „მტკიცედ აზევებულმან ჰუნესა ზედა“ და მძლავრი, ზახიანი ხმით შეუძახა:

„კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო! თქვენ კარგად იცით, რაზომ დიდად კეთილ არს სიკვდილი ქრისტესათვის და სამშობლოსათვის, გამორჩეული სიკვდილი თვით ბუნებითა მკვდართა სხეულთაგან. კარგად იცით, რაოდენ უფრო სასახლო არს მხნებრივ სიკვდილი სენითა განდნობითა და განლეულებასა შინა. მხოლოდ გმირული სიკვდილი არგუნებს ვაჟუაცს უკ-

ვდავებას. ჩვენ ხომ აქამდე გვესმის ძველთა მომთხოვნელთაგან, რაოდენი კვეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთაფოვლა, ტომმან ებრაელთამან, ანდა ძველ ჰელინ-ბერძნთა, რომელთაც წინამძღვრობით უცთომელი სპასპეტის, თემისტოკლე ათენელისა, — ვინაც ზღვაც კი მტკიცე ჰყო მტერთან საომრად, სძლიეს ქსერქსე, რომელიც მისი უთვალავი მხედრობით უკუნრღვეულ იქმნა ათენელთა ერთისას ოდენ ქალაქისაგან.

ან ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ალვიხვნეთ ლახვარნი და ჰოროლნი და ვუგმირნოთ ურნმუნოთა!"

სიტყვა განასრულა და სამ ნაწილად გაყო ლაშქარი — თითოეულში 3 000 მეომრით. ერთი ნაწილი ამილახორ ლიპარიტ სუმბატის ძეს ჩააბარა, მეორე — ბექა სურამელს, მესამე თვითონ დაინარჩუნა და „ლიმილითა და სიცილით მლაღობელმან“ შეუძახა ლიპარიტსა და ბექას: ჩვენ სამთაგან მჯობნი ის იყოს, ვინც პირველმა უხეთქოს და ძირს დასცესო მტრის დროშა.

სამი მხრიდან მჭიდროდ შეკრული შუბების „ვაგრისით“ გამართულნი, მიუტევნენ ქართველები უთვალავ მტერს.

ბრძოლა მძიმე იყო და სისხლდამდინარი.

გიორგიმ გაარღვია მტრის შუაგული, ფართო წიაღსვლით შეიქრა მასში, თვითონ მიეჭრა გულდაგულ და ხმალი „უხეთქნა“ მედროშეს. დროშის დაცემამ შეაძრნუნა მუსლიმთა მხედრობა. ბრძოლის სასწორი ისევ ქართველთა ძლევამოსილებით შექანდა. უნესრიგოდ გაქცეულ მტერს მზის ჩასვლამდე სდიეს, მერე შემობრუნდნენ და იხილეს მტრის გვამებით დარეცილი საომარი ველი: მაჰმადის 7 000 განგმირული მეომარი; 2 000 ტყვედ ჩავარდნოდათ ქართველებს; ტყვეობის ბორკილები დაედოთ 6 მთავარ-სარანგისა (მეთაური) და 150 დიდი ამირასათვის. აურაცხელი ნადავლიც ერგოთ გამარჯვებულებს: „სიმრავლე კარავთა და სარაფარდათა (ფარდაგების კარავი), სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა და ყოველთა განძთა, სოფლისა სიმდიდრეთა და მონავებთა, აღსარიცხად გარდარეული“.

ანისის მცხოვრებნი დიდხანს, მრავალ ათეულ წელთა მანძილზე, თავიანთი ქალაქის მისადგომებთან მოიძევებდნენ ქართველთა ხელით დამიწებულ თურქულ საომარ აღჭურვილობას და უანგით დაგესლილ საჭურვლით შეჭურვილ ადამიანთა ჩონჩხებს.

სამი დღე დაჟყო გიორგი მეფემ ანისში. ქალაქის მცხოვრებ-

ლები დააწყნარა და დააშოშმინა. ყველა მოქალაქისათვის, გრ-ნურჩევლად ეროვნული ნარმომავლობისა და რელიგიური რწმენისა, დიდალი საბოძვარი გაიღო, სულ — 40 000 დრაკუტშა (ოქროს ფული, 4 გრამი) ტყვეობიდან გამოიხსნა და მშობლიურ კერას დაუბრუნა სამშობლოდან ფეხამოკვეთილი ყველა ანისელი, ისევ განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა.

ანისიდან გიორგი არზრუმ-კარნუქალაქისაკენ წარემართა. ქართველებმა არზრუმელთა ლაშქარიც გაანადგურეს, ხოლო მათი ამირა სალიკ-სალტუხი ტყვედ წამოიყვანეს. მერე სალტუხის დამ, შაჰ-ბანუვარმა (რომელიც ხლათის სულთანს ჰყავდა ცოლად) გიორგის ძეირფასი ძღვენი გამოუგზავნა და ძმის გათავისუფლება სთხოვა. რაინდმა მეფემაც აღასრულა თურქთა დედოფლის სავედრებელი.



## დვინთან და გაგთან

მომდევნო, 1162 წელს, ზაფხულში, გიორგიმ ახალი დიდი ლაშქრობა მოაწყო სამხრეთ სომხეთის დიდი ქალაქის, დვინისაკენ, სადაც მაშინ მუსლიმთა საომარი ძალები შემომდგარიყვნენ.

ბრძოლა ქალაქის მისადგომებთან გაიმართა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მოპირდაპირე. მაჰმადიანთაგან, ვინც სიკვდილს გადაურჩა, ქალაქს შეაფარა თავი. ქართველები ლტოლვილ მტერს მიჰყვნენ და თვითონაც ქალაქში შეიჭრნენ. დვინის ქრისტიანი მოსახლეობა სიხარულით შეხვდა გამათავისუფლებლებს. გიორგი სასტიკი წინააღმდეგობისათვის სასტიკადვე გაუსწორდა მაჰმადიან დამპყრობლებს.

ქართველები დიდალი ტყვითა და ნადავლით დაბრუნდნენ თბილისში: „სიმრავლემან ტყუეთა და საუნჯეთამან დაფარა პირი ველთა და მთათა“.

ქართველების ახალმა დიდმა გამარჯვებებმა მთელი მუსლიმური სამყარო შეარყია და ფეხზე დააყენა. შეიყარა უზარმაზარი გაერთიანებული შხედრობა ხვარასნის, ერაყის და ირანის მუსლიმთაგან.

მანამდე გიორგის ერაყის სასულთნო კართან მოყვრობა ჰქონდა: სულთან სულეიმან-შაჰს ცოლად ჰყავდა გიორგის დაი

რუსუდან; მაგრამ ეს მოყვრობაც მაშინ ჩაიშალა, როცა სულეი/  
მან-შაჰი მოკვდა (1161 წ.) და ქვრივი რუსუდანი საქართველოსშე  
მობრუნდა. ერაყ-ირანის ახალი სულთანი, არსლანი, სამტროდ  
მოემართებოდა ამიერკავკასიისაკენ. მუსლიმურ ურდოს სულ-  
თან არსლანთან ერთად მოუძღვოდა სპარსი ათაბაგი ელდიგუზ.  
ისინი წამოემართნენ სომხეთისაკენ, ქალაქ გაგს მოადგნენ, აი-  
ღეს და ააოხრეს.

„ცადა ესე სახელგანთქმულმან და უძლეველმან მხედარმან  
და უებრომან ჭაბუკმან გიორგი მეფემან და მსნრაფლ შემყრელ-  
მან შვიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან, გამოას-  
ხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულთანსა,  
მყოფსა აურაცხელითა და უამრავი ლაშქრითა“.

როგორც კი ფრთამალედ მომქროლავი ქართული ლაშქარი გა-  
მოჩნდა, გული შეუდრეკათ სულთან არსლანს, ათაბაგ ელდიგუზს  
და „ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა“, და თქვეს:

„არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა  
ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდოთ თავი და ვეფაროთ!“

თქვეს და ქალაქი გაგი საკუთარ ბანაკთან ერთად დააგდეს და  
სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ „იოტნეს“. ქართველებმა ერთხანს  
სდიეს მტერს, მდინარე ეკლეცზე კიდევაც წამოენივნენ, უკანა-  
კერძონი ცხენებიდან ჩამოყარეს და მდინარეში ჩახოცეს. აქ ქარ-  
თველი დიდებულები, განსაკუთრებით ჰერეთის ერისთავი ვარ-  
დან კოლონჩელიძის ძე, შეუჩნდნენ მეფეს, — გაქცეულ მტერზე  
უფრო შორს გამოდევნება ღვთის მიმართ „აღზუავებულობა“ იქ-  
ნებაო, და იერიშზე ხელი ააღებინეს.

მეფე შემოიქცა, ლაშქარი განუტევა და თვითონ მცირე ამა-  
ლით დმანისისა და ლორეს მთებს მიმართა სანადიროდ. აქ მას  
ხლათის სულთანისაგან ელჩი მოუვიდა, ვითომ შვიდობიან-მე-  
ზობლური ურთიერთობის ჩამოსაგდებად, ხოლო სინამდვილეში  
„მოციქული სულთანისა, კაცი მოგვი და ტრელი“ (მზაკვარი)  
ქართველთა დასაზვერავად მოსულიყო.





არც ეს სცოდნია გიორგი მეფეს: გაგიდან გაქცეული ჭრალტენი სულთანი და ელდიგუზ ათაბაგი გელაქუნის ასულან, იქ ახალი ძალები შემოუკრებიათ, მარალას მთავარი აღსანკორი და სხვა მრავალი ამირა და ათაბაგი შემოურთებიათ. გელაქუნიდან მუსლიმთა ურიცხვი მხედრობა შემოსევია ქალაქ ანისს, რომლის მმართველი თორელი, „დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“, მედგრად დახვედრია მტერს.

ყოველივე ამის შესახებ გიორგიმ არც მაშინ იცოდა, როცა შაჲარმენის ელჩი ლორეს მთებიდან გაისტუმრა. ხოლო, ის ელჩი-მსტოვარი სულთნებს ეახლა, ქართველი მეფის ადგილსამყოფელი და მისი ბანაკის მცირერიცხოვნება აუწყა და ზედ დაურთო: ახლა დაგიდგათ უამი ქართველთა მეფის ხელთვდებისა და უკეთუ იგი ხელიდან გაუშვით, სამარადჟამოდ ფუჭი იქნებაო ყოველი ცდა მის ნინააღმდეგ.

შუალამე გადასული იყო. სანადირო კარავში ღრმად ეძინა მეფეს, ნადირთა დევნით დაღლილ-დაქანცულს. უგრძნეულად (იდუმალ) მოეჭრა მტერი. მონადირეები ფეხზე ნამოიჭრნენ და ძილ-ღვიძილიდან თავდაუხსნელნი ეცნენ იარალს. გიორგიმაც ძლივს მოასწრო აღჭურვა და ამხედრება. ფიქრიდან თავდაუღნევლად და ფიქრზე უმაღესად შეება მომხდურთ ხელმწიფე „ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი“. ფიცხელი ხმალთაკევე-თებით მისდევდნენ ქართველები ნინ გაჭრილ მეფეს. რიურაჟის ციაგზე საცნაური გახდა მაპმადიანთა მხედრობასთან ერთმუჭა ქრისტიანთა ბრძოლის უსაზმნობა. ამირსპასალარი ივანე ორბელი პირველი მიეჭრა მეფეს და უკან გამობრუნება ეაჯა. სხვებიც მისცვივდნენ და ძალით, თითქმის „შეპყრობისა სახედ“, გამოიტაცეს მეფე უეჭველი სიკვდილის გარემოდან.

ერთხანს მოსდიეს მაპმადის მხედრებმა, მაგრამ როცა ბევრმა მათგანმა გახელებით შემობრუნებულ ქართველებს თავი უსაზმნოდ შეაკლა, დევნას მოეშვნენ და უკან გაბრუნდნენ.

„ნუ უკუე, მეფევ, უამი არს ომისა, და უამი არს სივლტოლისა, ვინათგან ყოველსავე საქმესა უამი მიაჩანს, რამეთუ ოდესმე ალექსანდრეცა იძლივა დედაკაცისა მიერ, და ეგრეთვე სამსონ დალილასაგან და სოლომონ სიბილასაგან,“ — ანუგეშებდნენ გზაზე მხლებლები ჯავრით გულდამძიმებულ გიორგის.

მაჰმადიანი მბრძანებლები მიხვდნენ, რომ ასეთი მუხანათი გზით მოპოვებული წარმატება სრულ გამარჯვებას არ ნიშნავდა და არც ქართველი მეფე შეარჩენდა მათ მზაურულ თავდასმისა, ამიტომ, სანამ გვიან არ იყო, არსლან სულთანმა ელდიგუზ ათაბაგი გიორგი მეფეს ელჩად აახლა და შერიგება სთხოვა. დიპლომატიური წიაღსვლები დიდხანს გაჭიანურდა. სულთანი ქალაქ ანისის დაბრუნებას ითხოვდა და სამაგიეროდ ამიერკავკასიის მიწა-წყალთა შენწებაზე სამარადუამოდ ხელისაღებას აღუთქვამდა. გიორგი არ თანხმდებოდა: არც ანისის დათმობა სურდა და არც მომავალ „სამხრეთულ ლაშქრობებზე“ ხელის აღება. ბოლოს იძალა გიორგის დამ, რუსუდანმა, „სულთნის ცოლყოფილმა“, ძმა მცირედ დათმობაზე დაიყოლია და ზავიც ასეთი პირობით გაფორმდა: ქალაქი ანისი სამმართველოდ გადაეცა მაჰმადიან არსლან მაჰმუდის ძეს, მაგრამ იგი მაინც საქართველოს მეფის უმაღნაფიცად და ქვეშევრდომად დარჩა.

ეს ამბავი 1165 წელს მოხდა.



### „სუფევითა ულუმპიანითა“

ომები ერთ ხანზე შეწყდა. გიორგი მეფე „დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად“. მთელი ამიერ და იმიერ კავკასიია ზღვიდან ზღვამდე მოიარა და მოინადირა. ერთი სიტყვით, „სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა“ (ოლიმპიელთა დარად). მაგრამ „სუფევა და განსუენება“ დიდხანს ვერ იგუა მარადუამეულ ომსა და სისხლისთხევას მიჩვეულმა ქართველობამ. ქართულმა ლაშქარმა თითქოს ძაბუნად იგრძნო თავი. ბოლოს, შეუჩინდნენ მეფეს სახელისა და ქონების ხვეჭას დახარბებული დიდებულები: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო“. გიორგიც დათანხმდა და ჯარები სალაშქროდ იმისდა კვალად განაწესა, თუ რომელ მხარეში რა საფრთხე იყო მოსალოდნელი.

ეს საცნაური „უცხო ლაშქრობანი“ 1166 წელს მოხდა:

ტაოელებმა, კლარჯელებმა და შავშელებმა დაარბიეს ოლთისი და ბანა;

მესხებმა და ოორულებმა — კარი და აშორნი;

სომხითარებმა — რანი განძამდის;

იმერლებმა და ქართლულებმა — განძა და ხლათი;

კახელებმა და ჰერებმა — შირვანი.

უნდა ითქვას რომ, ამ ლაშქრობათა „უცნაურობა“ (ქართული ხასიათისათვის სწორედ რომ უცნაური) მათ მძარცველურ ხასიათში გამოიხატებოდა.

1167 წელს მეფე გიორგი გეგუთში იყო. აქ მას ოჯახითა და ამალით სტუმრობდა ბიზანტიის კეისრის, მანუილ I კომნენტის ბიძაშვილი ანდრონიკე (შემდგომში თვითონ კეისარი და იმპერატორი). სწორედ ანდრონიკეს დედა იყო კატაი, დავით აღმაშენებლის შუათანა ასული, დემეტრეს დაი. მაშასადამე, ანდრონიკე გიორგის მამიდაშვილი იყო.

გიორგიმ ხელმწიფური სტუმართმოყვარეობითა და ძმური სიყვარულით მიიღო საპატიო-სასურველი სტუმარი. მავრამ საზეიმო განწყობილებას ისევ საომარი განგაში შეერთო — შირვანიდან მოიჭრნენ მაღლემსრბოლნი.

შირვანს მაშინ განაგებდა გიორგის მამიდაშვილი (დავით აღმაშენებლის ასულის, თამარის, შვილი) ალსართანი (ახსიტან). იგი გიორგის, მამიდაშვილობის გარდა, „უჩინდა ვითარცა შვილ-ყოფად, ვითარცა ერთი დიდებულთა მისთაგანი“. ახლა ხაზარები და ყივჩაყები შემოსეოდნენ შირვანს დარუბანდის კარით და შველას ითხოვდა ალსართანი ბიძაშვილი ხელმწიფისაგან.

მეფის ბრძანებით, „შეიყარა ლაშქარი იმიერით და ამიერით“. თვითონ წარუძღვა გიორგი, ანდრონიკეც თან წაიყვანა ლაშქრობად. ქართველებმა კასპიას მიაშურეს და ჯიქურ აიღეს შირვანის „ქუეყანა მესკურისა და შარაბამისა“. ქალაქები შაბურანი და დარუბანდი. უკუაქციეს და შორს, ჩრდილოეთით, გადარეკეს ხაზარნი და ყივჩაყნი. გიორგიმ შირვანი ისევ თავის ქვეშევრდომ მამიდაშვილს დაუმკვიდრა და საქართველოსკენ გამობრუნდა.

ამის შემდგომ გიორგიმ ზედიზედ „უცხო ლაშქრობით“ ალაშქრა ჯარი ბასიანს, ნახჭევანს, მასისს, ღულუას, ბარდავს და ბელაყანს. უამრავი განძი დააგროვა გიორგიმ უჯარმას, რომელიც აღაშენა და სადაც აღესრულა დიდი ვახტანგ გორგასალი, „ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა“.

ბოლოს გიორგი ისევ ანისის საქმეს დაუბრუნდა. მის გულს ესაკლისებოდა, რომ ადრე მუსლიმ სულთნებს დაუთმო იგი და

მათი სისხლის კაცი დასვა მმართველად. 1173 წელს გიორგი ანი /  
სს დაეცა, აიღო და მისი მმართველი არსლან მაჰმუდის ძე ბენზი-  
კილდადებული ნამოიყვანა. ანისი ქართველთა მეფემ უსრმები  
ეპისკოპოსის, ბასელის თხოვნით, სამმართველოდ მის ძმა —  
აპირატს ჩააბარა.

ისევ შეიყარა და ნამოემართა საქართველოსკენ თურქთა  
მხედრობა. შირაკს შემოესივნენ და ააოხრეს. გიორგიმ მეტი  
აღარ აცალა, ფრთამალედ ჩაუხტა, დაამარცხა და ისევ სამხრე-  
თისაკენ აოტა მტერი.

ქართველთა აშკარა ძლევამოსილებამ მათ მეფეს მაშინდელ  
აზიაში საბოლოოდ დაუმეკიდრა უპირველესი ხელმწიფის სახე-  
ლი. მაჰმადიანი მბრძანებლები, „შორს მყოფნი, თუ ახლოს მყოფ-  
ნი, მოხარეედ მისდა იყვნეს, და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა  
მისისანი უშიშად ჰქონდეს.“.

დიდი დავით აღმაშენებლის უბრწყინვალესი ნამუშაკევი —  
სრულიად კავკასიური სახელმწიფო — კვლავ პირველობდა აზი-  
აევროპის შესაყარში.

ქვეყნის შიგნითაც გიორგის თითქოს სიმშვიდე დაემყარებინა:  
„ყოველი სამოქალაქო აქტნდა დაწყნარებით“.

მაგრამ საგარეო სარბიელზე სწორუპოვრად აღზევებული კა-  
ცის ხელმწიფობას სწორედ საკუთარი ქვეყნის შიგნით გამოუჩ-  
ნდა დამხობის მომასწავებელი საფრთხე.



### შეთქმულება ბიძაშვილისა

გიორგი მეფეს ძმისწული ჰყავდა, დემეტრე, ანუ დემნა ბატო-  
ნიშვილი, ძე დღემოკლე მეფის — დავით მეხუთისა.

და, მეფობა სურდა დემნა ბატონიშვილს, მაშინ 23-25 წლის  
ვაჟკაცს.

უკვე შეთქმულებაც გაჩარხულიყო — შეთქმულება, რომელ-  
საც სათავეში ჩასდგომოდა ამირსპასალარი ივანე ორბელი, სი-  
მამრი თვითონ დემნასი. სიძე-სიმამრს მიმხრობოდნენ ყველა  
ორბელის გვარისანი, სამცხელნი, ჰერნი, კახნი და „სადაცა ნათე-  
სავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო“. ამათ გარდა, შეთქმუ-

ლებს შეუერთდნენ: ქართლის ერისთავი და ამილახორი რიტ სუმბატის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე და დვინელი, ივანე ვარდანის ძე, გრიგოლ ასათის ძე, შოთა ჭუპაშვილი, ვაჩოსძისა, კახა ჯავახი შვილებითურთ, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, გრიგოლ ანელი აპირატის ძე და ძმები სარგის და ვარამ მხარგრძელნი თავიანთი ვაჟებით (სარგისის ძენი — ზაქარია და ივანე, ვარამის ძენი — ზაქარია და სარგისი).

ასე დაიწყო 1177 წელს დემნა ბატონიშვილის ამბოხი.

მეფე მაშინ სახატეს იდგა, არხეინი „განსუენებით“. აქვე შეიტყო ავი ამბავი შეთქმულებისა. სასწრაფოდ თბილისს მივიდა და ლაშქრის შეყრას შეუდგა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეფე. განდგომილნი, რომლებიც ქვემო ქართლში, ლორეში, გამაგრებულიყვნენ, 30 000-ზე მეტ მეომარს მოითვლიდნენ. ხოლო მეფეს ჯერჯერობით მხოლოდ მცირე ამალა ახლდა. მაინც ჩვეული სიმტკიცით, გულუძვრელობითა და წინდახედულობით შეხვდა გიორგი უმძიმეს განსაცდელს. მის სასწრაფო წვევაზე 500 მხედრით პირველი მოიჭრა ყუბასარ ნაყივჩაყარი, მასვე ძლიერი ჯარით მოჰყვა ახალგაზრდა ჭიაბერი.

მეფის ფიცხელმა საომარმა სამზადისმა დააბნია შეთქმულთა მეთაურები. ზოგიერთებმა, სანამ გვიან არ იყო, განდგომილთა ბანაკი კიდევაც მიატოვეს და სინანულის ცრემლთათხევით მეფეს ეახლნენ. ასე მოიქცნენ ჯერ დიდი გამრეკელი, შემდეგ — გრიგოლ ანელი და ყველა მხარგრძელი.

მეფემ ყველა დიდსულოვნებით შეინყნარა და უხვადაც დაასაჩუქრა.

როცა შეთქმულთა ძალა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო მეფის ბანაკი გამძლავრდა, გიორგი თბილისიდან ჯიქურ გავიდა, განდგომილი ტაშირი მოარბია, მეამბოხენი „აოტნა, გააქცივა, შეიხვეწნეს ციხესა დორისასა“. მეფემ აგარას დაიბანაკა და ლორეზე საიერიშოდ ჭიაბერი გაგზავნა. ლორედან ლიპარიტ სუმბატის ძე, ქავთარ ივანეს ძე და ანანია დვინელი შაჰარმენთან და ელდიგუზის შვილებთან გაქცეულიყვნენ შემწეობის სათხოვრად. მათ ახლა მუსლიმთა მხედრობით მოსურვებოდათ გიორგი მეფის დამხობა და საქართველოს აკლება.

მაგრამ დაასწრო გიორგიმ. ახალი ძალები მოირთო ჰერეთიან, ლეკეთიდან და „სხვანი კავკასიითა“ და ფიცხელი „კუეთარკუეთებით“ ერთჯერ კიდევ დაამარცხა მეამბოხენი. ამ შეტაკები-

სას შეთქმულთაგან დაიღუპა გრიგოლ ასათის ძე, ხოლო ივანე/ ვარდანის ძე და შოთა ძე ართავაჩოსძისა გიორგის მეომრებმა, ტყვედ წამოიყვანეს. და, მეფის ბრძანებით ორივეს თავები დაგ- დებინეს.

დემნა ბატონიშვილი და ივანე ორბელი გადარჩენილი ძალე- ბით ისევ ლორეს ციხეში ჩაიკეტნენ. მეფე უმტკიცეს სალტედ შე- მოერტყა მოღალატეთა თავშესაფარს. მალე მათ სასო წარეკვე- თად და სრულებით „დაულონოვდეს ლორეს შინა მდგომნი“. ვე- ლარ გაუძლო თვითონ მთავარმა გმირმა — დემნა ბატონიშვილ- მა. ღამით, სიმამრისა და სხვათაგან იდუმალ, დემნა თოკით ჩა- მოეშვა ციხის კედელზე, ბიძა-ხელმნიფეს მიეახლა, მუხლებზე დაეცა და საწყალობლად აქვითინებულმა პატიება და სიცოც- ხლის შენარჩუნება სთხოვა. მეორე დღეს ივანე ორბელი მისი უკანასკნელი თანამებრძოლებით ბორკილდასხმული გამოიყვა- ნეს ციხიდან.

გიორგიმ სასტიკი განაჩენი განაჩინა: ივანე ორბელს თვალები დათხარა, მერე თავიც გააგდებინა. ასევე დანარჩენ განდგომილ ორბელთაგან ყველა სიკვდილით დასაჯა. ზოგიერთი მოღალატე სამშობლოდან გააძევა.

ცუდად მოეპყრო გიორგი ძმისნულს, მისი ბრძანებით დემნა ბატონიშვილს, ჯალათებმა თვალები დათხარეს და დაასაჭური- სეს. ამის შემდეგ დემნა ბატონიშვილს დიდხანს აღარ უცო- ცხლია, იგი მცხეთაში დაკრძალეს.

გიორგიმ დასჯილ ორგულთა ადგილებზე ერთგული, თუმცა „უგვარო“, ადამიანები დაანინაურა. მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა ყუბასარ ნაყივჩაყარს მისცა, მსახურთუხუ- ცესობა — აფრიდონს, მეჭურჭლეთუხუცესობა — ყუთლუ-არ- სლანს, მეჯინიბეთუხუცესობა — ჭიაბერს. იმხანად სამღვდე- ლოების თხოვნაც დაკმაყოფილა და ეკლესია გაათავისუფლა „ყოვლისა ბეგარისაგან“.





შინაურ მტერთა ძლევით მაინც ვერ გაიხარა მეფემ. ჯერ ამავალი ვის სისხლიერთა ღალატმა და მერე მათთან სასტიკმა ანგარიშ-სწორებამ დაანაღვლიანა და დაზაფრა ბუნებით ხალისიანი გი-ორგი მეფე.

ადრეც ანუხებდა, მაგრამ ახლა, სამეფო ტახტისათვის სისხლის დაღვრის შემდგომ, საბოლოოდ ჩააგდო საგონებელში ტახტის მემკვიდრეობაზე ფიქრმა.

ცოლი გიორგის ჭაბუკობის ასაკშივე შერთო მამამისმა, დემოტრე მეფემ, ოვსთა მეფის, ხუდანის, ასული, სახელად ბურდუხან, გასაოცრად ლამაზი ქალი („მისებრ რძალი არა ეხილა ქართლის თემსა“). ძლიერი სიყვარულითაც უყვარდა თავისი მეუღლე გიორგის, მაგრამ მეფეთათვის ყველაზე დიდი სასურველი სურვილი ვერ შეუსრულა ბურდუხანმა გვირგვინოსან ქმარს — ძე არ გაუჩნდათ ტახტის მემკვიდრედ.

1166 წელს პირველი შვილი შეეძინათ გვირგვინოსნებს.

შეეძინათ... ქალი.

ქალიო?!

მაგრამ სწორედ ის „პირველი“ ქალთა შორის იყო თამარი.

მერე თამარს მოჰყვა რუსუდანი.

1178 წელს, დემნა ბატონიშვილის ამბოხების ჩაქრობიდან მეორე წელს, გიორგი მეფემ ნაჭარმაგევის სასახლეში მოიხმო წარმომადგენელნი „შვიდთავე სამეფოთა“, სამღვდელონი, საერონი და სამხედრონი — „ყოველნი პატრიარქი და ებისკოპოზნი, დიდებულნი იმიერთა და ამიერთა, ვაზირნი და სპასალარნი და სპასკეტნი“.

გამოვიდა მეფე და „ანვია დედოფალთა დედოფალი, ბედნიერი და სვიანი ცოლი მისი ბურდუხან“.

მერე მეფე-დედოფალმა ერთად მოინვია „შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა, და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა“.

მარჯვნივ დაისვა გიორგიმ თამარი და „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა ძისსა. ოქროსა მას ოფაზისა, აღმკული იაკინთთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ“.

თამარი მამა-ხელმწიფის თანამოსაყდრედ და მომავალ ერთხელმწიფედ ცხადდებოდა.

გიორგიმ ფიცი ითხოვა დარბაზის ერისაგან.

მაღალმა საკრებულომ მუხლი მოიყარა ღვთაებრივი ასულის წინაშე. წარჩინებულნი „ერისანი ლიტანიობდეს წინაშე ცხრისა მისისა“.

მაშინ თამარი იყო 12 წლისა.



## აღსასრული „ლომთა უმხნესისა“

ამ დიდ საზეიმო წელს საგლოველი წელი მოჰყვა. გარდაიცვალა დედოფალი ბურდუხან, თანამეცხედრე გიორგი მესამისა, დედა ღვთაებრივი თამარისა.

ამის შემდგომ გიორგი მესამემ კიდევ ხუთი წელიწადი იცოცხლა, ქვეყანას კვლავ მორქმით განაგებდა. თამარს ხელმწიფობას აჩვევდა, საქართველოს მტრებს შიშის ზარს სცემდა და მეგობრებს ემეგობრებოდა. კვლავ „სძლუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და პრომთანი, და პინდოთანი, და ხონელნი, და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილონისა, შამისა, ეგვიპტისა და იკინისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანნი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე“.

ქვეყნის შინაგანი სიმტკიცე და ზნეკეთილობა კვლავაც განავრცო ქველმა ხელმწიფემ, ქურდობისა და ავაზაკობის აღმოსაფხვრელად საგანგებო საკანონმდებლო საკრებულოზე უსასტიკესი სასჯელი დაადგინა — ჩამოხრჩობა. ორივე ეს ბოროტება მოისპო კიდეც საქართველოში.

1184 წლის 27 მარტს, ვნებისკვირის სამშაბათს, გიორგი მეფესტაგირს იყო, კახეთში.

და ამ დღეს მას ეწვია სიკვდილი.

განესრულა მისი ოცდარვა წლიანი ხელმწიფობა.

მომკვდარიყო „მონადირე მთათა და ბართა, ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამხრისა“.

ხელმწიფე „ლომთა უმხნესი და არნივთა უმაღლესი“.

„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომებთა, შან-  
ვანშაპ და შაჰინშაპ ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა  
თვითმფლობელობით მფლობელი“.

თამარი თბილის იყო, ისნის სასახლეში, როცა მას მამის სიკ-  
ვდილი შეატყობინეს.

ამის გამოგონე „თამარი, პირი იგი ეთეროვანი და უკიმირო ჰა-  
ერი, და უმრუმო ნათელი — შეიზღუდა ბნელითა“.

სამი დიდებული ქალი მიუძღოდა გიორგი მესამის საგლოველ  
პროცესიას: დაი მისი რუსუდანი და ასულნი — თამარ და რუსუდან.

„უამისა სიძნელისა“ გამო ჯერ მცხეთას დაკრძალეს გიორგი,  
მერე იმავე წელს გელათს გადასვენეს სამეფო საძვალეში.

ქართველთა უზარმაზარი სამფლობელონი, ნიკოფსიიდან და-  
რუბანდამდე, მრავალი ხალხებით დასახლებული კავკასიური სა-  
ხელმწიფო ხელთა დარჩა 18 წლის ქალს.

სახელი მისი იყო თამარ.



## გიორგი მესამე

იმერეთის მეფე 1605-1639 წლებში. ე კონსტანტინესი. მძიმე  
ბრძოლები ჰქონდა ოდიშის მთავარ ლეონ II დადიანთან. მათ  
შორის ყველაზე დიდი ბრძოლა მოხდა 1623 წელს გოჭოურასთან.  
გიორგი მეფე სასტიკად დამარცხდა. 1626 წელს ბაზალეთის  
ბრძოლაში გიორგი იმერთა მეფე გიორგი სააკაძეს ეხმარებოდა  
იმერთა ჯარით. ამის კვალდაკვალ, თეიმურაზ პირველსაც დაუ-  
მოყრდა: მისმა ვაჟმა და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრემ ცო-  
ლად შეირთო თეიმურაზის ასული დარეჯანი (ზურაბ ერისთავის  
ნაქვრივალი). გიორგი მეფის დროს იმერეთში „აყვავდა“ ტყვეთა-  
სყიდვა. 1619-21 წლებში გიორგი იმერთა მეფემ საელჩო მიმოქ-  
ცევებით სცადა რუსეთის მფარველობაში შესვლა მაგრამ ეს  
ცდებიც ამაო გამოდგა.



1210 წელს საქართველოს მოუკვდა დიდი თამარი და „დაუტევ-ნა ორნი შეიღინი: გიორგი და რუსულან, მშენიერნი, სანადელნი, სასურველნი და საქებელნი; შექმნით სეფის პირნი, გონიერებით აღსავსენი, სიბრძნით შემკობილნი და ყოვლითა სიკეთითა სრულნი“.

მაშ, ამ წელს სრულიად საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ერთიანი სახელმწიფოს მეფეთ-მეფე შეიქნა გიორგი მეოთხე, ზედ-სახელით ლაშა („ქვეყნისა მანათობელი“).

საქართველოს მტრებმა ჯერ კარგად არ იცოდნენ, რა ძალმოსი-ლების პატრონი იყო მათი ახალი ჭაბუკი მეტოქე. მათვის საკმა-რისი იყო მხოლოდ ის, რომ საქართველოს მოუკვდა დიდი თამარი. ამიტომ მუსლიმმა მეტოქებმა დრო ხელსაყრელად ჩათვალეს ქართული უღლის დასამხობად და სამაგიეროს გადასახდელად.

ქართული მბრძანებლობის წინააღმდეგ პირველი მოაჯანყე გა-მოდგა განძის ათაბაგი, რომელმაც აშეკარად გამოაცხადა: ცალკე ვარ, დამოუკიდებელი და საქართველოს სამეფო კარს ხარჯის გა-დახდაზე უარს ვუცხადებო.

ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, ერთნაირად ესმოდა: უკეთუ განძელი ათაბაგის კადნიერება დაუსჯელი დარჩებოდა, დიდი თა-მარის „იმპერიის“ დაშლაც ერთბაშად უნდა დაწყებულიყო. უპირ-ველეს ყოვლისა, განძელთა ესოდენ სახიფათო გამოხდომა ყველა-ზე კარგად შეუფასებია თვითონ გიორგი ლაშას.

მან მაშინვე, განძელთა განდგომის შეტყობისთანავე, „მოუწოდა ყოველთა სპათა საქართველოსათა, იმერთა და ამერთა“, დიდე-ბულთა დარბაზიც შეყარა და ასეთი სიტყვით მიმართა:

„მეფეთა შორის ბრნყინვალემან და სანატრელმან დედამან ჩემ-მან ყოველი წინააღმდეგომნი პაპათა და მამათა ჩემთანი მოხარ-კედ შექმნა და დღეისმომდე მორჩილნი ბრძანებისა ჩემისანი არი-ან. ან განძისა ათაბაგსა საწუნელ უქმნიეს და ხარჯისა არღარა ნე-ბავს მოცემა; მე ესრეთ განმიზრახავს, რათა შური ვიგო განძასა ზედა... ადრეც მრავალგზის დაუცემიათ სანატრელთა პაპათა და მამათა ჩვენთა დიდთა სულტანთა ძლიერებანი, ხოლო ახლა ჩვენ აღვიმხედროთ განძასა ზედა, რათა სხვათა მტერთაგან არღარა საწუხელ ვიქმნეთ“.

დიდი თამარის სიკვდილით დაზაფრული დარბაზისათვის ჭრა/ ბუკი მეფეთ-მეფის გაბედული გამოსვლა დიდად სასიხაშულება/ გამოდგა და მაშინვე „ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსათქმულება/ ერთხმად შესძახეს გიორგის:

„დიდი ნუგეშისცემა მოგვემატა, რამეთუ გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი. მინდობითა ღმრთისათა და ძალითა თქვენითა დავიმორჩილნეთ ურჩინი მეფობისა თქვენისანი და შევანანოთ ყოველთა ურჩება თქვენი“.

ქართველთა ლაშქარი, თვითონ მეფის მხედართმთავრობით, განძის მხარეს შეესია. „ვერ წინააღმდეგს განძელნი“, ქართველებმა „აღიღეს ტყვე და ნატყვენავი ურიცხვი“. განდგომილი ათაბაგი ციხე-ქალაქში ჩაიკეტა.

გიორგიმ განძას ალყა შემოარტყა. ერთ მხარეს დასავლეთ ქართველნი იდგნენ, მეორე მხარეს — აღმოსავლეთ და სამხრეთ ქართველნი. ალყა გაჭიანურდა. ყოველ დღე განძის კედლებთან იმართებოდა ორთაბრძოლა. ქალაქიდან ჩალიბად (ფალავნად) გამოდიოდნენ რჩეული მუსლიმი მეომრები, ქართველი მხედრებიც ცალკეულად ეგბებოდნენ და ასე გრძელდებოდა ორივე მხარის თვალწინ „აქათცა და მუნითცა ურჩეულესთა“ შერკინება.

მეფეს, ქედფიცხელს, მოსწყინდა ჩალიბთა უსაზმო ეკნწლა-ობა და ეგრერიგად გაჭიანურებულ ალყად დგომა. ერთ დილით თანასარდალთა უკითხავად ცხენს მოახტა და თან ოთხიათასამ-დე მეომარს, უმეტესად მესხებს, უბრძანა ამხედრება. მათი თან-ხლებით იგი პირდაპირ ქალაქის კედლებისაკენ გაემართა ჩრდი-ლოეთის მხრიდან. აქედან ქალაქის გარშემოვლა უნდა დაეწყო, ალბათ, საიერიშოდ რომელიმე სუსტი ადგილის შესარჩევად, ან-და მტრის უმთავრეს ძალთა გარეთ გამოსატყუებლად. ასე იყო თუ ისე, ალყაში მოქცეულებს ქართველთა ბანაკიდან მეფის გა-ცალკევება არ გამოჰქმდათ. მათ იცნეს მცირერიცხოვანი რაზ-მის წინ ამხედრებული ახოვანი გიორგი-ლაშა. განძელთა სარ-დლობამ მიიჩნია, რომ მტრის განადგურებისათვის უკეთეს მო-მენტს ვერც ინატრებდნენ, ამიტომ შესაბამისი გადაწყვეტილე-ბაც მაშინვე მიიღეს.

და აი, ერთბაშად განძის კარი გაიღო და 10 000 მეომარი გამო-იჭრა ამხედრებული. გამოიჭრნენ და „ვითარ მხეცნი ზედა მიუხ-დეს“ ლაშას და მის რაზმს. გიორგიმ აინუნშიაც არ ჩააგდო მტრის სიმრავლე და „უშიშითა გულითა“ გამამხნევებელი ყიუინით წა-

რუძლვა თავისიანებს. დავიხოცებით და შენი მეფობის ამ  ველ ომს არ შეგირცხვენთო! — მიჰყოდნენ მესხები მეფეს უსაფრთხოების მინისტრის მიერთებით „და იქმნა ბრძოლა ძლიერი და დიდად სასტიკი“.

ოთხი ათასი ქართველი ეომებოდა ათი ათას თურქმანს.

გასაოცარი შემართებით იბრძოდა ლაშა, ყველაზე ნინ, მტრის შუაგულში, „მხნედ და ძლიერად, თვით გოლიათი მკლავითა სვიანითა და ხელითა გოლიათითა“.

მეფის მარჯვნივ და მარცხნივ მესხთა მეწინავე რაზმის სათავეში საარაკო გმირობით იბრძოდნენ სამნი: ბიბილა გურკელელი, ივანე-ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელის ვაჟი ბექა და ბოცო ბოცოს ძე ჯაყელი.

განძელთა დიდი ნილი მოისრა ქართველთა ხელით. დანარჩენებმა ბრძოლა მიატოვეს და ისევ ციხე-ქალაქს მიაშურეს. ქართველებიც გამოენთნენ უწყვეტი ჩეხვით. გაქცეულთაგან მხოლოდ „მცირედნილა შეესწრენს ქალაქად“, უმრავლესობა კი ან ბრძოლის ველად დაირცა, ან ტყვედ ჩავარდა.

საშინელი სისხლისღვრა განძის კართან ისე გათავდა, ქართველთა მთავარ ბანაკში არც მეფის იდუმალი გაუჩინარებისა და არც მომხდარი ბრძოლის შესახებ არაფერი შეუტყვიათ. ქართველთა მთავარი ძალები მხოლოდ მაშინ წამოიშალნენ, როცა მეომრების ხელით განწყვეტილ თურქთათვის ატეხილი გლოვისა და წიოკობის ხმა გამაყრუებელ ნიაღვრად გადმოიჭრა განძის მაღალი კედლებიდან. ამასობაში მეფეც მოიჭრა თავისი რაზმით, გამარჯვებით გალადებული და დამშვენებული.

უკადრისეს გულზვიადმა დიდებულებმა მათ უცნობებლად წასვლა მეფისა. საყვედურიც აკადრეს მოურიდებლად — თუ კიდევ ასეთი რამ ჩვენს დაუკითხავად მოხდება, აღარც საომრად გამოგვყებით და აღარც შენს კარზე ვიმსახურებთო. თავის ქვეშვრდომთა ესოდენ, დიახაც, თამამი მუქარა, ცხენიდან გარდახდა და „უმეცრებით ქმნულისათვის შენდობა ითხოვა“. რაეკი დიდებულთა პატივმოყვარეობა დაქმაყოფილდა, ახლა ყველას თანაბრად შეეძლო განეცადა სიხარული გამარჯვებისა და თვითონ ახალგაზრდა ხელმწიფის ჭეშმარიტი რაინდობისა.

ერთი კვირა გავიდა და განძის ათაბაგმა ვედრება გამოგზავნა: რაც ჩავიდინე, შემინდეთ და კვლავ ყმად და მოხარკედ მიმიღეთ. გიორგიმ დამარცხებულ და დაშინებულ განძელს სიცოცხლე

აჩუქა, ტყვეები გაათავისუფლა და განძა კვლავ ქართველთა შორის ხარე ქვეშევრდომად დაადგინა.

მეფე თბილის დაბრუნდა და „აღავსო საქართველო საბოძვარითა“.

როგორც ეტყობა, აშლილან სამხრეთელი მოხარკებიც — თამარის სიკვდილითა და მისი მემკვიდრის სიახალგაზრდავით გათამამებული. ამიტომ გიორგის ხელახლა დასჭირდა გალაშქრებანი სამხრეთისაკენ. ჯერ ნახიჩევანი და ოროტნი თავიანთი 23 ციხე-სიმაგრით კვლავ მოაქცია ქართულ სამანებში. მერე შაპარმენს მიუხტა, ხლათი აიღო და მისი შემოგარენი „მოწვა და მოარბივა“. ყელზე თოვშებმული გამოეგება ხლათის სულტანი, თამარის ნინაშე დაფიცებული ყმადნაფიცობა და მოხარკეობა ახლალაშას ნინაშე გაიმეორა. ხლათიდან კარნუ-ქალაქს გაემართა გიორგი მეფე. აქაურმა ამირამაც მაშინვე ყელზე შეიბა თოკი ქართველთა მეფის ქვეშე ყმობისა და მოხარკეობისა. ბასიანი გამოიარეს ქართველებმა და აქ, თამარის დროის „ძლევის“ ადგილზე, დიდი საზეიმო ასპარეზობა გამართეს. მერე გიორგიმ კეჩიროლს ნარგზავნა დიდად სახელმოხვეჭილი, ერთგული შალვა თორელი-ახალციხელი. ნავიდა შალვა, „რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“, და აიღო კეჩიროლი და შემოუმტკიცა ისიც ქართულ სამფლობელოებს.

ქვეყანა დამშვიდდა და დაწყნარდა.

ისევ დარწმუნდა ერთნაირად მტერიც და მოყვარეც: კვლავ მძღავრი იყო კავკასიელთა „იმპერია“, კვლავ მძღავრი ხელმწიფე იჯდა ქართულ, გორგასლიან-დავითიან-თამარიან ტახტზე.

ერთი საუკუნე სრულდებოდა მას შემდეგ, რაც ევროპასა და აზიაში ქართველთა ჰეგემონობა რეალურ აღიარებად იქცა. მთელი ასი წლის მანძილზე, ბიზანტიის იმპერიის დაკინიების ფონზე, საქართველო წარმოადგენდა ანტიმუსლიმური ძალების ერთადერთ საიმედო ბურჯსა და დამცველს აღმოსავლეთში. ამ ასწლეულის მანძილზე „ჯვაროსნად“ ამხედრებულ ევროპას ერთადერთ საიმედო „თანაჯვაროსან მოკავშირედ“ და თანამოლაშქრედ ურჯულო თურქთაგან ქრისტეს საფლავისა და პალესტინის სხვა „წმიდა ადგილთა დასახსნელად“ მიაჩნდა ისევ და ისევ საქართველო. ევროპელთათვის იმ „მწვერვალი-საუკუნის“ აღმოსავლეთის დიდ „ჯვაროსან ხელმწიფებად“ ითვლებოდნენ: დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, გიორგი მესამე და თა-

მარ დედოფალი. ხოლო ახლა, სწორედ გიორგი მეოთხე ლაშას მეფე ფონბის უამს, — მაშინ, როცა ევროპა მეხუთე ჯვაროსნულურებაში, ქრობისათვის ემზადებოდა, სწორედ რეალურად დადგა საკითხი ქართველთა, ვითარცა „აღმოსავლეთ ჯვაროსანთა“, უშუალო მონაწილეობისა მაშინდელ „მსოფლიო ოშში“.

1219 წელს ევროპელმა რაინდებმა რის ვაი-ვაგლახით ნილოსის დელტაში მუსლიმებს წაართვეს დიდი ციხე-ქალაქი დამიეტა. ქართველებმა მაშინვე მილოცვა გაუგზავნეს ჯვაროსნებს. თანაც დამასკოს სულტანს ბრძანება აახლეს — განზრახვაზე ხელი აიღე და იერუსალიმის კედლების დანგრევაზე ფიქრიც არ გაბედოო.

სწორედ იმუამად ჩანერა ქართველთა შესახებ ეპისკოპოსმა უაკ დე ვიტრიმ თავის „იერუსალიმის ისტორიაში“:

„ისინი არიან დიდად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, სხეულით მძლავრნი და მხედრობით ძლევამოსილნი. მათ სასტიკად ჰყავთ დაშინებული სარკინოზები; ხშირი თავდასხმებით ამარცხებენ თავიანთი მოსაზღვრე სპარსელებს, მიდიელებსა და ასირიელებს, თვითონ ურჯულო ხალხებით გარშემორტყმულნი. მათ ჰქვიათ გეორგიანები, რადგანაც განსაკუთრებულ პატივსა და თაყვანს მიაგებენ წმიდა გიორგის, რომელსაც თვლიან თავიანთ მფარველად და მედროშედ ურჯულოებთან ომებში და ადიდებენ ყველა სხვა წმინდანზე მეტად. ყოველთვის, როცა კი ეწვევიან სალოცავად უფლის საფლავს, ისინი წმიდა ქალაქში შემოდიან გაშლილი დროშებით და არავის ხარქს არ უხდიან. სარკინოზთაგან ვერავინ ბედავს მათ შენუხებას, რამეთუ შინ მიბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სარკინოზებზე. მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა მსგავსად შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდთა მხარდამხარ“.

ევროპაში უკვე დიდი პატივით, კრძალვითა და აღტაცებით ლაპარაკობდნენ ლეგენდარული თამარის ღირსეულ ვაჟზე, ახალ ალექსანდრე მაკედონელზე, ქრისტიანობის უბრნყინვალეს რაინდზე.

და, აი, მოვიდა ეპისტოლე ევროპიდან საქართველოში. რომის პაპი ჰონორიუს მესამე ქართველთა მეფეთა-მეფეს სთხოვდა, დაძრულიყო თავისი მხედრობით იერუსალიმისკენ მიმავალ ჯვაროსნებთან შესაერთებლად.

დიდი სიხარულით მიიღო გიორგი-ლაშამ საკუთარი რაინდული ბუნებისათვის ესოდენ მრავლისაღმთქმელი წვევა.

მაშინვე საომარი სამზადისი ბრძანა.

ქართველები სრულიად ახალი ომისათვის — „ჯვაროსნულობა მოისათვის“ იკაზმებოდნენ.

ძალუმი სუნთქვით სუნთქავდა ევრაზიის გზაკვეთილზე იმპერია კავკასიელთა.

ჯერ ისევ მხოლოდ ქართველებს ჰქონდა უფლება, გაშლილი ეროვნული დროშით გაევლოთ იერუსალიმი — „ჭიპი დედამიწისა“.



## ლაშა — ვითარცა კაცი

„და ვიტყოდეთ ქებასა მისსა ნინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გვრცხვენოდის.“

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე.

უმშვენიერესი კაცი იყო ლაშა-გიორგი.

ორივე მშობლისაგან უხვად დაჲყოლოდა სიტურფე.

სახილველად იყო საოცრად სახიერი და მომხიბლავი, ტანად — კენარი, ახოვანი, ძალლონითა და ლაზათით სავსე.

იყო „ლომი ძალითა და უმანქო გონებითა“.

იყო უბადლო მოისარი და მახვილოსანი, ცხენოსანი გულოვანი, მოჯირითე და მოასპარეზე. ბრძოლის ველზე რაინდი უშიშარი და თავდავიწყებით შემმართებელი.

უსაზღვრო გულკეთილობა და გულუხვობა დაჲყვა დედისგან. მისმა გულმა არ იცოდა, რა არის შური. იყო „მოყვარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა“. ყველა უყვარდა, ყველას სიკეთე ახარებდა და ახალისებდა, გულატირებულთ ამხნევებდა და ამშვიდებდა. უქონელთ ხელგაშლილად ასაჩუქრებდა და განიკითხავდა. იყო მოუკერძებელი „ბჭე და მოსამართლე“, „მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა“.. „შვიდთა სამეფოთა“ მეფეთ-მეფეს თავის სიცოცხლეში მათრახი ერთხელაც არავისთვის მოუქნევია.

მაგრამ მშობელთაგან „უზომოდ დაჲყოლილ“ კეთილ ბუნებათა გარდა, საკუთარიც მრავლად ჰქონდა. სწორედ ლაშა-გიორგის შეეძლო დაბეჯითებით ეთქვა ძველ რომაელთაგან ნათქვამი: „ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“.

თავისუფალი ცხოვრების მოტრფიალე იყო ლაშა-გიორგი. მას სი ადამიანურად ლალი და ამპარტავანი ბუნება ვერ უჭირდება, ხელმწიფისათვის სავალდებულო საერო და სასულიერო შორის-ლურ-კანონიკურ არტახებში.

გიორგი ლაშასთვის ყოველთვის უცხო იქნებოდა დიდი დავით აღმაშენებლის რეინის ხელით დაწერილი ზნეობრივ-ფილოსოფიური ტრაქტატი — „გალობანი სინანულისანი“.

„თვითბუნება“ დაურქმევიათ მისთვის იმდროინდელ მემატიანებს. სწორედაც „თავისი ბუნებით“ მოსურვებია ამ ქვეყანაზე ცხოვრება მეფეს. გარეგნულად იგი ქრისტიანი მოწესე იყო, ეკლესიათა მაშენებელიც, საეკლესიო მსახურთა უხვი მწყალობელიც, და ამდენად მისთვის საქართველოში არავის შეეძლო ღვთისმგმობელობა დაებრალებინა. თუმცა ევროპაში ასეთ „თვითბუნება“ მოაზროვნებს „ნმიდა ინკვიზიცია“ კოცონზეც წვავდა... საქმე ის იყო, რომ ლაშა-გიორგი „ზენაარ ძალას“ უფრო ადამიანში შეიგრძნობდა და შეიცნობდა, ვიდრე მისგან და საერთოთ ადამიანთაგან სადღაც მიღმიერ სამყაროში. „ზენაარისკენ“ იგი სულ სხვა „გზებითა და გზნებით“ მიიღწვოდა : ღვინო და ქალი!

თავაწყვეტილი მონადიმე, მონადირე და მოაშიე იყო მეფე. ლამღამობით, უბრალოდ ჩაცმული, აიყოლიებდა თანატოლებს, პოეტებს, მსახიობებს, მომღერლებსა და მოცეკვავეებს და მათ-თან ერთად მთელი ღამე ღრეობდა — თვითონაც სვამდა, ლექსებს კითხულობდა, მღეროდა, როკავდა და მსახიობობდა.

ყველაფერი ეს დასჩემდა გიორგი მეფეს თავისი ხელმწიფობის ბოლო წლებში. ამაოდ ცდილობდნენ მისი კარისკაცები, ვაზირები და მღვდელმთავრები, „გონს მოეყვანათ“ მეფე.

ქალისადმი ტრფიალებამ ხომ საბოლოოდ დასცა მეფის ავტორიტეტი იმდროინდელ „მაღალ ზნეობის მომხრეთა“ თვალში.

ერთხელ ლაშა კახეთს იყო, სოფელ ველისციხეში. იქ ერთი ვათხოვილი ქალი ნახა, ძალზე ლამაზი, „ფრიად ქმულ-კეთილი“. უსაზღვროდ გაიტაცა მეფე იმ ქალის სიმშვენიერემ. არაფრად ჩააგდო არც ის, რომ იმ ქალს ქმარი ჰყავდა; არც ის, რომ მეფი-სათვის ასეთი საქციელი ულირს საქმედ მიიჩნეოდა, — დაავლო ხელი და ნამოიყვანა ქალი იგი სატახტოში, ცოლადაც უნდა შეერთო, მაგრამ ვითარცა მეფეს, ნება არ ჰქონდა ქვეშევრდომი ქალი დედოფლად გამოეცხადებინა. მას აუცილებლად რომელიმე

სამეფო საგვარეულოდან უნდა შეერთო მეუღლე. არც ამით გამო/აიღო ხელი გიორგიმ თავის გრძნობაზე — ის ქალი არ მოჰქონდა/რაკი მასზე დაქორწინების ნებას არ აძლევდნენ, ცოლის შერთვა-ზეც საერთოდ უარი განაცხადა.

ქალი მაღლე დაორსულდა და ვაჟიც შეეძინა — სახელად დავითი დაარქვეს. გიორგი ბედნიერი მამა შეიქნა. ზაფხულობით იმე-რეთს დაჲყავდა „უკანონო“ ცოლ-შვილი. გეგუთს, ქუთათისსა და გელათს განისვენებდა, აჯამეთის ტყუებში ნადირობდა; მერე აფ-ხაზეთს ეწვეოდა და „განაგის საქმენი მანდაურნი“. სთვლობისას თბილის ბრუნდებოდა, ზამთარს დურში (ქვემო ქართლში) ატა-რებდა. გაზაფხულზე მტკვრის სათავეებისკენ მიინევდა და კო-ლას დგებოდა.

ერთ დღეს მეფეზე უკანასკნელი იერიში მიიტანეს საქართვე-ლოს მესვეურებმა — ეწვივნენ: ორივე კათალიკოსი (ქართლისა და აფხაზეთისა), ვაზიორები და ეპისკოპოსები. ეწვივნენ და დაბე-ჯითებით მოახსენეს: ყოვლად დაუშვებელიაო, „ღმრთივ-გვირ-გვინოსანს“ მხევალი ქალი გიჯდესო ცოლად; პავლე მოციქულიც გვასწავლისო — „ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ, ხოლო მსიძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“.

მაგრამ მეფემ, დაჯერება კი არა, მოსმენაც არ ისურვა, ისე თქვა ცივი უარი საყვარელი ქალის განტევებაზე. მაშინ უმაღ-ლესმა სამლენებებამაც არ დათმო თავისი მტკიცე მოთხოვნა. გიორგის ის ქალი ნაართვეს და ველისციხეში წარგზავნეს თავის კანონიერ ქმართან. ხოლო ყრმა დავითი, „უკანონო უფლისნუ-ლი“, დანაღვლიანებული გიორგის თხოვნით, მისმა დამ, რუსუ-დანმა აიყვანა აღსაზრდელად.

საყვარელი ქალის დაკარგვამ მეფეს საბოლოოდ გადააწყვე-ტინა, უარი ეთქვა ცოლის შერთვაზე.

ამასობაში რომის პაპის ეპისტოლემაც მოაღწია და გიორგიმ „ჯვაროსნული ომისათვის“ ფიცხელი სამზადისი ბრძანა.

ახალ ომში ნასასვლელად ემზადებოდნენ ქართველები — ახალ ქვეყნებში სალაშქროდ, ახალ ხალხებთან შესახვედრად.

მაგრამ ეს „სიახლენი“ საქართველოსთვის ისტორიის ბედის-წერას სულ სხვა მხრისკენ უნდა ნარემართა — არა სამხრეთით, არამედ აღმოსავლეთით, არა თურქთა წინააღმდეგ „ჯვაროს-ნულ ომში“, არამედ აქამდე სავსებით უცნობ და „უცხო თესლთა“ საპირისპიროდ...

აზია-ევროპის გზაკვანძზე ქართველთა ორასწლოვან „შეად-  
სვლას“ ერთბაშად გზა ჩაუჭრა და ჩაუქცია მსოფლიო გრიგალიადა-  
მოვარდნილმა 20-იანმა წლებმა XIII საუკუნისამ.

აღმოსავლეთიდან ყოველი ქვეყნის დამანგრეველი და წამლე-  
კავი გრიგალი მოქროდა... მონლოლები, ანუ „თათრები“ მო-  
ქროდნენ სრულიად მსოფლიოს ჩასანთქავად...



## დრო დადგა!!!

მოჰქროდა ორი დუმანი მონლოლთა მხედრობისა (დუმანი 10 000  
კაცი), სათავეში ედგათ ორი სარდალი — ცბიერი სუბუდაი და მამაცი  
ჯებე. ჩრდილო-აღმოსავლეთი ერანი გადმოთქერეს, კასპიის ზღვას  
სამხრეთით მოექცნენ. იქიდან ჩრდილო-დასავლეთ ერანსაც შემოე-  
სივნენ ცეცხლითა და რკინით.

ადარბადაგანისა და რანის ველებიც გადმოთქერეს და გიორგილა-  
შას პირველად მაშინ მოახსენეს სავსებით უცხო მტერთა შემოსევის  
ამბავი. ივანე ათაბაგმა და ვარამ გაგელმა აცნობეს ეს ამბავი მეფეს.

მანამდე მონლოლთა შესახებ მხოლოდ ეს „სიმართლე“ სმენო-  
დათ: მონლოლ-თათრები ქრისტიანები არიანო და იქნებ ისინიც  
ჩვენსავით ქრისტეს საფლავის დასახსნელად მიიღოთ კა-  
ლესტინისკენ.

ბჭობა-განსჯის დროც აღარ იყო. აღმოსავლური გრიგალი უკვე  
შემოჭრილიყო საქართველოს სამანებში — „ქვეყანასა გაგისასა“.

გიორგიმ სასწრაფოდ ლაშქრის წვევა უბრძანა ივანე ათაბაგს.  
თვითონაც აღიკაზმა, ამხედრდა და გაგისაკენ გაქუსლა. აქ ვა-  
რამ გაგელიც აიყოლია და გაიჭრა მდინარე ბერდუჯის გალმა,  
ხუნანის ველისაკენ, სადაც უკვე საომრად განყობილიყო მონ-  
ლოლთა ჯარი.

1220 წელი იდგა მაშინ.

მონინააღმდეგე მხარეებს თანაბარი ძალები ჰყავდათ იმჯე-  
რად, თითოეულს 10 000 მეომარი.

მონლოლებს ცალთვალა სარდალი მოუძღვდა. ეს სუბუდაი-  
ბაჲადური იყო. ხოლო, ჯებე-ნოინი არსად ჩანდა და ქართველებ-  
მა საერთოდ მისი არსებობაც კი არ იცოდნენ.

გიორგიმ მარცხენა კერძზე ივანე ათაბაგი და მისი ძმისწული

შანშე ზაქარიას ძე მხარგრძელი ჩააყენა, მარჯვნივ — ვარამ გელი, შუაგულს თვითონ უსარდლა და იერიში ბრძანა. ეს ასორმოცდამეათე ბრძოლა იყო დავით ალმაშენებლის დიდი გმირობის — ერწუხის ბრძოლის — შემდგომ.

და ასორმოცდამეათეც ქართველთა ძლევამოსილებით დამთავრდა:

მონღლოლები უკუიქცნენ.

პირველად გაექცნენ ბრძოლას აქამდე უძლეველნი.

უკან გამოენთნენ ქართველები.

გულდანდობილად მიაქროლებდნენ ცხენებს ქარის სისწრაფით გაფრენილ „უცხო თესლთა“ კვალდაკვალ.

და ქართველებმა არ იცოდნენ, რომ სწორედ ახლა, ასე ანგარიშმიუცემელი სრბოლის უამს, წუთი წუთზე უნდა ჩაწყვეტილიყო მათი ასოცნღლოვანი და ასორმოცდაათრგოლიანი „ჯაჭვი უძლეველობისა“.

თურმე იქ, ხუნანის ველზე, არ დამთავრებულა ბრძოლა...

ქართველთა ზურგში უეცარი, ნადირული ყიუინა და დაუჭედელ ცხენთა თქარუნი გაისმა, ეს ჯებე-ნოინი მოქროდა საფარი-დან ამოსხლეტილი.

10 000 მონღლოლი ელვასებრ დაეძგერა ქართველთა ზურგს.

სუბუდაი-ბაპადურმაც მყისვე შემოაბრუნა თავისიანნი.

რაღა თქმა უნდა, ქართველებმა არაფერი იცოდნენ მონღლოლთათართა ამნაირი, უკვე მრავალჯერ ნაცადი საომარი ხერხის შესახებ.

და ისინი ორმხრივი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ.

სხვა რაღა გზა იყო. ქართველებს მოულოდნელი, ზარდამცემი შეცებუნებისგან თავი უნდა დაეღწიათ. გიორგიმ შეიმჭიდროვა დევნისას არეული ლაშქრის რიგები. ვარამ გაგელის ფრთა შემხვედრიერიშზე გადმოსულ სუბუდას შეაგება, ივანე ათაბაგი ჯებეს დაუხვედრა. თვითონ ყოველ მხარეს მიმოქროდა და უნინარესად იქ გაჩნდებოდა, სადაც უფრო მისჭირდებოდათ მისიანებს.

მძიმე ბრძოლა გახურდა, სამკვდრო-სასიცოცხლო, დიდხანს შენივთებული და შედედებული. ლაშამ შეძლო ფრონტის გაშლა ფლანგებისაკენ. მონღლოლებმა ვერ მოახერხეს მარნუხთა დავინროება. ჯერ ათაბაგის მხარეს იბრძოდა გიორგი, ჯებე-ნოინის

ხელუხლებელ ძალთა პირისპირ. ნელ-ნელა კიდეც იწევდნენ/ უკან ჯებეს მხედრები, როცა მეფემ შეამჩნია შეჭირვებჲ/ გაგელისა. მაშინვე მარცხენადან მარჯვენა ფრთაზე გადაინა-ცვლა და გააფთრებით შეუტია სუბუდაის მხედრობას. სასტიკი ხმალთაკეთების შემდგომ გატყდა ამ მხარეს საბრძოლო ხაზი. უკუიქცა სუბუდაის ფრთა, გამოედევნენ ქართველები. მეფემ მდევრად მიუშვა ვარამ გაგელი და თვითონ ისევ მარცხენა ფრთისკენ შემოიქცა. სწორედ რომ დროზე, რადგან ძირს დანარცხებულიყო ივანე ათაბაგი; რომელიღაც მომტერე ფეოდალს, სახელად სამადავლას, ხმლის მოულოდნელი დარტყმით მუხ-ლებში მოუცელავს მისი ცხენი. გააფთრებით მიეტევა მტერს გიორგი. მხარდამხარ მიჰყვა მამაცი ბექა ჯაყელი. საისრე მანძილზე უკუიქცნენ თათრები, მაგრამ ნამსვე შემოტრიალდნენ და ისრის მერეხი (სეტყვა) შეაგებეს მოიერიშე მოპირდაპირეს.

ცხენიდან მოსხლეტით გადმოეშვა გიორგი ლაშა, მკერდში ისარ-გარჭმული.

მეფე მოჰკულესო! — ელვასავით დაუარა და გააპო ქართველ-თა რიგები. მეფე აიტაცეს და უკუიქცნენ ივანე ათაბაგი, შანშე მხარგრძელი და სამცხის სპასალარი. ბექა ჯაყელი კიდევ ამხნე-ვებდა ქართველობას თავზეხელალებული შემმართებლობით. ისევ ნამოვიდა „ცისდამაბნელებელი“ თათრული ისრის მერეხი. დაეცა ბექა — „ძლიერად ბრძოლილი“.

მიმწუხრის უამს გათავდა ბრძოლა.

ვარამ გაგელის მეთაურობით დაღამებამდე სდიეს ქართვე-ლებმა სუბუდაის ლტოლვილ მხედრობას. ხოლო უკან შემოიქ-ცნენ, როცა შეიტყვეს მეფის დალუპვა და მარცხი ჯებესთან შერ-კინებისა.

უმძიმესი ომი დასრულდა, დამარცხებული მოდიოდნენ ქარ-თველები, გამარჯვებული მიდიოდნენ მონღოლები.

ერთადერთი ტყვე მონღოლი მოჰყავდათ ქართველებს. ისაც გზაზედ უეცრად გაუსხლტა მცველებს, საოცარი სისწრაფით გა-ქანდა, უზარმაზარ ლოდს თავით დაეტაკა და ზედ ტვინიც შეან-თხია.





გიორგი-ლაშა მძიმედ იყო დაჭრილი მონღოლური ისრითან-მაფაკა, რამ იმჯერად მაინც შეძლო სიკვდილის მოგერიება. ფეხზე ნაადრევად წამოდგა სულსწრაფი მეფე, არ დაუცადა ჭრილობის მოშუქებას — ახალ საომარ ძალებს ამზადებდა მონღოლებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მონღოლებმა, რომლებიც საზამთრო ბანაკად მუღანს იდგნენ, გამოზაფხულებას აღარ დაუცადეს და 1221 წლის იანვრის მიწურულს ისევ წამოემართნენ საქართველოსკენ.

სუბუდაი და ჯებე ორმაგად გაზრდილ მხედრობას მოუძღოდნენ. თურქმანთა, ირანელთა და ქურთთა ლაშქარიც შეჰმატებოდა თათართა ურდოს.

ლაშამაც სასწრაფოდ დაძრა მხედრობა მტერთან შესახვედრად.

ბარდავის ჭალას აღიმართნენ ერთურთის პირისპირ.

ის იყო, ხმალი იძრო ლაშა-გიორგიმ და ქართველობაც იერიშზე უნდა დაძრულიყო, რომ მოპირდაპირის ხილვით შემდრკალმა მონღოლებმა უეცრად პირი იბრუნეს და ხელმარჯვნივ გაქუსლეს.

ქართველებიც გამოედევნენ მძლავრი ყიუინით. გიორგიმ მზირები აფრინა გაქცეული მტრის გასწვრივ — სადმე წინანდებური ბრძოლის მსგავსად, საფარი არსად ჰქონდათ მოწყობილი თათრებს. ფრთხილად, საომარი წყობის აუშლელად, მისდევდნენ ქართველები მონღოლებს. მისდევდნენ და ჩეხდნენ უწყალოდ. ჩრდილოეთისკენ მიქროდნენ მონღოლები. დაღამებამდე სდიეს ქართველებმა და უკან გამობრუნდნენ სასტიკ და უცნაურ „უცხო თესლთა“ ძლევით გულნაჯერნი და გალალებულნი.

მონღოლებმა კი შამახია დაარბიეს, დარუბანდი გაიარეს, წინ შემოფეთებული ყივჩაყთა ლაშქარი აჩეხეს, ჩრდილო კავკასია გადათქერეს, ყირიმს უნიეს და მდინარე კალკაზე რუსთა ლაშქარი გაანადგურეს. უკან მობრუნდნენ და ჩრდილოეთ კასპიის გადალახვით თავის ხელმწიფესთან, ჩინგის-ყაენთან, დაბრუნდნენ ყარაყორუმს.

ლაშა-გიორგიმ მონღოლთა ჯავრი განიქარვა და შინაურ საქმეებს მიუბრუნდა.

მთავარი საზრუნავი მეფის დის, რუსუდანის, გათხოვება შეიქნა იმუამად. ბევრ გვირგვინოსანს და უფლისწულს მოსურვებია დედისული სიმშვენიერით განთქმული ქართველი ქალის

შერთვა და ქართულ სამეფო კართან დამოყვრება.

ჯერ ხლათის სულთანი ეაჯებოდა გიორგი-ლაშას რუსუდანის ხელს. თითქოს, კიდევაც უნდა აღსრულებულიყო ქორწინება, მაგრამ რატომმდაც ეს საქმე „დაშალა მონყალებამან ღმრთისა-მან და არა ჰყო ესრე“.

მერე ყურადღება მიაპყრეს შირვანშაჲს, რომელიც „დიდითა შემოხვენითა“ ითხოვდა რუსუდანს. სამეფო სახლმა კიდევაც გა-დანყვიტა, დასტური ეთქვა ერთგული ყმადნაფიცისათვის. გი-ორგილაშამ ჯერ ქართლის ერისთავი გავზავნა შირვანს საქორ-ნინო საქმეთა გასარიგებლად, მერე ქორწინებაც დაინიშნა ახალი ნლის დამდეგისათვის. მართლაც, 1222 ნლის 8 იანვარს შირვან-შაჲი დიდი ამალით მოვიდა ბაგავს. გიორგი მეფეც გაეგება, საპა-ტარძლოსა და დარბაზის ერთა თანხლებით.

საქორწინო ღრეუბა ათი დღე გაგრძელდა...

და, სწორედ მეათე დღეს: გიორგი მეფეს მონღოლებთან ბრძოლისას მიღებული ჭრილობა გაეხსნა და გრძნობა დაკარგა. მცირე ხანს გამობრუნდა და თვალიც გაახილა, მაგრამ სიცოც-ხლის ნიშატი მაინც აღარ ეტყობოდა სახეზე. სიკვდილს სამუდა-მოდ დაებეჭდა მისი უმშვენიერესი ხატება.

მშვიდად უბრძანა დარბაზის ერს თავისი უკანასკნელი სათქმელი:

— სადაცაა ალვესრულები, გარდავალ ამა ქვეყნის წუთისოფ-ლიდან და ჩემს ნაცვლად მეფედ ვტოვებ ჩემს დას, რუსუდანს, რომელიც თუმცა დედაკაცია, მაგრამ არ აკლია არცა სიბრძნე და არცა ცნობა სახელმწიფო საქმეებისა. დაე, ყველა ერთგულებით მონებდეს მას და კვლავაც მხნეობით იცავდეთ მტერთაგან სა-ქართველოს ტახტსა და გვირგვინს. ხოლო რუსუდანს ღმრთისა და თქვენს ნინაშე მოუწოდებ, რათა აღზარდოს ძე ჩემი დავით და, როცა მან შეძლოს „მეფობა და მხედრობა, იგი დადგინდეს მე-ფედ და მემკვიდრედ მეფობისა ჩემისა“.

იდგა 1222 ნლის 18 იანვარი, დღე ოთხშაბათი.

და მოკვდა ლაშა-გიორგი, ძე თამარისა, საოცარი — ვითარცა ხელმწიფე და ვითარცა ადამიანი.

თანამოსაყდრე შეიქნა 12 ნლისა, გამეფდა 18 ნლისა, იმეფე 10 წელიწადი, აღესრულა 28 ნლისა.

ბაგავიდან თბილისს, თბილისიდან გელათს ნაიყვანეს და იქ დაკრძალეს მეფეთა საძვალე-სამარტვილეში.

მასვე თან ჩაჰუყვა სამარეში საქართველოს ასოცინლოვანი უძღველობის ხანა...

კარიბები  
განაცილები



## გიორგი მეორეს გორია

იმერეთის მეფე 1696-1697 წლებში. იგი იმერეთის ტახტზე ადგილობრივმა თავადებმა აიყვანეს არჩილ მეორის გადაყენების შემდეგ. ხელმწიფობაში სავსებით უმნეო. მის ნაცვლად იმერთა სამეფოს ფაქტიურად მისი სიმამრი, გიორგი-მალაქია აპაშიძე განაგებდა. 1697 წელს იმერეთის თავადებმა გიორგი ტახტიდან გადააგდეს და ისევ არჩილი გაამეფეს.



„ლომში ელვარებს მზე“.

სენაკა.

„მძლავრ აზრებს მძლავრი მოქმედება თან ახლავს მარად“.

შექსპირი.

ე მეფე დემეტრე მეორე თავდადებულისა და ნათელა ჯაყელისა.

საქართველოს მეფე შეიქნა 1314 წელს და ისტორიაში დაივანე გიორგი მეხუთე ბრწყინვალის სახელით.



## მემკვიდრეობად – „ულუსობანი“

გიორგი მეხუთემ მემკვიდრეობად, გვირგვინთან ერთად, ქვედამხობილი და დაქცეული საქართველო მიიღო. მონღლოლურთათოულმა უღელმა, ურჯუემა ბასკაკობამ (ძარცვა-გლეჯვამ) სავსებით გააპარტახა და ძირფესვიანად ამოაგდო სამეურნეო ცხოვრება. მძიმედ დახარკული ქართველი აგრიკოლა (მინათმოქმედი) თავის უმთავრეს და უსაყვარლეს კულტურულ საქმიანობას — მინათმეურნეობას ტოვებდა, დედაბუდიანად იყრებოდა და მთაში იხიზნებოდა. გარბოდა თითქმის ყველა, ვინც მონღლოთა გაუთავებელ ომებში სიკვდილს გადაურჩა. საქართველოს ბარი სოფლიან-ქალაქიანად ცარიელდებოდა და ვერანდებოდა.

მონღლოლურმა სამხედრო მანქანამ შეარყია და შეცვალა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებაც. უთავუამო ომებმა და უცხო დროშის ქვეშ „ნესად მიღებულმა“ ქართველთა „ნინამბრძოლობამ“ („ნესადმცა არს ნინამბრძოლობა ქართველთა!“) სამხედრო სიქველე უმაღლესი საზოგადოებრივი მონოდებისა და უპირატესობის საგნად აქცია. ახალი სოციალური შრე — სამხედრონი — ნარმოადგენდა იმდროინდები საზოგადოების „მაღალ საზოგადოებას“. ამ დროსძველი აზნაურობიდან ნინა-

ურდებიან „დიდებულნი“. მეფის შემდგომ უმაღლეს/თანამდებობებს იჭერენ „მთავრები“, გინა — „საქვეყნოდებულნი“, მრიგენი“, რომლებიც, ისევ და ისევ ძლიერ მახვილზე დაყრდხობით, ხელთ იგდებენ ცალკეულ ქართულ თემთა და კუთხეთა უმაღლეს ხელისუფლებას.

ძირფესვიანად შერყეულიყო საუკუნეთა მანძილზე მკაცრად და მკვრივად ჩამოსხმული ქართული ზნეობრივი და სამართლებრივი სამყარო. იდგა „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთსა დალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის ნაგურა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერხი ულუსობანი“; არსად „სამართალი აღარ იყო-ლა“.

ქართულ მთას თათრული უღელი თითქოს სავსებით დავინუბოდა და ერთმანეთს დანასისხლად გადაჰქიდებოდნენ ქართული სოფლები, თემები, „ხევები“. ქსნის ხეობაში ერთმანეთს ეულიტებოდნენ ცხაოტელნი და უამურელნი. „წვრილ ერს“ ხომ არ ანგარიშობდნენ და ერთ ასეთ „საძმო შეტაკებაში“ მარტო თვრამეტი ცხაოტელი ხევისბერი დახოცილა. სისხლისღვრის მიზანი ხშირად სამხედრო „ხელოვნებასა და ვაუკაცურ სიქველეში“ თავის გამოჩენა იყო და სხვა არაფერი. ამნაირი უგუნური თავმოყვარებისა და უსაგნო მეშურნეობის მიზეზით წლების განმავლობაში ერთმანეთს აწყდებოდნენ ქსნისა და არაგვის მთიელები. უსაზმნოდ გამხეცებულ თანამოძმეუბს ერთმანეთზე სასიკვდილო იერიში მიჰქონდათ „დახვენილი“ საომარი ხელოვნებით — დროშების ფრიალით, ომახიანი შეძახილებით, თავგანნირული ხმალთაკვეთებით, მიჯრილ ფართა „სიპებით“, ქვათა გორებით და ისართა სეტყვით.

ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეგდებულიყო ეროვნული და სისხლიერ-ნათესაობრივი თვითშეგნება ქართველთა შორის. და, სხვა რაღა უნდოდა გარეშე მტერს! მონღოლთა მსგავს „მსოფლიო დამპყრობელთ“ რომ თავი დავანებოთ, შინაური მტრობითა და მესისხლეობით დასუსტებული ქართლი „მცირე მომტერეთა“ საკბილოდაც გადაქცეულ იყო. კავკასიონის გადაღმიდან მოშლიგინობდნენ მოთარეშენი. მოდიოდნენ ყივჩაყნი. გორამდე აღნევდა ოვსთა აბრაგული თარეში.

ასეთი იყო საქართველო XIV საუკუნის კვირაძალს — დაშლილ-დაწინვნილი პოლიტიკურად, ჯანდაშრეტილი ფიზიკურად, დაკნინებული სულიერად, დამხობილი ზნეობრივად...

სწორედ აღარ ეგვიანებოდა და დროზე მოევლინა თავის ქერქანას გიორგი მეხუთე ბრწყინვალე — ლირსი, იხსენიერდნენ, გვერდით დიდთა ქართველთა ხელმწიფეთა: ვახტანგ გორგასალისა, ბაგრატ მესამისა, დავით ალმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერისა.



## უკანასკნელად – მონღოლთა კარზე

უპირველეს ყოვლისა, დიდი პოლიტიკური განზრახვების ხელმწიფეს ის უნდა გაეთვალისწინებინა, რომ საქართველო ჯერ ისევ ილხან-მონღოლთა ყმადნაფიც ქვეყნად ითვლებოდა. ხოლო მონღოლთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის გასამართავად დაშლილ-დაქუცმაცებულ და დაცემულ საქართველოს ძალა არ ჰქონდა. ამიტომ გიორგიმ გადაწყვიტა, ჯერ ქვეყნის შინაგანი მთლიანობისა და გაძლიერებისათვის ეზრუნა; თანაც, ყოველივე „საქმენი შინაურნი“ მონღოლებთან „ლოიალურ-მეგობრული“ ურთიერთობის ფონზე ეწარმოებინა.

1315 წელს, მონღოლთა ყაენმა ოლჯაიტუმ გიორგი მეხუთე თავისი ჯარით მცირე აზიაში აჯანყების ჩასაქრობად გაინვია. ეს იყო ქართველთა უკანასკნელი მონანილეობა მონღოლურ ლაშქრობათა უგრძეს სერიებში. გიორგიმ და მისმა ქართველობამ ერთჯერ კიდევ „განაკვირნეს“ მონღოლნი საოცარი სიმამაცითა და თავგანწირვით „უცხო თესლთათვის“(?!)

1316 წელს ოლჯაიტუ გარდაიცვალა და ყაენის ტახტი მის 12 წლის ძეს, აბუსაიდს, გადაეცა. ყაენის მცირენლოვნების გამო ურდოს ფაქტიური მბრძანებელი გახდა პირველი ვაზირი ჩოფან ნოინი, რომელსაც ქართველ მეფესთან დიდი სიახლოვე ჰქონდა. ჩოფანი გიორგის თავის უერთგულეს მეგობრად, მოკავშირედ, უბრძენეს მრჩევლად და მოთათბირედ თვლიდა. როგორც ეტყობა, ქართველი მეფე მონღოლთა კარზე „ქართული საკითხებით“ არ კმაყოფილდებოდა და საერთო მონღოლურ საქმეთა მესვეურის როლსაც ასრულებდა.

გიორგიმ ყაენის კარის უსაზღვრო ნდობა და პატივისცემა მაშინვე თავისი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მოისადაგა. მონღოლური უღელი თავის ხალხს თითქოს კიდევაც „გაუმსუბუქა“.

ბოროტი თათრული ბასკაკობა (ყაჩალობა) ჩოფან ნოინის მხარდა-ჭერით ქართულ მინა-წყალზე საგრძნობლად შეასუსტა. ქართული ქალაქებიდანაც თათრული ციხიონები ხელ-ხელაობით შემოიყვარით, მხოლოდ ერთი დუმანი — 10 000 მონღოლი მეომარი, შემორჩია და ისიც მხოლოდ ქართული სამანების გასწვრივ სასაზღვრო სამსახურისათვის.

რასაკვირველია, ჩოფან ნოინიც ჰაიპარად არაფერს არიგებდა. ჯერ მას გიორგი მეფის ნიჭიერება და შორსმხედველობა ძალიან სჭირდებოდა. მერე, ჩოფანმა კარგად იცოდა, რომ უკვე საგრძნობლად შეთხელებულ მონღოლურ სამხედრო ბანაკებმი ქართული ჯარები ყველაზე რეალურ საომარ ძალას ნარმოადგენდნენ და საჭირო შემთხვევაში ისინი, მათი მამაცი და ბრძენი მეფის მეთაურობით, ისევ და ისევ ჩოფანისა და მისი პოლიტიკური დასის საიმედო საყრდენ ძალად უნდა ყოფილიყვნენ საგულვებელი.

ერთი სიტყვით, ხელი ხელს ჰბანდა...

ბოლოს და ბოლოს, გიორგი მეფემ მონღოლთა სახელმწიფო კარისაგან მიიღო ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: ჩოფანმა მას „მოსცა ყოველი საქართველო და ყოველი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი შვილნი ბექასნი“.

ეს იმას ნიშნავდა, რომ გიორგი მეფეს ნება ეძლეოდა, თავის ნებაზე, სავსებით დამოუკიდებლად ემოქმედა მონღოლთა კარისადმი დაქვემდებარებულ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში (დასავლეთ საქართველოზე მონღოლებს საერთოდ არ მიუწვდებოდათ ხელი). აქ ნაგულისხმევი იყო, რომ გიორგი მეფეს შეეძლო ყოველგვარი სამეფო და სამთავრობო რწმუნებანი ჩამოერთმია ყველა ცალკე მეფისა და მთავრისათვის საქართველოში და ამით მოეხდინა საქართველოს ხელახალი გაერთიანება თბილისის ტახტისა და იარაღის ქვეშ.



### „ძეგლის დადება“

სწრაფად ამოქმედდა გიორგი ბრწყინვალე. ურდოდან დაბრუნებისთანავე შეუდგა ქართლის განმენდას ჩრდილოკავკასიელ მოთარეშე ტომთაგან. ჯერ მიადგა გორს, სადაც თავს აფარებ-

დნენ მარბიელად მოსული ოვსნი. ძლიერი ალყის შემდგომ შეფეხშე გორის ციხე აიღო და ქალაქიდან „განასხნა“ ოვსნი.

გორიდან ოვსთა განდევნაში ქსნისა და არაგვის მთისულებიც მონანილეობდნენ. უკან დაბრუნებისას მათ გზაზე ცილობა მოუვიდათ — ბრძოლაში არა ჩვენ გამოვიჩინეთ უფრო მეტი ვაჟკაცობა, არა ჩვენო. ეს ბრიყვული ღიზავლიზავი ძმათა მკვლელ ომში უნდა გადაზრდილიყო. ვერაფერს გახდა მთაში საგანგებოდ მისული უფლისწული დავით გიორგის ძე, რომელიც უგუნურ სისხლთა თხევისთვის გამზადებულ თანამოძმეთა შორის ჩავარდა, მუხლებზე დაიჩოქა და ხატებზეც აფიცა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ლომისის მთაზე საშინელი ხმალთა კვეთებით ერთმანეთს შეაწყდა ქსნისა და არაგვის ქართველობა.

გიორგი მეფეს უფრო გადამჭრელი ზომებისათვის უნდა მიემართა.

თბილისიდან გავიდა მეფე: არაგვის ხეობას აუყვა, უინვალის სასახლეში შეჩერდა მცირე ხანს. იქიდან ხადა-ცხაოტს ავიდა, მერე ჯვართა ყელი გადავლო და დარიალამდე ჩავიდა. არაგვის კარიდან მობრუნებული ლომისას დადგა. იქიდან ცხრაძმის ხევი ჩამოიარა. გზადაგზა, ხალხთან და ხევისბერ-ერისკაცებთან თათბირითა და ბჭობით, მტკიცე ნებითა და ბრძნული სიტყვით, მთიელები სავსებით დაარწმუნა, რომ გიორგი მეფე სიცოცხლის ფასად აზღვევინებდა ყველას (განურჩევლად „დიდთა“ და „მცირეთა“), ვინც კი მიმავალშიც გაბედავდა „უსამართლობასა და მძლავრებულობას“, ქართველთა შორის ურთიერთმესისხლეობას, განუკითხავ მკვლელობას, „ციხეთა დაქცევას“. სხვისი ცოლის „ნაგურას“, საკუთარის „დაგდებას“, მოყვასის „საფლავისა ხელყოფას“ და სხვათა მსგავსთა „ულუსობათა“ (უღირსობათა). მოდიოდა და ყოველი თემიდან თან მოპყავდა ხევისბერი და ერისკაცი. მათი თანხლებით მუხრანი ჩამოვლო და თბილისს მობრუნდა.

სატახტო საგანგებო დარბაზობით ელოდებოდა მეფეს. აქ ყველაფერი გაემზადებინა კათალიკოს ექვთიმეს (ისიც, რომ გიორგის დაენიშნა კათალიკოსად). შეკრებილიყვნენ „ვაზირნი და ეპისკოპოზნი და მოურავნი“. მთიდან ჩამოვყანილი ხევისბერებიც შეუერთდნენ და მეფემ გახსნა დარბაზი.

დარბაზმა მიიღო მეფე გიორგის მიერ შედგენილი ახალი კანონმდებლობა საქართველოს მთიანეთისთვის.

მას ერქვა — „ძეგლის დადება“.

საქართველოს მთა უბრუნდებოდა თავის ძველ, ტრადიციულ წესრიგსა და ზნეობრიობას. ფეოდალური განკურძოებულობა გზას უთმობდა ცენტრალიზებული ხელისუფლების შეუკალ და განუყოფელ უზენაესობას. ბოროტი „ულუსობანი“ მძიმედ, მაგრამ მაინც გარდუვალი უამგასულობით ივლტოდა ქართული ზნეობრივი სამყაროდან.

„ძეგლის დადებას“ გიორგი ბრწყინვალემ ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კანონმდებლობა მოადევნა. ესაა სახელგანთქმული „ხელმწიფის კარის გარიგება“, — ქართული სახელმწიფო-სამართლებრივი კულტურის ბრწყინვალე გამოვლინება. ეს ნიშნავდა თამარის დროინდელი სახელმწიფოებრივი სისტემის აღდგენას.

გიორგი ბრწყინვალე ცხოველი ენერგიით იბრძოდა საქართველოს დანგრეული სამეურნეო ცხოვრების ალსადგენად და ასაყვავებლად. მონღლოლ ბასკაკთა შიშით მთაში გახიზნულ ბარელებს ისევ თავის ნაფუძარზე აპრუნებდა, ამკიდრებდა და ტრადიციული აგრიკოლური ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა, ამხნევებდა, აქეზებდა, ეხმარებოდა.

მეფე ბევრს ზრუნავდა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. მისი გამეფების უამს მონღლოლურ სამფლობელოებში ბატონობდა ყაზან ყაენის სახელობაზე მოჭრილი ფული — „ყაზანური თეთრი“. ასევე იყო საქართველოშიც. გიორგი მეხუთემ საგანგებო ფინანსური რეფორმით ფულად მიმოქცევაში გაუმვა თავის სახელზე მოჭრილი ახალი ვერცხლის მონეტა — „გიორგაული თეთრი“, რომელმაც ჯერ სრულიად დაჩრდილა, ხოლო მალე სავსებით გააძევა ფულადი მიმოქცევიდან უცხოური, „ყაზანური“.

გიორგიმ ფართოდ გაშალა კულტურული აღმშენებლობა. კვლავ აღადგენდა ასი წლის მანძილზე ნანგრევ-ნაოხარ ქალაქებს, სოფლებს, სავანეებს, ტაძრებს, არხებს, გზებსა და ხიდებს. მან განაახლა დაქცეული და შერყვნილი ტაძრები დადაბნისა, ფიტარეთისა, ნუღრუღაშენისა, კაზრეთისა და დმანისისა.





1327 წელს ილხანთა ურდოში, უნიჭო და მეშურნე კარისეაცთა ჩასმენით, ყაენმა აბუსაიდმა სიცოცხლეს გამოასალმა თავისი კე-თილისმყოფელი ჩოფან ნოინი, ორ ვაჟთან ერთად. ეს ბრიყვული სისხლიანი ქმანი სულ მალე ძვირად დაუჯდა თვითონ ჭკუამოელე ყაენსაც და მთელს ურდოსაც. ბოროტმა, უმადურმა მკვლელობამ ფეხზე დააყენა ჩოფანის ნყალობით დანინაურებული მონღოლი დიდებულები, ცალკეულ კუთხეთა გამგებელნი, დუმანთა მეთაურნი, ნოინები და ბაჰადურები.

მტრობა უნდა ჩამოვარდნილიყო აბუსაიდსა და გიორგის შორისაც, რადგან ჩოფან ნოინს ყველაზე დიდი მეგობრობა სწორედ ქართველ მეფესთან ჰქონდა. თითქოს, სავსებით ისეთივე მდგომარეობა შეიქნა, როგორც გიორგის მამის, დემეტრე მეორის, უამს: რაკი მაშინ არღუნ ყაენმა თავისი პირველი ვაზირი, დემეტრეს მეგობარი და მოყვარე ბულა ჩინგსგანგი მოკლა, მას სიკვდილით დასჯილის ყოველი ახლობელი და მისგან ნაწყალობევი აგრეთვე უკან უნდა მიჰყოლოდა. ასედაც მოხდა მაშინ: არღუნ ყაენმა დემეტრე მეფე ურდოს გაინვია და მოაკვლევინა.

თითქოს, ახლაც ასე იყო მოსალოდნელი: აბუსაიდ ყაენი ქართველ მეფეს ურდოში გაიძახებდა და სულეთში გაგზავნილი მისი მეგობრის კვალს გაუყენებდა.

მაგრამ ახლა მდგომარეობათა მსგავსება მხოლოდ გარეგნული ხასიათისა იყო. არსებითად მოპირდაპირეთა მდგომარეობაც შეცვლილიყო და მთავარ მოქმედ გმირთა როლებიც. ამჯერად ქართველი მეფე გაცილებით ძლიერად გრძნობდა თავს, ვიდრე მონღოლი ყაენი. ეს ორივე მხარეს კარგად სცოდნია, რაც მოვლენათა სწრაფად განვითარებამ სწრაფადვე დაადასტურა.

დაინტ იმით, რომ ყაენმა გიორგის ურდოში გაწვევა... ვერ გაბედა!

**Alea jacta est „ნილი ნაყარია“** — გაიუს იულიუს კეისრის შეძახილი, როდესაც მან, ყოყმანის შემდეგ, მდინარე რუბიკონი გადალახა და ამით გადაჭრით გადაწყვიტა რომის მაშინდელ ხელისუფლებასთან ომის დაწყება. „ნილი ნაყარია“ და „რუბიკონის გადალახვა“ მას შემდეგ ნიშნავს გადამჭრელი, უკანმოუბრუნებელი ნაბიჯის გადადგმას

მაგრამ მთავარი „დაწყება“ მაინც ის იყო, რომ ამჯერად პირველად მონღოლთა ბატონობის დამყარების შემდეგ თავის თონ ქართველი მეფე გადავიდა შეტევაზე! მან მონღოლთა ყაენს ხარკის ძლევაზე შეუთვალა უარი!

მაშ, წილი ნაყარია!

რუბიკონი გადალახულია!

და, ყაენმა დუმილით უპასუხა!

მაგრამ დუმილი მარცხთან შერიგებასაც ნიშნავს და ავისმო-მასწავებელ შურისგებასაც. რომელი იგულისხმებოდა ყაენის დუმილში?!

მაგრამ გიორგი ბრწყინვალეს დაყოვნება არ უყვარდა და მახ-ვილის ჯვარედინზე ხელდადებული მიადგა ქართულ სამანებთან ჩარიგებულ მონღოლურ ბანაკებს.

მივიდა და ჯიქურ უბრძანა:

— ან თქვენის ნებით, უსისხლოდ დატოვეთ საქართველოს მი-ნა-წყალი, ან ბრძოლა მიიღეთო!

მონღოლთაგან ზოგი მოიქცა „გონიერებითა“ და საქართველო უომრად დატოვა. დანარჩენები მახვილებს მისწვდნენ.

ქართველებიც მიეშვნენ მახვილამოწვდილნი.

ბრძოლა გაგრძელდა მძიმედ, სისხლნაჯერად, რამდენიმე წელს.

დასავლეთ საქართველოს შემოერთებით გაძლიერებულმა გი-ორგი მეფემ თავისი გაიტანა და ყველა შეტაკება მონღოლთა სრული მარცხითა და განდევნით განესრულა.

ასე „განასხნა თათარნი საქართველოსაგან“ მეფე გიორგი ბრწყინვალემ.

ეს ამბავი საქართველოში მონღოლთა გაბატონებიდან სწო-რედ 100 წლისთავზე მოხდა — 1335 წელს (გაიხსენე, მეითხველო, მონღოლთა ბატონობა საქართველოში 1235 წელს დამკვიდრდა).

ქართველთა მეფე ერთბაშად „მსოფლიო გმირად“ იქცა, რად-გან მონღოლთა მბრძანებლობაში მყოფთაგან იგი აღმოჩნდა პირ-ველი, რომლის მოთავეობით მისმა ხალხმა პირველმა დაამხო უბოროტესი „თათრული ულელი“.

ქართველთა გამარჯვება ილხანური ურდოს დანგრევის ზენიშა-ნი შეიქნა. სწორედ იმხანად აბუსაიდ ყაენი შეთქმულებმა მოკლეს და მისი სახელმწიფოც მაშინვე დაიშალა: „განდგნენ ნოინნი თვი-სთვისად და რომელთამე დაიპყრეს სპარსეთი, სხუამან ხუარასანი, სხუამან ერაყი, სხუამან ადარბაგანი და სხუათაცა საბერძნეთნი“.



გამარჯვება გამარჯვებად და... მაინც გიორგი ბრწყინვალესა, არ შეეძლო გვერდი აევლო თავისი ქვეყნის შინაგანი ავსნებოვანებისათვის, რომელმაც ერთჯერ კიდევ იჩინა თავი სწორედ მონღლებთან ომების ჟამს.

ეს იყო ღალატი კახეთ-ჰერეთისა და ქვემო ქართლის მთავართა და ერისთავთა, განსაკუთრებით მხარგრძელთა გვაროვნებისა.

მხარგრძელთა უმცროსი თაობის „ანტიქართული პოლიტიკა“ განსაკუთრებით სწორედ გიორგი მეხუთის მეფობის ჟამს გამუღლავნდა. როგორც ეტყობა, მხარგრძელებმა მონღლოლებს თავიდან ბოლომდე შეუნახეს ერთგულება და ქართველთა და მონღლოლთა შორის გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მონღლოლთა მხარე აირჩიეს. მხარგრძელები და მათთან კახეთ-ჰერეთის მთავრებიც უცხოური უღლის დამხობისათვის დიდ ეროვნულ ბრძოლას განერიდნენ და გაექცნენ. ასეთი პოლიტიკა კი გიორგი მეფეს, საესებით სამართლიანად, ნამდვილი ღალატის პოლიტიკად შეუფასებია.

და თემიდას მახვილიც გაშიშვლდა...

გიორგიმ კახეთში, ცივის მთაზე გამართულ საზაფხულო სასახლეში, მთავართა და „საქვეყნო განმრიგეთა“ დარბაზობა დანიშნა.

ყველა ერთგული მოვიდა ცივის სასახლეში.

ორგულებიც მოვიდნენ, რადგან მოუსვლელობა ვერ გაპედეს, მით უფრო, რომ მათი ქომაგნი — მონღლოლ-თათარნი, უკვე გარდაქარებულიყვნენ საქართველოდან.

დარბაზმა გამოწვლილვითი გამოძიებით დაამტკიცა გაუსწორებელი ღალატი სომხითისა (მხარგრძელები) და ჰერეთ-კახეთის მთავრებისა.

მეფის ნიშანზე მისი ერთგული კარისკაცები მახვილებით მის-ცივდნენ მოღალატებს და იქვე თავები დააყრევინეს.

ქვემო ქართლ-სომხითი და კახეთ-ჰერეთი კვლავ დაუბრუნდა ქართულ ტახტს.

ეს საქმე გადაწყდა მარტივად, მკაცრად, უძვრელი გულით, მტკიცე მკლავითა და ცივი ფოლადით...



გიორგი ბრწყინვალეს საქართველოს გაერთიანება მოხდოლება, თა განცევნამდე და ცივის სისხლიან დარბაზობამდე ჰქონდა დაწყებული.

იგი გამორჩეული სიფრთხილით ადევნებდა თვალს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მოესპო ამ ოთხმოცი წლის წინათ წარმოშობილი „ორტახტიანობა“. მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს მთლიანობის აღდგენის მთავარი ღერძი სწორედ ქუთათისის ტახტის გაუქმება და დასავლეთ საქართველოს შემოერთება უნდა ყოფილიყო.

1327 წელს ქუთათისში გარდაიცვალა მეფე კონსტანტინე დავით ნარინის ძე, რომელსაც შეიღი არ დარჩენია. ტახტი მაშინვე დაიჭირა მისმა უმცროსმა ძმამ, მიქელმა, რომელიც მანამდე რაჭა-არგვეთში გამაგრებულიყო და იქიდან ეურჩებოდა მეფე-ძმას. გამეფებიდან ორი წლის შემდეგ, 1329 წელს, მიქელიც მოკვდა და დარჩა ყრმა უფლისნული ბაგრატი.

დასავლეთ საქართველოს მთავრებმა და „საქვეყნო გამრიგე-ებმა“ ბაგრატის მცირენლოვნებით ისარგებლეს, გადაუდგნენ და „არღარა მოერთნენ“ ქუთათისის ხელისუფლებას.

გიორგიმ დრო ხელსაყრელად მიიჩნია და სასწრაფოდ „ეზრა-ხა“ ქუთათისის სამეფო მესვეურებს. ამათაც „სათნოდ იჩინეს მეფუობა მისი“ და მიინვიეს კიდეც. გიორგიც მაშინვე დაიძრა მხედრობით ქუთათისისაკენ. ლიხის მთის გადალახვისთანავე გიორგი მეფეს „იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულითა“.

ბაგრატის „დასმა“ გაძალიანება სცადა და ქუთათისის ციხეში ჩაიკეტა. გიორგიმ ციხეს ალყა შემოარტყა. სულ მალე ალყისგან „შემჭირვებულმა“ ბაგრატმა შერიგება ითხოვა. სიცოცხლე მაჩუქე, სარჩო აქვე იმერეთში გამიჩინე და ქუთათისისა და მთელი საქართველოს ციხე-ქალაქთა გასაღებებს ჩემის ხელით მოგარომევო, — შემოუთვალა მან გიორგის. მეფეც სიხარულით შეხვდა ყრმის შემონათვალს. სიყვარულითაც მიიღო „მოყვარე თვისი“. დასავლეთ საქართველო ჩაიბარა გიორგიმ „და დასხნა ერისთავნი თვისინი“; თვითონ ბაგრატს საერისთავოდ მისცა შორაპანი. ფრთამალედ მოეახლნენ, დიდი ძლვენი მოართვეს და მორჩილება გამოუცხადეს მეფეს: ოდიშის მთავარმა მამია დადიანმა, გურიის მფლობელმა გურიელმა, სვანთა ერისთავმა და აფხაზეთის მთავარმა შარვაშიძემ. ქუთათი-

სიდან გიორგი თვითონ გაეშურა ოდიშს და აფხაზეთს, „განაგნა მუნებურნი და დაიპყრნა ციხენი თვისად“, რომელთაგან ცხომი (სოხუმი) სამფლობელოდ მიუკერძა ბედის საერისთავოს.

საქართველოს უკიდურესმა ჩრდილო-დასავლეთმა სამანმა კელავ მიატანა თავის ძველ საზღვარს — ნიკოფილის.

აფხაზეთ-ოდიშიდან გიორგი მეფე გურიას ენვია და იქაც „განაგნა მუნებურნი“ საქმენი.

გურიიდან მეფე მესხეთში გადავიდა, თავის დედულეთს, რომელსაც აგერ, თითქმის, 70 წლის მანძილზე საქართველოს ტახტისგან განკერძოებით ეჭირა თავი.

მესხეთის შემოერთებაც მტკიცებ გადაეწყვიტა გიორგის, მხოლოდ აქაც დროს უცდიდა, რათა ეს საქმეც, იმერეთის მსგავსად, ძმათაშორის სისხლის დაუქცევლად გაეთავებინა, მით უფრო, რომ მესხეთის მაშინდელი მთავარი, სარგის მეორე ბექას ძე, გიორგის მკვიდრი ბიძა (დედის ძმა) იყო.

„შესაფერისი დროც“ მაშინ დადგა, როცა სარგის მეორე გარდაიცვალა (1334 წ.). გიორგიმ მაშინვე თავისი უზენაესობა მესხეთის მიმართ ასეთი „იურიდიული ნიაღსვლით“ გამოაცხადა: მესხეთის მთავრად და ათაბაგად თვითონ დასვა და დაამტკიცა გარდაცვლილი სარგისის ძე, ყვარყვარე ჯაყელი (თავისი ბიძაშვილი). ამით მეფე ქვეყანას ამცნობდა, რომ ამიერიდან მესხეთის სამთავროც, სხვა ქართულ სამთავროთა მსგავსად, სრულიად საქართველოს სამეფო ტახტს ემორჩილება და მის მთავარსაც აცხადებს და ამტკიცებს მხოლოდ საქართველოს მეფე.

გიორგი სამცხიდან თბილისს ათალი მობრუნებული იყო, როცა მოახსენეს: „რომელმან ნოინთაგანმან“ მონღოლ-თათართა მხედრობით ადარბადაგანი დაიპყრო, რან-მოვაკანი მოარბია, განჯამდეც მოალწია და საქართველოს შუაგულის დალაშქვრა-საც ეპირებაო.

გიორგიმ ფიცხლავ შეჰევარა ლაშქარი და მტერთან შესახვედრად გაქუსლა. განჯის დასავლეთით შეიბნენ ქართველები და თათრები.

ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

და „იქმნა ბრძოლა ძლიერი“.

იძლივნენ და გაიქცნენ თათარნი. გამოედევნენ „სპანი მეფისანი მახვილითა და შემოიქცნენ გამარჯვებულნი ალაფითა (ნადავლითა) დიდითა“.

ეს ბრძოლა ასეთი ნარმატებით ჩაათავეს ქართველებმა და  ლა მცირე აზიდან ნამოვიდა ოსმალთა მამამთავარი, სულთანი, ორხანი. დიდი თურქული მხედრობით მოდიოდა ორხანი, „რათა დაიპყრას კლარჯეთი და მიმდგომნი მისნი“.

გიორგი მეფეც ჩაეგება ურიცხვ მტერს და კლარჯეთის საზღვარზე სასტიკი ბრძოლა ისევ ქართველთა ძლევამოსილებით განესრულა. განყდნენ „ურიცხვნი თურქნი და ივლტოდნენ სულტნითურთ“. გიორგი მეფე თბილისს მოპრუნდა გამარჯვებით გალალებული და ალაფით (ნადავლით) დატვირთული.

ისევ მიმართა მეფემ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებს. ისევ შემოიმტკიცა სომხეთი, დაიპყრო რანი, მოვაკანი და დაღესტანი, დახარკა შირვანი და ისევ აღმართა ქართული სამანი კასპიის ზღვაზე, ქალაქ დარუბანდს.

გიორგი ბრნყინვალემ, „ვითარცა აღმაშენებელმან“, კვლავ აღადგინა კავკასიელთა იმპერია „ნიკოფისით დარუბანდამდის“.



### ისევ „პონტოელ ქართველთათვის“

„შეეცადე, დასასრულიც დასაწყისის  
საკადრისი ჰქმნა“.

ციცერონი

მცირე ხნით უკან დავიხიოთ და გავიხსენოთ: 1297 წელს „პონტოელ საქართველოში“, ანუ „ტრაპიზონის იმპერიაში“, ბიზანტიური და ქართული დასების ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით გათავდა. ამ საქმეში მესხეთის მაშინდელი მთავრის, ბექა ჯაყელის, ენერგიული ხელი და მოქნილი დიპლომატია ერია. ტრაპიზონის ახალმა კეიისარმა, ჭაბუკმა ალექსი მეორემ, ბიზანტიის ავგულა იმპერატორის, ანდრონიკე მეორის ნებისწინააღმდეგ, ცოლად ქართველი ქალი შეირთო, სწორედ ბექა ჯაყელის ასული. ამ ქორნინების პირმშო იყო ოთხი ვაჟი — ანდრონიკე, ბასილი, მიხეილ-აზახუტლუ და გიორგი-აღბულა, და ერთი ქალი — ანახუტლუ (აზახუტლუ, აღბულა და ანა-ხუტლუ — მონლოლური სახელები, მაშინ საქართველოში გავრცელებული იყო და ტრაპიზო-

ნელი უფლისნულებისათვის მათი დარქმევაც ქართულის გაველენის შედეგია). ამათგან ბასილი კონსტანტინოპოლშიც ხმოვა რობდა და ცოლადაც იმპერატორ ანდრონიკე მესამის უკანონო ასული ჰყავდა, სახელად ირინე.

1330 წელს ალექსი მეორე მოკვდა და ტახტზე მისი უფროსი ძე, ანდრონიკე, ავიდა, მაგრამ იგი დღემოკლე აღმოჩნდა და მალე მამის კვალს მიჰყვა. უცებ ამოქმედდა ბიზანტიის საიმპერატორო. ანდრონიკე მესამემ ტრაპიზონის ტახტის დასაკავებლად ჯარისა და ფლოტის თანხლებით აფრინა კონსტანტინოპოლს აღზრდილი და თვითონ იმპერატორთან დამოყვრებული ბასილი. ჩავიდნენ თუ არა ბასილი და ირინე ტრაპიზონს, მაშინვე ატყყდა დევნა და ხოცვა-ულეტა ქართული დასის წარმომადგენლებისა. პირველი მსხვერპლი შეიქნენ ყველაზე თვალსაჩინო ქართველი მოღვაწენი ტრაპიზონის სასახლის კარზე — დიდი დუკა ლევი ჭანჭიძე და ტრაპიზონის ჯარების მთავარსარდალი, დიდი დომესტიკოსი (სხედართ მომარაგებელი, მნე) ჯაბა.

ქართველები მარცხს მაინც არ ურიგდებოდნენ და ბრძოლას განაგრძობდნენ ტრაპიზონის საკეისროში პირველობისათვის. ამ ბრძოლამ გიორგი ბრწყინვალის მეფობასაც მოუსწრო და ქართველი მეფეც, ეტყობა, გულმოდგინედ ცდილობდა კვლავ აღედგინა ქართული სეიპტრის პირველობა ძველთაგანვე ეთნიკურად ქართულ და დიდი ქართველი ქალი-ხელმწიფისგან დაფუძნებულ სახელმწიფოში.

1341 წელს ტრაპიზონის იმპერიას თურქები შემოესივნენ, სატახტო ქალაქი აიღეს, გაძარცვეს და გადაწვეს, ხალხი ააწიოკეს და გაწყვიტეს. ხმა გავარდა, რომ კეისარ ბასილის დას (ალექსი მეორის ასულს), ანა-ხუტლუს, რომელიც მანამდე მონასტერში აღკვეცილიყო (თუ ძალით აღკვეცათ ბიზანტიიელებს), მონაზვნის კაბა გაუხდია და საქართველოში გაქცეულა. მიზეზად თურქებისაგან თავის გადარჩენა იყო გამოცხადებული. მაგრამ სულ მალე დადასტურდა, რომ ყველაფერი წინასწარ თბილისის სასახლეში ყოფილა გააზრებული და გაზრახებული.

თურქების წასვლიდან ათი დღის შემდგომ, 1341 წლის 17 ივლისს, ტრაპიზონს ქართული მხედრობის თანხლებით მიადგა ანა-ხუტლუ. იმ დღესვე ქართველებმა ტრაპიზონის ტახტიდან გადააგდეს ბიზანტიიელი ირინე (ბასილი უკვე მკვდარი იყო) და მის წაცვლად ხელმწიფედ დასვეს ანა-ხუტლუ.

კონსტანტინოპოლი არ შეურიგდა ქართველთაგან მორიგ დამ-  
ცირებას. ბასილის ძმამ, მიხეილმა, მეომრებით სავსე სამრეკეში,  
მოაყენა ტრაპიზონს. ყველასათვის მოულოდნელად, ქართვე-  
ლებმა კარს მომდგარ მტერს წინააღმდეგობის ნაცვლად მასპინ-  
ძლობა გაუმართეს. წინ სამღვდელონი შეახვედრეს და მიხეილს  
და მასთან ერთად მობრუნებულ დედოფალყოფილ ირინეს სასახ-  
ლეც დაუცალეს და საკეისროს ტახტ-გვირგვინიც მიართეს. მაგ-  
რამ ყველაფერი ეს ქართველთაგან თურმე დროის მოსაგებად  
ყოფილა გამიზნული. ბიზანტიელებმა ერთი ღამე ძლივს მოათიეს  
სასახლეში. დილით საქართველოდან ახალმა ჯარმა მოუსწრო და  
მაშინვე იერიში მიიტანა სასახლეზეც და ბიზანტიელთა გემებ-  
ზეც. ჯერ ისრის სეტყვა დაუშინეს, მერე მახვილამოწვდილნი შე-  
უხდნენ, ბიზანტიელთა უმრავლესობა გაწყვიტეს, გემები ხელთ  
ივდეს; მიხეილი ლიმნიაში გადაასახლეს, ირინეც ხელახლა გან-  
დევნეს და ტრაპიზონის ტახტზე ისევ ანა-ხუტლუ დასვეს.

ქართველები ისევ ზეიმობდნენ გამარჯვებას.

კვლავ ზეობდა კავკასიური იმპერია — „ნიკოფისით დარუბან-  
დამდის“ (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სამხრე-  
თით).



## მსოფლიო ძალისხმევანი

ისევ ახმაურდა მსოფლიო ოლქები დავით აღმაშენებლი-  
სა და თამარ შვიდმნათობიერის სახელმწიფოს ხელახალი აღორძი-  
ნების თაობაზე. ევროპა დიდი ამპით იხსენიებს ქართველთა ქვეყა-  
ნას, ქართველთა სატახტოს, ქართველთა მეფეს. რომის პაპმა უმ-  
ჯობესად ცნო, ევროპელთა საქრისტიანო კათედრა, რომელიც  
სარწმუნოებრივზე მეტად დიდსა და იდუმალ პოლიტიკურ ზრახ-  
ვებს ემსახურებოდა, ქალაქ სმირნადან საქართველოს სატახტოში  
გადმოეტანა. ამასთან დაკავშირებით რომის პაპი იოანე XXII თავის  
ეპისტოლეში წერდა: „ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული  
ადგილი, საუკეთესო, უაღრესად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე  
და სიმდიდრით უხვი ქალაქია. ამიტომ სმირნის საეპისკოპოსო კა-  
თედრა გადაგვაქვს ხსენებულს ტფილისის ქალაქსა“.

გიორგი მეხუთე თავგამოდებით ზრუნავდა, აღედგინა „ჭერის რჯულის“ მსოფლიოში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფეს ღროინდელი პრესტიუი საქართველოსი.

გავიხსენოთ — XI საუკუნეში პროხორეს მეთაურობით ქართველებმა იერუსალიმში ააგეს ჯვრის მონასტერი. მერე, დავით აღმაშენებელმა სინას მთაზე აღაშენა ქართული ეკლესია. ყოველივე ამას სარწმუნოებრივ მნიშვნელობასთან ერთად, ნმინდა პოლიტიკური მიზანდასახულობა ჰქონდა: მუსლიმურ აღმოსავლეთში და ქრისტიანულ ევროპაში ქართული პრესტიუის „გამსოფლიოება“. ავბედითმა XIII საუკუნემ ქართველებს ეს „მსოფლიო ნიაღსვლები“ ხელიდან გამოსტაცა. მუსლიმმა ფანატიკოსებმა, რასაკვირველია, ეგვიპტის სულთანის ნაქეზებითა და თანადგომით, იერუსალიმის ჯვარის ლავრა ქართველ ქრისტიანებს ნაართვეს და ისლამისტურ მიზგითად გადააკეთეს. ქართველებს ამიერიდან, სხვა ქვეყანათა ქრისტიანების მსგავსად, უფლება ნაერთვათ ეროვნული დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში. ამას გარდა, მუსლიმებმა ქართველების დამცირებაც ისე გადაწყვიტეს, როგორც მანამდე ამცირებდნენ დანარჩენ ქრისტიანებს: მათ უფლება უნდა ნართმეოდათ ცხენზე თუ სახედარზე ჩვეულებრივ კი არა, არამედ მუსლიმთაგან განსხვავებით, ცალგვერდით ფეხებგადაწყობილი უნდა შემსხდარიყვნენ, ვითარცა დედაკაცნი.

იერუსალიმის ყოველი წმიდა ალაგი, მათ შორის ქრისტეს საფლავი, უკლებლივ მუსლიმებს ჩაეგდოთ ხელთ.

გიორგი მეხუთემ ეგვიპტის სულთანს ელჩები გაუგზავნა — შალვა ერისთავის ვაჟი პიპა და დეკანოზი იოანე ბანდასძე — და საგანგებო ეპისტოლეს საშუალებით, სთხოვდა: მიზგითი (მეჩეთი) გაუუქმებინა ჯვარის მონასტერში და დაებრუნებინა იგი მისი პატრონისათვის — ქართველი ქრისტიანებისათვის. აღარ აეკრძალა ქართველებისათვის ცხენზე ნესისამებრ ჯდომა და მათთვის მიეცა ყველა სხვა უფლებანი, რაითაც თვითონ მუსლიმები სარგებლობდნენ. ქართველებს დაბრუნებოდათ ტრადიციული უფლება იერუსალიმში გაშლილი ქართული დროშებით შესვლისა. ბოლოს, ქრისტეს საფლავის კლიტებსაც მოითხოვდა ქართველი მეფე.

ყველა ამ საკითხის შესრულება, მუსლიმთა წესით შეუძლებელ საქმედ იყო მიჩნეული, მაგრამ მუსლიმ ხელმწიფებშიც იმდენად დიდი ყოფილა რიდი საქართველოს მეფის წინაშე, რომ ეგვიპტის

დიდმა სულთანმა უკლებლივ აღასრულა ყველა მისი მოთხოვნა.  
მაშ, ისევ დაუბრუნდა ქართველებს მათი ტაძრები და სავანები  
ები პალესტინასა და სინას მთაზე. ისევ შედიოდნენ ქართველებს,  
იერუსალიმში ეროვნული დროშების ჩევევით და მხედრულ-რაინ-  
დული თქარუნით. ქრისტეს საფლავის კლიტეებიც ჩამოუტანეს  
გიორგი მეფეს მისმა ელჩებმა იერუსალიმიდან თბილისში.

მთელი ქრისტიანული სამყარო გაოცებული და გაოვნებუ-  
ლი შესცეკეროდა ქართველთა ესოდენ წარმატებებს „მსოფლი-  
ოს შუაგულში“. ქართველებს ქრისტეს საფლავის კლიტენი წა-  
ულიათ და თანაც მაცხოვრის საფლავს ისე მტკიცედ იცავენ,  
რომ იქიდან ვერავითარ ოქროს საფასურად მარცვლის ოდენ  
რამესაც ვერავინ გაიტანსო, — გაიძახოდნენ ევროპაში.

მყითხველს უეჭველად გააოცებს გულზვავიან მუსლიმ მბრძა-  
ნებელთა — მათ შორის ყველაზე ძლიერ ეგვიპტელ სულთანთა —  
მოკრძალება და ქედდადრეკილობა ქართველი ხელმწიფის წინა-  
შე. ეს კარგად მუდავნდება ქვემოთ მოყვანილ ციტატაში:

„ალლაპშა დღეგრძელ ჰყოს ბრწყინვალება მისი უდიდებულე-  
სობისა ხელმწიფისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა, მამა-  
ცისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლო-  
მისა, ტახტ-გვირგვინისა მპყრობელისა, თავისი სარწმუნოების  
მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერ-  
ძენთა (აქ — ქრისტიანთა) მეფეთა შორის საუკეთესოისა, ქარ-  
თველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტების სამფლობელოთა  
განძისა, რაინდთა მფარველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-  
სკიპტრის დამამკვიდრებელისა. რუმისა და ერანის ქვეყნების  
მფარველისა, იონთა (ძველ ბერძენთა) მემკვიდრისა, ასურეთის  
მეფეთა მფარველისა, გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესისა,  
ქრისტიანობის განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საძირ-  
კვლისა, წმიდა ადგილთა განმადიდებლისა, ნათელლებულთა მი-  
საყრდნობელისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმთა მეგობრი-  
სა, დაახლოებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა  
და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა...“

ასეთი ყოფილა „მსოფლიოური სიმაღლე“ ქართველი გვირ-  
გვინოსნისა.





„ოთ, რწმენავ, მოგვეც ჩვენა-რწმენას  
ინდური ვედა.“

გიორგი მეხუთემ თავისი ქვეყანა აღადგინა, აღაშენა და აღა-  
მაღლა, საზოგადოდ — „ვითარცა კეთილმან ხუროთმოძღვარ-  
მან“ და, კერძოდ — „ვითარცა დავით აღმაშენებელმან“.

მან ქართველ კაცს დაუბრუნა რწმენა საკუთარი თავისა.

რწმენა საკუთარი სამშობლოისა.

და, საერთოდ — რწმენა რწმენისა.

მას ქართველმა ხალხმა უწოდა „პრეცინვალე“.

უწოდა, „რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვ-  
ნებითა უებრო, მონყალე, უხვი, ობოლთა და ქვრივთა და დავ-  
რდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაითგან, იყო ივერია და-  
ფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-  
გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კუალად შემოკრიბნა და  
იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან, განავსნა და აღაშენნა ქუეყა-  
ნანი, რჯული და სამოქალაქენო წესნი განაბრნყინვნა, ეკლესიანი  
დარღუეული და მოოხრებული აღაშენნა, განაახლნა და განა-  
ნათლნა... სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერე-  
ბითა და სადა ხამდა სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა  
თვისითა დაამშვიდნა, და მეფობდა მეფობითა კეთილითა...“

აღესრულა, 1346 წელს

დაიკრძალა გელათს.

მისი გმირობა, ცოტნე დადიანისა და დემეტრე თავდადებულის  
შემდგომ, მესამე უმშვენიერეს, შუქმოსიერ გაელვებად გაეკრა  
ასწლოვანი მონლოლური წყვდიადით დაფარულ ქართულ ცას.

ათ წელინადში მან მკვდრეთით აღადგინა და ძველ „გეორგია-  
ნდულ მწვერვალებს“ დაუბრუნა 100 ნლის მანძილზე უბოროტე-  
სი ხელით ნანამებ-ნაგვემი სამშობლო.

ათ წელინადში დაუბრუნა ქართველ კაცს:

რწმენა საკუთარი თავისა, რწმენა საკუთარი ქვეყნისა, რწმე-  
ნა ზოგად ადამიანისა და სერთოდ — რწმენა რწმენისა.



ე მეფე დავით მეშვიდისა. მცირენლოვნების უამს მონლოლებ-  
მა უნოდეს „მეფე“, თორემ ფაქტიური მეფე არასოდეს ყოფილა.



## გიორგი მამეგვანე

იმერეთის მეფე 1703-1720 წლებში — ე ალექსანდრე მეოთ-  
ხისა. ტახტზე ოსმალებმა აიყვანეს. მისი მეფობა მოჩვენებითი  
იყო. სამეფოს სინამდვილეში გიორგი-მალაქია აბაშიძე განაგებ-  
და. 1707 წელს გიორგიმ აბაშიძის დამარცხება და განდევნა მოა-  
ხერხა, მაგრამ 1711 წელს ადგილობრივმა თავადებმა გიორგი გა-  
დააყენეს და იმერეთის ტახტზე მამია III გურიელი დასვეს. მომ-  
დევნო წელს ჩხართან მომხდარ ბრძოლაში, გიორგიმ მამია გუ-  
რიელი დაამარცხა და იმერეთის ტახტი კვლავ დაიბრუნა. მაგრამ  
კიდევ ერთი წელი და, 1713 წელს, იმერელმა თავადებმა გიორგი  
კვლავ ჩამოაგდეს და ისევ მამია გურიელი გაამეფეს. მამია მალე  
გარდაიცვალა და ქუთათისის ტახტზე ახლა მისი ე გიორგი გუ-  
რიელი დაჯდა. 1714 წელს გიორგი მეექვსემ ოსმალთა დახმარე-  
ბით ისევ დაიბრუნა იმერეთის ტახტი, მაგრამ 1716 წელს ბეჟან  
დადიანმა და იმერეთის თავადებმა შეერთებულ ძალებით, თანაც  
ოსმალთა მოშველიებით, სვიმონეთთან მომხდარ ბრძოლაში, გი-  
ორგი ისევ დაამარცხეს და იმერეთიდან გააქციეს. იგი ჯერ  
ახალციხეს მივიდა, შემდევ სტამბოლს. 1719 წელს ოსმალთა  
დახმარებით გიორგიმ ისევ დაიბრუნა იმერეთის ტახტი. მაგრამ  
მომდევნო 1720 წელს სიმონ აბაშიძის, შოშიტა რაჭის ერისთავი-  
სა და ზურაბ აბაშიძის მონანილობით მეფე გიორგი მეექვსე ვე-  
რაგულად მოკლეს.



იყო იგი ძე მეფე ბაგრატ მეხუთე დიდისა (1360-1393), იმ ხელ-მნიფისა, რომლის დროსაც საქართველოში იწყება და ჩადება შე-მოსევები ახალი „აღმოსავლური გრიგალისა“ — თემურლენგისა.

პირველი შემოსევა — 1386 წელს. დაცემა თბილისისა, ტყვედ აყვანა და თემურლენგის სატახტო სამარყანდში წაყვანა თვითონ ბაგრატ მეფისა ოჯახით (დედოფალი ანა და უფლისწული დავითი, ხოლო გიორგი ამ დროს იმერეთშია, ქუთათისში).

ტყვე ბაგრატ მეფე არნმუნებს თემურლენგს, რომ იგი მის მპრძანებლობას შეურიგდა, ქრისტიანობაც „უარყო“ და მაჟმალი-ანად „მოინათლა“. ამის კვალობაზე, თემურლენგი ბაგრატს ნებას აძლევს, დაბრუნდეს საქართველოში, ოღონდ მისი ჯარის, 12 000 მონლოლ-თათარი მეომრის თანხლებით.

გზად მომავალი ბაგრატი იდუმალ ატყობინებს გიორგი უფ-ლისწულს ყოველივეს. გიორგიც უმალვე შემოიყრის იმერთა ლაშ-ქარს და ერთ ხეობაში ჩასაფრებული მოულოდნელად თავს დაე-ცემა მამის „ამალად“ მომავალ მტრის ჯარს. ქართველთა „ქართუ-ლი თავდასხმა“ და — იმ თორმეტი ათასი თათარ-თურქმანიდან მოამბედაც ერთი ცოცხალი აღარ გადარჩენილა.

ამას თემურლენგის მეორე შემოსევა მოჰყვა საქართველოში (1387 წ.).

მოდიოდა ურდო, „ძალითა მრავლითა და საშინელებითა ზა-რის-სახდელითა, საყვირითა და დაბ-დაბ ცემითა და ბუკთა ტკრციალითა“.

გაეგებნენ ქართველები.

კვლავ დადგა ბრძოლა უმძიმესი, სისხლნაჯერი და სიკვდილ-მთესველი.

გიორგი უფლისწულის მოთავეობით საოცარი შემმართებლო-ბით იბრძოდნენ მენინავე ქართველი „ახალმოასაკენი“. ახლად ფრთააშლილმა ჭაბუკებმა „პირველსავე კუეთებასა ზედა მიდ-რიკნეს“ თემურლენგის მენინავენი. თვითონ თემურს საგანგებო ცხენოსნები გაემზადებინა, რომელთაც უნდა დაეჩინათ ყოველი თავისიანი, ვინც კი ბრძოლის ველს გამოეცეოდა.

მძიმედ, მაგრამ მაინც ქართველთა მხრისკენ იხრებოდა ბრძო-ლის სასწორი.

მაშინ „იხილა მახვილი“ თვითონ თემურმა და ზარგანმხდელი



ყივილით გამოიქრა სიკვდილის ხაზზე. გამხნევდნენ თათრუბი და ზვავად მოასკდნენ ქართველთა განახევრებულ ჯარს. თათართა მხრისკენ გადაქანდა ბრძოლის სასწორი. ისევ თავისი გაჰქონდა აღმატებულ სიმრავლეს.

უკვე „ვერლარა ძალ-ედვათ ქართველთა წინაგანწყობა“, რამე-თუ მცირედნი გადარჩენილიყვნენ მტრის ურიცხვ ურდოსთან რკენით სისხლდადენილნი, იარაღდალენილნი და ცხენ-კაციანად ქანცგანყვეტილნი.

უკუიქცა ბაგრატ მეფე გადარჩენილი ჯარის ნაშთებით.

მკვდრებით სავსე ბრძოლის ველზე ხუთჯერ მეტი მუსლიმი ეს-ვენა, მაგრამ მაინც დამარცხებული ბრუნდებოდნენ ქართველები.

ცეცხლითა და მახვილით შემოესივნენ ქართლის მინაწყალს თემურლენგის მომთაბარე მოლაშქრენი. მოსახლეთაგან ველა-რავის მოახელთეს, კავკასიის მთებში დაბიზულთა ძებნაც ვე-ლარ გაბედეს და საძარცვავ-სარბევად და დასანგრევ-დასაქცე-ვად მოედვნენ ხალხთაგან დაცლილ სოფელ-ქალაქებს. „მოითა-რეშეს, მოაოხრეს და დაწვეს ყოველნივე შენობანი, და უფროსლა წმიდანი ეკლესიანი და მონასტერნი დააქცინეს და დაწვეს ცეც-ხლითა“, შემუსრეს მცხეთის დიდებული ტაძარი.

დიდძალი ნაძარცვით დატვირთული გაბრუნდა საქართველო-დან თემურლენგი — ყარაბაღს გავიდა, თავის მთავარ ბანაკში. მას ახალი დიდი საზრუნავი ჰქონდა: ირანის სრული შემომტკი-ცება და ჩრდილოეთ ოქროს ურდოსთან მოსალოდნელი ომის სამზადისი. მალე იგი შეუა აზიაში გაემგზავრა იქაურ აშლილ საქ-მეთა მოსაწესრიგებლად.

თემურლენგის მეორე შემოსევის შემდგომ ექვსი წელინადი მშვიდობიანობა ილგა საქართველოში. ბაგრატ მეფე თავისი სი-ცოცხლის უკანასკნელი ექვსი წელი სათავეში ედგა სისხლდადე-ნილი და გაჩანაგებული ქვეყნის აღორძინებას, ხელახალი შენე-ბისა და სულიერ-გვამიერად განმტკიცების საქმეს.

1393 წელს მეფე ბაგრატ მეხუთე დიდი გარდაიცვალა და ტახ-ტი დაიჭირა მისმა უფროსმა ძემ — გიორგიმ.

მაშ, გიორგი მეშვიდე — მეფე კვლავაც „ყოველივე საქართვე-ლოსი“.

ახალი ხელმწიფეც ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობისა და აღორძინების საქმეს შესდგომოდა. მაგრამ აღმოსავლური გრიგალი ისევ აღბორგებულიყო დასავლეთის გადასალეკავად.

თემურლენგმა იმ ექვსი წლის მანძილზე კიდევ ბევრი უზვსძეს ხლიანი ბრძოლა გადაიხადა. ჯერ ერანში ბაიაზეთისა და ვაკენში, ციხეები აიღო, ალინჯის მიუვალი ციხესიმაგრე ალყაში დატკოვა და თვითონ შუა აზისაკენ გაეშურა. აქ მან დაამარცხა და გაანადგურა ხორეზმშაპი, რომელსაც თემურლენგის მოსისხლე თოხთამიშთან შეეკრა კავშირი. გამძვინვარებულმა „კოჭლმა სატანამ“ ხორეზმის სატახტო ურგენჩი დაანგრია და მის ნასახლარზე ქერი დათესა, მოსახლეობა დედანულიანად აყარა და სამარყანდს გადაყარა. 1391 წელს ორასიათასიანი არმიით იგი ოქროს ურდოს დასანგრევად და მისი ხელმწიფე თოხთამიშის მოსასპობად გაეშურა. კუნდუზჩისათან გამართულ სასტიკ ხოცვა-ულეტაში თემურმა სძლია თავის მოსისხლეს. მომდევნო წელს ისევ ნამოვიდა ერანისაკენ. ჯერ აიღო შირაზი და ისფაპანი და აქ 70 000 ისფაპანელის ნარკვეთილი თავებისაგან, ავურისა და დუღაბის შერევით, „ცათამბჯენი“ კოშკი აღმართა. მერე აანიოკა ჰამადანი და ბაღდადი, იქიდან სირიაში შეიჭრა და იქაური ციხე-ქალაქებიც აიღო, გაძარცვა და მიანგრ-მოანგრია.

1393 წელს თემური საქართველოსკენ ნამოუძღვა გამარჯვებებით გალალებულ ჯარებს.

მან წინასწარ ოთხი სარდალი გამოყო: ამირ ბორპან ოდლანი, ამირ სეიფ ად-დინი, ჯაპან შაჰ ბაპადორი და ოსმან ბაპადორი. თითოეულს ათი ათასი მეომარი მისცა და სამცხისაკენ გამოისტუმრა აქაურობის სარბევად და სანგრევად.

თვითონ თემური დანარჩენი მხედრობით, ნადირობითა და ნადიმობით. იგი ჯერ ქალაქ კარს მიუახლოვდა და დაიბანაკა. აქ შვილიშვილის დაბადება შეატყობინეს: უფლისნულ შაპროხს შესძენოდა ვაჟი. გახარებულმა თემურმა შვილიშვილს სულთან იბრაჰიმი დაარქვა და დიდი ლხინიც გამართა. კარიდან თემურმა კოლის მთაზე გადაინაცვლა ნადიმ-ლრეობით.

ამასობაში მისმა სარდლებმა დალაშქრეს სამცხე, აიღეს და დაარბიეს ახალციხე და სხვა დიდი და მცირე სიმაგრენი. მესხები გააფთრებით ებრძოდნენ მრისხანე მტერს. თათრებმა სამცხის მიწანყალზე ფეხი ვერ დაიმაგრეს და ნაძარცვ-ნაალაფევით თემურის ბანაკს დაუბრუნდნენ.

თემურლენგს ისევ სჯეროდა, რომ ქართველთა მეფეს კავშირი ჰქონდა თოხთამიშთან, რომელსაც იმხანად თავისი ურდოს ძალის აღორძინებაც მოეხერხებინა და სამხრეთისაკენ ახალ სა-



ომარ სამზადისსაც შესდგომოდა.

თემურმა იფიქრა: ქართველთა მეფე ჩრდილო ულუსიანები, დარიალის კარს გაუხსნის და მტერს ერანისაკენ გამოუშვებსო. ამიტომ გადაწყვიტა, დაესწრო და არაგვ-დარიალანის ხელში ჩა-საგდებად ნამოემართა.

არაგვის ხეობა თათართა ურიცხვი მხედრობით გაიცსო. არაგველებიც მარად ჩვეული სიმამაცით დაუხვდნენ მტერს. მძიმედ მიიკაფავდა გზას თემური. ძვირი ჯდებოდა ბრძოლა ყოველი ციხისათვის, ულელტეხილისათვის, ქვალოჯიანი ბილიკისათვის. უმძიმესი ხმალთაკვეთებით აიღეს თათრებმა დარიალანი.

მაგრამ აქ თემურმა ახალი სამძიმო ცნობა მიიღო: ოქროს ურდოელებს დარუბანდის კარი გადმოულახავთ და შირვანს შემოსევიან ცეცხლითა და მახვილით. თოხთამიშის ოთხი რჩეული ნოინი მოუძღვისო ოქროს ულუსიანებს.

თემურმა იფიქრა, მტერი შირვანიდან ერანში შემასწრებსო და დარიალანიდან სასწრაფოდ დაეშვა არაგვის ჩამოყოლებაზე.

გიორგი მეფის ჯარები თათრებს კვალდაკვალ მოსდევდნენ და უეცარი თავდასხმებით მათ რიგებს ათხელებდნენ. „ავნებდნენ დიდ-დიდსა მთიულნი და სპანი მეფისანი მუნ მყოფნი სპათა თემურისათა, რომელთა ვერა-რა ტყუე-ჰყვეს და უკუმოიქცნენ“.

მტერის ხეობაც ვაივაგლახით გაიარა თემურის ურდომ; შირვანს გააღნია რისხვით აღვისილმა „რეინა-კოჭლმა“. ჩრდილოელ ულუსიანებს ველარ მიუსწრო. მათ, შირვანული ნაალაფარით დატვირთულებს, უკვე უკანვე გადაევლოთ დარუბანდის კარიბჭები.

თემურმა გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ მოესპო თოხთამიში და მისი ულუსი, მუდმივი საფრთხის საბუდარი ვოლგის-პირეთიდან.

1395 წელს მოსისხლენი ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე თერგზე. ორივე იბრძოდა უკიდურესი თავზეხელალებულობით. თემურლენგმა ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ისევ სძლია თავის მეტოქეს, სძლია და გამოედევნა გავეშებული. უკუცეულთაგან გადამწვარი ველები გადალახს და ვოლგასაც მიატანეს მისმა ჯარებმა. თემური თავს დაეცა ოქროს ურდოს სატახტოს — სარაი-ბერქეს, აიღო, ძვლებამდე გააშიშვლა და საძირკვლამდე დაანგრია. აქედან გაქცეულ თოხთამიშს გამოედევნა და მოსკოვამდე მისდია ძარცვა-რბევით. მერე გამობრუნდა, სამხრეთ რუსეთი მოითარება, აზოვი და ასტრახანი აიღო; ისი-



ნიც გაძარცვა, წარტყმევნა, ავლად (ფერფლად) აქცია.

ისევ ჩრდილო კავკასიას მობრუნდა. კავკასიონის განვითარების, მცხოვრებ ტომებს დაერია, ვითარცა ქართველთა მოკავშირებს; ყველა მათგანს საქრისტიანო-სანიშანსვეტო დაუნგრია და ყველა მაჰმადის რჯულზე მოაქცია.

დარუბანდის გზით შირვანს დაბრუნდა თემური. აქ ერთხანს თავის ერთგულ, ყურმოჭრილ ყმასთან, შეის იბრაჟიმთან ატარა დრო. აქვე „საბოლოოდ განაწყო დასავლური საქმენი“ აღმოსავლეთში გამგზავრების წინ.

დასავლეთ სამფლობელოთა საჭეთმცყრობელობა თემურმა თავის მამაც შვილს, მირანშაჟს ჩააბარა.

მირანშაჟმა ტახტი თავრიზში დაიდგა. მის მორჩილებაში შედიოდა: ერანი, ერაყი, აზერბაიჯანი, ქურთისტანი, სომხეთი და საქართველო.

თემურმა მირანშაჟს შემწებად კიდევ ორი ბატონიშვილი დაუტოვა — როსთემი და ჯაპანშაჟი. ამათ ევალებოდათ, აეღოთ ალიჯის ციხე, რომლის აღება თითქმის ათი ნლის ალყით ვერ მოეხერხებინათ თათრებს.

1397 წელს დასავლეთის საქმეთა ასეთი გარიგების შემდეგ, თემურლენგი დიდაღი ნაალაფევით დატვირთული და მრავალი ტყვის თანხლებით სამარყანდს დაბრუნდა.

მომდევნო 1398 წელს იგი უზარმაზარი მხედრობით ინდოეთს შეესია...

თემურლენგის „დასავლეთელმა ქვეშევრდომებმა“ დიდი დამ-პყრობელის ესოდენ შორს წასვლით ისარგებლეს და დამოუკი-დებლობის დასაბრუნებლად წამოიშალნენ.

განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი გმირი კი ქართვე-ლი მეფე იყო.

გიორგიმ შეჰყარა სრულიად საქართველოს საომარი ძალები, ჩრდილოეთიდან მოირთო ოვსნი და ძურძუკნი, შემოიერთა შაჟის მმართველიც — სეიდ ალი, და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და-იძრა გულსრულად და გულმყარად.

მირანშაჟ თემურის ძე იმჟამად სულით დაავადებულიყო. ნა-დირობისას ცხენიდან გადმოვარდნილიყო და ტვინი შერყეოდა. რის მერე ავი თვისებები დასჩემებოდა, ხალხს უმიზეზოდ სიკ-ვდილით სჯიდა, თავრიზს შენობებიც დაუნგრევია უმიზეზოდ, მემატიანე რაშიდ ად-დინის საფლავიც შეუგინებია, შეისელი

სეიდ ალიც უბრალო ეჭვიანობის გამო გადუკიდებია მტრად: მა/ სი სამფლობელო აუოხრებია და ახლა სწორედ ეს სეიდ ალი. მთავარი ყვებოდა თავისი ჯარით ქართველთა მეფეს, ნახიჭევანის კუნძულის ხაზ-ხედრებულს.

ნახიჭევანს ძლიერი ციხე იდგა — ალინჯა. აქ თავს აფარებდა ბატონიშვილი თაპერი (ქურთული დინასტიის — ჯალაირიანები-საგან).

თემურლენგის პირველი შემოსევისას თაპერის მამა აპმედ ჯალაირიანი დამარცხდა, გაიქცა, ხოლო თემურს ასე შეუთვალა: „თუმცა ომში მკლავმა მიმტყუნა, სამაგიეროდ გაქცევაში კოჭ-ლობა არ მიშლის ხელსო“. ამით თემურის ხეიბრობას ოჩმაგურად (ფარულად) დასცინოდა დამარცხებული ქურთი ბატონი.

ახლა აპმედის ვაჟი, თაპერი, გამომწყვდეულიყო ალინჯის ციხეში, რომელსაც მტკიცე ალყად შემოსდგომოდა თათართა ლაშ-ქარი სეიფად დინის მეთაურობით.

ქართველები ალინჯის მოალყებს მიუხტნენ და ძლიერი იერიშით სანგრებიდან ამოყარეს, დაამარცხეს და გააქციეს. ალინ-ჯისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ქსნის ერისთავმა ვირშელიმ და საამილახვროს ბატონმა ჯანიბეგ ზევდგინიძემ.

თაპერ ჯალაირიანი დიდი ამბით გამოეგება თავის განმათავისუფლებლებს. გიორგი მეფემ სამ ქართველ დიდაზნაურს ჩააბარა ალინჯის დაცვა და მმართველობა.

მირანშაპმა, როცა ქართველთა შემოჭრისა და ალინჯის დაცემის ამბავი შეიტყო, მაშინვე თავისი ვაჟი აბუბექრი აფრინა დიდი მხედრობით.

სასტიკი შეტაკება ისევ ქართველთა და მათ თანამდგომთა გამარჯვებით გათავდა. მხოლოდ ეს იყო, სეიდ ალი შაქისელი დაეცა თვითონ აბუბექრის ნატყორცნი ისრით. მოკლულის თავის ნარჯვეთა და გატაცებაც მოასწრო ბრძოლის ველიდან გაქცეულმა აბუბექრმა.

ქართველები გამარჯვებულნი დაბრუნდნენ. თაპერ ჯალაირიანიც თან მოჰყვა მეფე გიორგის თბილისში...

ეს ამბები რომ შეიტყო, ინდური ლაშქრობა შეწყვიტა თემურლენგმა:

მოჰყავდა უთვალავი ტყვე.

მოჰქონდა აურაცხელი ნადავლ-ნაძარცვი.

მოჰქონდა ქართველებზე ბოლმით გასიებული ბოროტი გული.

სამარყანდში, თავის სატახტოში, სეიდ ალი შაქისელის გზაზე მარი თავი დაახვედრეს და ქართველთა კადნიერების განვითარების ბანი ერთხელ კიდევ წვრილად აუნებეს.

გადაჭრით გადაწყვიტა თემურმა: საქართველოც ერთხელ და სამუდამოდ ისე უნდა მოესპო და მოეთხარა, როგორადაც მოსპო, დაანგრია და დაამინა ქართველთა „მოკავშირე“ ჩრდილო ულუსი — ოქროს ურდო.

და, მეხუთედ წამოიგრავნა საქართველოს დასაქცევად აღმო-სავლური გრიგალი.

1399 წლის გვიატ შემოდგომაზე მოვიდა და ყარაბალში დაბანა და თათართა ახალი უზარმაზარი ურდო. დაბანა და შეუდგა თემური საქართველოს „დახვენილად“ დანგრევის სამზადისს. ყოველი ათი მეომრიდან სამი საუკეთესო ამოარჩია და ქართველთა სისხლის დასაქცევად იახლა. ყველას საუკეთესო ცხენი დაურჩია, საუკეთესო საჭურველით აღჭურვა, ათი დღის საგზლით დატვირთა.

ყოველი მეომრის პირადი აღჭურვილობა ასეთი იყო: ჯაჭვი, ჩაბალახი, სამკლაურები, საბარკულები; ფარი, მახვილი, შუბი, მშვილდი და ოცდაათი ისარი. ყოველ ორ მხედარს ერთი მარქაფა ცხენი მოსდევდა, ყოველ ათ მეომარს მოჰქონდა ერთი კარავი, ორი ბარი, ერთი თოხი, ერთი ნამგალი, ერთი ნაჯახი, ერთი ხერხი, ერთი სადგისი, ასი ნემსი, ერთი გვერგვი თოკი, მასთან — გუდა, ქვაბი, ფქვილი და სხვა სურსათი.

ესოდენ არჩეული და სალაშქროდ სრულქმნილად გამზადებული ამხედრდა საქართველოსკენ. მტკვარს მოადგნენ, ნავები გაანყვეს, ხიდები გადეს და მდინარის მარცხენა ნაპირს გადმოვიდნენ.

აქ თემურლენგს თავიანთი ჯარებით შეუერთდნენ შირვან-შაჰ შეის იბრაჟიმი და შაქის ახალგაზრდა მმართველი, სახელად შეის იბრაჟიმი, ნინა წელს ალინჯასთან ბრძოლაში დაღუპული სეიდ ალის შვილი, რომელსაც მამისეული ქართული ორიენტაციისათვის ეღალატნა და თათართა მხარეზე გადასვლა მოესწრო.

ამჯერად ჰერეთის გზებით აპირებდა საქართველოში შემოჭრას თათართა მძვინვარე მბრძანებელი.

ჰერეთს მაშინ ერისთავი ხიმშია განავებდა და თათართა ეს ლაშქრობაც „ხიმშიას ხეობის“ ომის სახელით შევიდა ისტორიაში.

საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებზე მტერს ერთადერთ ბუნებრივ დაბრკოლებბი ხშირი ტყე-მაღნარი უნდა დახვედრო-

და. თემურლენგსაც წინასწარ გამოეგზავნა საგანგებო ტყეები —  
მჭრელნი იმ ტყე-მაღნართა გასაჩეხად და გზის გასაკაფად.

ოცი დღე ჩეხდნენ ტყეებს თემურისანი...



ნაადრევად დაზამთრდა. დიდი თოვლიც მოვიდა. კვლავ თოვდა  
ხვავრიელად, გადაუღებლად. ოცი დღე-ღამის განმავლობაში „მთებ-  
სა და ველებს თეთრი ქაფური ეფრქვეოდა ღრუბლის საცრიდან“.

მკერდამდე მიარღვევდნენ თათრები ციდან ჩამომდგარ  
„თეთრ დაბრკოლებას“.

„ხიმშიას ხეობის“ ქართველობაც ხიმშიას სარდლობით დაუხ-  
ვდა მძვინვარედ მომდინარე ურდოს.

დაიწყო ბრძოლა სისხლისმნითხეველი და სიკვდილმთესველი.

პირველშობილი სიქათქათე დაკარგა თოვლმა: ლალისა და  
ბრონეულის ფერი განევრცო სრულიად ჰერეთის ველებზე.

აღსუმდე (თეთრიწყარო) მოატანეს თათრებმა.

მაინც ვერ იქნა და ვერ გასტეხეს ჰერ-ქართველთა მხნეობა.

მერე კახეთი იწყებოდა, ხოლო მის აღმოსავლეთით — ქარ-  
თლი...

თემური მიხვდა, ნავარაუდევი ორი კვირა საკმარისი ვერ იქ-  
ნებოდა ქართველთა დედაბუდიანად ამოსაგდებად.

ზავი სწყუროდა თემურლენგს, მაგრამ ზავს არავინ იხვენებო-  
და, რადგან მისგან დამარცხებულად ჩათვლილი მონინააღმდეგე  
სწორედ დამარცხებულად არ ცნობდა თავს.

ვერც ხიმშია მოიხელთა, ვერც ხიმშიას რომელიმე ქვეშევ-  
რდომი.

ივრის ხეობაშიც მოახერხა შეჭრა თემურმა. მაგრამ თურმე  
არც ეს ნიშნავდა გამარჯვებას.

მანამდე განუცდელმა ბრაზმა აიტანა ბრაზთან ერთად დაბა-  
დებული, მსოფლიო მკურობელობის უინით შეპყრობილი კოჭლი  
მიზანთროპი (კაცომოძულე).

და, ბრძანა ბოროტმან მანამდეც ბოროტებით სწორუპოვა-  
რმან: ქართულ მიწაზე მოესპოთ და მოეთხარათ ყოველივე, რის  
გარეშეც წარმოუდგენელი იყო არსებობა ქართველი კაცისა:

აეჩეხათ და ამოეძირკვათ ბალები, რათა ქართველ კაცს აღა-  
რასოდეს ეგემნოს უტკბილესი ქართული ხილი.

ამოეგდოთ და წარეხოცათ ბოსტნები, რათა ქართულ სუფრა-  
ზე აღარასოდეს ახასხასებულიყო მისი მშვენება — საოცრად  
სურნელოვანი მწვანილ-ბოსტნეული.

აეჩებათ და სამუდამოდ ფესვებიანად ამოეძირკვათ ქართული/ვაზ-ვენახები, რათა ქართველმა კაცმა აღარასოდეს დაგუშტონა/ნოს მისი ლაზათიანი სიცოცხლის მარადიული თანასისხლიერ-თანაზიარი ქართული ლვინო.

დაეძარცვათ, დაეწერიათ და დაეწვათ ყოველნაირი შენობა-ნაგებობანი: კერძო სახლებიც, სასახლეებიც, საყდრებიც, ეკლე-სია-მონასტრებიც.

და, მისდვნენ თათრები თათრულად ჰერეთ-კახეთის მადლიან ველებს. მრავალსაუკუნოვანი ოფლის წვიმით ფესვჩადგმულ ბა-ღებს, ვენახებს, ბოსტნებს, ბაღჩებს, სახლებს, ქოხებს, ყოველნა-ირ საერო და სასულიერო შენობას და:

აჩებეს,  
აკაფეს,  
ამოთხარეს და ამოძირკვეს,  
„გამოქერქეს“,  
ააოხრეს,  
გაატიალეს,  
გადალეკეს,  
გაძარცვეს,  
ძვლებამდე გააშიშვლეს,  
ქვა ქვაზე არ დატოვეს,  
საძირკვლიანად ამოაგდეს,  
ფერფლად და ნაცრად აქციეს და ქარს გაატანეს.

თვითონ თემურლენგის მაამებელი მეისტორიე გაიძახოდა გა-ოცებული: თემურლენგს ინდოეთში ლაშქრობის დროსაც არ და-უნგრევია იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოში დააქციაო!..

მაგრამ ზაგს მაინც არავინ იქცენებოდა, მოსფლიოს დამან-გრეველის ნინაშე ქედდადრეკილი და ქვედავრდომილი.

ავად სდუმდა ძეხორციელთაგან დაცარიელებული, მთად, ტყე-მაღარად და კლდე-ღრედ გახიზნული ქვეყანა.

ავი მდუმარებით კრიჭაშეკრული ტოვებდა თემურლენგი მისთვის ესოდენ მნარე ქართულ მინა-წყალს.

1400 წლის გაზაფხულზე ყარაბაღის მთავარ ბანაკში მყოფმა თემურლენგმა სამი სასიხარულო ამბავი შეიტყო: ჯერ, შვილ-თაშილი შესძენია (მირანშაპის ძის, ხალილ-სულთანის ვაჟი). მე-ორეც, სიკვდილი შეუტყვია მეტოქეებისა — ჩინეთის ხელმწიფე თონდუზხანისა და ეგვიპტის სულთან ბარკუკისა.

მაშინვე მეოთხე „საამური ამბის“ განსრულებაც მოინადონა სიხარულით აფოფინებულმა თემურმა: ქართველ მეფეს შემოუტვილავალა, შენ რომ თბილისის კარზე თაჟერ ჯალაირიახანი უკავალავს, სასწრაფოდ ჩემთან გამოგზავნეო; თუ ამას ამისრულებ, მარად უომრობასა და ხელუხლებლობას გპირდები, თუ არა, მაშინ ვერც შენ და ვერც შენი ქვეყანა აოხრება-განადგურებას ვეღარ გადამირჩებით.

ეს შემოთვალა და პასუხსაც არ დაუცადა, ისე ნამოვიდა საქართველოსკენ საგანგებოდ დარჩეული, ბრნცინვალედ აღჭურვილი და უხვად დასაჩუქრებული მრავალრიცხოვანი მხედრობით. პასუხს არ დაუცადა იმიტომ, რომ ცბიერმა თათარმა იცოდა, ქართველთა რაინდი მეფე ერთგულ ქვეშევრდომსა და მოკავშირეს არ გასცემდა.

გიორგიმაც კარგად იცოდა, ვერც მოკავშირეს გასცემდა და, ასეთი სიმდაბლე რომც ჩაედინა, თავის ხალხსა და ქვეყანას სისხლდაუქცევლად მაინც ვერ გადაარჩენდა. ამიტომ პასუხიც სასწრაფოდ დაუბრუნა მტერს, — პასუხი პირდაპირი, შემტევი, ხალიბური ფოლადივით ფხაანყობილი:

„მე შენზე უმცირეს მეფე არ გახლავარ; უფრორე მეფობა შენი მსწრაფლ წარმავალ და უმკვიდრო არს; შენ იმდენიც არა გცოდნია, ქართველები შეხვენილ-შევრდომილ კაცს მტერს არ დაანებებენ; ხარ მზაკვარი და მზაკვრობითა მაგითა დაგიპყრიეს სრულიად აღმოსავლეთი და გყავს სიმრავლე ბანაკთა და სპანი ურიცხვნი; ესოდენი ბოროტი გიყოფიეს და არა განსძელ სისხლითა ჩვენთაგან, და კუალად გნებავს შეჭმად ხორცთა ჩვენთა ძვალთა თანა, ხოლო რაკი ახლა ეგევითარითა სილალითა მოქადულ ხარ ჩვენდა მომართ მომავალი, — მაშ, მოდი, ხოლო უკეთუ არ მოხვიდე, იყავ დიაცი და არა კაცი! შენც ხომ ბევრჯერ გიხილავს და შენმა ჯარებმაც კარგად უწყიან ომსა შინა ჭაბუკთა ქართველთა მხეცექმნილობა და გამოცდილება; თუმცა სიმრავლითა ძალისა შენისათა მრავალი ბოროტი გიყოფიეს ჩვენდა მომართ, მაგრამ უვნებლად ვერც შენ ნასულხარ ჩვენგან“.

ასეთი პასუხით გაისტუმრა გიორგი მეფემ თემურლენგის ფაიქი (შიკრიკი). გაისტუმრა და, „მსწრაფლ შემოკრიბა სრულიად სამეფო თვისი, სპანი რჩეული იმერნი და ამერნი, მესხნი და კახნი...“

თემურს მისმა ფაიქმა ქართველი მეფის კადნიერი პასუხიც აახლა და მისი სივაჟუაცე, სიქველეც თავშეუკავებლად დაუხატა.

გველი გორგალი აეშალა გულზე თემურლენგს. ისე „განძვინ-  
და, ვითარცა მხეცი ბოროტი“. მსწრაფლ ამხედრდა, „აღიყარა ჩა-  
ნამოვიდა ლაშქრითა ურიცხვითა“.

გაეგებნენ ქართველები.

„და იქმნა ბრძოლა ძლიერი“.

მხნედ ეტევებოდნენ ქართველნი, — „ვითარცა ცეცხლი თივასა“.

ქარი ამოვარდა და მორკენალ-მეომართა ფერხთა ქვეშ აშლი-  
ლი ფხვიერი მინა სქელ მტვრად აიტაცა. ფრთააშლილი მინა  
ზურგიდან ქართველებს სცემდა, ხოლო თათრებს სახესა და  
თვალებში ეყრებოდა.

თურმე გიორგი მეფე ნინა დღეებში დაჰკვირვებია ქარის მოძ-  
რაობას და თავისი მხედრობაც ბრძოლის ნინ ისე დაულაგებია,  
რომ ქარისგან ამდგარი კორიანტელი მისი „მოკავშირე და ხელ-  
შემწე“ შექმნილიყო (ოდესლაც, ძვ.წ. აღ-ის 216 წელს, დიდმა მხე-  
დართმთავარმა პანიბალმა კანესთან გამართულ ბრძოლაში რო-  
მაელების ნინააღმდეგ ასეთივე „მოკავშირედ“ გაიხადა ქარისა-  
გან ავარდნილი მტვრის კორიანტელი).

უფრორე მოიცეს ძალი ქართველებმა, „მოსრნეს და ამოს-  
წყვიტნეს სპანი მრავალნი ლანგ-თემურისანი ესრეთ. რომე  
ამისთანა მარცხი და ზიანი არაოდეს შემთხვევია სპათა ლანგ-  
თემურისათა, და შეძრნუნდეს დიდად ლანგ-თემურ და ლაშ-  
ქარნი მისნი“.

მზე სასამხროზე დაეშვა.

თემურის გამოცდილმა თვალმა შენიშნა „ქართველთა ომისა  
სიფიცხლე და ადრე სიმაშვრალე“. დიდად შეთხელებულიყო მა-  
თი მწკრივები. იარალიც სანახევროდ დალენოდათ ქართველებს  
უთვალავ მტერთან ხმალთაკვეთებაში.

მაშინ „გამოიმეტა თავი“ თემურმა და ნინ გამოიჭრა სიკვდი-  
ლის ხაზზე, ველური ყიუინით. „განიწირეს თავნი“ თათრებმა და  
თავანყვეტილი სრბოლითა და ზარდამცემი ბლავილით მიჰყვნენ  
მპრძანებელს.

მიმწუხრის უამს გატყდნენ ქართველნი. მტრის სიმრავლისა-  
გან, „დიდის ომისა და სიმაშვრალისაგან“ უკუიქცნენ და მთებს  
და ციხეებს მიაშურეს სახიზრად.

თბილისს მოადგა თათართა ურდო.

უსაზმნო გამოდგა ქართული ციხიონის ნინააღმდეგობა.

თემურმა თბილისის ციხე-გალავნები დაანგრია და ქალაქის

მპურობელად ხორასნელთა ციხიონი ჩააყენა. თვითონ მუხნარის  
კენ გაუყვა ნადირობა-ნადიმობით. იქიდან არაგვის მთებში ჯარი  
გაგზავნა ქართველთა მეფის შესაპურობად.

ისევ არაადამიანური სისასტიკით სრულდებოდა გულგესლია-  
ნი კაცომოძულის ბრძანება:

„მკლავი აღემართათ საღვთო ომად თაქბირისა და თაჰლილის  
ყიუინით“.

უმონყალოდ მოესრათ ყველა — ადამიანის მოდგმისანნი.

დაენგრიათ და დაეწვათ ყოველგვარი ნაშენები და ნახელავი  
კაცისა.

მოესპოთ და მოელეკათ ახლად ფხააშლილი პურის ყანები, ამ-  
ნვანებული ბოსტნები და ბალჩები.

აეჩეხათ და ამოეთხარათ ყოველი ხე.

ძირფესვიანად ამოეძირკვათ ყოველი ვაზი.

თემურლენგის ბოროტი თვალი — პაპანაქებით გათანგულ  
უდაბნოთა ცქერით აღულებული თვალი — ვერ ეგუებოდა სა-  
ქართველოს სამოთხის ცქერას.

მაშ, საქართველოც უდაბნოდ უნდა ქცეულიყო — „თათრულ  
სამოთხედ“.

ემხობოდა, ინგრეოდა, იქცეოდა და ინვოდა ყოველივე ნააზ-  
რევი და ნახელავი ქართველი ხალხისა. ხოლო თვითონ ქართვე-  
ლი ხალხი, ქართული ოჯახი, — შეხიზვნოდა ქართულ მთასა და  
ტყეს, კლდესა და ღრეს, მიუვალ მღვიმესა და გამოქვაბულს.

თემურლენგმაც ბრძანა ბარიდან მთაში ასვლა, მთებსა და  
კლდეებში ჩადგმულ ქართულ ბუდეთა მოშლა და მოსპობა.

და დაიწყო „სამთო ომები“.

ქართულმა მთებმაც იხილეს მტერთა და მოყვარეთა გააფ-  
თრებული ხმალთაკვეთებანი. მათი ექო-სასმინარი დააყრუეს სა-  
ომარმა ყიუინამ და განწირულმა კივილმა, დაჭრილ-დაკოდილთა  
გმინვამ და ბლავილმა.

ქართულმა კლდეებმაც ჩაიცვეს წითელი კვართები.

ქართულმა ხევებმაც უხვად ჩაიხვიეს ურთიერთშეულეტილ  
მტერთა და მოყვარეთა გვამნი.

ქართულმა ჩანჩქერებმაც იცვალეს ფერი, რამეთუ უხვ-საჯე-  
რად ჩაიქციეს სისხლი მტრისაც და მოყვრისაც.

თათრები საგანგებოდ განყობილ ზანდუკებსა და გოდორ-კა-  
ლათებში სხდებოდნენ და თოკზე ჩამობმულნი კლდეებზე გამოქ-

ვაბულთა პირდაპირ ეშვებოდნენ. შეხიზნულებიც შიგნიდან სროლითვე უპასუხებდნენ ჰაერში ჩამოკიდებულ მტრის „ფლესან-ტებს“. ან, თუ მოახელთებდნენ, თოკებს ხმალცემით კუჭუჭუჭნება, და თათრებით სავსე კალათ-ზანდუკები გრიალით მიექანებოდა თვალჩაუდგამ უფსკრულებში.

ასეთ „საპარო ბრძოლებში“ ჯერ თათრები მეტი იხოცებოდნენ, მერე თემურმა გააუმჯობესა თავისიანთა საომარი ხერხი: მის მეომრებს ისრის ნვეროებზე ნავთში ამოვლებული ნაძენძი უნდა დაემაგრებინათ, ცეცხლი წაეკიდებინათ და ისე შეეტყორცნათ გამოქვაბულებში.

ამნაირი „საომარი გეგმა“ გამოადგათ თათრებს. ბევრი გამოქვაბული „ააფეთქეს“ ანთებული ისრების ტყორცნით, ბევრი ქართველი ბავშვი, ქალი და მოხუცი ცეცხლში გამოიწვა, ან კვამლში გამოიხრჩო.

მაინც არ მოხერხდა მთაში გახიზნული ქართული ოჯახის არც ამონწყვეტა, არც დამორჩილება და დამონება.

თათრები მთიდან ისევ ბარისკენ დაეშვნენ.

ქართველები თარეშულ ომზე გადავიდნენ. გიორგი მეფის მებრძოლები ცალკეული მოულოდნელი თავდასხმებით აჩანაგებდნენ ქართლის მიწა-ნყალზე გაფენილ ურდოებს.

ამაოდ ცდილობდა თემურლენგი ქართველთა მეფის ხელ-თვებას. ხად და ხანაც სად მიაწყდებოდა მსტოვართაგან მინიშნებულ სამალავებს, მაგრამ გიორგი მეფე უმაღვე უჩინარდებოდა და უეცრად, „ციოთმოვლენილივით“, იქ გაჩნდებოდა თა-თართა რისხვად, საიდანაც ძეხორციელი არ მოელოდა

მოღალატები ყოველ ხალხს ჰყოლია ყოველ უამს. იმ უამსაც უნდა ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდევაც.

თემურლენგი მუხნარს დამდგარიყო ბანაკად. აქ მას რამდენიმე ქართველი დიდაზნაური ეწვია და შეევრდომა ყურმოქრილ მონად მიეღო ისინი.

ამათ შორის იყო ვინმე ვირშელ ბურდიშვილი, ქსნის ერისთავის ვირშელის (ალინჯის ბრძოლის გმირი) მოსისხლე.

და, შეუჩნდა ვირშელ ბურდიშვილი თემურლენგს — ქსნის ხეობას შევესიოთ, დიდალ დავლასაც (ნადავლი) ავიღებთ და გიორგი მეფის ერთგულ ერისთავსაც მოვსპობთ და მის ქვეშერდომებსაც.

მართლაც, დაძრა თემურლენგმა თათართა ურდო, მოღალატე

ქართველის მეგზურობით. ქსანს შეესია და „შემუსრნა ყოველწილი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მინდორნი, მფანი და ტყენი, კლდენი და ხევნი, ვითარცა ზღვამან დაფარა ყოველწილი ესე ქუეყანა“.

ვირშელ ერისთავმა ქნოლოს ციხეში გახიზნა დედა-ნულნი, ხოლო თვითონ ბეხშვის ციხესთან გადაეღობა მძვინვარებით მომავალ მტერს.

ჯერ ისრის სიტყვა დაასეტყვეს ქართველებმა ამომავალ თემურის ჯარებს, მერე ხმალამოწვდილნი ჩაუხტნენ და ჩეხვით შეებნენ. თათრები ვინრო ხევში ვერ გაიშალნენ. ბრძოლა მხოლოდ მეწინავეებმა მიიღეს. ქართველებმა ჩაკაფეს და ჩააწინეს ერთი-მეორის სანაცვლოდ მომდინარე თათრთა მეწინავე მნერივები.

ურდო შებრუნდა და დაბლა დაცურდა ზვავივით. მარცხნაჭამი თემურლენგი ისევ მუხრანს დადგა ბანაკად.

თვითონ ვირშელ ერისთავი დვალეთში გადავიდა და ვინმე მოლალატე ხარებასაგან ნაქეზებულ-აჯანყებული დვალები დაამარცხა...

ვირშელ ერისთავის გარდა, კიდევ ერთმა ქართველმა ფეოდალმა დაუკარგა მოსვენება თემურლენგს. ეს იყო ჯანიბეგ ზევდგინიძე, მუხრანის დასავლეთით გაშლილი საამილახვროს ბატონ-პატრონი (ესეც ალინჯის ბრძოლის გმირი). ჯანიბეგი გადამთილების ბატონობას არ შეურიგდა, მათთან საომრადაც გაემზადა.

ისევ აიშალა მუხრანიდან თათართა მხედრობა და ერთ ღამეს ჯანიბეგ ქართველის ხეობას შეესია.

სასტიკი შეტაკებანი თათართა გამარჯვებით დამთავრდა.

მამაცად „ბრძოლილი“ ზევდგინიძე შეპყრობილი მიჰვარეს თემურლენგს.

დანგრეული და გადამწვარი საამილახვროდან თემური გორის გასწვრივ გაეშურა მაოხარ-მაქცევარი ლაშქრობით.

გორის ციხე შეყვარებული ქალ-ვაჟის პირობაზე უფრო მტკიცე ყოველაო, — გაიძახოდნენ თემურლენგის მაამებელი მემატიანენი.

მართლაც, მტკიცედ დაუხვდა გორი მძვინვარე მტერს, მაგრამ მაინც დაეცა იგი გააფთრებული ბრძოლების შემდგომ.

ვერც გორში მოიხელთა თემურლენგმა გიორგი მეფე.

თარეშული თავდასხმები კი არ ცხრებოდა უჩინარი ქართველი მეფის მეთაურობით.

გაცოფებული მიმოქროდა თემურლენგი ქართლის ველებზე, თათრებმა სასტიკად აიკლეს რუისი: „ძირითურთ აღმოფხვეულს დიდი ეკლესია იგი რუისისა“ და „არა-სადა დაშთა დაბანი და შენობანი თათართაგან წარუტყველებულად“.

რუისიდან თემურლენგმა მტკვარი მარჯვენა მხრისკენ გადა-  
ლახა და სამწევრისს გავიდა. იქიდან სამხრეთით გაინია და ძამის-  
ციხეს მიადგა. ახლა აქ ეგულებოდა გიორგი მეფე თემურლენგს.

„ჯერ არავის სმენია, ძამისციხე ძალით ვისმე აეღოსო“, —  
თქვა ვიღებულ.

„ეს იმსიმალლე ციხეა, ფუძეზე რომ ლრუბელი მიაწევს, თვითონ ციხეს შუბლზე ოფლი დასცვარავს და ქვეყნად მქროლავი ქარ-გრიგალნი მისი სუნთქვისგან წარმოიქმნიან,“ — ეს სიტყვები ერთ მოპოეტო მემატიანეს ეკუთვნის.

თემურლენგი მიადგა, შემოადგა და იერიშიც მიიტანა მამის-  
ციხეზე. მეციხოვნე ქართველებიც დაუხვდნენ ლირსი დახვედ-  
რით. ჯგროდ მომდგარი მტრის სალტეს თავზე ისრის სეტყვას  
აყრიდნენ, ქვებსა და ნამორებს აგორებდნენ, ანთებულ კუპრს  
ასხამდნენ...

თათრებმა „სიცოცხლის წელზე უსაზღვრო თავგანწირვის ქა-  
მარი შემოირტყეს“ (!) და ისე გადააბეს იერიში იერიშზე.

თვითონ თემური მიუძღვდა „მეფურ იერიშებს“ ამხედრებული, გამყინვავი ზარდამტები ყიუინ-ყივილით.

შვიდი დღე-ლამე მუხლჩაუქნელად მიჰქონდათ იერიშები თე-  
მურიანებს, შვიდი დღე-ლამე შეუწყვეტლივ უშენდნენ ციხეს  
ლოდთამტყორცნელი „ზარბაზნები“, კედელთმნვრეველი ვერ-  
ძები, ტარანები და საიერიშო კოშკები.

შვიდი დღე-ლამე არ ჩამოსულა ცხენიდან ავი უდაბნოს ნაშეერი; შვიდი დღე-ლამე არ მოუხუჭავს ცხელ ქვიშაზე ნალესი თვალი.

მერვე დღეს დაეცა ძამისციხე.

რამდენიმე დაჭრილ-დაქანცული მეციხოვნე დაუხვდათ თათ-რებს გალავნის შიგნით.

ყველანი ამოხოცეს იქვე.

ხოლო გიორგი მეფე ისევ გასხლტომოდათ ხელიდან თათრებს.

ცოფისაგან ლამის ჭკუაზე შეცდა თემური. ბრძანა, გასეოდნენ ციხის მიმდგომ მიდამოებს და ყოველივე მოესპოთ ისე, ნიშნეულადაც არაფერი დარჩენილიყო ნახელავი კაცისეული.

მოედნენ თათრები, მოითარეშეს, „მოითათრეს“; გუნდ-გუნ-

დად მოჰყავდათ ქალნი, ბავშვნი, მოხუცნი და გუნდ-გუნდა  
სჭრიდნენ ყელებს...

უზომოდ დაღვრილი სისხლისაგან „დედამინა ლალისფერად  
შეიღება და ერთმანეთზე ლეშად დახერგილ გვამთა სიმრავლის-  
გან ველი კიდით კიდემდე გადიქცა მთებად, რომელთაც კალთებ-  
ზე სისხლის ნაკადულნი მოედინებოდა“, — ნერს კაცთაკვლითა  
და სისხლისთხევით აღგზნებული მეხოტბე სისხლიანი თემურ-  
ლენგისა.

თემურს მსტოვრებმა აცნობეს, ქართველთა მეფე სავანეთის  
ციხეს აფარებსო თავს.

სასწრაფოდ გაქუსლა თემურმა ლიხის მთის მისადგომისეუნი,  
სადაც ეგულებოდა სავანეთი. ეს ციხე უფრო ნაკლები სისხლის  
ფასად აიღეს, მაგრამ გიორგი მეფემ ისევ უვნებლად გააღნია-  
მტრის ალყიდან და იმერეთისკენ გაქუსლა მცირე ამაღით.

თემურმა მდევარი დაადევნა გავეშებული სრბოლით.

ლიხის მთაზე ნამოენივნენ მდევრები დევნილთ.

შემოუბრუნდა გიორგი მეფე. მახვილებით შეეგებნენ ქართვე-  
ლები რიცხვმრავალ თათრობას.

გიორგის გასაოცარმა შემმართებლობამ გააოგნა და დააბნია  
თემურის რაზმი. მდევართა უმრავლესობა უსაზმნოდ შეანყდა  
ქართულ ხმლებს. დანარჩენები უკუიქცნენ სისხლდადენილნი.

უკვე იმერეთის მინაზე მიჰქროდა საქართველოს საჭეთ-  
მცყრობელი.

როცა მდევრები თავითნთ მბრძანებელთან ხელცარიელნი  
დაბრუნდნენ, თემური „დაჭმუნდა და დიდად მწუხარე იქმნა“.  
იმერეთს გალაშქრება მაინც ვერ გაბედა. იგი ახლა სამცხეს მი-  
უბრუნდა და მის ნგრევა-გადაშენებას შეუდგა. თემურს ისედაც  
ჯავრი სჭირდა ივანე ათაბაგისა, რომელიც თათართა ნინაალ-  
მდეგ ყველა სახიფათო ბრძოლაში გვერდით ედგა გიორგი მეფეს.

ათაბაგი ივანე ალბულას ძე ჯაყელი ერთი პირობა მედგრად  
შეება მტერს. მაგრამ უსაზმნო ხოცვა-ულეტის შემდგომ უკუიქ-  
ცა და ციხეთა შიგან ჩაიკეტა.

თემურს შეეტყო, — ივანე ათაბაგს ერთი ისეთი ქურანი ცხენი  
ჰყავს, ქვეყანაზე მისი ბადალი არ არიო. იმ „ფერის ნაშობი ქა-  
რისფეხებიანი მერანის“ ხელში ჩაგდება ძალიან უნდოდა ცხენის  
სიგიურემდე მოყვარულ მომთაბარე-ხელმნიფეს.

ესეც გაინალდა თემურმა: ცხენიც ხელთ იგდო და მისი პატ-

რონიც. ივანეს ქრისტეს სჯულის დაგდება და ისლამის მიღება, ბა უბრძანა, მაგრამ ქართველმა ცივი უარი თქვა. თემუშა, აპატია „ცხენის ხათრით“...

მისდგნენ თათრები სამცხის ველ-მინდვრებსა და მაღალ-კულტურულ საგანძურებს. მრავალი მესხური ოჯახი ამოქლი-ტეს „პირითა მახვილისათა“, მრავალი წარტყვევნეს, მრავალი საერო და სასულიერო ნაგებობა დაანგრიეს და დაწვეს. სიცოც-ხლე მხოლოდ იმას დაუტოვეს, ვინც ქრისტეს სჯულ ისლამ, ანაცვალა.

სამცხიდან თეძმის ხეობა გადმოითარება თემურმა, რეონის მონასტერი გაძარცვა, დააქცია და იქიდან მანგლის გადმოვიდა.

მანგლისში ორი თვე დადგა. იქიდან ისევ არაგვის ხეობა მოი-თარებეს თათრებმა, არაგვიდან — თრიალეთი, ჯავახეთი, სამ-ცხე, კოლა და ტაო...

ბოროტი ნელინადი დასასრულს უახლოვდებოდა.

ცხელ მიწაზე დაბადებულსა და გაზრდილ ხეიბარს ზამთარი არ უყვარდა და... ნავიდა თემურლენგი საქართველოდან.

ინურებოდა ნელი 1400, უკანასკნელი და უბოროტესი თავად ბოროტი XIV საუკუნისა.

საქართველოს ცაზე ისევ ჯიუტად იწვნენ მძიმე, გაუმზირალი ღრუბლები.

ახალ საუკუნეს მცირე სინათლის სხივიც არ მოჰქონდა საქარ-თველოსთვის.

მეფე გიორგი მეშვიდე იმერეთიდან გადმოვიდა და აოხრე-ბულ-აკლებული ქართლის საქმეთა გამგებლობას შეუდგა. ჯერ მთაში ავიდა ერისთავ ვირშელისა და ერისთავ სულამელის თან-ხლებით, მეზობლურ-ფეოდალურ თავკერძობას აყოლილი და აჯანყებული დვალების ტომი ჩაანყარა. მერე თბილისიდან თა-თართა ციხიონი განდევნა და ისევ შეუდგა ქვეყნის მართვას „ერ-თიანი და განუყოფელი საქართველოს“ მეფის სახელით.

თემურლენგმა ქართველთა მეფის ახალი, „ზღვარგადასული კადნიერების“ ამბავი მაშინ შეიტყო, როცა მას უკევ დაემარცხე-ბინა ეგვიპტე, მოევლო იერუსალიმი, მექა, მედინა და ახლა ბალ-დადისკენ აეღო გეზი.

სასწრაფოდ ჯარი შუაზე გაყო, ერთი თავისთან დაიტოვა, მე-ორე საქართველოსკენ წარმოგზავნა.

საქართველოსკენ მომლტოლვარე თათართა მხედრობას თე-

მურის სამი ვაჟი და ორი სხვა სარდალი ედგნენ სათავეში.

ეს უკვე მეშვიდე ლაშქრობა იყო თემურიანებისა საქართველოში.

გიორგი მეფემ ელჩები შეაგება „ახალმოვლენილ ძველ ნაცნობებს“. დაზავება შესთავაზა და აღუთქვა, რომ პირადად ინახულებდა თემურლენგს, როგორც კი იგი ახლომახლო თვითონ გამოჩნდებოდა.

ქართველი მეფის ეს მოულოდნელი შემოთავაზება თემურიანებმა სარნმუნოდ მიიჩნიეს, თბილისისკენ აღებული გეზი იცვალეს და კოლას გადავიდნენ გამოსაზამთრებლად.

მალე თვითონ თემურლენგიც გამოჩნდა. ნახიჭევანს მოსულმა გიორგი მეფეს ახალი ელჩობა გამოუგზავნა; ნახიჭევნიდან შამქორს გადმოინაცვლა და ელჩობის პასუხსაც აქვე დაელოდა. გიორგი მეფემაც გაგზავნა თავისი ელჩობა, თავისი ძმის, კონსტანტინე ბატონიშვილის მეთაურობით.

ქართველთა მეფე ასეთ სამშვიდობო პირობებს სთავაზობდა თემურლენგს: საქართველო ყოველწლიურად გადაიხდიდა ხარჯს და გამოიყვანდა ჯარს თემურის ყოველ მოთხოვნაზე. სამაგიეროდ, ქართველებს უშიშრად უნდა ეცხოვოთ და ელვანათ მუსლიმ მოსახლეობასთან ყოველგვარ სამეზობლო ადგილებში.

თემურლენგი ალბათ არც ელოდა ქართველი მეფისგან ასეთი „სასურველი ზავის“ პირობებს და მაშინვე მოიწონა; თანაც, ვითომ სხვათაშორის, თავის მხრივ, ეს „დაუმატა“: ქართველებს თავიანთ ქვეყანაში მუსლიმები არ უნდა შეეწყებინათ, არც ქრისტიანული წესები შეესრულებინათ აშკარად, მუსლიმთა „გამოსაწვევად“, თუ „გამოსაჯავრებლად“. ამასთან თემური მოითხოვდა, ქართველებს არამც და არამც არ ჩაეკეტათ სამიმოსვლო, პოლიტიკური, დიპლომატიური და ეკონომიკური გზები მის ქვეშევრდომთათვის.

ზავი წერილობით გაფორმდა.

თემურს უხაროდა, რომ საქართველოს მუდმივ მოუნესრიგებელი საქმე ბოლოს და ბოლოს ესოდენ „სასურველად დასრულდა“. მას ახალი დიდი ომი მოსდგომოდა კარს — თურქეთთან ომი. ამიტომაც საქართველოსთან „მეგობრული ურთიერთობის“ ჩამოგდება მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას ნარმოადგენდა.

თემურმა ქართველი დესპანები დიდი „სიამტკებილობით“ გამოისტუმრა — ყოველ მათგანს ძვირფასი ხალათი უბოძა (მუს-

ლიმ მბრძანებელთა კეთილგანწყობის „განსაკუთრებული ჭი-  
მოვლინება“!), საბოძვარით აავსო და გამოუშვა. თან კონსტანტი-  
ნი ბატონიშვილს გამომშვიდობების წინ ფრთხილად შეაპარა:  
იქნებ, ჩემი მეგობარი და მოკავშირე, მისი ბრნყინვალება მეფე  
გიორგი თვითონ მესტუმროსო... სანადიმოდ და სანადიროდ!  
(ეტყობა, გული ეთანალრებოდა თემურლენგს: მაინც და მაინც  
არცა სჯეროდა ქართველი მეფის ერთგულება ესოდენ მრავალი,  
სისხლდამაქცევარი მტრობის შემდგომ).

თემურლენგი შამქორიდან ყარაბალს გადავიდა და იქ დაელო-  
და გიორგი მეფის „სტუმრობას“.

გიორგი არ წავიდა „სტუმრად“ და არც ჯარი გაუგზავნა თურ-  
ქეთისკენ საომრად ალძრულ „მოკავშირეს“. ასე რომ — ზავი და-  
დებისთანავე დაირღვა.

თემურლენგმა ქართველთა „მორიგ კადნიერებას“ ამჯერად  
თითქოს ყურიც არ ათხოვა, ნეუნაც არ შეიმჩნია და მომდევნო,  
1402 წლის აღრიან გაზაფხულზე, ჯარები დასავლეთისაკენ,  
თურქეთის მიმართულებით, დაძრა.

ლაშქრად მიმავალ თათართა გზა საქართველოს სამხრეთ პრო-  
ვინციებს მიჰყვებოდა. თბილისის სასახლეში ვერ გარკვეულიყ-  
ვნენ, საით იყო გამიზნული თემურლენგის ეს მორიგი ლაშქრობა —  
თურქეთისკენ ქართული გზებით, თუ თვითონ საქართველოსკენ.

სამხრეთ-ქართული პროვინციები თითქმის მთლიანად გაია-  
რეს თათართა ჯარებმა, მაგრამ უცებ შეჩერდნენ ტაოს სამხრე-  
თით, თორთუმის ციხესთან. აქ თემურს საჩივარი დაახვედრეს  
ადგილობრივმა მუსლიმებმა: თორთუმელი ქართველები გვავინ-  
როებენ და საქარავნო მიმოსვლასაც ხელს უშლიან ხშირი თავ-  
დასხმებით.

თორთუმის ციხიონი სულ ორასიოდე ქართველი მეომრისაგან  
შედგებოდა. ციხისთავი თაყა იმუამად თორთუმიდან წასულიყო და  
თავის ნაცვლად მოადგილე დაეტოვებინა, სახელად გორჯიბეგ.

თემურლენგმა იმ 200 ქართველს 25 000 თათარი მიუსია ხუთი  
სარდლის მეთაურობით. ქართველებმა მტერს დაზავებაზე უარი  
შემოუთვალეს და საომრად გაემზადნენ. ხუთი დღე-ღამე უშედე-  
გოდ აწყდებოდნენ თათრები თორთუმის კედლებს. მეექვსე  
დღეს გადალახეს, შეიჭრნენ, უკანასკნელი ქართველი მეომრები  
დაჩეხეს და თვითონ ციხე საძირკვლამდე დაანგრიეს.

თემურლენგის მეშვიდე ქართული ლაშქრობა თორთუმის

ტრაგედიით დასრულდა. აქედან იგი თურქეთს შეიჭრა. 1402 წლის 28 ივნისს ანგორასთან ერთმანეთს საომრად შეხვდა მსოფლიოს დაპყრობაზე მეოცნებე ორი ინვალიდი შეიჩრა-რი თემურლენგი და ცალთვალა ბაიაზეთ ილდიმირი.

სასტიკი ხოცვა-ულეტა ისევ თემურლენგის ძლევამოსილებით დამთავრდა.

თურქეთის სულთანი დატყვევებული მიჰვარეს თემურს.

გამარჯვებული თათარი ერთხანს მდუმარედ უცქერდა და-მარცხებულ თურქს და მოულოდნელად სიცილი აუტყდა.

„რა გეცინება, თემურ, — ნაღვლიანად უთხრა სახედამენ-ყრილმა ბაიაზეთმა, — განა არ იცი, რომ დღე უღამოდ არავის უნახავს და ყოველი იძვრისი ბოლოს მაინც მიწად იქცევა?“

თემურმა სიცილი დაიოკა და ახლა ეს უთხრა მხარგაკრულ მეტოქეს:

„ღმერთია მონამე, შენდა დასაცინად და ჩემდა საამებლად არ გამცინებია; უნებური სიცილი წამსკდა, რაკი ღმერთს მთელი ქვეყანა ისე გაუმასხრებია, რომ ორ მახინჯს — მე კოჭლსა და შენ ბრუციანს — ნება მოგვცა, ორასი ათასი ადამიანი შეგვეულიტა ერთმანეთისთვის“.

1403 წლის ზაფხულში თემურლენგი მერვედ მოადგა საქარ-თველოს საზღვრებს და გიორგი მეფე „მოკითხა“. გასულ ნელს დადებული ზავის თანახმად, ქართველი მეფე პირადად მე უნდა მნვეოდა, მაგრამ ეს რატომლაც არ მოხდა და ახლა მაინც, თურ-ქეთიდან ძლევამოსილად დაბრუნების შემდეგ, მესტუმროსო მე-ფე გიორგი, — ითვლევინებოდა თემური და ქალაქ კარისაკენ მოემართებოდა არხეები ნადირობით.

გიორგიმ ისევ გაუგზავნა თემურს ელჩიონი, ისევ კონსტანტი-ნე ბატონიშვილის მეთაურობით. კონსტანტინემ თემურლენგს მდიდარი ძლევენი მიართვა, ხარკის გადახდის პირობაც ხელახლა მოახსენა, მაგრამ ესეც აცნობა, რომ მეფე გიორგის ჯერჯერო-ბით არ შეეძლო პირადად ჰელებოდა თათართა მბრძანებელს.

განრისხდა თემურლენგი. ქართველი მეფის ძლევენი თავის ნუ-ქერებს (მცველებს) მიუყარა „დასაფორიაქებლად“. კონსტანტი-ნე ბატონიშვილი მძევლად დაინარჩუნა, ხოლო გიორგის შემო-უთვალა: უკეთუ შენი ქვეყნის წახდენა არ გინდა, მოდიო ჩემთან; მაპმადს ვფიცავ, არაფერს გავნებ და უკანვე მშვიდობით განგი-ტევებ, ხოლო თუ არ მოხვალ, შენს თავს დააბრალე, რაც შენს



ქვეყანას და შენს შეიღებს თავს დაატყდეთო.

გიორგის დროის მოგება სურდა — მოსავლის აღება და კარტულის მომზადება უნდა მოესწრო. ცბიერმა თათარმა ქართველი შეჭირა განზრახვა შეიტყო და სასწრაფოდ ჯარი წარგზავნა ბატონიშვილ შეის ნურ ად-დინის მეთაურობით. ამათ ევალებოდათ, ქართველებისათვის მნიშვე ყანები წაერთმიათ, მოსავალი თვითონ მოენიათ და მონინაალმდეგე ულუქმაპუროდ დაეგდოთ. ნურ ად-დინმა მამის ბრძანება პირნათლად შეასრულა. მისმა ჯარებმა ქართული ყანები მომკეს, გალენეს და მარცვლეულით დატვირთულნი ბანაკს დაპრუნდნენ.

გიორგიმ მტრის შემოჭრამდე მცირეოდენი ყანის მომკა მაინც მოასწრო და სურსათით მომარაგებული მოსახლეობა ისევ მთებისკენ გაუყენა გასახიზნავად.

თემურლენგმა ნადირობა დაავდო და „სხვად ნადირობად“ დასძრა ურდო.

ამჯერად ბირთვისის ციხით დაიწყეს თათრებმა.

ბირთვისის ციხე 150 ნიურთის (ზომა იდაყვიდან თითის ნვერამდე) სიმაღლე მთაზე იყო აღმართული. ყოველის მხრიდან სალი კლდეები ერტყმოდა და მასში შესვლა მხოლოდ ერთადერთი საცალფეხო ბილიკით თუ შეიძლებოდა. ქვეყანაზე ამდენი ციხე გვინახავს და დაგვიპყრია, მაგრამ ასეთი მიუვალი ციხის მნახველები არასოდეს ვყოფილვართო, — გაიძახდნენ თათრები, ბირთვისის ხილვით გაოცებულნი.

თემურლენგმა კონსტანტინე ბატონიშვილი და ივანე სამცხელი ათაბაგი მოიხმო და ჰყითხა: შეიძლება თუ არა ამ ციხის აღებაო; ქართველებმაც უბრალოდ, გულგრილად უპასუხეს: ყოველი ქვეყნის ჯარებიც რომ შეერთდნენ და განკითხვის დღემდე ეომონ, მაინც ვერ აიღებენო ბირთვისის ციხეს.

ბირთვისის დამცველი ციხიონი ორასამდე კაცსაც ვერ მოითვლიდა. მას სათავეში ედგა თორელი, ოცდაათი დიდაზნაურითა და 150 მეომრით, ყველანი ოჯახებით, ცოლშვილიანად.

თათრები ალყად შემოადგნენ ბირთვისის ციხეს. ალყა გაჭიანურდა. ქართველებს ციხეში უხვად ჰქონდათ ნყალი, ჰური და ხორცი. ქვევრებიც კი ჰქონდათ ლვინით სავსე. ისინი გარს მომდგარ მტერს ჯერ ისრისა და ქვის მერებს დააყრიდნენ, მერე მაღალ ქონგურებზე გადმოდგებოდნენ და პურობით, ლვინის სმითა და სიმღერით ახელებდნენ ლრმა ხევხუვებში უსაზმნოდ



ჩაჭედილ მოალყე თათრებს.

დღე დღეს მისდევდა, ღამე ღამეს და ბირთვისის ციხე კულტურა, მიუვალ-მიუსადაგებელი რჩებოდა მტრისთვის. ბოლოს, ზათქმა- თა ბელადებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს: ამ ციხის აღება ჩვენ არ შეგვიძლია, ამიტომ ისლა დაგვრჩენია, თვითონ „ღვთაებრივ თემურს“ ვთხოვოთ, პირადად უმეთაუროს ჯარებს და დარწმუნებული ვართ, მისი უდიდებულესობის ხილვა ქართველებს თავზარს დასცემს და მაშინვე თავიანთი ხელით ციხის გასაღებაც ჩაგვაბარებენო.

მართლაც, მოვიდა თემურლენგი ბირთვისის ციხის კედლებთან. ისევ პირადად უნდა გასძლოლოდა მარჯვენა ხელფეხგამ-ხმარი მბრძანებელი თათრულ რაზმებს.

მისვლისთანავე ციხის მთავარი კარიბჭის პირდაპირ ახალი ციხე ააგებინა თემურმა. იმ ციხეში სამი ათასი თათარი ჩადგა. სხვა ორი მხრიდანაც წამოიწყო ციხეების აგება. თან ლოდსატყორცნი და ისარმფრქვეველი „მანქანების“ გაწყობაც ბრძანა. თვალმოუხუჭავად და მუხლჩაუქნელად ამუშავებდა თემური ყველას, სარდალსაც და რიგით მეომარსაც. საიერიშო კოშკები და კიბეებიც გაამართვინა დიდხელმწიფემ.

როცა ყოველი საიერიშო აღჭურვილობა გამზადდა, თემურმა იერიში ბრძანა. მაგრამ თემურლენგის „ღვთაებრიობაც“ უძლური აღმოჩნდა — ბირთვისის ქონგურებიდანდან, თითქოს ზეციდან, შეუკავებლად მოედინებოდა ქვა-ისარი და ქართული სიმღერა!

ბოლოს მექრითები მოიხმო გაოგნებულმა თემურლენგმა — კლდეებზე ცოცვაში განაფული მეომრები იყვნენ. თვითონ თემური მათთან ერთად ნადირობდა ხოლმე მიუვალ მთებსა და კლდეებში. უთვალავი საბოძვარით ავავსებ, ვინც ბირთვისის კლდეებზე ასვლას შეძლებსო, — ბრძანა მბრძანებელმა.

მექრითთა შორის იყო ვინმე ბეგიჯაგი, რომელიც ღამით მართლაც ავიდა კლდეზე და ციხის უმაღლეს გოდოლსაც მიატანა. მერე მისი მეთაურობით მექრითებმა ოთხასაფეხურიანი თოკის კიბე აგრიხეს, შუალამისას ყველაზე მიუვალ სამხრეთ კლდე-კედელზე აიტანეს და დაჰკიდეს. მაშინვე კიბეზე ასვლა იწყეს თემურისაგან საგანგებოდ დარჩეულმა მეომრებმა მამაცი სარდლის, შაჰმალექის მეთაურობით.

თემურ შაჰმალექს უბრძანებდა: როგორც კი ციხეში ახვალთ, მაშინვე ორად გაიყავით: ერთი ნაწილი ალაყაფის კარის გასაღე-



ბად გაქანდეს, მეორემ ქართველთა იერიში შეაკავოსო.

როგორც ეტყობა, ქართველებს სამხრეთის კედლის მიუვალებული ბის განსაკუთრებით სჯეროდათ და მისკენ გულისყური საჭუბოზე, მოუდუნებიათ. ამიტომაც საფრთხე მხოლოდ რიურაჟზე იგრძნეს, როცა ციხე იდუმალ მოსული მტრით უკვე ავსებულიყო.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ქართველები შემოსეულებს. თათრები საგანგებო დიდ ფარებს მთელის ტანით მოფარებული მოდიოდნენ ერთმანეთზე მიჯრით და მხარაბმით. ქართველები სახეში უმიზნებდნენ და ხახაში აძგერებდნენ ისარს, შუბს თუ ხმალს. ყიუინა, იარაღის ზრიალი და მომკვდავთა გმინვა არყევდა ზეცას. თემურსაც თავისი ურდო ციხის გარშემო მთებზე მიმოეფინა და შეუწყვეტელი ბლავილითა და ყარყაშით ამხნევებდა ციხეში აჭრილ თავისიანებს. თვითონ თემურლენგი ყველაზე მაღლა დამდგარიყო და ზახიანი ხმით ლრიალებდა.

შუადღემ მოატანა. თითოეულ ქართველს უკვე დაეხოცა 5-6 თათარი, მაგრამ თვითონაც ეცემოდნენ დაჭრილ-დაკოდილნი.

შაჰმალექმა თათართა ნანილით მიაღწია ალაყაფის კარს.

აქ უარესი გახელებით შეებნენ მტერს უკანასკნელი ქართველი მეომრები. მაგრამ ეს იყო სასიკვდილო გაბრძოლება. როცა თემურის ურდო უკვე გაღებულ კარიბჭიდან ციხეში ნიალვრად შევარდა, იქ კიდევ სამოციოდე ქართველი დახვდათ, ყველანი დაჭრილნი და სისხლისაგან დაცლილნი. მათ შორის იყო მძიმედ დაჭრილი თორელი.

თემურის ნიშანზე ყველას ბოლო მოუდეს.

მათი ცოლები სარდლებმა დაირიგეს.

თორელის ცოლი თემურლენგმა თავის ყურმოჭრილ მონას აჩუქა — შირვანელ შეიხ იბრაჟიმს.

ეს მოხდა 1403 წლის 12 აგვისტოს, სამკვირიანი სასტიკი ჭიდილის შემდეგ.

და, არ ჩანს, სად იყო ამ დროს მეფე გიორგი მეშვიდე...

ბირთვისის ეკლესია თათრებმა მეჩეთად აქციეს.

ციხე და მისი შემოგარენი თემურლენგმა სამბრძანებლოდ და სათარეშოდ მისცა თავის სარდალს, თახჩებურან ხორასნელს.

ბირთვისის დაპყრობის შემდეგ თემურლენგმა ქართველებთან სასტიკი რენით დაღლილ-დაქანცული ჯარები ოცი დღით დაასვენა, მერე ზემოქართლს მივიდა. აქ, საღლაც მტკვრის მარცხენა მხარეს, ყურულთაი მოიწვია და დასავლეთ საქართველო-

ზე თავდასხმისა და დაპყრობის გადაწყვეტილება გამოიტანა. თემურმა არმია სამ ნაწილად გაყო: პირველ ორ ნაწილს „უზღრესად მრავალრიცხოვან ჯარებს“, თავისი რჩეული ამითქმისათვის, შეის ნურ ად-დინი და შაჰმალექი უსარდლა და საიმერეთოს გზა-ვინწრობებს შეუყენა. ხოლო მესამე ნაწილს სათავეში თვითონ ჩა-უდგა და ნინ ნასულ ამირებს მიჰყეა.

130 წლის მანძილზე იმიერ საქართველოს დამპყრობელ-გა-დამთიელის ბოროტი ფეხი აღარ შეჰებია. ახლა მოდიოდნენ მის დასაპყრობად მსოფლიოს მრავალ ხალხთა დამაქცევარნი და ზარდამტებნი.

მძიმედ მიიკვლევდნენ გზას დასავლეთ საქართველოს შუაგუ-ლისაკენ თათრები. ძალზე უჭირდათ უღრანი ტყეების, მთა-კლდეებისა და თვალჩაუღწეველი ნევარამების გადალახვა. ბრძოლისუნარიანი ქართველობა, რომელთაც ოჯახები კლდე-ხევებსა და ქვაბულ-მლვიმებში გახიზნეს, მტერს თავგანწირუ-ლი ბრძოლით შეება.

თათრები ნაცადი სისასტიკით მისდგნენ უცხო ქვეყანას. ჩეხ-დნენ და ცეცხლს უკიდებდნენ ტყეებს, ვენახებს, ბალებს, ყანებს და ბოსტნებს. საძირკვლამდე ანგრევდნენ და ნაცრად აქცევ-დნენ სოფლებს, ქალაქებს, ტაძრებს და ყოველ კეთილნაშენებს. ისევე ეკიდებოდნენ თოკებითა და კიდობნებით კლდეებზე და შიგ უხდებოდნენ ქვაბულებში შეხიზნულ ქართულ ოჯახებს. მტერ-მოყვარის სისხლითა და ძვალ-ხორცით ირეცებოდა და ივ-სებოდა დასავლეთ საქართველოს მშვენიერი მთა და ბარი, მინა და წყალი.

შეიდასამდე დაბა-სოფელი ააოხრეს და დააქციეს დასავლეთ საქართველოში თათრებმა.

თვენახევრის ბრძოლების შემდგომ, ოქტომბრის დამდეგს, თათრებმა მიატანეს ქუთათისის მისადგომებს. 5 ოქტომბერს თემურლენგმა დიდი ნადირობა გამართა აჯამეთის სახელგან-თქმულ ტყეში. ბებერმა კაცთმოძულე ადამიანთა სისხლით დაურ-წყულებელი გული უთვალავი ნადირის დახოცვით „დაინტნარა“.

მაგრამ ნამდვილი დასაწყნარებელი თემურს ბევრი არაფერი შემორჩენოდა. დასავლეთ ქართველთა ქვეყანაც მორჩილებაზე უარს აცხადებდა. გიორგი მეფე ზავის თაობაზე კრინტსაც არ ძრავდა. აფხაზეთისეკენ განზრახული ლაშქრობა, გაუღლეველი ტყეებისა და ჭაობების შიშით, სავსებით უიმედო ჩანდა. ზამთა-

რიც ახლოვდებოდა და ლიხის გადასასვლელების ჩაკეტვა თბილის თართა ურდოს იმერეთის მინაზე დამინების საფრთხეს უქადაგდა.

12 დეკემბერს თემურმა ერთბაშად დატოვა იმერეთი და სავლეთ საქართველოს დაუბრუნდა.

მას ზავი სწყუროდა, მაგრამ მაინცდამაინც ქართველთა მეფეს უნდა ეთხოვა ზავი. ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან თემურმაც კარგად იცოდა, რა ძვირი უჯდებოდა ქართველ ხალხს მისი მეფის შეუპოვრობა...

ერთ დღეს გიორგი მეფეს თათართა ბანაკში დატყვევებულმა ქართველმა სარდლებმა აცნობეს: უკეთუ თემურლენგს დაუყოვნებლივ არ დაუზავდები, მას გადაწყვეტილი აქვს, „სომხითი და სომხითარნი“ დედაბუდიანად ამოწყვიტოს და მათი დასახლებანი ნასახლარებად აქციოსო.

ლამის შეირყა ქართველი მეფე და მაშინვე აფრინა ელჩები თემურთან ზავის შესაკვრელად. მისმა ელჩებმა დიდი ძლიერიც მიართეს თემურს: 1000 ოქროს თანგა (ფული), 1000 ცხენი, ძვირფასი ქსოვილები, ოქრო-ვერცხლისა და ბროლის ჭურჭლეული, 18-მისხლიანი უმშვენიერესი თვალი ლალისა.

ქართველი მეფე ზავის პირობებად კვლავ თანხმდებოდა ხარკისა და მაშველი ჯარის გაღებას, ხოლო პირად გამოცხადებაზე ისევ ცივ უარს ამბობდა.

თემურლენგიც მცირე ხანს, გულწრფელად თუ არაგულწრფელად, ასეთ „არასაკმარის“ პირობებზე უარს ამბობდა, მაგრამ ბოლოს მაინც თანხმობის ნიშნად „თავი მძიმედ დააქნია“...

მიდიოდა თემურლენგი საქართველოდან.

მიდიოდა — უკანასკნელად მოსული და სამუდამოდ ფეხამოკვეთილი.

მიდიოდა მძიმე საფიქრალით და საჭმუნავით დატვირთული თემური:

მართლა დაიპყრო ის, რაც „დაიპყრო“?!

17 წელინადი უზარმაზარი ურდოებით ებრძვის იგი საქართველოს, 17 წელი! სხვა რომელ დიდ ქვეყანასთან დასჭირვებია ამოდენა დროისა და საომარ ძალთა მსხვერპლად გაღება, ამ ერთმუტა ხალხთან ხმალთაკვეთებას რომ შეალია?! 17 წლის წინ მოვიდა აქ 50 წლის ვაჟეაცი, ახლა აქედან მიდიოდა 67 წლის ბებერი... მიდიოდა და არკი იცოდა, ბოლოს და ბოლოს, მან — ოქროს ურდოს, მავერანაპრის, ხვარაზმის, ხორასნის, ერანის, ინ-

დოეთის, მესოპოტამიისა და თურქეთის დამპყრობელმა —  ყრო თუ არა ეს ერთი ციცქანა მარცვალი დედამიწისა, „საქართველოს“ რომ ეძახიან!.. მთავარი სანუგეშო მაინც ის უნდა ყოფილიყო: დაზავებული და „დამშვიდებული საქართველოდან“ საფრთხე აღარ ელოდა. ახლა მას შეეძლო უფრო გულმშვიდად ნამოენყო მთელი სიცოცხლის მანძილზე საოცნებარი ლაშქრობა — ლაშქრობა დიდი ჩინეთის დასაპყრობად!..

ხოლო საქართველოს მეფე, გიორგი მეშვიდე, თემურლენგის ნასვლისთანავე შეუდგა აოხრებული ქვეყნის აღდგენასა და აღორძინებას.

ეს მერამდენედ „ინყო შენებად“ კერიადაქცეულმა და ფუძეამოგდებულმა ქართველობამ!

გიორგიმ სახელდახელოდ შეყრილი ლაშქრით თათრები ქართული ციხეებიდან განდევნა და საომარი ასპარეზი საქართველოს სამანებს გარეთ გადაიტანა.

1405 წლის ზაფხულში ქართველები თემურლენგის შვილიშვილის, ომარის, სამფლობელოებში შეიჭრნენ, ნახტვენი და განჯა აიღეს, დაარბიეს და დიდალი აღაფი (ნადავლი) მოიალაფეს. ომარმა ფიცხლავ მრავალრიცხოვანი მხედრობა შეყარა, თავის სარდლებს ჩააბარა და ქართველებთან საომრად წარმოგზავნა. გიორგი მეფეც შეეგება მტერს.

სასტიკი ბრძოლა ისევ ქართველებმა მოიგეს და გაქცეულ მტერს მარანდამდე სდიეს.

მომდევნო 1406 წელს გიორგი მეფემ თათრებს წაართვა ქალაქი ანი, მერე კარნუ-ქალაქს (არზრუმი) გადავიდა, აილო, შემოიმტკიცა და იქიდან თავრიზიამდე შურისმგებლური ხმლით ხელში არბია და იავარპყო მუსლიმთა საომარი ბანაკები.

ისევ წარმოგზავნა ომარმა ჯარები ქართველთა „დასასჯელად“. 15 000-მა თათრმა თავრიზი გადმოიარა და აღათალთან დაბანაკდა.

გიორგი 5 000 ქართველით გაეშურა აღათალისკენ. მტერს ღამით დაესხა მოულოდნელად, მისი უდიდესი ნაწილი ამონყვიტა. დანარჩენებს, ბრძოლიდან ოტებულთ, თავრიზიამდე მისდია.

კვლავ ჩაიბუდრა მუსლიმთა გულში „ქართულმა საშიშროებამ“.

დადგა „ჭირი დიდი გიორგი მეფისაგან ყოველთა გარემოთა მაჰმადიანთა ზედა, ვიდრე რახსის კიდემდე მოსრვითა და აღაფობითა“.

ქართველები ნელ-ნელა, მაგრამ იმედიანად შედიოდნენ „მშვიდობასა და შენებასა შინა“.



საქართველოს  
კულტურის  
მინისტრი

მაგრამ ისევ გამოჩნდა ახალი მტერი საქართველოს მარადიული სამტრო-საბუდაროდან — ერანიდან.

ეს იყო თურქმანთა ახალი გვარ-ჯილაგი — ყარა-ყოინლუ, ანუ შავბატუნიანები. ასე ეწოდათ, რაკი მათ დროშაზე შავი ბატყანი იყო გამოხატული.

შავბატუნიანთა „შავმა ბელადმა“ — ყარა იუსუფმა (შავი იო-სები) თემურლენგის ნაშიერნი, მირანშაპი და იმის მემკვიდრეები გაანადგურა და ერანის ადარბადაგანში, ქართულ-სომხური ქრისტიანული სამყაროს პირისპირ, მძლავრი თურქმანულ-მუს-ლიმური სამხედრო მონარქია შექმნა.

ისევ აინვართა სიკვდილის მთესველი ომის ღმერთი საქართველოს კარიბჭეებთან.

1407 წელს უმძიმესი ბრძოლა გაიმართა თურქმანთა და ქართველთა შორის.

საშინელ ხმალთაკვეთებაში გმირის სიკვდილით დაეცა საქართველოს მამაცი მეფე. ქართველ მეომართა უმრავლესობა ფეხ-მოუცვლელად შეაკვდა ურიცხვ მტერს.

გიორგის ცხედარი მისმა ძმამ, კონსტანტინემ, ჩამოასვენა და მცხეთას დაკრძალა.

ასე გაშორდა წუთისოფელს კაცი, მეფე გიორგი მეშვიდე, რომელსაც საქართველოს საჭეომპყრობელთა გრძელ სიაში საისტორიო ბედისწერამ წილად არგუნა უმძიმესი და უბოროტესი უამის ტვირთვა თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნისა.



იმერეთის მეფე 1741 წელს — ძე გიორგი მეექვსისა და შავშია III გურიელის ასულის, თამარისა. ოსმალებმა გაამეფეს და იმავე წელს გადააყენეს. მის ნაცვლად იმერეთის ტახტზე მისი ძმა ალექსანდრე მეხუთე აღადგინეს.



## გიორგი გერგე

ქართლის მეფე — 1446-1466 წლებში, კახეთისა (გიორგი პირველის სახელწოდებით) — 1466-1476 წლებში. მისი მეფობის ხანს ძირითადად დასრულდა ერთ დროს ერთიანი საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების ხანგრძლივი პროცესი. თავდაპირველად საქართველოს ერთიან ტახტს განუდგა სამცხე-საათაბაგო. შემდეგ იმერეთში მეფობის პრეტეზზით გამოდის ბაგრატ ერისთავი, რომელმაც ჩიხორთან გამართულ ბრძოლაში (1463 წ.) გიორგი მეფე დაამარცხა და ქუთათისის ტახტიც თვითონ დაიჭირა. 1465 წელს კი გიორგი სამცხის მთავარმა, ყვარყვარე მეორე ათაბაგმა, ნაიყვანა ტყვედ. ერთი წლის შემდეგ ტყვეობიდან თავდახსნილი გიორგი კახეთის მეფე შეიქნა.

გიორგი მერვის დროს (1459 წ.) ოსმალეთის საპირისპიროდ, საქართველოდან ევროპაში გაიგზავნა ქართული ელჩობა, რომელიც ენვია ჯერ რომის პაპს, შემდეგ საფრანგეთის მეფე შარლ მეშვიდეს, შემდეგ კი მის შვილს ლუი მეთერთმეტეს. მაგრამ ელჩობას საქართველოსთვის არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რაკი ევროპელებმა ოსმალეთთან საომარ მდგომარეობას მასთან მორიგება ამჯობინეს.



ქართლის მეფე 1522-1526 წლებში. იგი ცდილობდა, მშვიდობიანობა და „ძმური მოკავშირობა“ ჰქონოდა საქართველოს დანარჩენ საჭეთმპყრობელებთან, რისთვისაც „დაემეგობრა კახობატონს ლევანს და იყო სიყუარული მის თანა, ევრეთვე ბაგრატი იმერთა მეფისა თანა და ყუარყუარე ყვანდა, ვითარცა მორჩილი თვისი“.

1526 წელს თურქეთის დიდმა სულთანმა სულეიმან I სჯულ-მდებელმა ქართველ მეფეებს — გიორგის, ლევანსა და ბაგრატს, მოციქული გამოუგზავნა და შემოუთვალა:

— ხომ ხედავთ, იერუსალიმი, მთავარი ქალაქი თქვენი სჯულისა, ქრისტიანობისა, უსჯულო ირანელებს დაუპყრიათ; ქრისტეს საფლავი და სხვა წმიდა აღაგნი შეუბილნავთ; მე თქვენთვის მომინდვია იერუსალიმის გამოხსნა; ნადით, განდევნეთ იქიდან ირანელები, დაიპყარით თქვენთვის და გარწმუნებთ, შემცილებელი არავინ გეყოლებათ.

გასაგები იყო, რომ თურქეთის ფადიშაპი ქართველებისთვის არ იტკივებდა თავს. მას თავისი მთავარი მოსისხლის, ირანის შაჰის განდევნა სურდა ახლო აღმოსავლეთიდან. თვითონ ევროპის საქმეებით იყო დაკავებული და ამიტომ პალესტინიდან ყიზილბაშთა ფეხის ამოკვეთა ქართველების მელავსა და ხმალს მიანდო. ამით, ერანისადმი ზიანის მიყენების გარდა, ხონთქარს ქართველების გულის მოგებაც სურდა: ერან-თურქეთის მომავალ დიდ ომში ქართველ მეფეებს თურქეთის მხარე უნდა სჭეროდათ...

ქართველმა მეფეებმა დიდის სიხარულით მიიღეს ხონთქრის „ნვევა იერუსალიმური“.

სასწრაფოდ „სიხარულით შეკრბნენ სპითა თვისითა“ — გიორგი, ლევან და ბაგრატ.

სამცხიდან მოვიდა ათაბაგი ყვარყვარე III მესხთა მხედრობით მოვიდა და ქართლის მეფის დროშის ქვეშ დადგა.

ეს იტკიცა ბაგრატ იმერთა მეფემ, მაგრამ ახლა „ამის დრო“ არ იყო და წყენა გულს დაიმარხა.

„ჯვაროსნულ ლაშქრობად“ მიდიოდნენ ქართველები.

მიატანეს და მიადგნენ იერუსალიმს.

ქალაქის კარიბჭესთან უცხო სტუმრებს ირანელი მეციხოვნე გამოეგება და ჰყითხა:

„გვაუნყეთ, რისთვის მოპრძანებულხართ? უკეთუ სტუმროდ /  
გვეწვიეთ, ერთობ ბევრი ხართ, ხოლო თუ საომრად მოსულხართ  
— ძალზე მცირენი ხართა“.

ქართველებმაც ჯიქურ უპასუხეს:

„საომრად მოვსულვართ ემაგ ადგილთათვის, რომლებიც  
თქვენ, ერანელებს, უსამართლოდ დაგიპყრიათ“.

„დიპლომატიური“ დიალოგი ამით დამთავრდა.

ერანელთა დიდი ციხიონი ქალაქგარეთ გამოიჭრა და ქართვე-  
ლებს დაეძგერა.

„და იქმნა ბრძოლა ძლიერი“.

სასტიკი ჩეხვით ქართველებმა „მოსწყვიდნეს და აოტნეს“  
მტერი.

გაქცეულებმა ისევ ქალაქს მიაშურეს თავდასახსნელად.

ფეხდაფეხ მიჰყვნენ ქართველები და გაქცეულებთან ერთად  
შეიჭრნენ ქალაქში.

იერუსალიმის ქუჩები დახოცილთა სისხლით მოირწყო და გვა-  
მებით დაიხერგა.

მსოფლიო ქრისტიანობის „ჭიპი“ ხელთ ეპყრათ ქართველებს.

ერანელთა განადგურებისა და ქართველთა გამარჯვების ამ-  
ბავი დიდი სიამოვნებით შეიტყო სულთანმა სულეიმანმა. მაშინვე  
გიორგის, ლევანსა და ბაგრატს დიდი ძლვენი და მისართმეველი  
გამოუგზავნა და თანაც „სიგლითა მტკიცითა“ ქართველებს და-  
უმტკიცა: საფლავი ქრისტესი, ქაჩალ-გორა (გოლგოთა), ბეთლე-  
მი, ჯვარის მონასტერი და „სხუანი მონასტერი ყოველნივე“.

ეს ქართველთა დიდი გამარჯვება იყო... იმ „დაცუმულობის  
უამს“...

მაგრამ გიორგი მეცხრე მაინც სუსტად იჯდა ქართლის ტახ-  
ტზე. მას ძლიერი მეტოქე ჰყავდა, ნიჭიერი და მამაცი ძმისწული  
— ლუარსაბ დავითის ძე.

1526 წელს ლუარსაბმა ცოლად შეირთო ბაგრატ იმერთა მე-  
ფის ასული, თამარი, და ამით მან დასავლეთ საქართველოს სამე-  
ფო კარი გიორგის ჩამოაშორა და თავის მოკავშირე-მოყვრად გა-  
იხადა.

იმავე წელს ლუარსაბმა ისე, რომ მეფე ბიძისათვის არაფერი  
უკითხავს, იმერეთის მეფეს მისცა მდინარე ფრონეს დასავლეთი  
დასახლებანი: ალი, სურამი და ახალდაბა.

მალე გიორგი მეცხრემ ქართლის მეფობა სულითა და სხეუ-

ლით უპირატეს ძმისნულს შეატოვა და თვითონ, გერასიმე-ბერის  
სახელით, სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა.

ხოლო, თბილისის ტახტზე ისევ ავიდა კიდევ ერთი ძლიერი საჭირო —  
ქეთმპყრობელი — ლუარსაბ პირველი (527-1558 წ.). — კაცი  
„მხედვანი, ახოვანი, შემმართებელი, უშიში, მორწმუნე, ღვთისმოყვა-  
რე, საღმრთო-სამხედროთა სრული“.



## გიორგი მაათა

ქართლის მეფე 1600-1606 წლებში — ძე სახელოვანი სვიმონ  
პირველისა. ტახტზე ასვლამდე, უფლისნულობაში, გმირულად  
იბრძოდა ოსმალთა შემოსევების უკუსაგდებად. იგი გორში იდგა,  
როცა შეიტყო, რომ მამამისი ოსმალებს ალგეთზე დაემარცხები-  
ნათ ლაფში ჩაფლული ტყვედაც აეყვანათ და წაეყვანათ. რაღა არ  
სცადა გიორგიმ მამის ტყვეობიდან გამოსახსნელად, შვილებიც  
კი მძევლებად მისცა ხონთქარს, მაგრამ ამაოდ. სვიმონი ტყვეო-  
ბაში მოკვდა. ახლადგამეფებულმა გიორგიმ ლორე დააგდებინა  
ოსმალებს. მერე ირან-ოსმალეთს შორის ატეხილ ომში გიორგი  
თავისი ქართული ჯარით ირანელთა მხარეზე იბრძოდა. მისი  
დახმარებით, ირანელებმა ერევანი წაართვეს ოსმალებს (1604  
წ.). მიუხედავად ასეთი „თანადგომებისა“, ირანის მაშინდელმა  
ხელმწიფემ, შაჰ აბას პირველმა საქართველოს წაართვა ლორე-  
დებედის ხეობა.

გიორგი მეათის დროს გაჩაღდა დიპლომატიური ურთიერთო-  
ბა რუსთა და ქართველთა შორის. ეს კავშირი უნდა განმტკიცე-  
ბულიყო ქორწინებით — გიორგის ასულ ელენესა და ბორის გო-  
დუნოვის ძე თევდორეს შორის. მაგრამ ეს გეგმა ჩაშალა რუსეთ-  
ში პოლონეთ-შვეციის თავდასხმა.



# გიორგი მათერთმატე



ქართლის მეფე 1677-1688 და 1703-1709 წლებში — ძე მეფე ვახტანგ მეხუთისა. „ხოლო იყო ესე გიორგი მეფე მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა, შვენიერ-ჰეროვანი, პირ-მხიარული, ენა-ტკბილი, უხვი და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე უებრო“.

მაშინ ქართლსა და კახეთზე ირანის შაჰი სულეიმანი მბრძანებლობდა და გიორგის გამეფებაც მისი ნებით მოხდა. სულეიმან შაჰის პირველივე დავალება გიორგისადმი ეს იყო: შენი ძმა არჩილი ქართლიდან გააძევეო, მაგრამ გიორგიმ თავისი საყვარელი ძმის გაძევება არ ისურვა. მაშინვე ახალი ბრძანება მოადევნა სულეიმან შაჰმა: როგორც გიბრძანე, არჩილი მანდედან გააძევე, ან შეიძყარ და აქ ირანს გამომიგზავნეო.

გიორგიმ ისევ აავლო ყური სპარსელი მეფის ბრძანებას. მაგრამ მალე თვითონ არჩილმა იხსნა ძმა უხერხულობისაგან: დაპკრა ფეხი და იმერეთს წავიდა, სადაც მან ერთ ხანს მეფობაც „იშმოვნა“.

მაინც არ დაცხრა სულეიმანი, რამეთუ დაუცადებლად ახრჩილბდა ბოლმა გიორგი მეფის ორივე ძმისა — არჩილისა და ლუარსაბისა, რომელნიც ირანის მოსისხლე თურქეთს ელაციცებოდნენ.

და, ახლა ეს შემოუთვალა სულეიმანმა ქართლის მეფეს: შენი ძმა ლუარსაბი გამომიგზავნე სპარსეთშიო.

— წავალ, იქნებ იქიდან, სპარსეთიდან, უფრო გამოგადგეო, — თვითონ უთხრა ლუარსაბმა ძმას და გიორგიმაც გაუშვა იგი შაჰთან.

იმავე უამს მოკვდა ლუარსაბის სიმამრი, რევაზ არაგვის ერის-თავი. გიორგიმ საარაგვო ჩააპარა თავის მამიდაშვილს, იასონს, ოთარ ერისთავის ძმას (ოთარი რევაზის უნინ განაგებდა არაგვის საერისთავოს).

ხოლო არჩილმა ქუთათისის ტახტზე ერთი წელიც ვერ მოათია და ისევ ქართლს გადმოვიდა. ისევ აფრინა შაჰმა ბრძანება გიორგი მეფესთან: „შეიძყარ არჩილ და წარმოავლინე წინაშე ჩემსა, ანუ განაძე!“

ადგა არჩილი და ქართლიდან დვალეთს გადავიდა. გიორგიმ შაჰს აცნობა: თქვენი ბრძანება შესრულებულია, — არჩილი გაძევებულია.

მაგრამ შაჰმა კარგად იცოდა, რომ დვალეთიც საქართველო იყო და გიორგი მეფის „ეშმაკობაც“ აშკარად საცნაური. ამიტომ

ერთხელ კიდევ მოსწერა შაჰმა მეფეს: „მოღალატე ძმას“ ქართველი თლიდან ფეხი ამოაკვეთინეო.

გიორგი მეფე კათალიკოსისა და ეპისკოპოსების თანხმებით ძმას შეხვდა და შაჰის ახალი ბრძანება გააცნო.

არჩილმა სავსებით მოუღოდნელი რამ უთხრა მეფე-ძმასა და მის მხლებელ სულიერ მამებს: მე გადავწყვიტე რუსეთს ნავიდე, ოღონდ ქრისტეს სამსჭვალი, სუდარა და საბელი უნდა მომცეთო!

ასეთმა მოთხოვნამ ყველა გააოცა. მცხეთის სვეტიცხოველში საუკუნეების მანძილზე, მართლაც, დიდის მონიწებით ინახებოდა ძველისძველი ლურსმანი, სუდარა და თოვი, როგორც უკანასკნელი მონამენი და „მონანილენი“ იქსო ქრისტეს ნამებისა:

გაიოცეს, უარიც უთხრეს, მაგრამ არჩილმა იმ პირობით, რომ „ქრისტეს ნივთებს“ ისევ უკან დააბრუნებდა, თავისი გაიტანა.

არჩილმა ფიცი დადო, „ქრისტეს ნივთები“ მიითვალა და რუსეთისაკენ გასწია.

არჩილი წავიდა, მაგრამ სპარსეთის შაჰი გიორგი მეფეს უკვე აღარ ენდობოდა. იგი ხედავდა, რომ ქართლის ახლანდელ მეფეს თავი გაცილებით უფრო დამოუკიდებლად ეჭირა, ვიდრე წინარე მეფე-ხანებს — როსტომსა და ვახტანგს.

მალე აშკარად საცნაური შეიქნა, რომ გიორგი სპარსეთის დაუკითხავად და ანგარიშგაუნევლად ამყარებდა მეგობრობას, მოყვრობას, თუ მტრობასა და მესისხლეობას, — ვისთანაც როგორ მოისურვებდა. უფრო მეტიც: სპარსეთის მტრებთან უფრო სიახლოვესა და „სიყვარულს“ ამჟღავნებდა, ვიდრე თვითონ სპარსეთის ერთგულ მეგობრებსა და ქვეშევრდომებთან.

ამიტომ „კვალად არა დასცხრა შური შაჰ-სულეიმანისა გიორგი მეფესა ზედა და მცდელობდა შემუსრვასა მისასა“.

„გურგინ-ხანი მეგონა გამაჰმადიანდა, მაგრამ ისევ ქალარი (ურჯულო, ქრისტიანი) დარჩენილაო,“ — იძახდა გამნარებული შაჰი.

კერ დიდი ხნის ნაცადი ხერხი “დაიწყო ირანის მბრძანებელმა: ქართველი მეფისაგან ქართველი თავადების გადაბირება, ღალატი, რენეგატობა. ამ საქმის მოგვარება კი სულეიმანმა თავრიზის ბეგლარბეგს, ჰაჯი-ალი-ხანს დაავალა.

ჰაჯი-ალი-ხანმა აეშაგები (ჯაშუშები) დაუგზავნა ქართლის თავადებს; ბევრი, მართლაც, ჩაითრია და „დაითრია“, მაგრამ გიორგი მეფეც არ დარჩა ვალში: მისდგა და ყველა მოღალატე „მოთათრე“ თავადი დაუნდობლად ამონყვიტა დედაბუდიანად.

მერე იმერეთის საქმეებს „ჩაუღრმავდა“ მეფე გიორგი მეფე  
თმეტე. იგი ცდილობდა, ქუთათისის ტახტზე ყოველთვის მჯდა-  
რიყო „ნებისმყოფელი თვისი“. სპარსეთის მომტერე და ოსმალები  
თის ქვეშვრდომ ახალციხის ფაშასთანაც გააბა ურთიერთობა  
გიორგიმ. იმერეთის ტახტიდან მოძალადე გიორგი გურიელი გა-  
დააგდო და, ასლან ფაშას დახმარებით, მის ნაცვლად გაამეფა  
ალექსანდრე ბაგრატის ძე, რომელსაც მანამდე თავის კარზე „ძე-  
ებრ ზრდიდა“. კიდევაც დაუმოყვრდა გიორგი ალექსანდრეს —  
ცოლად შერთო თავისი ძმის, ლუარსაბის ასული ელენე.

თავის ერთადერთ ვაჟს, ბაგრატს, გიორგიმ ცოლად შერთო  
ჩერქეზთა ბატონის ასული — რუსუდანი.

იმ ხანად დედინაცვალი გარდაეცვალა — სახელოვანი მარიამ  
დედოფალი. მალე მეუღლეც მოუკვდა გიორგის — თამარი.

გიორგი მეფე მეორე ქორნინებით დაუმოყვრდა რაჭის ერის-  
თავს, პაპუნას, — ცოლად შეირთო პაპუნას მამიდაშვილი ხვარა-  
შან, ასული გიორგი მიქელაძისა.

ყველა ეს „მოყვრობანი“ და „კავშირები“ გულზე ლახვრად ერ-  
ჭობოდა ირანის შაჰს.

ისევ „დაუტრიალდა“ პაჯი-ალი-ხანი ქართველ თავადებს,  
„რამეთუ არლარა აქვნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა  
თვისთა ერთგულებისა, ვინადგან მცირედითა ნიჭითა გამაპმა-  
დიანდებოდნენ“.

სპარსეთიდან ლუარსაბ ბატონიშვილი ატყობინებდა ძმას მო-  
ლალატე თავადების სახელებს.

ამჯერად მეფეს გადასდგომოდნენ და „სათათრო გზაზე“ შემ-  
დგარიყვნენ: იასონ არაგვის ერისთავი (გიორგის მამიდაშვილი,  
თვითონ გიორგისგან ერისთავად დასმული), ქვემო ქართლის მე-  
ლიქი ქამარ-ბეგი, ერეკლე მუხრან-ბატონი (რომელსაც თვითონ  
მეფე „ზრდიდა, ვითარცა ძესა თვისსა“), იესე და ელიზბარ, ძენი  
ზაზა მაჩაბელისა.

გიორგი მეფე მათაც მისდგა სასტიკი დაუნდობლობით.

მელიქ ქამარ-ბეგს კოჯრის გზაზე გულში ცხელი ტყვია გაარ-  
ტყეს და გააგორეს.

ერეკლე მუხრან-ბატონი და ძმანი მაჩაბელნი მეფემ დააბორ-  
კილა და ციხეში ჩაყარა.

იასონ ერისთავი მისმა „შეჩენილმა კაცმა“ ფეხისადგილში  
თოკით მოგუდა.

არაგვის საერისთავო მეფემ გიორგი ოთარის ძეს მისცა.

მერე რუსეთში, იქ წასულ არჩილთან ორი ბერი გაგზავნა და შეასრულა: ჩამოდი, ძალიან მჭირდები, კახეთიც და იმერეთიც შენს მეფობას ნატრულობენ... მაგრამ ის ბერები დაღესტანში რომ გადავიდნენ, შამხალის ბატონმა შეიპყრო და შაჰს შეატყყობინა...

ბოლოს, ყოველ „სიკეთესთან“, გიორგი მეფეს „ძველ ქართულ ქრისტიანობასთან“ ერთად იდუმალ კათოლიკური ქრისტიანობაც მიუღია თურმე.

გველის კაჭრობამ შეიპყრო ერანის ხელმწიფე.

ერთ დღეს გიორგი მეფეს შაჰისაგან ახალი ბრძანება მოუვიდა: ჩემო გურგინ-ხან, შენი ძმა ლევანი უნდა გამომიგზავნო უსა-თუოდ სპარსეთშიო.

ლამის გული შემოეყარა მეფეს. ლევანი მარტო ძმა კი არა, პირდაპირ მისი მარჯვენა ხელი იყო. სწორედ ეს შეეტყო შაჰ სულეიმანს: გიორგი მეფის „ყოველი საქმის წარმმართებელი“ ლევანი არისო, და ამიტომაც „სჭრიდა მარჯვენს“ ერანის შაჰი ქართლის მეფეს.

ლევანს ცოლი მოჰკვდომოდა, თუთა გურიელის ქალი. ის იყო გლოვა ჩაეთავებინა და მეორე ცოლი შეერთო — თინათინ, ასული გიორგი ავალიშვილისა. სწორედ იმ უამს მოვიდა თბილისში შაჰის ბრძანება ლევანის განვევისა.

დიდხანს აწვალა ფიქრმა გიორგი მეფე, მერე დაჯდა და ნერილი მისნერა შაჰ სულეიმანს: ოლონდ ლევანს ნუ წამართმევ და მძევლად ჩემს ერთადერთ შვილს — ბაგრატს გამოგიგზავნიო!

გაოცდა სპარსეთის მბრძანებელი. მართლაც, სწორედ რომ წამეტანი იყო! გიორგი მეფე ძმის სანაცვლოდ იამავარ (დედისერთა) ძეს იმეტებდა! ალბათ მართლა დიდი რამ ჯადო ყოფილა გურგინ-ხანისთვის მისი ძმაო! — იფიქრა შაჰმა და უცებ ისეთი რამ მოიფიქრა, რაიც სწორედ აღმოსავლელ ურჯუკ ხელმწიფეს შეეფერებოდა. მან გიორგი მეფეს შემოუთვალა: ერთადერთ შვილს რომ იმეტებ, მართლა ყოფილა დასაჯერი შენი ერთგულებაო; მაგრამ კიდევ უფრო რომ დავიჯერო, ორივე გამომიგზავნე — ძმაც და შვილიც!

ავარდა და აზვავდა გიორგი მეფე. უსისხლოდ შეუძლებელი ყოფილა შაჰ სულეიმანთან შერიგება და მორიგებაო, — და სასწრაფოდ შეუდგა საომარ სამზადისს.

ეტყობა, დიდ აჯანყებას აპირებდა გიორგი მეფე. მარტო ქარ-

თლის ჯარი საკმარისად არ მიიჩნია და კახეთის ჩათორევაც საკუ-  
და სპარსელებთან მოსალოდნელ შეტაკებაში.

კახეთს კი ყიზილბაში ხანები განაგებდნენ, ყარალაჯიშ-ჩაგუ-  
სხადრნი და კახელთა აჯანყების მუდმივი შიშით დათართულნი.

გიორგი რომ ქართლის მეფედ წამოვიდა, მაშინ შაჰმა კახეთის  
მმართველად ბეჟან-ხანი გამოგზავნა. ბეჟან-ხანი, როგორც ით-  
ქვა, ყარალაჯიდან გამოსვლას ვერა ბედავდა, რადგან არც კახე-  
ლი თავადი და არც გლეხი, არც ერი და არც ბერი სისხლდაუქ-  
ცევლად არ აპირებდა თავისუფლების დათმობას. კახეთის ყო-  
ველ სათავადოს ისევ კახელი თავადი განაგებდა ყველასაგან (სპარსელი შაჰისა, თუ ქართველი მეფისაგან) დამოუკიდებლად.  
მაშინ ბეჟან-ხანმა მიპარვით, ზურგიდან ჩარტყმით, მონამვლით,  
ცილისნამებითა და ურთიერთნაქეზება-ნაკიდებით სცადა კა-  
ხელთა დასუსტება. მაგრამ კახელებიც ასე იოლად არ ტყუკდე-  
ბოდნენ და იმათაც „იწყეს კრძალვა და ფრთხილობა“.

გიორგიც იდუმალ შეეცადა ბეჟან-ხანის მოსპობას,  
რომელსაც მისმა გაზრახებულმა კაცმა თოფი ესროლა, მაგრამ  
ტყვიამ განანირს მხოლოდ მხარი მოსტება და სიკვდილს ვერ მის-  
ნია. გიორგიმ, კვალი რომ წაეშალა, დოსტაქარი გაუგზავნა დაჭ-  
რილს. ბეჟანი მაინც არ მოტყუცებულა და უთქვამს კიდევაც: „უმ-  
ჯობესი იყო, გურგინ-ხანს არც თოფი ესროლა და არც დოსტაქა-  
რის გამოგზავნა დასჭირვებოდაო“.

ჭარელი ლეკები წააქეზა და გამოუშვა ბეჟან-ხანმა კახეთის  
სოფლების საძარცვავად და საოხრებლად. თვითონ, როგორც კა-  
ხეთის „პატრონი“ და „მფარველი“, ვითომ ხელს იბანდა და ორ-  
ჭოფობდა. თუ კახელები ამოულეტდნენ ლეკებს, მაშინვე ხმას აი-  
მაღლებდა: ქრისტიან გიაურებს ნება არა აქვთ, მაჰმადიანების  
სისხლი დააქციონო, ხოლო თუ ლეკები კახელს მოკლავდნენ, —  
რა გაენყობა, მაჰმადიანს ქრისტიანი გიაურის მოკვლა ალაჰისა-  
გან მაღლად ეთვლებაო.

მაგრამ კახელები მაინც მძლავრობდნენ, რევაზ ჩოლოყაშვი-  
ლის, აბელ ანდრონიკაშვილისა (ქიზიყის მოურავი) და მერაბ ვაჩ-  
ნაძის (ენისელის მოურავი) მეთაურობით.

სწორედ ამ სამ კახელ მამულიშვილს დაუკავშირდა გიორგი  
მეფე. ამათაც „მისცეს პირი მტკიცე“. ერთმანეთს შეეკრნენ და  
შეეთქვნენ. დღეც დაინიშნეს, სად უნდა შეყრილიყვნენ ქარ-  
თლელთა და კახელთა ჯარებით, როგორ უნდა დასცემოდნენ ყა-

რაღავს, მოეკლათ ხანი და გაეწყვიტათ ყიზილბაშთა ციხიონი /  
ის ღამეც ჩამოდგა. კახელები დათქმულ ადგილზე უნდა მისუად  
ლიყვნენ და ქართლელებს ელოდნენ.

ქართლის ჯარს მიუძლოდა თამაზ ყაფლანიშვილი, გიორგი მე-  
ფის ბიძა (დედის, როდამ დედოფლის, ძმა), ქართლის სპასპეტად  
თვითონ გიორგისგან აღზევებული.

უცებ თამაზ ყაფლანიშვილი სიბნელეში გაუჩინარდა, ყარაღავს  
მივიდა და ბეჟან-ხანს ქართველთა განზრახვა შეატყობინა. ატყდა  
განგაში. ყიზილბაშთა ციხიონი ფეხზე დადგა. ფაიქები (შიკრიკები)  
გაფრინდნენ მეზობელ სახანოებში იქაური ჯარების გამოსაწვევად.

ამაო ლოდინით გულგასენილი კახელები უკან გაპრუნდნენ.

უსარდლოდ დარჩენილი ქართლელებიც გაიფანტნენ.

გიორგი მეფის ეგზომ დიდი განაზრახი ეგზომი სიბოროტის  
წყალობით ჩაიშალა.

გიორგიმ ისევ შაპთან შერიგება ამჯობინა და მისი ბრძანებაც  
აღასრულა: შვილი და ძმა ისფაპანს გაგზავნა.

ლევანი და ბაურატი ცივად მიიღეს შაპ სულეიმანის კარზე.

მალე გიორგის შაპის ფიცხელი ბრძანება მოუტანეს კოჯრის  
სასახლეში: ქართლის მეფობა ერეკლე ბატონიშვილს ვუბოძეთ,  
შენ კი ჩემს ნინაშე მობრძანდი, რამეთუ „მოგცე ქვეყანა სხვა და  
ნიჭი დიდი“!

გიორგიმ შაპის რაყამი (ბრძანება) შორს მოისროლა.

იდგა 1688 წელი.

სპარსეთ-საქართველოს გზაზე ქართლის ახალი მეფე მოაჭე-  
ნებდა ცხენს, ბრწყინვალე ამალით, შაპისგან ნაწყალობევი სიმ-  
დიდრითა და მისართმეველით.

ქართლის ეს ახალი „მეფე“, „პატრონი“, „ხანი“ თუ „ვალი“ —  
გახლდათ ერეკლე ბატონიშვილი, რუსეთში „ცარევიჩ ნიკოლა-  
ის“ სახელით ცნობილი, ძე დათუნასი, ძის-ძე მეფე თეიმურაზ  
პირველისა.

მაგრამ ერეკლე-ნიკოლოზს უკვე მესამე სახელიც „ემოვნა“,  
თათრული სახელი — ნაზარ-ალი-ხან. თურმე მაინც ვერ გადა-  
ურჩა „თათრად მონათვლას“ ამპარტავანი ქართველი უფლის-  
ნული, „ორგზის ქრისტიანი“, ორი ქრისტიანული ქვეყნის —  
საქართველოსა და რუსეთის აღზრდილი.

მაინც ქართული სახელით დაივანებს ქართველ გვირგვინო-  
სანთა გრძელ ნუსხაში — ერეკლე I (1688-1703 წწ.).

საქართველოში რომ შემოვიდა, ცხენიდან გარდახდა, განმარტოვდა, მუხლებზე დაეცა, მიწას აკოცა და დიდხანს იღებდა ჯვარსახოვნად, ქრისტიანულად, ქართულად.



## ერეკლე პირველისა

ქართველი ხალხის მოღალატე თამაზ ყაფლანიშვილი შემოუძღვა ქართლში ახალ ხელმწიფეს.

ყარაღაჯელი და ყაზმინელი ხანები გაეფრთხილებინა შაჰ სულეიმანს: თუ ქართლელებმა ნაზარ-ალი-ხანს რაიმე ცუდი შეჰკადრონ, მაშინვე თქვენის ჯარებით მიეშველეთო.

თუშთა და ქიზიყელთა ჯარებიც წინასწარ გაემზადებინათ ერეკლეს შათირებს (შიკრიკებს), — „ყოველ შემთხვევისათვის“, რამეთუ იგი „ვერა ეგოდენ ენდობოდა ქართლელთა“.

მაგრამ „ისეთი“ არაფერი მომხდარა: ქართლელები წყნარად და მმვიდად შეეგებნენ „მაინც ქართველ მეფეს“.

გიორგის ხომ შაჰის ბრძანება ჰქონდა — ერანს მეწვიეო, მაგრამ არც ერანს წავიდა, არც მის მეტოქეს შეეგება, კოჯრიდან ცხინვალს მივიდა, ცხინვალიდან რაჭისკენ გაქუსლა. მას თან გაჰყვა კათალიკოსი წიკოლოზი და რამდენიმე ქართლელი თავად-აზნაური. რაჭის გზას რომ შეუდგნენ, გიორგიმ ერთხელ კიდევ სთხოვა თანალტოლვილებს: ნუ მომერიდებით, ვისაც გული გეთანაღრებათ, ჯერ კიდევ გვიან არ არის და ახალ მეფესთან დაბრუნდითო. რამდენიმემ, მართლაც, შემოაბრუნა ცხენი.

მალე შაჰ სულეიმანს ასეთი საშფოთარი ამბავი ჩაუტანეს საქართველოდან: რაჭაში, პაპუნა ერისთავის კარზე, თავი მოუყრიათ ძმებს — გიორგისა და რუსეთიდან ახლადდაბრუნებულ არჩილს.

„არჩილი და გიორგი რაჭას შეიყარნენო და იმერეთს ეჭიდებიან“.

დაფეთებულმა შაჰ სულეიმანმა ფიცხელი ბრძანება აფრინა საქართველოში: თუ მართლა გიორგიმ და არჩილმა ქუთათისის ტახტისკენ გასწიონ, მაშინვე იმერეთის მეფეს ქართლელთა და კახელთა ჯარებით მიეშველეთო. ისეთივე ბრძანება აზერბაიჯანის ბეგლარბეგსაც გაუგზავნა სულეიმანმა.

მაგრამ გიორგიმ და არჩილმა კიდევაც „გაინიეს“ და თავისი გაიტანეს. არჩილი ისევ დაჯდა იმერეთის ტახტზე. ერეკლე მცირებული ფერის განძრევაც ვერ მოახერხა (თუ „არ მოახერხა“?).

მხოლოდ ეს იყო, რომ იგი დიდი პატივით შეხვდა იმერეთიდან გორძი გამოცეულ ალექსანდრე მეოთხეს.

გიორგის ურჩობით ბალანაშლილმა სულეიმან შაჰმა ხელი წა-მოუსვა გიორგის ძეს — ბაგრატს, და ძმას — ლევანს, და ორივე-ნი ჰერათში (ავღანისტანში) გადასახლა ბორკილგაყრილნი. ხო-ლო გიორგის მეორე ძმა, ლუარსაბი, ქირმანს წარგზავნა იქაურ ციხეში ჩასაგდებად. ქირმანისკენ მიმავალ ლუარსაბას ქრისტია-ნობის დაგდება და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვეს. ლუარსა-ბი გაძალიანდა, ღამით ცხვირპირი სილაქებით დაიღენა და დაი-სისხლიანა. მეორე დღეს, როცა სპარსელმა „სამართლის ქურუ-მებმა“ ეგზომ დაშავებულობის მიზეზი ჰკითხეს, ლუარსაბმა ეს აიჩემა: წუხელის მოლები და იმამები მომიხტნენ, რატომ მაჰმა-დის რჯულს არ ღებულობო, და ასე ულმერთოდ მცემესო. არ და-უჯერეს, ძალით შეიძყრეს, ხელფეხშეერულს წინა დაუცვითეს და მაჰმადიანად „მორჯულებული“ ქირმანის ციხეში ჩააგდეს.

ერეკლე I გამეფების უამს 46 წლის კაცი იყო. საქართველოდან მას მხოლოდ ბავშვობა და ყრმობა ახსოვდა. 22 წელიწადი რუ-სეთში გაატარა, 14 წელიწადი — სპარსეთში. გარეგნულად დია-ხაც უმშვენიერესი ვაჟკაცი იყო — ტანად ტანოვანი და სახედ სა-ხიერი. მაგრამ მისი შინაგანი სამყარო საგრძნობლად აემლვრია უცხოობაში ხანგრძლივ ცხოვრებას. თამარ მეფის პირველი ქმრის შემდგომ საქართველოს ტახტს არ მოსწრებია ეგზომი „მსმელი“ და „ქალთა მოლალე“, როგორიც „ცარევიჩ ნიკოლაი“ აღმოჩნდა. ღვინო მაინც და მაინც ძალიან არ უყვარდა. თურმე ვერ შეუსრულებია თავისი პაპის, თეიმურაზ მეფის, შეგონება და მაინც მისჩვევია „ფიცხელი სასმელის“ (არყის) ყლურნვას რუ-სეთში. ხშირი სმისა და შევება-ლხინის მოყვარეს არ შეეძლო „ზარხოშობის დონემდე“ თავის შეკავება და თრობით დათრგუნ-ვილი „ლირნიანად და უშვერად“ ენამყრალობდა, შიმუნვარ ქა-ლებს უგვანად ელაციცებოდა. ცოლ-შვილი სპარსეთში დაეტო-ვებინა — ასე „უჯობდა“ ხარჭების მოყვარულს.

ბუნებით გულმონყალე იყო, „მცირეთა ყურის მიმპყრობი“, თა-ნაც „დიდთა დამამდაბლებელი“. ერანის შაჰის გარდა ძალლადაც არავის აგდებდა (თუ დავაზუსტებთ: მხოლოდ მას სცნობდა უზე-

ნაეს „გენიად“, ვინ, შაჰის ტახტზე მოასწრებდა წამოსკუპებას! ტახტზე დაბრძანებისთანავე ძველი საერო და სასულიერო თანამდებობის პირნი გადააყენა და ახლები დანიშნა: კათალიკები, სი — იოანე დიასამიძე, მთავარეპისკოპოსი — ნაცვლიშვილი (იმერეთიდან რომ წაჲყვა და აღარ მოშორებია), თბილელი — დომენტი ყაფლანიშვილი, მანგლელი — იოსებ ჯავახიშვილი („რომლის ძმისნული ერეკლემ მოიყვანა ხარჭად მისად“), მსაჯულთუხუცესი — ბარძიმ ერისთავი (გიორგი არაგვის ერისთავის ძმა), სახლთუხუცესი — თამაზ ბებურიშვილი, ვეზირად — ყიასი, ყულარალასად — ლუარსაბ ყაფლანიშვილი (გიორგი მეფის მოღალატე თამაზ ყაფლანიშვილი სულ მოიცილა თავიდან).

ამათ მიანდო ერეკლე მეფემ ქართლის მართვა-გამგეობა, ხოლო თვითონ „მარადის იშვებდა და იხარებდა და ნადირობდა“.

მაინც კახეთისეკენ უფრო ეჭირა თვალი კახეთის ბაგრატიონთა წაფესვარს. სულეიმან შაჰმაც შეიწყნარა მისი „კახური მისწრაფებანი“ და „სახასოდ“ მისცა ქიზიყი და თუშეთი.

ქართლის ძველ თავადობას არ შეიძლებოდა მოსწონებოდა „რუსეთუმეს“ ახალი, უცნაური ღონისძიებანი — ძირძველ ფეოდალთა დაქნინება, ჩამოქვეითება და „ახლების“ (ლამის „ვიგინდარების“) დანინაურება. მათ არ სურდათ შერიგებოდნენ, რომ ერეკლე მეფე „ძველების“ დაქვეითებით და „ახლების“ ამაღლებით თავის საკუთარ, ასე ვთქვათ — ცენტრალიზებულ ხელისუფლებას ქმნიდა. მანამდე რომ, „ვისაც როგორ ენება, ისე სჯიდა“, ერეკლემ ესეც „იუცნაურა“ და ახალი, „ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო სამართალი“ შემოილო.

ერეკლემ იცოდა, რომ მისგან დაქვეითებული ძველი ქართლელი თავადობა, იდუმალ თუ აშკარად, ისევ გიორგი მეფეს „ეძიებდა“ თბილისის ტახტზე დასაბრუნებლად. მაგრამ არც ამაზე ფიქრით იწამლავდა „ორი დღის წუთისოფელს“ ლხინისა და დროს-ტარების მოტრფიალე მეფე. არხეინად იყო, რადგან ქართლის მთავარ ციხეებში ყიზილბაშური ციხიონები ჰყავდა.



## „ორხელმწიფობა“



ქართველები მთელს აზიაში უმამაცესპი ზალგია  
და მათ საშინაო თანხმობა რომ ჰქონოდათ, მაშინ  
კერავითარი საგარეო მტრული ძალა უმცირეს ზი-  
ანსაც ეი ვერ მიაყენებდა.

პ. ლევაშოვი, რუსი დიპლომატი, 1766 წ.

მას შემდეგ, რაც მეფე გიორგი მეთერთმეტემ თავისი ძმა არ-  
ჩილი ქუთათისის ტახტზე განამტკიცა, თვითონ ჯერ გურიას ჩა-  
ვიდა, იქიდან — გონიას, შემდეგ სამცხეს გადავიდა და ოშორას  
ციხეში ჩადგა. აქ შეიტყო, რომ იმერეთიდან გამოქცეული ალექ-  
სანდრე იმერთა მეფე წედისში დამდგარიყო და მაშინვე ჯარი გა-  
მოგზავნა მის შესაპყრობად, მაგრამ ბეჟან სააკაძისგან გაფ-  
რთხილებულმა ალექსანდრემ გორის ციხეში შეასწრო და გიორ-  
გის ჯარი სამცხეში ხელცარიელი დაბრუნდა.

ერეკლე მეფემ სულეიმან შაჰს აცნობა ეს ამბები.

სულეიმანმა ოსმალეთის სულთანს დიდი ძლვენით დატვირ-  
თული დესპანი გაუგზავნა და შეუთვალა: ვინაიდან ჩვენს შორის  
არის ზავი და მშვიდობა, გთხოვთ, მომცეთ ჩემი ქვეშევრდომნი  
— არჩილი და გიორგი, ხოლო თქვენი ქვეშევრდომი ალექსანდრე  
თქვენსავე იმერეთში დაბრუნეთო.

ხონთქარს მოეწონა ირანის შაჰის ეგზომ „სამართლიანი“ მო-  
ნოდება და ასლან ფაშას ბრძანება გამოუგზავნა: ახლავე არჩილი  
და გიორგი შეიძყარ, ორივე სპარსეთს გაგზავნე და იმერეთის მე-  
ფედ ისევ ალექსანდრე აღადგინეო.

გიორგის ერთგულმა მესხებმა ამცნეს საშიშროება. მეფე  
ახალციხის სიმაგრეში ჩაიკეტა. აქ ქართლელ თავადთა წერი-  
ლები და მისართმეველი მიუვიდა. აშოთან მუხრანბატონი, გივი  
ამილახორი და ნიკოლოზ მალალაშვილი (ყველანი ერეკლესაგან  
განაწყენებულნი) სწერდნენ გიორგის: ოლონდ ქართლს მობ-  
რუნდა, მხარში დაგიდგებით, შენთვის სიცოცხლეს გავნირავთ  
და ტახტზე ისე აგიყვანთო; ეს ოქრო-ვერცხლი ქრთამად მიეცი  
ქრთამზე გაგიუებულ ოსმალებს და გამოგიშვებენო.

ქრთამზე ლაპარაკი აღარ დასჭირვებია გიორგის. იმ ღამით  
ერთგულმა დოლენჯი ხმალაძემ ციხის კედელზე თოკით გადმო-  
უშვა მეფე.

ქართლისენ გაქუსლა გიორგიმ.

გზაზე შესცილდნენ ერთმანეთს მტრები.

ერეკლე მეფე კოჯორის სასახლეში იდგა, როცა გიორგის შემოქრის ამბავი შეატყობინეს. მაშინვე გაქუსლა მეფემ, თბილისში შეასწრო და ჩაიკეტა.

1691 წელი იდგა.

ქართლში ორი მეფე იწყებდა „ერთმეფობისთვის“ ბრძოლას.

ალექსანდრე იმერთა მეფეს ცოლ-შვილი რუისში დაეტოვებინა. გიორგი მიუხტა და ყველანი შეიძყრო.

თვითონ გიორგის მეულლე ხვარეშან დედოფალი და სახლეული ახალდაბას ჰყავდა. ერეკლემ ქაიხოსრო ციციშვილი („ლოპინა“) გაგზავნა მათ შესაპყრობად, მაგრამ ქაიხოსროს გზა გადაუჭრა გიორგის ძმისწულმა, ვახტანგ ლევანის ძემ (შემდგომში — მეფე ვახტანგ მეექვსე), დაამარცხა და უკუაქცია გიორგის ოჯახის მომტერენი.

გიორგიმ თბილისს გვერდი აუქცია და ჯერ დუშეთს მივიდა, მერე თიანეთს. შემოეგებნენ გიორგი და ბარძიმ ერისთავები, „სიყვარულითა თაყვანის-მცემელნი და ითხოვეს შენდობა“.

ამასობაში ქაიხოსრო ციციშვილის ძმისწულმა — ციცი ციციშვილმა ბიძას მთელი საციციანო წართვა და გიორგი მეფეს დაუმორჩილა.

თიანეთიდან დიდგორს დაეშვა გიორგი. აქ მას შეუერთდნენ ქვემო ქართლელი ბარათაშვილები.

დიდგორიდან კოჯორს ავიდა, „მშობლიურ სასახლეში“ ფეხი მოირთხა და ისევ შეუდგა ქართლის „განგებულობას“.

კათალიკოსად ისევ ნიკოლოზ ამილახორი აღადგინა, მსაჯულთუზუცესად ბარძიმ ერისთავი დატოვა. ერთი სიტყვით, ყველა „ძველ წარჩინებულს“ თავისი „ძველი სახელი“ დაუბრუნა.

ბარძიმ ერისთავი ჯარით აფრინა — იმერეთს გადადი და არჩილს მიეშველეო, მაგრამ იმერეთიდან უკვე გამოეძევებინათ არჩილი, რომელიც რაჭის გზით წამოსულიყო. მას ერნოზე შეხვდა ბარძიმი და გამოუძლვა ქართლის შუაგულისაკენ.

ძმები თბილისს მიადგნენ, „ფრიად შეამჭირვეს“, მაგრამ მაინც ვერ აიღეს.

გიორგი მეფე კახეთის თავადობას „ეზრახა“: ისევ დაიბრუნეთ არჩილი მეფედო. არჩილს კახელთა შორის დიდი სიყვარული და

პატივისცემა და ემსახურებინა და მაშინვე „სიხარულით მოსცემს“  
პირი მტკიცე ფიცითა და აცნობეს ესე არჩილს“.

მაგრამ არჩილმა თვითონ აღარ ინება კახეთის ტახტისადა  
გვირგვინი. მას მტკიცედ გადაეწყვიტა რუსეთში წასვლა...

ოთხი წელინადი გაგრძელდა საშინელი, ძმათაშორისი სის-  
ხლმათხევარი „ორიანობა“: ბრძოლა გიორგისა და ერეკლეს შორის.  
ცოდვიანი ომის სასწორი წონასწორად ქანაბდდა. ზიარი ჭურჭლე-  
ბივით ერთიმეორეს „ანაკლულებდნენ“ და „ავსებდნენ“ ერთმანე-  
თის სისხლით: ერთიმეორის ბანაკში მიმორბოდნენ „პოლიტიკურ  
წყვდიადში“ ბრმად მოფართხალე საომარი ძალები. იდგა ხმალთა  
გაუთავებელი კვეთება — „კვეთებითა მეხისათა“, ჩალიბად ბრძო-  
ლა (ნინონმინდაში ქიზიყის მოურავმა დუშია ანდრონიკაშვილმა  
ქართლის სახლთუხუცესს ბარძიმ ერისთავს უბრალოდ, შესაშინებ-  
ლად, ტყვიით ბეჭი დაუმსხვრია), თოფების ბათქაბუთქი, ზარბაზ-  
ნების გრიალი (ერთი ჭურვი მცხეთის სვეტიცხოველსაც დაეტაკა,  
მაგრამ გადაურჩა არსუების ნახელავი უგუნურად ნასროლს), გა-  
ნუეთხავი ყელის გამოჭრა და თვალთა „აღმოხდომანი“ (გიორგიმ  
შეიპყრო და თვალები დასთხარა ერეკლეს მომხრე ბეჟან სააკაძეს).

ერთჯერ შერიგებაც სცადეს გიორგიმ და ერეკლემ. კიდევაც  
შეთანხმდნენ: გიორგი ქართლის ტახტს დაიჭერდა, ერეკლე —  
კახეთისას. კიდევაც უნდა ეუნიკებინათ ეს შეთანხმება შაჰისათ-  
ვის, მაგრამ „არა აუფლეს მეშვიოთეთა ესე ყოფად“ — არცერთი  
„ბანაკის“ თავადობამ არ ინება იარაღის დაყრა.

გრძელდებოდა თვითამოწყვეტა და თვითდაქცევა ქართლ-კა-  
ხეთის ცის ქვეშ.

1694 წელი იყო.

ერთ დღეს გიორგის ამბავი მოუტანეს: სამასი თუში და კახი მე-  
ომარი, გივი ჩოლოყაშვილისა და ბაადურ შანშიაშვილის მეთაურო-  
ბით, ერეკლეს მოსაშველებლად მოეშურებაო. გიორგიმ ისევ გაგ-  
ზავნა ჯარით თავისი მამაცი ძმისნული — ვახტანგ ლევანის ძე.

„ტალავრის-ბოლოს გორასა ზედა... იქმნა კვეთებული ბრძო-  
ლა ძლიერი“. სულ ერთიანად ამოწყვიტეს ქართლელებმა კახე-  
ლები. ბრძოლაში სარდლებიც დაიხოცნენ — გივი ჩოლოყაშვილი  
და ბაადურ შანშიაშვილი.

ქართლელებმა კახელთა ულეტა რომ მოითავეს, უცებ თბილი-  
სისეკნ მიმავალი ყიზილბაშური ჯარი დაინახეს.

ვახტანგმა მტერს მაშინვე გზა მოუჭრა და ჯარი საომრად გააწყო.

სპარსელებიც შედგნენ.

ვახტანგმა შათირი (შიკრიკი) გაგზავნა ამბის შესატყობიდან იდან არიან, სად მიდიან, რისთვის მიდიანო?!

სპარსელებმაც გამოატანეს პასუხი შათირს: შაჰ სულეიმანი მომკვდარა და ირანის ტახტზე მისი ძე დაბრძანებულა — შაჰ სულთან ჰუსეინი, ახლა ეს ჯარი თბილისს მიეშურება, იქაური სპარსული ციხიონი უნდა შეცვალონ და თანაც ერეკლე ნაზარ-ალი-ხანს ახალი შაჰისგან გამოგზავნილი ხალათი მიართვან!

მაშ, სულეიმან შაჰი მომკვდარა!..

მაშ, ირანის ტახტზე ახალი შაჰი — სულთან ჰუსეინი აღზე-ვებულა!..

ხოლო, ახალი შაჰიც, რაკი იგი ხალათს ერეკლეს უგზავნის, ისევ ერეკლეს სცნობს ქართლის გამგებლად და არა გიორგის!

მაშინვე საომრად დაძრა ჯარი ვახტანგ ლევანის ძემ.

სპარსელებიც შემოეგებნენ გულსრულად და გააფირებულად.

ვახტანგმა სპარსელთა სარდალი ამოილო მიზანში, ცხენი გააქანა, ჰოროლით (შუბი) მკერდი შეუწიგრია და მინას უსულოდ და-ანარცხა.

მოკლული ყიზილბაში სარდლის საჭურველთმტვირთველმა შორიდან მშვილდი მოზიდა და ვახტანგის გულს დაუსისწორა ისარი.

ბენვზე დაასწრო ხოხონა ხერხეულიძემ — ვახტანგს მკერდზე ფარი ააფარა. სპარსის ისარი მაინც ჩაერჭო ხერხეულიძის ფარს, მაგრამ სხეულამდე ვერ გაატანა და აშკარა სიკვდილს გადაურჩა ქართველთა სარდალი...

ბრძოლა გრძელდებოდა.

ერთი ახვევანი სპარსი დანინაურდა, ზედიზედ ხუთი ქართველი ვაჟკაცი — დიდად „მხნე ჭაბუკი“ უსულოდ ჩამოყარა ცხენებიდან.

მაშინ გაუხტა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, დაეძგერა, ცხენიდან დაითრია და მინას დაანარცხა გიორი სპარსი, შემდეგ ძირს დაცემულს დასწვდა და წამოაყენა;

„შენი დიდი სიმხისა და ვაჟკაცობისათვის მიპატიებიაო“, — უთხრა გოსტაშაბიშვილმა და ცოცხლად გაუშვა მოულოდნელი მარცხითა და მოპირდაპირის დიდსულოვნებით გაოგნებული.

ყიზილბაშთაგან მცირე გუნდმა სიკვდილს გაასწრო და შაჰის გამოგზავნილი ხალათი ერეკლეს მისართმევად წაიყოლა.

მობრუნდა ვახტანგ ლევანის ძე გამარჯვებული.

გიორგის მოახესენეს: ერეკლე მეფე ბოლნისს ყოფილა, თუმცა  
წამოსულა და ახლა უკვე თბილისს უახლოვდებაო.

საქონის შემსრულებელი

გზა გადაუჭრა მეტოქეს გიორგიმ.

ლამე იყო...

ერეკლე გამოჩნდა. ფრთხილად მოდიოდა, ამალით.

გიორგი აიმართა საიერიშოდ.

არჩილმა არ დაანება: ხელს ნუ ახლებ, რა ვაჟუაცის საქმეა ასე  
ქურდულად თავდასხმაო!

გიორგიმაც აიღო ხელი „მოპარულ გამარჯვებაზე“.

იმავე, 1696 წელს, ირანის ახალ მპრძანებელს ტყვეობიდან გა-  
მოეშვა გიორგის ძმები — ლევანი და ლუარსაბი, ხოლო ბაგრატ  
გიორგის ძე პყრობილობასვე მომკვდარიყო ჰერათის ციხეში.

ერთადერთი შვილის სიკვდილმა უმძიმეს წუხილში ჩააგდო  
გიორგი მეფე.

დედოფალი ხვარაშანი შვილის ჯავრს გადაჰყვა.

ამაოდ ცდილობდა არჩილი, შავნალვლიანობიდან გამოეხსნა  
ოჯახამოწყვეტილი ძმა...

მცირე ხანიც გამოხდა და ახლა არჩილს ენვია ყველაზე მძიმე  
უბედურება: მისი ძე მამუკა მომკვდარიყო რუსეთში.

მთელი ზამთარი ორივე ძმა ჩაიკეტა საგლოველ და ცრემლ-  
საოხეველ სენაკებში.

1695 წლის გაზაფხულზე შაჲ სულთან ჰუსეინმა ერეკლეს  
თხოვნით ცინცხალი მხედრობა გამოგზავნა საქართველოში. ყი-  
ზილბაშთა ჯარს კახეთის ახალი მმართველი მოუძღვდა — ქალ-  
ბალი-ხანი, რომელსაც ყარაღაჯში უნდა შეეცვალა ერეკლესთან  
ნაჩხუბებული აბაზ-ყული-ხანი.

ერეკლე და ქალბალი-ხანი ერთიანი ძალებით მიეტევნენ გი-  
ორგი მეფეს. გიორგიც რამდენჯერმე დაუხვდა გულსრულად...

ისევ გამოჩნდა ქართლში იმერეთის მეფე ალექსანდრე მეოთხე.

მაგრამ იმერელმა წარჩინებულებმა თვითონ შეიძყრეს თავი-  
ანთი უხიაგი მეფე და ცოცხლად მიართვეს რუსისში მდგარ გიორ-  
გისა და არჩილს. გიორგის ბრძანებით, ალექსანდრე დაახრჩვეს  
და იქვე დაფლეს, რუსისი ეკლესიაში.

მთავარი მაინც ის იყო, რომ გიორგის საომარი ძალები სავსე-  
ბით დაშრეტოდა.

იმავე 1695 წელს მან ქართლი დატოვა და იმერეთს გადავიდა.

მისი მამაცი ძმისნულები — ქაიხოსრო და ვახტანგ ლევანის

ძენი, ერთმანეთს გამოეთხოვენ. ქაიხოსრო, გიორგისა და არჩილის უცნობებლად, სპარსეთს წავიდა შაპთან შესარიგებლად, ვახტანგი კი ბიძებს წაჰყვა იმერეთს.

ქაიხოსროს სპარსეთში დიდის ამბით შეხვდნენ მამამისი ლევანი, ბიძამისი ლუარსაბი და ბოლოს შაპ სულთან ჰუსეინი. შაპი გახარებული იყო, რომ კიდევ ერთი მამაცი და ჭკვიანი ვაჟკაცი შეემატა სპარსეთის „გურჯა სათვისტომოს“.

იმერეთში უქმად მდგარ გიორგის ერევნის ხანმა წერილი გაუგზავნა: ეახელ შაპ სულთან ჰუსეინს პირადად და შეურიგდიო; მე ვიქნები შენი თავმდები, რომ არამცუ რაიმე წყენა შეგემთხვეს, „არამედ უფროსად სარგებელი და წყალობა და მრავალნილად კეთილის ყოფა ყაენის მიერო“.

გიორგის ჭუაში დაუჯდა ეს წინადადება. ისიც გასაგები იყო, რისთვის ირჯებოდა ერევნის ხანი: იგი ქალბალი-ხანის მოსისხლე მტერი იყო, ხოლო ქალბალი-ხანისა და ერეკლე მეფის მეგობრობა თავისთავად ერეკლესა და ერევნის ხანის ურთიერთმტრობასაც მოიცავდა.

ნამოვიდა ქუთათისიდან გიორგი მეფე; ხარაგოულს შეჩერდა მცირე ხნით, სადაც თავისი რძალი, ბაგრატ უფლისნულის ქვრივი — რუსუდან ჩერქეზი, ცოლად შერთო ძმისნულს — ვახტანგ ლევანის ძეს (თითქოს, ასეთი ქორნინების მეოხებით, კიდევაც იშვილა ერთგული ძმისნული უშვილძიროდ დარჩენილმა გიორგიმ).

ქორნილი იყო „არა დიდებული“, ულხინო და გაუხარელი.

აქ ბიძა-ძმისნული დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ვახტანგი ცოლით იმერეთს დარჩა. გიორგი ქართლისკენ წამოემართა.

ალს რომ მოატანა, შაპის გამოგზავნილი მეპმანდარი (მესტუმრე) შემოეგება დიდძალი ძლვენით. თურმე ერევნის ხანს უკვე მიუხარებია შაპ სულთან ჰუსეინისთვის: გიორგი მეფე უკვე გზაზე ადგას თქვენთან შესახვედრად და შესარიგებლადო. სამახარობლოდ თოფანგჩიალასობა („რომელ არს ყოვლის მეთოფის ბატონობა და უფროსობა“) უბოძებია შაპს ერევნის ხანისთვის.

გიორგიმ ქართლში დატოვა თავისი უმცროსი ძმა სულეიმანი ცოლ-შვილით და ნიკოლოზ კათალიკოსი. ამათ უნდა „მოევლოთ“ აქაური საქმეებისათვის, რამეთუ გარდაცვლილიყო მეფის უახლოესი კარისკაცი და ყოველ „სამეფო საქმეთა“ გამგებელი გივი ამილახორი.

გიორგი არაგვის ერისთავი და ზურაბ ზურაბიშვილი აიყოლია

მეფემ, წინ სპარსელი მეპმანდარი გაიძლოლა და გაუდგა **საქართველო**  
თვეელო-სპარსეთის ცოდვიან გზას...

საქართველო  
სამართლებრივი კუთხი

დიდი ზეიმით შეხვდა ერანის სატახტო სახელოვან გურგინ-ხანს.

შაჰმა „კეთილად შეიწყნარა, მისცა ნიჭი და გაკვეთილი“.

შემოეგებნენ გიორგის ძმები — ლევან და ლუარსაბ, ძმისნული ქაიხოსრო ლევანის ძე. სპარსეთს ნებით თუ უნებლიერ გადახვენილი უამრავი ქართველი შემოეხვია უმძიმესი ნუთისოფლით დარეგვილ რაინდს.

მაინც რას უპირებს ირანის შაჰი გურგინ-ხანს, იმდენი სისხლისა და სირცხვილის სანაცვლოდ, რაც მისმა მზვაობარმა გულმა და საღმასურის ხმალმა აგემა სპარსეთს?!

მალე შეიქნა საცნაური: რაც მოხდა მოხდა, ყველაფერი დავინუებულია!

გიორგი მეფე, დიდი ქართველი მხედარი და მხედართმთავარი, მისი გულუძვრელობით, გრანიტის ნებიანობით და საღმასური ხმალით, ერანის სახელმწიფო კარს ახლა ძალიან, ძალიან სჭირდებოდა!..

ქართლში მეფედ ისევ ერეკლე პირველი დარჩა.

იგი კიდევ რვა წელი იმეფებს, ფრიად უფერული მეფობით.

ისევ აღამაღლებს „თავის ხალხს“ და დაამდაბლებს გიორგის ერთგულთ.

ისევ კახეთის საკეთილდღეოდ უფრო იღვნის ქართლის მეფე, ვიდრე ქართლისთვის.

ეს უცნაური „ქნინი-პატრიოტი“ საქართველოს სატახტოს დაცვას მხოლოდ „თანამემამულე კახელებს“ ანდობს. როცა გაჭირვებულ ქართლელ გლეხს შეხვდება, მტკვარზე საგანგებოდ გადებულ „კახეთის ხიდზე“ მიუთითებს და ეტყვის:

„აი, იმ ხიდზე გადადი, შე უბედურო, იარე და კახეთში შეხვალ, სიმდიდრისა და სიმშვიდის ქვეყანაში. დაესახლე იქ, იშრომე, იცხოვრე და იხარე!“

და იყრებოდა ქართლის მოსახლეობა და სახლდებოდა „ბეჭნიერ კახეთში“.

ზოგად-ქართული ისტორიისათვის ეს იგივე იყო, რაც „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“, — მაგრამ ამნაირი „კახური პოლიტიკა“ ამ ანდაზის ფილოსოფიით მაშინ არ ესმოდა არც ქართლელს, არც კახელს და არც თვითონ ერეკლეს.

ისევ მთავარ გმირს — გიორგი მეთერთმეტეს — მივყვეთ.

შაჲ სულთან ჰუსეინმა დიდის ამბით მიიღო და „შეიტკპო“ ჯირ ქართველი მხედარი და მხედართმთავარი. მან ყველაფერი დაიკურებულია, რაც კი „ამპარტავან გურგინ-ხანს“ ერანელი „უფროსი მშენებელი სათვის“ ვნება მიეყენებინა. დაივინყა და დაიკუბოვა, რადგან იმუა-მად არავინ ისე არ სჭირდებოდა ჰუსეინ შაჲს, როგორც გიორგი...

დღე და ღამე აუღებელი სუფრა გაეშალა ჰუსეინს გიორგის „სა-დიდებლად“ — ისევ „ქართული ყაიდით და ნაქცეურობით“. მონა-დიმერიც უმეტესნილ ქართველნი იყვნენ — უნებურად, თუ „ნები-ერად“ სპარსეთს გადახვენილნი. გიორგის განუშორებლად გვერ-დით უსხდნენ ძმები — ლევანი და ლუარსაბი, ძმისნული ქაიხოს-რო ლევანის ძე. აქვე იყვნენ: გიორგი არაგვის ერისთავი, ზურაბ ზურაბიშვილი (მეფის მხლებლები), სესნია ჩხეიძე (ისტორიკოსი), დავით ქსნის ერისთავი, პაპუნა მუხრანბატონი და თამაზ ორბე-ლიანი (სამივე ქირმანის ციხიდან გიორგი მეფემ გამოაშვებინა შაჲს), თამაზ ორბელიანის ძენი — კაცია და მამუკა, დავით აბაშიშ-ვილი, ვახტანგ ციციშვილი, პაპუნა ციციშვილი და ყანდაპარის ხა-ნი ზურაბ ყაფლანიშვილი.

იყო სმა, ზმა, სიმღერა. თვითონ შაჲ ჰუსეინი „კარგი აზნაურ-შვილი იყო“, მაგრამ მაინც ყველა დაეჩრდილა გიორგის ღრმააზ-როვან სიტყვას, მახვილგონიერებას, „მაღალ ხუმრობას“ (რა ეხუმრებოდა თავისი დაქცეული სამშობლოსა და ამონწყვეტილი ოჯახის პატრონს?!). ქართულ ჰანგს დაეკინებინა სპარსული ბაიათი (რა ემღერებოდათ სამშობლოს წყურვილით გულადუღე-ბულ ხიზნებს?!)...

ერთ დღეს ქლირმანიდან შიკრიკები მოიჭრნენ და შაჲს აცნო-ბეს: ბელუჯთა ტომები ისევ არ გვასვენებენ, გვაოხრებენ და გვა-ნიოკებენო.

შაჲ ჰუსეინმა ისევ გააწყობინა სანადიმო სუფრა, ისევ მოიწვია გიორგი, „დახუდა მოცინარითა პირითა და დაისვა ახლოს თავი-სა“. კარგად რომ შეღვინიანდნენ, შაჲმა გიორგის სავსე ყანნი გა-უნდა, მუხლზე ხელი დაჲკრა და უთხრა: ჩემო ძეირფასო მამავ და ძმაო, გადავწყვიტე ქირმანის ბეგლარბეგად დაგნიშნოო.

გიორგიმ მაშინვე ცივი უარი სტკიცა.

შაჲ ჰუსეინი ვითომც „ძლიგს მიხვდა“ ამაყი ქართველის უარის მიზეზს და უმაღვე უთხრა:

„აჲა, ქართლის მეფობის შემდგომ ქირმანის ბეგლარბეგობას მიწუნებ, არა?“

გიორგიმ უსიტყვოდ და სულმოუთქმელად გამოცალა ყანნა.

შეუჩინდა და ალარ მოეშვა შაპი გიორგის. მკლავებში აფრინდა ბოდა, მხრებსა და მკერდზე ელაციცებოდა და ეხვენებოდა: ჯერ ქირმანის ბეგლარბეგობა იკმარე და მაღე ისეთ წარჩინებას მოგიძლვნი, რაიც შენს სულსა და გულს უსაზღვროდ გაახარებსო.

ბოლოს და ბოლოს, „ქვემდგომი“ „ზემდგომს“ უნდა „გასტეხოდა“ და გიორგიც დასჯერდა „ჯერჯერობით“ ქირმანის ბეგლარბეგობას.

უსაზღვროდ გაიხარა შაპმა. ღვინოს მიეძალა და სტუმარიც მიაძალა. მთელი დღე ატრიალეს ყანნები ჰუსეინმა და გიორგიმ. „ორივე დიდად დაითვრნენ. ხან ყაენი დაუსხემდა ღვინოსა, ხან მეფე“.

თანამესუფრეთა ორივე მხარემაც — სპარსელებმა და ქართველებმა — ძალიან მოილხინეს ხელმწიფეთა „გარიგებისა“ და „შერიგების“ გამო.

მეორე დღეს გიორგის სპარსელი ბეგლარბეგები და ხანები ეახლნენ, ძვირფასი საჩუქრები მიართვეს და ბეგლარბეგად „დანინაურება“ მიულოცეს.



## „ვაი თქვენ, რამეთუ ქართველები მოვიდნენ!“

გიორგი მეფე ქირმანში თვითონ მაინც არ წავიდა და მასზე მინდობილი საბეგლარბეგოს სამმართველოდ ნაიბად (მოადგილედ) შაპს თავისი ძმა ლევანი დაანიშვნინა.

და, წავიდა ლევან ვახტანგის ძე ქირმანს. ოთხი ათეული ქართველი თან გაატანა გიორგიმ ძმას, მათ შორის — დავით აბაშიშვილი და სეხნია ჩხეიძე. (სეხნია ჩხეიძე — მამაცი მხედარი და ნიჭიერი მემატიანე, ლევანის ვაჟების — ქაიხოსროსა და ვახტანგის თანაშეზრდილი იყო. გამორჩევით, თავის კბილა ქაიხოსროს ემე-გობრებოდა იგი).

ოცი დღის ჭენების შემდგომ მივიდნენ ქართველები ქირმანს. სიხარულითა და ზეიმით შემოეგებნენ ქირმანელები — უმამაცესი და უკეთილშობილესი ქართველები გამოუგზავნია მწყალობელ შაპს ჩვენს საშველადო!

მეთორმეტე დღეს ლევან ბატონიშვილს სპარსელმა მაღემ-

სრბოლებმა მტრის ახალი შემოსევის ამბავი მოუტანეს: ბელუ ჯები მირ-ხოსრო-შაპის წინამძღოლობით ბანდარის ქვეყანას დაესხნენ და აოხრებენო.

ლევანმა ამხედრება ბრძანა. თექვსმეტი დღე-ღამის ჭენების შემდგომ მიატანეს „ქანუდინარსა, სამძღვარსა ბანდარისასა“.

მზვერავებმა ამბავი მოარბენინეს: ბელუჯთა ორი სარდალი, ორი ათასი მეომრით და ნაძარცვით დატვირთული, ერთი კლდის ძირას არის დაბანაკებული.

ორი ათასი მეომარიო?.. ორი ათასი საერთოდ არ არის ბევრი, მაგრამ ამჯერად, დიახაც, დიდი ძალა იყო, რამეთუ ლევან ბატონიშვილს სულ, „ავ-კარგათ“, მხოლოდ ექვსას ორმოცი მეომარი ჰყავდა და: აქედან მარტო ორმოცი კაცი იყო ქართველი; დანარჩენი ექვსასი სპარსელები იყვნენ — ბელუჯთაგან მრავალგზის დამარცხებული და დაშინებული სპარსელები!

ფიქრის დრო აღარ იყო და მაშინვე დაძრა ლევანმა თავისი ჯარი. მხნედ მიდიოდნენ, „სიხარულით“, „ვითარცა ქურნილსა შინა წვეულნი“, მაგრამ სპარსელებს მაინც „უმძიმდათ სიმცრო ჯარისა“.

ლევანმა ჯარს შეცბუნება შეატყო და უცებ რუსთველის ლექ-სი გადაჰკრა ომახიანად:

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებან ხმელთა სპანი!“

ნელში გაიმართნენ და მხრებში გაიშალნენ მეომრები...

სიცხიანი უდაბნო გადალახეს და მიმწუხრისას მიაღწიეს ბელუჯთა ბანაკს.

კლდის პირას აქლემები შემოეწვინათ ბელუჯებს, თვითონ კლდეზე დალაგებულიყვნენ. მტერი მოსვლისთანავე შენიშნეს, მაგრამ არაფრად ჩააგდეს: ჯერ ერთი, ძალიან ცოტანი არიანო და მეორეც — სპარსელები ხომ მრავალჯერ მიგვიტყებია და მიგვიწყვეტიაო.

ლევანმა რაზმი კლდეს მიაყენა და დააბანაკა.

არც ერთ მხარეს უძილობით თავი არ შეუწუხებია: ლევანი შეტევაზე გადასვლას დილით აპირებდა, ბელუჯებს კი საერთოდ არ ეშინოდათ „სპარსელი ცხვრების“ თავდასხმისა არც ღამით და არც დღისით.

დამე რომ მიიწურა და გარიურაუდა, ბელუჯთა მხრიდან გუშაგი გადმოდგა და გადმოსძახა:

„სპარსელებო, თქვე საბრალოდ აშენებულნო, რამდენჯერ და-გამარცხეთ, რამდენჯერ ქონება წაგართვით, რამდენჯერ სის-

ხლი და ძმარი გადინეთ, ახლა კიდევ ვინ მოგაცდუნათ, ამ  /  
ადრიან სიკვდილს რომ შეგყაროთ?!"

ლევანის რაზმიდან სპარსელი გუშაგი დაწინაურდა შავასული  
ხოდ. ჯერ ერთი მაგრად შეუკურთხა და ისე შესძახა:

„ბელუჯნო, მოვიდა რისხვა თქვენს-ზედა, მობრძანდა საქარ-  
თველოს ვალი ლევან, რომელსაც თან ახლავს ჯარი ქართველთა  
— კაცის-მჭამელთა!“

ქართველებს სიცილი აუტყდათ. სეხნია ჩხეიძე იძახდა: რა ჯა-  
რი, რის ჯარი, — ოციოდე ქართველი ვართ და კაცის ჭამა კი არა,  
თითოს თითო ქათმის შექმაც არ შეგვიძლია!

მაგრამ იმ შეძახილმა — „ქართველები მოვიდნენო!“ — სწო-  
რედ რომ „დიდი ქმუნვა“ და შიში ჩამოაგდო ბელუჯთა ბანაკში.  
მაგრამ რა გაეწყობოდა, — გაქცევას მაინც დახვედრ ამჯობინეს  
და მაშინვე თოფის სროლა აუტეხეს საომრად აღძრულ ქარ-  
თველთა და სპარსელთა გუნდს.

სეხნია ჩხეიძემ ურჩია პატრონს: დავქვეითდეთ და ცხენებს  
ამოვეფაროთო. ლევანს გაეცინა — „ეგ რა საკადრისია!“ —  
შესძახა და თოფისა და ისრის სროლა უბრძანა ჯარს.

კლდის ქვემოთ, მცირე ბორცვის მიღმა, სამი ბელუჯი ჩასაფ-  
რებულიყო და სწორედ მათ გაეხსნათ მიბრჯნით ცეცხლი ქარ-  
თველებისაკენ. სამიზნედ თეთრ ცხენზე ამხედრებული ლევანი  
აერჩიათ ბელუჯ მსროლელებს. ფარი უფარა სეხნია ჩხეიძემ ბა-  
ტონს. ტყვიამ ფარი გაგლიჯა და სარდლის მარქაფა ცხენს სასიკ-  
ვდილოდ მოხვდა კისერში.

ლევანის რაზმში სპარსეთის დიდვეზირის შვილი იყო — ჯა-  
ფარ-ბეგი, მამაცი ჭაბუკი. იგი დაწინაურდა თავისი მცველებით  
და მეაბჯრებით. იმ ბორცვს მიეჭრა, ორი ბელუჯი იქვე განგმირა,  
მესამე გაექცა. მოკლულთა თავები მთავარსარდალს მიართვა ჯა-  
ფარ-ბეგმა. ლევანმა შეაქო ახალგაზრდა გმირი — ქართველი სარ-  
დლის ქება დიდი ჯილდო იყო სპარსელი მეომრისთვის.

თოფისა და ისრის სროლა შუადლემდე გაგრძელდა.

საშუადლეოზე ლევანმა ჯარს იერიში უბრძანა, „ან ვნახოთ  
ვაჟკაცობა თქვენიო!“ — შეპყივლა, ცხენს ქუსლი ჰერა და  
მტრისეუნ გაფრინდა ისრის სროლით. სამი ბელუჯი ჩამოაგდო  
ზედიზედ ისარგანწონილნი, მერე ხმალი ამოაგელა და „ზენაარ-  
მან ღვთისამან, ასე შეერია შიგა, როგორც ლომი თხათა შიგა გა-  
რეულიყო“.

ლევანის გვერდით დიდი შემართებლობით იბრძოდა სეინა ჩხეიძე. მისვლისთანავე თვითონაც სამი ბელუჯი დაანვინა და თიმეორებზე.

ერთი ბელუჯი მიეპარა ბრძოლაში თავმიცემულ ლევანს, თო-  
ფი უფეხთქა, მაგრამ დაუცდა და ტყვიამ იღლის ქვეშ წამოსასხა-  
მი გაუხვრიტა ბატონიშვილს. მოუსწრო სეხნია ჩხეიძემ და იღლი-  
იდან იღლით შუბზე ააგო ბელუჯი იგი.

მზის დასალიერზე ბრძოლა დასრულდა. ბელუჯთა ჯარი უკვე განადგურებული იყო. მხოლოდ მცირენი გაქცეოდნენ სიკვდილს. დახოცილებს სპარსელებმა თავები დაპკვეთეს — ათას ხუთასი თავი შეგროვდა. ლევანის რაზმიდან ას ორი მეომარი აღმოჩნდა მოკლული.

ქანუდინარს მობრუნდნენ გამარჯვებულნი და „ნაშოვარით ავსებულნი“. იქ მირ-ხოსრო-შაჰის დახვედრას ელოდნენ, მაგრამ ბელუჯთა ბელადს მისი სარდლების მარცხი უკვე შეეტყო და გაქცეულიყო „ქართველთა შიშით“ შეპყრობილი.

ლევან ბატონიშვილმა თვითონ „აღარ ინება“ გამოდევნება და ორასი რჩეული მეომრით სეხნია ჩხეიძე ჩაუყენა კვალში გაქცეულებს.

ნამოენია სეხნია ჩხეიძე მირ-ხოსრო-შაჰს „მანიუავის ღელეზედა“, ნამოენია და ასი კაცი დაატოვებინა, თვითონ ბელუჯთა მეფემ ძლივს გაასწრო სიკვდილს. შემოიქცნენ გამარჯვებულნი და ასი ბელუჯის მოკვეთილი თავები დაულაგეს წინ ლევან ბატონიშვილს.

უხვად დაჯილდოვა ლევანმა თავისი გაზრდილი და ერთგული მეაბჯრე. „უბოძა საბოძვარი უშურველი და შემოსა ყვითლითა ზარბაპითა (ძვ. ქსოვილი)“. დანარჩენებიც დააჯილდოვა ლევანმა — ყველას „მიანიჭა საშოვარი... მცირესა და დიდებულსა“.

მახარობლად შპკ ჰუსეინთან და ძმასთან — გიორგი მეფესთან ლევანმა ისფაპანს გაგზავნა ჯაფარ-ბეგი. თვითონ კი, თანმხლები ჯარით, ქანუდინარიდან ისევ ქირმანს გაეშურა.

ქირმანს რომ ერთი დღის სავალზე დაუმანძილდნენ, შაპ ჰუსე-ინის ნარმოგ ზავნილი ფაიქები (შიკრიკები) შემოეგებნენ აქაებული ცხენებით. შემოეგებნენ და შაპის მადლობა, დალოცვა და ძლვენი მოართვეს — ძვირფასი ხალათი, მურასა ხმალი და ოქ-როთი დარახტული ბედაური.

ქირმანსაც მიატანეს და გამოეგებნენ ქართველებს დიდი და

პატარა, ქალი და კაცი, ერი და ხოჯა-მოლა. ლევან ბატონიშვილს  
და მის თანამემამულეებს მუხლებში უცვიცდებოდნენ, მათ ცხენები  
ნებს მექრდს უკოცნიდნენ და გაჰკიოდნენ ცად ამწვდენს სხირს!

„კურთხეულ არს ღმერთი, რამეთუ ჩვენად მეშველად გამოგა-  
ჩინათ და დაგვიხსენით მტერთა ხელთაგან!“



## „გამოაჩინე ლომგულობა შენი!“

მაისის თვეში გიორგი მეფე ენვია ქირმანს ქართველთა ამაღლით.  
დიდი სიხარულითა და სიყვარულით შეიყარნენ ძმები.

ერთი თვე მოათიეს ქირმანელთა „სიყვარულსა და პატივში“,  
ნადიმობასა და ნადირობაში.

თვის თავზე ახალი საომარი წვევა მიიღეს ქართველებმა: ამ-  
ჯერად ბელუჯები და ავღანელები გაერთიანებულან და ნამოსუ-  
ლან სარბევად, საძარცვავად, სისხლის საღვრელად. ცეცხლითა  
და რეინით გამოუვლიათ ქამანი, ქაშანი და „პასუხის მიმცემი  
არავინ დახვედრიათ“. შაპს სპარსელთა მხედრობა გაეგზავნა  
მტრის შესაკავებლად, მაგრამ სულ ერთიანად გაუწყვეტიათ ის  
მხედრობა ავღანელებსა და ბელუჯებს.

ახლა გიორგი მეფეს სწერდა შაპ სულთან ჰუსეინი:

„დამირბიეს ქვეყანა და ამამიწყვიტეს ლაშქარი, ნამოვიდნენ  
ქვეყნისა შენისაკენ, გამოაჩინე ლომგულობა შენი და ნუ გაუშვებ  
მაგათ უზიანოთ!“

შაპის თხოვნა და ბრძანებაც აღარ სჭირდებოდა გიორგის, რა-  
მეთუ ისედაც „წესი იყო მისი: სითკენაც მტერი გამოჩნდის, უო-  
მარი არ გაუშვის“.

მზვერავები აფრინა გიორგიმ. ნაზვერავიც მალე მოუბრუნდა  
— სისტანისაკენ მიდის მტერი რბევითა და ოხრებითო.

ქირმანელთა ჯარი შეყარა გიორგიმ, სარდლად ლევანი უჩინა  
და მტრის მისანიერად აფრინა. თვითონაც უკან მიჰყვა ქართველ-  
თა რაზმით. ექვსი დღის შემდეგ ქალაქ ბამში მოიყარეს თავი ძმებ-  
მა. მტერი შორს ნასულიყო, სამხრეთისაკენ. ისევ დაიძრნენ ძმები  
და ოცი დღე-ლამე შეუსვენებლივ აჭენეს ცხენები. როგორც იქნა,  
ნამოენივნენ მტერს. ქალაქ ფირიქეს მახლობლად, ორ კლდოვან

მაღლობთა შორის, დაეცათ ბანაკი ბელუჯებსა და ავღანელებს.  
საშინელი სიცხე იდგა. გარშემო თონესავით მცხუნვარებულება  
ნო თახთახებდა. ქართულ წყაროს ნაჩვევი მეომრები ისეზ წყალც  
სვამდნენ, „ამას ბრძანებდით, მლაშე თვეზის წვენი არისო“.

მეფემ დილა-ალიონისთვის დანიშნა ბრძოლა. ნინა ღამით სის-  
ტანის ხანი მოვიდა ჯარით და გიორგის ეაჯა: მენინავედ მე მიმიშ-  
ვი მტერზე საიერიშოდო. გიორგი დათანხმდა და დილით ადრე, სა-  
ნამ ქართველები ლოცვას ჩაათავებდნენ და ზიარებას მიიღებდნენ,  
სისტანელი სპარსელები საომარი ნაღარების ბაგაბუგითა და გა-  
მაყრუებელი უღავილით დაეცნენ ბელუჯთა ბანაკს. ძლიერად აც  
შეუტიეს — ცხენებიდან გადახტნენ და ხმალდახმალ დაეტაკნენ  
დამხვდურებს. ქართველ მეომართაგან ბევრს „სათაკილოდ დაურ-  
ჩა“ სისტანელთა წინ გამვება, — ვაი, თუ მათ გაიმარჯვონ და გა-  
მარჯვება ჩვენს ჯობნაში ჩაითვალონ. გიორგიმ მეუცრი დატუქ-  
სვით ძლივს შეიმაგრა საომრად შეწყიპული ქართველობა. თქვენი  
დროც დადგებაო, — ბრძანებდა მეფე და მართლაც დადგა ის დრო.  
სისტანელები დამარცხდნენ. ისინი ბელუჯებმა ძირს ისე ჩამოყა-  
რეს, „როგორცა მაღლიდამ ხელით კაცმა ქვა ჩამოავდოს“.

იერიში ბრძანა გიორგი მეფემ. ჯერ ლევან ბატონიშვილი გაგ-  
ზავნა ქირმანელთა ჯარით და „ზოგი ქართველით“. მეორე  
მხრისკენ თვითონ გაქუსლა მეფემ ქართველთა გუნდით...

„გაჭირდა ომი, გაიყვანა ცხენი მეფემა, დაიგრგვინა ვითარცა  
ცამან, დაუძახა ქართველთა: „ან ვნახო ჭაბუკობა თქვენიო!“

საშინელი ხმალთაკვეთებით მიაწვნენ მტერს ქართველები.

უკვე ააღნია გიორგიმ ერთი მაღლობის თხემზე.

ლევანიც მოექცა თავზე მოპირდაპირე გორას.

ორივე მაღლობიდან დაეშვნენ ქართველები და შიგ შუა ბანაკ-  
ში ჩაუხტნენ ბელუჯებს.

დადგა უმძიმესი ჩეხვა და სისხლისთხევა.

თავგანწირულად იბრძოდნენ ბელუჯები, მაგრამ მაინც და-  
ჯაბნეს ქართველებმა.

ქართველთა სიმამაცით გულმოცემულმა სპარსელებმაც უნ-  
ყალოდ ხოცეს დამარცხებული მტერი.

ბრძოლა ის იყო თავდებოდა, როცა ერთი ზორბა ანაგების ბე-  
ლუჯი მიუხტა სეხნია ჩეხიდეს და ბარძაყში დაუსისწორა ხმალი.  
ქარქაშმა დაიხსნა სეხნია, მხოლოდ ქარქაშის ბოლო წარკვეთა  
ხმალმა. თავი მიანება ქართველს ბელუჯმა და ორი სპარსელი მი-

ანვინა. შემდეგ ბრძოლას თავი მიანება და უდაბნოს მისცა თავის  
სირბილით.

ის იყო, ზურაბ ზურაბიშვილი მიეახლა ლევან ბატონიშვილზე,  
გამარჯვების მისალოცავად, რომ ლევანმა ის გაქცეული ბელუ-  
ჯი დაანახა: „უყურე იმ ერთ კაცს, ლამის გაგვექცესო“.

„მე მზად გახლავარ სამსახურადო“, — შეაგება ზურაბიშვილმა.

„არა, თავი ანებე, რამეთუ ომისგან შენც დამაშვრალი ხარ, ის  
გაქცეულიც უკვე შეორს არისო“, — უთხრა ლევანმა.

მაინც არ დაიშალა ზურაბიშვილმა და გამოეკიდა  
გაქცეულს.

მაგრამ სანამ ზურაბიშვილი დაეწეოდა, მანამ ერთმა ქირმა-  
ნელმა ცხენოსანმა გადაუჭრა გზა იმ გაქცეულს, ხმლის მოქნე-  
ვაც დაასწრო, მარცხენა ბეჭი ჩამოათალა, ფეხში დასწვდა, „რო-  
გორც კატა, ისე ცხენიდამ ჩამოილო“, თვითონ იმ ცხენს მოახრტა  
და შევარდნენსავით გაფრინდა“.

ზურაბ ზურაბიშვილს ნაომარი ცხენი დაჰქანცვოდა და აღარ  
შეეძლო გმირი ბელუჯის გამოდევნება. შემობრუნდა „მიუწევა-  
რი“ და რას ჰეთავს: თურმე ოთხი ბელუჯი კიდევ გამოჰქცევია  
სიკვდილს ბრძოლის ველიდან, უკან თხუთმეტი ცხენოსანი  
სპარსელი მოსდევდა ხმალთა სტვენით და შხუილით; შემოუბ-  
რუნდა ოთხი ქვეითი ბელუჯი თხუთმეტი ცხენოსან სპარსელს, შე-  
უტია და უკუაქცია; ოთხივე ამოსაწყვეტად გაეკიდა გაქცეულ!

შუბი გამართა განცვიფრებულმა ზურაბიშვილმა და  
გზა ჩაუჭრა მდევართ, თან მენინავე ბელუჯს აძგერა შუბი და  
შუბნაძერალი მომდევნოს დაატაკა. ორივე ძირს დაენარცხა.  
ნამსვე მესამეს მიუშვა შუბი, თანაც ისე მძლავრად, რომ, „თქვენ-  
მა მზემა, გავლო შიგა და მიწას დააბა იგი კაცი“. შუბი გადაემ-  
სხვრა ზურაბიშვილს და უკვე შიშველი ხმალი ეჭირა ხელში. მე-  
ოთხე ბელუჯმა დაასწრო, ცხენს ქვეშ შეუვარდა და ქვემოდან შე-  
მოუქნია ხმალი. ავუანდაზე უსაზმნოდ გაინერიალა ფოლადმა.  
ცხენი ასკუპა ზურაბიშვილმა, შემობრუნდა და თავში უჭირა ხმა-  
ლი ბელუჯს — უჭირა და „ჩაჰკვეთა კისრამდის“.

მოცვივდა ის გაქცეული თხუთმეტი სპარსელი, აღტაცებული  
უდავილით მიესივნენ დახოცილ ბელუჯებს, თავები დაჰკვეთეს,  
ზურაბიშვილს მიურბენინეს და გამარჯვებაც მიულოცეს.

ზიზღი ძლივს დაითრგუნა ქართველმა. ნარკვეთილი თავე-  
ბის მიღებაზე უარი სთქვა, — თქვენთვის დამითმია, რადგან

თქვენ გეკუთვნით, ჭეშმარიტად გამარჯვებულებს, მე ცი მა წარმოგეშველეთო!..



დღე მიიღორიყა. უკანასკნელ ბელუჯთა თავების კვეთით იყვნენ სპარსელები გართული. ნაომარ ქართველებს საშინელმა წყურვილმა გაახსენა თავი. წყალი არსად იყო — არც „ქართლის წყარო“ და არც „მლაშე თევზის ნარეცი“. თქვა სისტანის ხანმა: მე ვიცი წყარო ორი აღაჯის (2 მილი) მანძილზე. შესხდნენ ქართველები ცხენებზე და გაჰყვნენ სისტანელს აღმოდებულ უდაბნოში.

სიხარულით მიაჭინებდნენ ცხენებს ქართველები, — ეგონათ „ქართლის წყაროს მინამსგავსი იქნებისო“. მივიდნენ სისტანის ხანისგან დაგულებულ ადგილას. ეძიეს, მოიძიეს და — „ღმერთმან თქვენს მტერს მისცეს, ის წყარო იყო, ასეთი მარილი ედვა ნადინარსა მის წყლისასა, თავმან თქვენმან, კურდლელი მოიკვლოდა: წყალი იყო მწარე მარილისაგან“. ზოგს მწარე სიცილი აუგარდა, ზოგმა სისტანელს შეუკურთხა, მაგრამ რას გააწყობდნენ!?

ის ღამე იქ გაათიეს. დილით სპარსელებმა გიორგი მეფეს წინდღით დახოცილ ბელუჯთა თავები მოუტანეს, სულ — შვიდას სამოცი...

მზვერავები მოცვივდნენ და ნაზვერალი (დაზვერვის შემდეგ) მოართვეს მეფეს: „უკან კიდევ ჯარი მოდისო“. თურმე ნინა დღეს მარტო ბელუჯები ამოენყვიტათ, ხოლო მათი მოკავშირე ავღანელნი ცალკერძო გზით წამოსულან, ნაშოვრით დატვირთულნი და საომრად დასილადებულნი.

ჯარი ალძრა გიორგი მეფემ.

ავღანებს უკვე გადმოელახათ უდაბნო, კლდოვან მაღლობზე მოესწროთ ნაძარცვის დაბინავება და საომრად გამზადება.

სიცხით გაფატრული მზე მდუღარეს აფრქვევდა დაბრიყვებულ დედამიწას...

გარს შემოადგნენ ქართველები და სპარსელები ავღანთა ბანაქს. ატყდა თოფების ბათქაბუთქი და ისართა სტვენა-წივილი. მზის დასალიერზე, აგრილებისას, გიორგიმ ჯარი დააქვეითა, თვალი მოავლო და მათრახივით გადაჰკრა:

„იცოდეთ, სალაღობოდ არ მიმყავხართ!“ — და პირველი შეუტა ხმალშემართული ნათოფარ-ნაისრალი მტრის ბანაკს.

მიჰყვნენ ქართველები, შემდგომ — სპარსელები.

ამ შემოტევას ავღანელები აღარ მოელოდნენ და გულჩუკენად (მხდალი, გულდედალი) შეეგებნენ ქართველთა ხმლებს.

ავლანთა ბანაკიც სრულად ამოწყვიტეს და მათი ნადავლია  
დაინადავლეს.

ის ღამე ნაომარ ადგილზე გაითენეს. დილით სპარსელებზე  
მეფე გიორგის ხუთას ორმოცი ავლანელის წარკვეთილი თავები  
მიართვეს.

გიორგის ბრძანებით, ცალკე ბელუჯთა და ცალკე ავლანთა  
თავებისაგან მინარეთის მსგავსი ორი კოშკი აღმართეს, თითოე-  
ული ოცი წყრთის სიმაღლისა.

(ქართველთა მეფეც აჰყოლია თათრულ ყაიდასა და ნაქცეუ-  
რობას)!...

სისტანის ხანი აღარ მოეშვა ქართველებს, ნაომარ ადგილთა-  
გან ორი დღის სავალზე, თავის სახანო ქალაქში მიიწვია, თავგა-  
მოდებით უმასპინძლა და გამოისტუმრა.

ქირმანისაკენ მოდიოდნენ. ძალიან უჭირდათ უწყლო და ურ-  
წყული უდაბნოების გადმოლახვა. „თავმან თქვენმან, თხუთ-  
მეტს დღეს ცხენს ბზე არა ჰქონია“. მაინც ლალად მოდიოდნენ,  
რამეთუ „სასიხარულო დიდი ჰქონდათ, თავად გამარჯვებისა  
და მერე ამიტომ, იმ ალაგების ნახვისათვის, ის ალაგები გზი-  
თაც არავის გაევლო, არამცთუ საომრად ვინ წავიდოდა“.

ერთი თვის უდაბნოური მოგზაურობის თავზე მოაღწიეს ქირ-  
მანს. დედა-ბუდიანად გამოცვიდნენ ქირმანელები და მიეხვივნენ  
„თავიანთ მხსნელ ქართველებს“. ყველა — დიდი და პატარა, ქალი  
და კაცი — მიიღო და ქართველი მეფის ფერხთა სამთხვევად.

„კურთხეულ არს ღმერთი, რამეთუ თქვენ, ქართველნი, მაგის-  
თანი კაცნი დაუბადებიხართ და ჩვენთვის გამოურჩევიხართ!“  
— ბლაოდა ხალხი.

გზიდან ისფაპანს შიკრიკი გაეგზავნა გიორგის, — ბელუჯთა  
და ავლანთა განადგურების ამბებს ატყობინებდა შაპს.

თურმე ცას ენია სიხარულით შაპ სულთან ჰუსეინი. მაშინვე  
მალემსრბოლნი აფრინა ქირმანისკენ და მიართვეს გიორგი მე-  
ფეს ერანის ხელმწიფისაგან „წყალობა და დამადლება დიდი, თა-  
ჯი და ჯიღა მურასა, ხმალი და ხანჯალი, შემკული თვალითა და  
მარგალიტითა, ცხენი ოქროითა უნაგირითა, თეთრად ორი ათასი  
თუმანი, ხალათი მძიმე სიასამურის ქათიბითა“. დანარჩენ ქარ-  
თველებსაც ებოძათ შაპის ნაძლვნევი „ინამი და ხალათი“.

მშვიდობა სუფევდა ერანის ცისგვამში, „ქართველთა ლომგუ-  
ლოვნების წყალობით...“

1701 წელს ლევან ბატონიშვილი შაჰმა გაიწვია ქირმანიდან ის-  
ფაპანს, მისევლისთანავე მიიღო „მხიარულის პირითა“ გვერდით  
დაისვა და დანვრილებით გამოჰკითხა ამბები ძმისა — „დიდებუ-  
ლი გურგინ-ხანისა“ — და ბელუჯთა და ავლანთა განადგურები-  
სა. ლევანმაც მოახსენა ყოველივე, „რაც ოდენ ხელმნიფეს მოეხ-  
სენებოდა“.

გაიხარა შაჰ სულთან ჰუსეინმა, „დაჯდა ნადიმად და შექნა სიმხიარულე, უბოძა თავისის ხელით ღვინო“ ქართველ გმირს, ხოლო ნადიმის განსრულების ფაზს გამოაცხადა „ყველაზე მთავარი“: დღეიდან ლევან ბატონიშვილი, შაჰ-ყული-ხანის სახელით, დანიშნულია ორანის მდივანბეჭად!

ესოდენ დიდი სახელმწიფო ობრივი „სახელი“ ერანის მბრძანებლის საგანგებო პატივის, ყურალდებისა და „ქართული ერთგულებისათვის“ უსაზღვრო მადლიერების გამოხატულება გახლდათ.

ლევან ბატონიშვილი, ვითარცა მდივანბეგი და „ხელმწიფის საქ-  
მეთა გამგებელი“, „უმაღლესი მრჩეველი“ და „მსაჯულთუხუცესი“,  
შაჰის კარზე შინაური ადამიანი შეიქნა. კარგადაც „მოირგო“ და  
„მოიხმარა“ ნიჭიერმა და ჭკვიანმა კაცმა შაჰის „მარჯვენა ხელობა“.

ერთ დღეს ლევანმა შაჲ ჰუსეინს მოახსენა: „ჩემი შვილი შენი ყული (მონა) გახლავს და სხვის საბატონოში პურს რატომ უნდა ითხოვდესო?!” მიყავ წყალობა და, რაც ქართლში მანამდე საუფლისწულოდ მქონია, ჩემი შვილისთვის მიბოძეო“.

შაჰისთვის გასაგები იყო: მდივანბეგი მას „მეორე ვაჟის“ — ვახტანგის შესახებ უვდებდა სიტყვას (ხოლო უფროსი ძე — ქაიხოსრო, აკი ირანში თან ახლდა მამას)\*. ვახტანგ ლევანის ძე მაშინ იმერეთს იყო ცოლ-შვილით და სწორედ ამას გულისხმობდა ლევან ოჩაგურად ნათქვამში: ჩემი შვილი სხვის საბატონოში პურს რატომ უნდა ითხოვდესო. ახლა ლევანი „მომგებიანად“ არ თვლიდა (ან შეიძლება არც ესმოდა) იმის გახსენებას, რომ ქართლელი კაცისათვის იმერული პური უფრო ნაკლებ მათხოვრული იყო, ვიდრე სპარსული... მთავარი გახლდათ ქართლის საუფ-

\* ლევანი ორჯერ იყო ნაქორნინევი და ჰყავდა რვა შეილი. პირველი ცოლი-საგან, თუთა ქაიხსრო გურიელის ასულისაგან ჰყავდა: ქაიხსრო, ვახტანგი, დო-მენტი და ხვარამზე; მეორე ცოლისაგან, თინათინ გიორგი ავალიშვილის ასუ-ლისაგან — იქსე, სვიმონი და თეიმურაზი. ერთი ვაჟიც ხარჭისგან ჰყავდა ლე-ვანს, სახელად — როსტომი

ლისნულოთა დაბრუნება და ამ გზით ქართლში ფეხის მოკედება  
შეაპირა ჰუსეინმაც უყოყმანოდ აღასრულა „საყვარელი“ მდგრადი და დეგის თხოვნა. ბრძანება გაუგზავნა ქართლის მაშინდელ შეტყუშის — ერეკლე ნაზარ-ალი-ხანს: ვახტანგ ლევანის ძე სასწრაფოდ დააბრუნე იმერეთიდან ქართლში.

ადრეც ითქვა, რომ მეფე გიორგი მეთერთმეტემ თავისი ერთა-დერთი ვაჟის, ბაგრატისათვის საცოლედ აირჩია ჩერქეზთა ბატონის ასული რუსუდანი, მაგრამ რაკი ბაგრატი სპარსულ ტყვეობაში დაიღუპა, გიორგიმ სარძლო ცოლად შერთო ერთგულ, ნიჭიერსა და მამაც ძმისნულს — ვახტანგ ლევანის ძეს. ქორნინება მოხდა ხარაგოულში. მერე გიორგი მეფე ხომ სპარსეთს გაემგზავრა, ხოლო ვახტანგი იმერეთს დარჩა. ეს მოხდა 1696 წელს. მას შემდგომ ვახტანგი და რუსუდანი იმერეთში ცხოვრობდნენ. აյ მათ შეეძინათ ვაჟი, სახელად — ბაქარი...

და აი, „იმერული პურის მთხოვრობის“ მეხუთე წელს (1701), ვახტანგ ლევანის ძეს ეძლეოდა საშუალება „მშობლიურ ქართლში“ დაბრუნებისა.

სასწრაფოდ აღასრულა მეფე ერეკლე პირველმა სპარსეთის ხელმწიფის ბრძანება. კაცი აფრინა ხარაგოულს.

სწორედ მაშინ ვახტანგთან მობრუნდნენ მისგანვე რუსეთს გაგზავნილი ზალია შანშიაშვილი და არჩილ მეფის შათირი (შიკრიკი) მამუკა. არჩილი თავის საყვარელ ძმისნულს რუსეთში იწვევდა.

ვახტანგს არჩევანი შეექნა: საით ნასულიყო — რუსეთს თუ ქართლს?

იმერელმა ნარჩინებულებმა ქართლში ნასვლა ურჩიეს.

ნამოვიდა ვახტანგი ცოლ-შვილით, მოვიდა ალს, სადაც მას ერეკლე მეფისგან უვნებლობა შემოჰყიცეს ევდემოს კათალი-კოსმა და სპასპეტმა ლუარსაბ ყაფლანიშვილმა. ალიდან ნავიდა და დადგა სურამს.

ვახტანგის მოსვლით „შეექნათ ერთგულთა სიხარული და ორგულთა ნყენა“. თვითონ ერეკლე მეფეს ქართლის გამგებლობის სამეტოქეოდ არც ვახტანგი „ედარდებოდა“ და არც სხვა ვინმე. მას, როგორც ადრეც ითქვა, ქართლი საერთოდ „არ ენაღვლებოდა“, არამედ ქართლის „ვალად“ შაჰისგან იძულებით გამოგზავნილი „ნაზარ-ალი-ხანი“ ისევ და ისევ „მშობლიური კახეთის“ ტახტის დაუფლებაზე ოცნებობდა. ამიტომ

ერეკლემ გულწრფელი სიხარულით მიიწვია ვახტანგ ლევანის/ დე კოჯორის სასახლეში; მიიწვია და, „რა ნახა, დასდვა ჰატუფვის შვილურად, და შეიყვარა ძმათ და შვილად, უბოძა საპომარი მრავალი და ხმალი მურასა შეარტყა ნელსა მისსა; ნახევდიან ლხინსა და უკუ-ჰყურიდიან ჯავრსა“.



## ქართველებს საქართველოსთვის „არ სცალიათ“

1703 წელს ერანის ხელმწიფემ, შაჲ სულთან ჰუსეინმა „საბოლოოდ მოაგვარა“ ქართლ-კახეთის საქმეები. მან აღასრულა „საყვარელი ქართველი მეფეების“ დღენიადაგი ნაოცნებარი: ერეკლე ნაზარ-ალი-ხანი ქართლიდან კახეთის მეფედ გადაიყვანა, ხოლო ქართლის უმაღლესი ხელისუფლება ისევ გიორგი მე-თერთმეტეს დაუბრუნა.

სულ მალე კი გამოირკვევა, რომ არც ერეკლეს უნდა ეღირსოს კახეთის მიწაზე ფეხის დაბიჯება და არც გიორგის მოესწრება ქართლის წყაროს წყლით დარწყულება ერანულ-უდაბნოური მწყურვალებით ადუღებული გულისა.

ერეკლეს ბრძანება მოუვიდა — კახეთის გამგებლობის მისაღებად ისფაპანს გამოცხადდიო. ერეკლეც „სიხარულით შეუდგა სპარსულ შაჲ რას“ (შაჲის გზას).

ხოლო, მანამ შაჲ ჰუსეინმა ქირმანში მდგარ გიორგის რაყამი გაუგზავნა: ამიერიდან შენ ხარ ქართლის მეფე — ვალიც, სპარსეთის უმაღლესი მთავარსარდალიც და ბეგლარბეგიც ქირმანისა, ყანდაპარისა და გირიშეისაო.

მთავარი აქ თურმე ყანდაპარის გამგებლობა და მოვლა-პატ-რონობა ყოფილა, რამეთუ ისევ მოიწევდნენ ავღანელნი ცოფიანი იერიშებით აღმოსავლეთიდან. უკანასკნელად თამაზ სარდალი შეჰევდომოდა ქართველთა გუნდით ყანდაპარის კედლებთან მირ-სამანდარის სარდლობით მოიერიშე ავღანთა ჯარებს. ახლა გიორგი მეფეს — ყანდაპარის ახალ მბრძანებელს ავალებდა შაჲი „მისი საბეგლარბეგოს“ დაცვას ავღანთა შემოტევებისაგან.

მაშ, გიორგი მეფე ყანდაპარს უნდა წასულიყო დაუყოვნებლივ, ხოლო „მისი სამეფოს“ ქართლის სამმართველოდ დროებით

(სანამ გიორგი ყანდაპარს „მოუვლიდა“), ვითარცა ნაიბი (მოაზ-  
გილე) გაემგზავრებოდა მისი ძმა ლევანი.

საქონის  
მიმდინარე

მაგრამ ლევანი ხომ ერანის მდივანბეგია?!

არა უშავს რა, — ლევანი გიორგის ნაიბად გაეშურება ქარ-  
თლის სამმართველოდ, ხოლო მის ნაცვლად ერანში მდივანბეგად  
დარჩება ლევანის უფროსი ძე — ქახოსრო.

ვიმეორებ: ყველა ეს „გადანაცვლებანი“ არის „დროებითი“ —  
მანამ, სანამ გიორგი მეფე ყანდაპარისა და ავლანელების „საქმე-  
ებს მორჩებოდეს“...

ქირმანში მდგარ ქართველებს „შეექმნათ სიხარული ქართლის  
შოვნისათვის, მაგრამ ყანდაპარს ნასვლის მოწყენა...“. თუმც რა  
გაეწყობოდა: ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე ქართლში კი  
არა, ქართული მიწიდან კიდევ უფრო შორს, აღმოსავლეთით, ავ-  
ლანისტანში უნდა გადაქუხებულიყო.

სპარსეთს მიმავალი ერეკლე მეფე და ქართლისკენ მომავალი  
ნაიბი ლევან ბატონიშვილი ერთმანეთს შეეყარნენ თავრიზში, —  
„შეიყარნენ ერთად, გადაეჭვდნენ ერთმანეთს, დახვდნენ ძმუ-  
რად, დაპატიჟეს ერთმანეთსა, ნახეს ლხინი სიმხიარულისა, მი-  
ართვეს ერთმანეთსა მისართმევი“.

მალე გაიყარნენ. ერეკლეს ისფაპანს უჩქარებოდა, „მწყალობე-  
ლი შაპის“ ხელით კახეთის სამეფო ნიშნების მისაღებად და მალე  
„სანეტარო კახეთში“ დასაბრუნებლად. ხოლო გიორგი მეფის ძმა-  
სა და ნაიბს ქართული მიწის ძახილი უჩქარებდა ნაბიჯს...

ერანის „ხელმწიფე მხიარულად დახუდა“ ერეკლეს. კახეთის  
მეფობა ერთხელ კიდევ დაუდასტურა და „დამატებით“ სამეფო  
გვარდიის ყულარალასობაც უბოძა. მაგრამ იქვე დასძინა შაპმა  
მოულოდნელად: ვითარცა სპარსეთის ყულარალასი, შენ ჯერჯე-  
რობით სპარსეთს უნდა დარჩე, ხოლო კახეთის სამმართველოდ  
შენს ნაცვლად შენი ვაჟი დავით იმამ-ყული-ხანი გაემგზავრებაო.

დიდი პატივი დასდო შაპ სულთან ჰუსეინმა ერეკლეს: პირადად  
— კახეთის მეფობა და სპარსეთის ყულარალასობა, უფროსი ვა-  
ჟისთვის — კახეთის „ნაიბობა“, გინა „ჯანიშინობა“, ხოლო უმ-  
ცროსი ძისთვის, კონსტანტინესთვის — ისფაპანის ტარულობა.

მაშ, ისევ ქართველებს უჭირავთ ერანის უზენაესი „სახელო-  
ნი“: მთავარსარდლობა (გიორგი), ყულარალასობა (ერეკლე),  
მდივანბეგობა (ლევანი) და ტარულობა (კონსტანტინე).

მაგრამ ვერც გიორგი და ვერც ერეკლე — მეფენი „უმთავრე-

სი საქართველოებისა” — ჯერჯერობით საქართველოსკენ ფუქსა  
ვერ გადგამენ, ჯერჯერობით მათ იკმარონ „ქართველ მეჭვალა“  
ტიტულები, რამეთუ ჯერჯერობით მათ „არ სცალიათ“ საქართველოს  
თველოსთვის...

ვახტანგ ბატონიშვილი ქართლის ჯარით ტაშირს დაუხვდა  
სპარსეთიდან მომავალ მამას.

რიგრიგობით მიდიოდნენ ქართლელნი, ეახლებოდნენ და  
მუხლს უკოცნიდნენ ამხედრებულ ლევანს და ისევ უკუ დგებოდ-  
ნენ, ვახტანგისგან მიჩენილ ადგილს. ბოლოს ვახტანგიც მიეახლა  
მამას. ლევანი ცხენიდან გარდახდა და გადაეხვივნენ ერთმანეთს  
თხუთმეტი წლის უნახავი მამა-შვილი...

თბილისი დიდის ამბით შეხვდა გიორგი მეფის ძმასა და მოად-  
გილეს — „მოეგებნენ მოქალაქენი სიხარულითა დიდითა, შექნეს  
სიხარული დიდი და გარიგება ქართლისა“.

ხოლო, „გარიგება ქართლისა“ ლევანმა და ვახტანგმა ისევ ძელ  
ქართულ სახელმწიფო-სამართლებრივ საწყისებზე აღადგინეს.



## „ქება-მიუწვდომელი“

იმავე 1703 წელს, გიორგი მეფემ შემოუთვალა ლევანს — ერ-  
თი ათასიოდე ქართლელი მეომარი გამომიგზავნე ქირმანსო. ლე-  
ვანმაც შეყარა ქართლელთა ათასეული. სარდლად უჩინა ვახუშ-  
ტი ყაფლანიშვილი (სახელოვანი სულხან-საბა ორბელიანის ძმა)  
და გაუგზავნა.

სიხარულით შეხვდა გიორგი თანამემამულეთა ჩასვლას. „მოა-  
გება მეფემ ვინც ვინ ქართველნი დარჩომილიყო, ქნა მეჯლიში თა-  
ლარსა ქირმანისასა, ნახა ლხინი და მისცა საბოძვარი მრავალი“.

მომდევნო 1704 წელს ლევანმა გიორგისთან სეხნია ჩხეიძე გაგ-  
ზავნა მდიდარი ძლევნით. ძალიან ეამა მეფეს გამოცხადება ერ-  
თვული მეაბჯრისა, მამაცი მეომრისა და ნიჭიერი მემატიანისა.

სეხნია ჩხეიძის ჩასვლიდან ერთი თვის თავზე, 1704 წლის მაი-  
სის დამდეგს, გიორგი მეფე ქირმანიდან ყანდაპარისკენ გაემართა.

20 000-იან სპარსულ მხედრობას მეწინავე ძალად 2 000 ქარ-  
თველი მიუძლოდა.

ისევ სიცხე — სხეულის დამადნობელი.

მძვინვარე მზით მოთახთახე უდაბნოები.

ყური ვუგდოთ თვითონ სეხნია ჩხეიძეს: „გავებით ბაიბანსა (უდაბნოსა) გორგისასა; მაგრამ სიცხის ამბავი რის შესადარებელი მოგახსენო, ან გაძლება ქართველებისა! მზემან ღვთისამან და თავმან პატრონისა ჩემისამან, ზარბაზანი იდვა სევანის (კარის) წინა, ტყვია გააპტყველეს და დასდვეს ზარბაზანსა ზედა და ორ საათს, შუა დღეს უკან, სიცხემ ტყვია დაადნო. თვითონ მეფე სევანში იჯდა და მიგან იდგა ალაჩური საიისა, ედგა გვერდსა სანერელი, მიახლო ხელი და ამოილო მაკლატელი, ასე გაცხელებულიყო, თავმან მისმან, ხელი ვეღარ გაუყარა ქაღალდის წასაჭრელად“.

გიორგი მეფე ჯარისკაცთა წინაშე ალექსანდრე მაკედონელს ედარებოდა უდაბნოური პაპანაქების დაძლევაში. „ეს ლომებრი კაცი“ ყოვლის დამადნობელი მზის ქვეშ, ცხენით თუ ფეხით ისე მიაბიჯებდა, „სახეზე ფერსაც კი არ იცვლიდა“. ესე „იყო წესი“ გიორგი მეფისა: „როიცა სამწუხარო საქმე იყვის, მაშინ უფრო გამხიარულდის“. „ჩემგან ქება არ გაეწყობოდა, რადგან ქება-მიუნვდომელი იყო“, — წერს მეფის სივაჟუაცით აღტაცებული და განცვიფრებული სეხნია ჩხეიძე...

ყანდაპარსაც მიატანეს.

გამოეგება ხალხი და ჯარი ყანდაპარისა ქართველ ხელმწიფეს. ავღანელთაგან დაშინებული აქაური მმართველი — მასულხანი მუხლებში ჩაუვარდა გიორგის — მადლობა ალლაპს, თქვენი თავი რომ მოგვივლინა მხსნელად და პატრონადო.

„როგორც ქირმანის ქვეყანა მოარჩინაო მტერთა ხელთაგან, ღვთით ისე ჩვენც გვიშველის ქართველი მეფე და მისი ქართველობაო“, — ბლაოდა ავღანელთაგან ნაოხარი ხალხი.

ქალაქში შევიდნენ ზარზეიმით. ძალიან მოეწონათ ქართველებს ყანდაპარი. ცადატყორცნილი ციხეები, სამრიგოვანი მაღალი და სქელი გალავნური კედლები, ოთხი მხრით მძღავრი კარიბჭენი, ქალაქის შუაგულში ბრწყინვალე სრა-სასახლე („ნარინჯის სასახლე“) და მშვენიერი ბაღები. წინა მხრიდან ქალაქს ხანდაკი (სანგარი, მინაყრილი) ერტყა, უკან ფართო მინდორი და შემდგომ — ოდრიკალად (მრხოლად) შემორიგებული პიტალო კლდენი.

მაგრამ ყანდაპარიც საშინელი სიცხით დაუხვდა „ღვთისაგან მხსნელად მოვლენილ“ ქართველებს. ისევ ჩავიხედოთ სეხნია ჩხეიძის მატიანეში: „ქალაქი ცხელი, საღამო უამს ასეთი ქარი მო-

ვიდეს ცხელი, რომ პირს ვერ შეაქცევდნენ, ეს მინახავს — ზეაუ-  
რის სიცხისაგან კვერცხი სპილენძის თეფშზე გათქვეფილია და  
დასხმული, მზისაგან შემწვარიყოს და ციხის სალს კლდეზე ჰური  
მიეკრას და გამამცხვარ იყოს...“

„მისვლისთანავე ბრძანებანი დაგზავნა გიორგი მეფემ ავღა-  
ნისტანში: ყველა, ვინც ჩემს მორჩილად თავს მიიჩნევს, დაუყოვ-  
ნებლივ მეწვიოს, რათა მივანიჭო მათ ღირსნი პატივინი, ხოლო  
უკეთუ ურჩი აღმოჩნდებიან, უწყალოდ განადგურდებიან პირი-  
თა ჩემი მახვილისაგან!“

„ამისნი მსმენელნი მოვიდნენ ყოველნივე ძლვნითა დიდითა  
ნინაშე მეფისა და დაიმორჩილნა სრულიად და მეხარკე-ჰყვნა“. ამის

ქართველი მეფე საქართველოდან შორს, უცხო ქვეყანაში, ინ-  
ყებდა მეფობას — მეაცრად, სასტიკად, სამართლიანად.

ქაბულიდან ინდოეთის მეფის ძემ გიორგის მდიდარი ძლვენი  
გამოუგზავნა და მშვიდობიანობის ჩამოგდება სთხოვა, — „რამე-  
თუ ჰერონებდა იგიცა მისვლასა მეფისასა“ მასზე საომრად.

გიორგიმ ინდოელის ძლვენი და წერილი შაჰს გამოუგზავნა.

ამისთვის შაჰ სულთან ჰუსეინი „ფრიად მადლიერი იქმნა“, ინ-  
დოელის ძლვენი და თავის მხრივ „სხვანი უმეტესნი საძლნოცა“,  
ყველაფერი ერთად გიორგის გამოუგზავნა და ნება დართო —  
შენ თვითონ შენის ნებით იქონიე ურთიერთობა ინდოელებთან.

ამის შემდგომ კიდევ მეტად „მისანდობელი იქმნა“ მეფე გიორ-  
გი შაჰისათვის.

და ამის გამო „შურობდნენ ამას ყიზილბაშნი“.

შურობდნენ!..





ალი ალაგ ზნის მცირემან ნაბერწყალმან და ნაკბენმანცა კნინმან იქედნისამან სასიკედინენი სენნი განმზადებულ ყვნის.

ეფრემ მცირე

მამის მაგივრად „დროებით“ ისფაპანში მდივანბეგად დატოვებული ქაიხოსრო ლევანის ძე ჭეშმარიტი სახელმწიფო კაცი გამოდგა. ეს ახალგაზრდა ქართველი „ცოდნის იადგარი (მოსახსენებელთ წიგნი)“ ყოფილა. იგი „ასე გაუძლვა ერანის მდივანბეგობას, რომე დიდი და მცირე გააკვირვა“. შაპმა იგი ძალიან დაიხლოვა და „სდებდა პატივსა უშურველსა“.

მაგრამ 1705 წელს შაპ სულთან ჰუსეინმა მაინც გამოიძახა ლევანი ქართლიდან სპარსეთს.

ლევანმა ქართლის ჯანიშინად ვახტანგი დატოვა და თვითონ ერთი ძის — იესეს თანხლებით, ისფაპანიდან გაქუსლა.

შაპს ძალიან მოეწონა იესე ბატონიშვილი, „სიმხნე და სიმშვენიერე მისი“, და მაშინვე გადაწყვიტა: ეს ჭაბუკი ბიძამისს, გურგინ-ხანს გამოადგებაო და მცირე ხნის გამოხდომის შემდგომ გაგზავნა კიდეც ყანდაპარს.

გიორგი სიხარულითა და სიყვარულით შეხვდა ძმისწულს. ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარი შეაგება და ზარზეიმით შეიყვანა ქალაქში. დიდი მეჯლისი გაუმართა და უამრავი საბოძვარით აავსო.

დაუდგრომელი და დაუწყნარებელი ცხოვრებით ცხოვრობდა და განაგებდა გიორგი მეფე უცხო ქვეყანას. მხოლოდ უზომო შიშითა და სისასტიკით შეეძლო საუკუნეების სიგრძეზე ველურ მტარვალობაში ნაზარდ ქვეშევრდომთა დამორჩილება და დათრეუნვა. ამიტომ ბოროტებას ბოროტებით კურნავდა „თათრობითა და თათრობაში“ გამოწრთობილი მეფე. ზოგჯერ გაურჩებულ სოფელ-ქალაქებს ჯარს გაუსევდა და აანიოკებინებდა, „ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგთა კბილები დააძვრის და თავზე დაარჭვის“.

გამორჩეული სიმეაცრითა და თავაშვებულობით ექცეოდნენ ყანდაპარელებს ყიზილბაშები. ისინი იტაცებდნენ და ისაკუთრებდნენ ყველაფერს — მოძრავს და უძრავს, სულიერსა და უსულოს. ყანდაპარში, — წერს ისტორიკოსი იოსებ ქართველი, — „ვაუები და ქალიშვილები უკვე აღარ მიეკუთვნებოდნენ თავიანთ

მამებსა და დედებს, ცოლები აღარ ეკუთვნოდნენ ქმრებს, გაჭრები აღარ იყვნენ თავიანთი ფულისა და საკუთრების ბატონ-პატონი და მოსახლეთაგან არავინ იყო დარწმუნებული, შესტესტები ბოდა თუ არა იგი ცოცხალი ხვალინდელ დღეს".

დაშინდა ქვეყანა.

და რაკი დაშინდა, კიდევაც „დაწყნარდა".

გიორგი მეფე „ჭეშმარიტი ქართველი" იყო.

და ყოველ შაბათ დღეს მხოლოდ ქართველებთან ჰქონდა შეხვედრა, ნადიმი, სიმღერა, ზმა, სმა და სამშობლოს დარდითა და სურვილით აშლილი „ცრემლების ლესვა".

მაგრამ გიორგი მეფე „ჭეშმარიტი თათარიც" იყო და ყოველ სამშაბათს მხოლოდ თათრებს ჰქვდებოდა, მათთან ნადიმობდა და „თრიაქდებოდა (გამაბრუებელი წამალი, ოპიუმი)"...

ასე მიდიოდა სანუტრო მეფე გიორგი მეთერთმეტისა უცხო და უარშიო ქვეყანაში: „სამართლობდის, განისვენებდის, ნადირობდის, შეექცეოდის"...

ჯერჯერობით ავღან ბელადთაგან მირ-სამანდარი გამოჩანდა ყველაზე ძლიერად, გამორჩეულად და სახიფათოდ. გიორგი მეფის ყანდაპარს მისვლამ დიახაც დააფრთხო და დააშინა მირ-სამანდარი, მაგრამ მაინც საეჭვო ჩანდა, დიდხანს დარჩენილიყო იგი ეგზომ „წყნარი", „ბედს შერიგებული" და „ჩაჩუმქრული".

ფრთხილად ადევნებდა თვალს გიორგი მეფე ავღანთა ბელადს.

ერთ დღეს მეფეს მირ-სამანდარის მოციქული ეახლა ძვირფასი ფექაშით და უმდაბლესი თხოვნით: „რადგან ღმერთს შენთვის ძლევა მოუცია და სახელოვანი ხელმწიფე ამ ქვეყნისა გამოჩენილხარ, მიყავ წყალობა და ნახვა შენი მაღირსე, რაც ოდენ შენაცოდვარი მაგ ქვეყანას მიქნია, შემინდევ, მოგართვა ხარჯი, რაც ოდენი დამკლებია".

მოვიდეს, მეჩვენოს და გადავწყვეტო, — ბრძანა პასუხად გიორგიმ.

მართლაც, მოვიდა ყანდაპარს მირ-სამანდარი თანამებრძოლთა ჯარით. ბიძაშვილი და თანაშემნე თან ახლდა — ქალა-ხან.

ეახლნენ ქართველ ხელმწიფეს, მდიდარი მისართმეველი მიართვეს, იარაღი აიყარეს და წინ დაულაგეს, მიწაზე თავდამხედ დაენარცხნენ, ფეხები დაუკოცნეს და სიკვდილამდე ერთგული ყმობა შეჰდალადეს.

მოინონა გიორგიმ მირ-სამანდარი და ქალა-ხანი, „კარგ სანახავ-

ნი, მხნე ვაჟუაცნი“. შეუნდო და აპატია „გარდასული შეცოდებაზი“, ერთგულების ფიცი მიიღო, ხარკის ძლევაზე პირობა დაადგებინა, ერთი თვე ისტუმრა, იმსახურა „როგორც ყმანი მისინ“ და ჭარუშვილი.

ამჯერად უტყუარი გამოდგა მეფის გუმანი: მირ-სამანდარმა სამუდამოდ აიღო ხელი ბრძოლაზე. სამუდამოდ ქართველი მეფის, „ლომი გურგინ-ხანის“ ერთგული ყმა დარჩა ავღანთა ბელადი.

ჯერჯერობით არ ღალატობდა გიორგი მეფეს ალღო, გერში (ალღო, კვალის აღება) და გუმანი.

მაინც აჯანყდნენ ავღანელნი, — მირ-სამანდარის გარეშე და „მის ჯინაზე“ აჯანყდნენ.

გიორგიმ ძმისწული იესე ლევანის ძე გაგზავნა ქართველ ცხენოსანთა და ქვეით სპარსელთა ჯარით.

ორი მხრიდან დაეცა თავს იესე ბატონიშვილი ავღანთა ბანაკს — „ზეითად“ ქართველებით და „ქვეითად“ სპარსელებით. „შეიქ-ნა ომი ფიცხელი, თქვენმა მზემა და თავმა მისმა, იმ დღეს ბატონიშვილი იესე გენახათ, ამას ბრძანებდი, კაცთა შვილი ამისთანარა ინახებოდა! გაიმარჯვეს, ამოსწყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი“.

გაიხარა გიორგიმ კიდევ ერთი გამარჯვებით, ძმისწულის სიმამაცით და საზრიანობით. უხვადაც დააჯილდოვა ახალგაზრდა სარდალი: „უყო მეჯლიში, შეარტყა წელთა ხმალი მურასა და მისცა ვექილობა“. საბოძვარი მიუგო ყველას — „დიდსა“ და „მცირეს“, ვინც კი ბრძოლაში თავი გამოიჩინა.

ერთბაშად ამოიმართა გიორგი მეფის თვალსარბიელზე ავღანთა კიდევ ერთი ბელადი — მირ-ვეისი (ეს სახელი არაბულიდან ქართულთად ითარგმნება ვითარცა „თავადი ლომის ბოკვერი“).

ჯერჯერობით მხოლოდ მისი ნიჭიერებისა და სიმამაცის ამბები სმენოდა გიორგის.

ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ავაზის სიმსუბუქით და ლუციფერის („ავსული“, სატანა) იდუმალებით უახლოვდებოდა იგი გურგინ-ხანს.

„უსაზღვრო ერთგულების“ მეტი ჯერჯერობით ვერაფერი ამოეკითხა ამ კაცში ქართველი მეფის ფხიზელ თვალსა და სალმასურ გონებას.

კიდევაც „გამოსცადა“ იგი გიორგიმ.

აზარის სულთანი დაქეზ აჯანყებულიყო და იმ აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა მეფემ ახლად დაახლოებული ავღანი.

ნავიდა მირ-ვეისი, აჯანყებულნი გაანადგურა და მათი სულ  
თანი ბორკილგაყრილი მოართვა მეფეს.

ძალიან გაიხარა გიორგიმ. მირ-ვეისს „უბოძა საბოძვარი და  
შემოსა სამოსლითა კარგითა“.

საბოლოოდ დაიჯერა გიორგიმ მირ-ვეისის „გულწრფელი ერ-  
თგულება“.

მაგრამ სულ მალე იგრძნო, რომ მნარედ მოტყუვდა.

მირ-ვეისი აღმოჩნდა უაღრეხად ცბიერი, მზაკვარი და ქვეგამ-  
ხედვარი (ქვეშქვეშა, გულბოროტი). უტყუარი ცნობები მოართვეს  
მსტოვრებმა (ჯაშუშებმა) გიორგის: მირ-ვეისი თეთრი კბილით იცი-  
ნის და შავი გულით მოქმედებს, იდუმალ შეთქმულებებს აწყობს, ავ-  
ლანელ ტომებს სააჯანყოდ ამზადებს!

გიორგიმ მაშინვე შეიძყრო მირ-ვეისი.

ორგულთა და ქვეგამხედვართა დასჯა აյი „სპარსული ყაი-  
დით“ და ნაქცეურობით იცოდა გურგინ-ხანმა: სიკვდილი თავის  
გაგდებინებით, კლდეზე გადაჩეხვით, ან ცოცხლად დამარხვით.

და საოცარი ის არის, რომ არცერთი სიკვდილისთვის არ გაიმე-  
ტა გიორგი მეფემ სამომავლოდ ეგზომ საშიში და სახიფათო კაცი!

მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა: მირ-ვეისი შეიძყრო, ისფაპანს  
გაგზავნა და შაჰს შეუთვალა:

„ესე კაცი აღმოჩნდა გარდასულ არეულობათა და უნესოება-  
თა გამომწვევი და სულისჩამდგმელი; ახლაც უარშიობს  
(მოუნესრიგებლობა) თავაშვებული; დააკავეთ და არასგზით არ  
გამოუშვათ, თორემ იგი გახდება ისეთ ახალ არეულობათა მიზე-  
ზი, რომლებიც შეიძლება დიდად სახიფათონი აღმოჩნდნენ სა-  
ხელმწიფოსთვის“.

ქართველი მეფის ეს სიტყვები „თავის დროზე“ ნინასწარმეტ-  
ყველური აღმოჩნდება, მაგრამ შეცდომა უკვე ამ „ნინასწარმეტ-  
ყველებამდე“ იყო დაშვებული.

შეცდომა თვითონ გიორგი მეფისა...

შეცდომა, რომელსაც ერქვა სიკვდილისაგან განტევება  
მირ-ვეისისა.

ხოლო ასეთი შეცდომა, „განგების წესით“, ნიადაგ საბედისწე-  
რო უნდა შეიქნეს უნინარეს ყოვლისა იმისთვის, ვინც იგი პირ-  
ველმა დაუშვა.

გიორგიმ არ იცოდა, რომ (იქნებ, გაჩენის წუთიდანვე) მის ბე-  
დისწერას სახელად ერქვა სწორედ -- „მირ-ვეის“!

მირ-ვეისი რომ „მოიშორა“, გიორგიმ რაღაცნაირად უზრუნველყოფილი კულტურული გელად იგრძნო თავი. თითქოს აღარ იყო „შეჭირვება გულწყვეტილება, სა“. საფრთხის ალლო და გერში სავსებით მოეშალა. ავღანელთა ყრუ დრტვინვასა და უღავილს ძალლის ყეფადაც არ აგდებდა. მარტო ციხიონი ჩაიტოვა ქალაქში, ქართველთა გუნდი მცველად დაიყენა, ხოლო უმეტესი საომარი ძალა — სპარსელთა მხედროვა, სულ დაშალა და დაითხოვა სამსახურიდან.

ბედისწერის ჩარხი კი „მნარედ“ ბრუნავდა.



### შაპის ნაიბი, გინა — მოადგილე

1707 წლის თებერვლის დამდეგს გიორგი მეფემ სეხნია ჩხეიძე ქართლის მოლარეთუხუცესად დანიშნა, საბოძვარით აავსო და საქართველოში გასამგზავრებლად გაამზადა. ძმისთვის — ლევანისთვის ფარჩის ქსოვილებსა და ფულად ათას თუმანს ატანდა; ძმისწულის — ვახტანგ „ჯანიშინისთვის“ (მოადგილე), ორი ყათარი\* აქლემი, დატვირთულნი „მოფენილობით“ (ნოხებით), ფარჩით, ოქროს ზარნიშიანი თოფით, მოოქროვილი იარაღით, ძვირფასი ქვებით შემკული საპირისწამლით.

სეხნია ჩხეიძე საქართველოში ჩასვლამდე ისფაპანს უნდა სწვეოდა და შაპისთვის ცალკე ძღვენი და მისართმეველი მიერთმია. მაგრამ სწორედ სამგზავრო სამზადისის უამს შეიტყვეს, რომ შაპ სულთან ჰუსეინი, უზარმაზარი ამალითა და მთელი ჰარამხანით, ქალაქ მეშვედში ჩამოსულა აქაურ წმიდა ადგილთა მოსალოცავად.

ლევან მდივანბეგი და მისი ძე ქაიხოსროც თან ახლდნენ თურმე შაპს.

სხვა გზა აღარ იყო, — სეხნია ჩხეიძეს დასავლეთის ნაცვლად ჯერ ჩრდილო-დასავლეთისკენ, მეშვედისკენ უნდა აელო გეზი. ასედაც მოხდა. გაზაფხულზე ჩხეიძემ მეშვედს მიატანა. „ტკბილად“ შეხვდა შაპი გურგინ-ხანის მოციქულსა და მისგან მდიდარ

ყათარი — სტრატელი — „ჯორთ შეიდეული“ (საბა). მაშასადამე, გიორგი მეფეს ვახტანგისთვის გაუგზავნია თოთხმეტი (ორი ყათარი) დატვირთული აქლემი.



მისართმეველს.

ლევანის, ქაიხოსროსა და სეხნიას „აუნირელი“ შეხვედრას გადაწყვეტილი აღარ „აღინირების“...

იმავე 1707 წლის 9 ივნისს ჩაფარი (მცველი, თანმხლები) მოიჭრა ისფაპანიდან საზარელი და საშვოთარი ამბით: ერანის სატახტოში აჯანყება აფეთქებულა, საშინელი შიმშილი მძვინვარებს, დამშეულ ხალხს შაპის სასახლის აღაყაფი ქვებით ჩაუნგრევია და ჩაუქოლია; ყველაზე „თავხედნი“ შაპის ტახტზე აბას-მირზას აყვანას მოითხოვენ!

ეს სწორედ მეტისმეტი ყოფილა!

აბას-მირზა შაპ ჰუსეინის ძმა იყო და ციხეში იჯდა. „სპარსული ყაიდის მიხედვით, ტახტზე ასული ყოველი შაპი თავის ძმებს, ბიძებსა და ბიძაშვილებს ან ულეტდა, ან თვალებს სთხოდა და ციხეში ყრიდა; მაგრამ ჰუსეინი „ჟუილი გულის“ კაცი გახლდათ და მან თავის ძმა, აბას-მირზა, არც მოკლა, არც თვალები ამოხადა; მხოლოდ ციხეში ჩასმა აკმარა. ახლა კი გამოდის, — შემცდარა „გულეკეთილი შაპი“!..

ფიქრის, ქმუნვისა და ცინგლის ყრის დრო აღარ იყო. სასწრაფოდ ზომები უნდა მიეღო ხელმწიფეს.

მთავარი მაინც ის არის, ქართველები რომ ახლავან უკიდურეს საფრთხეში ჩავარდნილ სპარსელ გვირგვინოსანს — ამიტომ არ უნდა შეშინდეს იგი!

ქაიხოსრო ლევანის ძეს დაადგა თვალი შაპ ჰუსეინმა.

ქაიხოსრო — „ცოდნის იადგარი“, მამის მაგივრად სახელმწიფოს მდივანბეგობა რომ ქვეყნის „გასაკვირველად“ წარმართა, მამაცი მხედარი, ნიჭიერი მეთაური, „ბრძოლათა შიგან გულისა სრულად შემტევებელი, მრავალეკეცთა რაზმთა შემაძრნუნებელი და მძებნელი სახელისა და მეომრობისა“, და, რაც მთავარია, — ისფაპანისთვის ცნობილი, გავლენიანი და „საყვარელი“ ადამიანი.

მაშინვე შაპ ჰუსეინმა ქაიხოსრო გამოაცხადა თავის ნაიბად (შაპის მოადგილედ!) და ტარულად, მიანიჭა „განუსაზღვრელი რწმუნებანი“ — სავსებით დამოუკიდებელი სამართლის წარმოებისა და სიკვდილით დასჯის უფლებანი. მისცა ქართველთა გუნდი — მასთან სეხნია ჩხეიძეც, და აფრინა ისფაპანისენ.

მეშვედიდან ისფაპანამდე ორმოცი დღის სავალი გზაა მარჯვე ცხენოსნისათვის.

ხოლო ქართველებმა თორმეტ დღეში გაიქროლეს თითქმის



ათასი კილომეტრი გზა.

ქაიხოსრომ კარგად იცოდა, რომ ხალხის აჯანყების საწილება, შანდლად კუჭი ედგა და სხვა არაფერი.

კუჭი ცალიერია — კაცი ჯანყდება, კუჭი მაძღარია — კაცი წყნარდება.

ქაიხოსრომ ისიც იცოდა, ისფაპანს რომ პური საკმარისად ჰქონდა, მაგრამ „ვიღაცის ძლიერ ხელს“ ჩაეგდო ხელში პურის მთელი მარაგი.

ეს იყო სახელმწიფოს უმაღლესი მოხელე — პირველი ვეზირი, ეთიმადოვლე („სახელმწიფოს ბურჯი“, გინა „სახელმწიფოს ნდობა“). სწორედ ეს „სახელმწიფოს ბურჯი“ ანგრევდა სახელმწიფოს. მას ქალაქში შემომავალი მთელი მარაგი პურისა თავისად გაუხდია და საგანგებოდ დარჩეული ვაჭარ-აგენტების საშუალებით სისხლის ფასად ჰყიდდა.

დიდი იმედით შეხვდა ხალხი „ცნობილი და სიყვარულ-მოხვეჭილი“ ქართველი უფლისნულის გამოჩენას სატახტოში: „რა შევიდა ქალაქსა შინა, შეიქნა სიხარული დიდი“.

მისვლისთანავე მიხვდა ქაიხოსრო, საიდანაც მოთხლიშინობდა წყარო ბოროტებისა, მაგრამ სახიფათო ჩანდა ერთბაშად პირველ ვეზირზე იერიშის მიტანა. ამიტომ მან, თითქოს ეთიმადოვლეს ავკაციობისა არაფერი იცოდა, ისე დაერია მის აგენტებს, ვაჭრებს, გადამყიდველებს. დაერია ნამდვილი „სპარსული ყაიდით“ და ნაქცეურობით: ხალხის ნინაშე დამნაშავეს მუცელზე ფატრავდა და შიგნეულს აყრევინებდა, ან სავაჭრო დარაბაზე ყურით აჭედებდა, ან კიდევ როგორც ხარს თუ ცხენს, შიშველ ფეხისგულებს ნალითა და ღურსმნით უჭედავდა!

იჭექა და წამოვიდა პური ქალაქში. „თქვენმა მზემ, მეორე ღდეს გენახათ ქუჩა-და-ქუჩა ხვარბლით აივსო“. ბეღლები, დუქნები, ბაზრები დააღებინა დღითაც და ღამითაც ქაიხოსრომ. ოხუთმეტ ღამეს იყო ღია ბაზარი. ფეხით დადიოდა ქალაქში ქაიხოსრო, ვინმე მდაბიოსავით, რათა თავისი თვალით ეხილა ყოველივე — სიმართლე ყიდვა-გაყიდვისა, სისწორე სასწორისა, სიპატიოსნე აღებ-მიცემობისა. დადიოდა და „ხედვიდა“, რათა „არა-თუ ვინმე დააშაოს რამე“.

„შეიქნა ისფაპანში სიმშვიდე და იეფობა“.

ერანის სატახტო ქალაქი გაძლა, დამშვიდდა, დაწყნარდა.

ქაიხოსროს სახელზე ლოცულობდა ხალხი.

ფეხებში ეგებოდნენ და „ლოცვიდენ შიმშილის მორჩენისათვის“  
ქაიხოსრომ მეშვედში ჩაფარი აფრინა და ისფაპანში ჭრულება

ნესრიგის აღდგენის ამბავი შაპს შეატყობინა.

ზედამომავალი

შაპ სულთან ჰუსეინი მიწაზე ველარ მაგრდებოდა სიხარულით.

ცალკე ათასი თუმანი, ცალკე „შესამოსი მძიმე“ და ცალკე ეი-  
დევ „მადრიელობა“ გაამზადა „საოცარი“ ქართველი ბატონიშვი-  
ლისათვის.



### „სიტყვის კონას“ რომ კითხულობდა

არავინ იცის, ედო თუ არა რაიმე წილი მირ-ვეისს ისფაპანის  
არეულობაში, მაგრამ შემდგომ საცნაური შეიქნა, როგორ ძლიე-  
რად მოქმედებდა ავლანთა ცბიერი ბელადი.

ისფაპანში მისვლისთანავე დაყნოსა მირ-ვეისმა სასახლის კა-  
რის განწყობილებანი და უმალვე იგერშა, რომ შაპის უმაღლეს  
მოხელეთა შორის გიორგი მეფისადმი უფრო შური, შიში და  
მტრობა სუფევდა, ვიდრე თანადგომა, პატივისცემა და სიყვარუ-  
ლი. მართლაც, აშკარად „შურობდნენ ყიზილბაშნი“ ქართველ  
ხელმწიფეს.

გიორგი მეფის მტრების მოთავესაც მაშინ მიაგნო მირ-ვეისმა.  
ეს ყოფილა სასახლის კარის უმაღლესი განმრიგე და ბაზიერთუ-  
ხუცესი ფათჲ-ალი-ხანი (წარმომავლობით ლევი), რომელიც შემ-  
დგომში ერანის პირველი ვეზირი — ეთიმაღლვლე უნდა შეიქნეს.

ესეც არ დაგვავინყდეს: ავლანელ ბორკილოსანს უკან უამრა-  
ვი საჩუქარი და ფულად ოცდაათი ათასი თუმანი მოსდევდა.

სხვა რაღა იყო საჭირო? ქრთამი, შური და სიძულვილი ერთ  
კავშირში — ქართველი მეფის ნინააღმდეგ!

ფათჲ-ალი-ხანმა მფარველობაში მიიღო ქართველი მეფისგან  
„უსამართლოდ შევინროებული“ ავლანელი „კეთილშობილი გმი-  
რი“, გინა — „თავადი ლომის ბოკვერი“ (მათს სიახლოვეს უეჭვე-  
ლად იმანაც შეუწყო ხელი, ორივე რომ სუნიტები (მაპმადიანობის  
ერთ-ერთი განხრა) იყვნენ).

იკრიბებოდნენ ფათჲ-ალი-ხანის სახლში გიორგი მეფის მო-  
შურნენი და მესისხლენი და ბჭობდნენ, როგორ მოელოთ ბოლო

კაცისთვის, რომელიც „ერთნაირად მტრობდა“ ავღანსაც და  
სპარსელსაც.

ბოლოს გიორგის მტრებმა იმდენი ქნეს, რამდენჯერმეტაზეუცად  
ნაც მოახერხეს მიერ-ვეისის შეყვანა. სატახტოში უფრო ფრთხი-  
ლად და მზაკვრულად ლაპარაკობდა ავღანთა ბელადი. იგი ვი-  
თომ გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულით ახსენებდა  
გიორგი მეფეს, აქებდა მის ლირსებებს, ნიჭა და სიმამაცეს, მაგ-  
რამ ხშირად საუბარს ისე გადაგრებდა, მსმენელს ბოლოს და ბო-  
ლოს უნდა ეფიქრა: ის, ვინც დღეს ერთსა და იმავე დროს მფლო-  
ბელობს საქართველოს, ქირმანსა და ყანდაპარს, შაპის ერთგულ  
ქვეშვრდომად უფრო ჩაითვლება, თუ მის მეტოქედ და მოქიშ-  
პედ?! მერე, იმასაც ნურავინ დაივინყებს, რა თავგამოდებით ებ-  
რძოდა საქართველოდან სპარსეთს ჩამოსვლამდე გიორგი მეფე  
სპარსელთა ჯარებს...

და, შეუჩინდნენ შაპ სულთან ჰუსეინს: გავათავისუფლოთ და გა-  
უშვათ თავის ქვეყანაში უდანაშაულო და ერთგული მირ-ვეისიო.

შაპს ყოყმანი შეუდგა — ეს კარგი ნიშანი იყო. მირ-ვეისმა გი-  
ორგი ვითომც დაივინყა და შაპს სთხოვა: მექაში გამიშვი სალო-  
ცავადო. შაპი დათანხმდა.

წავიდა მექაში მირ-ვერსი, ილოცა ქაბას — „ლვთაებრივ ქვა-  
ზე“, და დიდხანს ეთათბირა ისლამიტური სამყაროს უმაღლეს  
ქურუმს. ეთათბირა და მიიღო ნება და კურთხევა საღვთო ომისა  
„ურნმუნო ქართველების“ წინააღმდეგ, რომლებიც „ჩაგრავენ  
ნამდვილ მორნმუნებს — ყანდაპარელებს“.

ისუაპანს დაბრუნდა მირ-ვეისი და წარუდგინა შაპს მუსლი-  
მური რელიგიის საჭეთმპყრობელის მონოდება „საღვთო ომისა“  
ქართველთა წინააღმდეგ.

ისევ მიეხვივნენ ქართველთა მოძულენი შაპს: გაუშვი თავის  
სამშობლოში მირ-ვეისი, ეს „ლვთისნიერი კაციო“.

შაპი მეშვედში წავიდა და იქაც მისდიეს ხვენნა-მუდარით: უბ-  
რძანე გურგინ-ხანს, დაიბრუნოს და შეირიგოს ეს ყოვლად  
უცოდველი მირ-ვეისიო.

ყოველივე ამას ზედ დაერთო კიდევ ერთი „ძლიერი შემთხვე-  
ვა“, რამეც საბოლოოდ გადაწყვიტა მირ-ვეისის ბედიც, გიორგი  
მეფის ილბალიც და, ასე გასინჯეთ, სპარსეთის მომავალიც.

სპარსეთს ჩამოვიდა რუსეთის ელჩი, სომები ისრაელ ორი,  
რომელსაც ჩამოსვლისთანავე რაღაც საიდუმლო „მი-მო-სვლა“

გაუმართავს გიორგი მეფესთან.

ეს სავსებით საკმარისი შეიქნა, მირ-ვეისს, ფათჰ-ალი-ხანსა და მათ მომხრებს მთელს სპარსეთში ხმები დაეგდოთ აუკირავა, თველთა მეფე თანაქრისტიან რუსებთან და სომხებთან რაღაც სპარსეთის სანინააღმდეგო რაღაც კავშირს ჩარხავსო!

„ვის შეუძლია დაიჯეროს ქართველების ერთგულება? — ამ-ბობდა მირ-ვეისი, — განა საეჭველია, რომ ისინი თავიანთი ნებით არ ემორჩილებიან სხვა რჯულის ქვეყანას? განა დაგვა-ვინყდა მათი მრავალგზისი ცდა, გადაეგდოთ სპარსეთის იმპე-რიის უღელი ამავე გურგინ-ხანის მეთაურობით, რომელიც ახ-ლა სპარსეთის იმპერიის სამი პროვინციის გუბერნატორია!

ნურც ის დაგვავინყდება, გურგინ-ხანის უფროსი ძმა რომ რუ-სეთშია და იქ პეტრე პირველთან ეძებს დახმარებას; რუსეთის არმიებსაც ხომ შეუძლიათ კავკასიონი გადმოლახონ, ქართვე-ლებს ხელი მისცენ და სპარსეთს ბოლო მოულონ — „გურგინ-ხა-ნიც ხომ გულით ქრისტიანია!“

უეჭველად ასე მოხდება:

ქართველები და სომხები ერთმანეთს შეეკვრებიან (როგორც ეს ადრეც „სჩვეოდათ“) რუსეთის დახმარებით სპარსეთისგან თავს დაიხსნიან და ამ დიდ „საქრისტიანო“ ბრძოლაში მთავარ ძალად „საქართველოს მამაკი მცხოვრებლები“ იქნებიან, ხოლო მთავარ გმირად უეჭველად გიორგი მეფე ეყოლებათ მონიშნული!

(ეს კი სწორედ სიმართლეს ჰგავდა).

უეჭველად გამოვინვიოთ გურგინ-ხანი ყანდაპარიდანო, — შეაპარა შაპს რომელიღაც მოთათბირებ.

ეგ არ ივარგებს, — გურგინ-ხანი ხმალს იშიშვლებს და თავისი ქართველებით მოგოლებს (ინდ. გამგებლები) და ინდოელებს შე-უერთდებაო, — თქვა მეორემ.

ამიტომ ყველაფერს სჯობია, ისევ მირ-ვეისი დავაბრუნოთ თავის სამშობლოშიო, — დაუმატა მესამერ.

და შევარიგოთ მირ-ვეისი გურგინ-ხანსო, — იქედნური სიცი-ლით დაასკვნა მეოთხემ.

ქართველები უაღრესად უდარდელნი და უილაჯონი არიან მსტოვრობასა და ჯაშუშობაში.

მეფე გიორგი თალარში (ფანჩატურში, ხეივანში) იჯდა და სულხან-საბა თრბელიანის „სიტყვის კონას“ კითხულობდა თავ-დავინყებით.

გიორგი და სულხან-საბა ბიძაშვილ-მამიდაშვილები  (გიორგის დედა როდამი სულხან-საბას მამიდა იყო). 

სულხან-საბა მაღალი სულის, განათლებისა და მამულიშვილობის მქონე ბატონიშვილთა შორის იზრდებოდა.

გამორჩევით გიორგის უკუკარდა გასაოცრად ნიჭიერი და სათხო ბიძაშვილი — მფარველობდა, ზრუნავდა, აქეზებდა.

სწორედ გიორგის დაუინებული დავალებით შეედგინა სულხან-საბას „სიტყვის კონა“. კიდევაც დაენერა: „გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი ხელყოფაო“.

დაენერა „სიტყვის კონა“ და ძმისთვის, ვახუშტი ყაფლანიშვილისთვის გაეგზავნა ყანდაპარს (მეითხველს ახსოვს ზემორენათქვამი: ვახუშტი ყაფლანიშვილი სათავეში ედგა იმ ათას მეომარს, ლევან ბატონიშვილმა რომ გაუგზავნა გიორგის ქართლიდან). მაგრამ ვახუშტი მოულოდნელად გარდაცვლილიყო და ველარ მიესწრო მისთვის ძმის საჩუქარს.

ახლა გიორგი კითხულობდა „სიტყვის კონას“ — საოცარ, პოეტურად დაწერილ ლექსიკონს.

კითხვა დაასრულა.

დიდი, ზენაარი სინათლე დასცემოდა სახეზე მეფეს.

არსებით ისევ საქართველოში გადასახლებულიყო.

(ეს მერამდენედ?!)

დაჯდა, სანერანი გაიწყო და შეუდგა წერას:

„ჩემო სანახავად სანატრელო ძმაო, ბატონო სულხან! მრავალი მოკითხვა მომისხენებია. ლექსიკონი გამოგეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგეგზავნა! მე ის მიამებოდა, შენმა მზემა, ასრევ მეამა და გავეწყევ, რომე თათრულს წიგნზე მივმდგარვარ და კიდევ ვისწავლე, ლამის ის გამაშვებინოს ამისმა კითხვამა. ბევრი შენდობა მითქვამს და კიდევ გეტყვი შენდობასა. დიალ კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყევ. ახლა ამ წიგნში ზოგი რამ ქართული სიტყვა არის, ვერ შემიტყვია, ვერ შემიტყვია. თუ ამას კაის ხელად დამიწერინებ და გამომიგზავნი, კარგი იქნება. ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება. იმაზედ გადმომიწერინე. დიდად დაგიმადლებ...“

ხელი გაუჩერდა.

მნარე ფიქრებმა ჩაითრიეს გიორგი.

უსაშველოდ მოეძალა „ქართული ნაღველი“.

უცებ უფროსი ძმის, არჩილის, ნერილიც გახმიანდა მის გონე-

ბაში: „ჩემო ორისავე თვალის სინათლევ და გულის სიმხიარულევ, ჩემო დამტირებელო ბატონო გიორგი და ბატონო ლევანი! — სწრდა რუსეთიდან არჩილი უმცროს ძმებს.

ზოგიერთი

დამტირებელომ?!

ეჰ, ვინ იცის, ვინ ვის დაიტირებს!..

მეშვედიდან ფაიქი მოიჭრა და შაჲ სულთან პუსეინისგან გამოგზავნილი ოქროვანი ხალათი და რაყამი მოართვა მეფეს.

იმ რაყამში ენერა:

„მირ-ვეისი უბრალოდ ვსცანით და შევირიგეთ, ვინდლო ჩვენი გადაწყვეტილება მართებულად მიიჩნიოთ, მირ-ვეისი თქვენც მართლად ჩათვალოთ, შეირიგოთ და თქვენს სამსახურად დაიბრუნოთ!“

?

რა გაენწყობოდა!

მიიღო და შეირიგა მირ-ვეისი გიორგი მეფემ.

საშიშარი და საფთხურიც არაფერი უგრძვნია, რადგან მის ნინაშე მუხლებზე დაცემული მირ-ვეისის თვალებიდან უბრალო, მორჩილი და ბედს შერიგებული მონა იმზირებოდა და სხვა არაფერი.

(ისედაც — ქართველი კაცი ხომ ყოვლად უვარგისი, უსუსური, მსტოვარი და ჯაშუშია).

მხოლოდ ის გაუკვირდება მეფეს, შაჲის კარზე მისი სიტყვა რომ გააცუდეს.





ზეცა პხედავს ჩემი ხალხის თვალებით, ზურტების  
მენს ჩემი ხალხის ყურებით.

ფან ვენ-ლან

წელიწადნახევარი გავიდა „შერიგებიდან“.

მირ-ვეისი ისეთ ძალურ ერთგულებას იჩინდა, გიორგის სავსე-  
ბით ამორეცხოდა გულიდან მისდამი ოდინდელი წყენა და ეჭვი.

ერთი სიტყვით, ლომს მწერის არსებობაც დავიწყნოდა და  
ლომის მომაკვდინებელი მწერისმიერი შხამიც.

1708 წელს გიორგი მეფემ თავისი ძმისნული იქსე ლევანის ძე  
ქირმანის სამართველოდ გაგზავნა და მის ნაცვლად ყანდაპარს  
მეორე ძმისნული ჩაიყვანა — ალექსანდრე ლუარსაბის ძე (ხარ-  
ჭის ნაშობი).

იმავე წელს გიორგიმ იერუსალიმს, გოლგოთისა და ჯვრის მო-  
ნასტრის „სახსრად“ და შესამეობად, გაგზავნა ორი ათასი თუმა-  
ნი და „სხვანი მრავალნი შესამეონი“.

დიდი საბუთი უნდა მისცემოდა მირ-ვეისს: გიორგი მეფე  
ქრისტიანობას არ იშლიდა!

მერე, ოქონის განთქმული ხატი, ჯვარნი და სანანილენი, რომ-  
ლებიც ადრე, საქართველოში ყოფილისას, გიორგის მესხეთიდან  
გამოქცეულმა ქართველმა ჩამოუტანა, ახლა მეფემ საქართვე-  
ლოშივე გაგზავნა ვახტანგ ჯანიშინთან.

(თითქოს, რაღაც წინათგრძნობა ანუხებდა მეფეს: ამ ქართულ  
წმიდა ნივთებს მაინც ელირსოთ ქართულ მინაზე დაბრუნებაო...).

მირ-ვეისმა დიდი, საგანგებო ნადიმი გაუმართა „თავის მეუფეს“.

გიორგიც ეწვია გულდანდობილად „ერთგულ ქვეშევრდომს“.

მაშინ იხილა მეფემ მასპინძლის ასული, ქალი კალმით ნახატი.

„გარდარეულად მოესურვა“ ეს ქალი გიორგის. მოესურვა და  
სთხოვა დამოყვრება მირ-ვეისს.

დამოყვრებაო?! გიორგი მეფე ასულს ცოლად მთხოვსო?! ლა-  
მის ჭკუა დაკარგა მირ-ვეისმა სიხარულით.

მაგრამ ვაითუ ცოლად კი არა, ხარჭად ჩააგდოს თავის ჰარამ-  
ხანაში მეფემ „ულირსი ყმის“ ქალი?! ამიტომ მცირე დროს ით-  
ხოვს მასპინძელი „მოფიქრებისთვის“.

დიახ, „მოფიქრებისთვის“.

პირდაპირ საბედისნეროა ქართველთა „დამახასიათებელი

სისუსტე” — უდარდელობა და უილაჯობა მსტოვრობაშა  ჯაშუშობაში.

გამთენისას მირ-ვეისი მოიჭრა სასახლეში და მეფეს ჰუნტობაზა ფირინების ტომი აჯანყებულა ჩვენს წინააღმდეგო!

(ქართველთაგან არავინ იცოდა, რომ ფირინები თვითონ მირ-ვეისის ნიშანზე აჯანყებულიყვნენ!).

„ადრეც ვამბობდი, ფირინების საზიზლარი მოდგმა უნდა ამონყდეს და ამოიძირკვოს-მეთქი!” — ყვიროდა მირ-ვეისი „გულწრფელი“ ლანძღვითა და თათხვით.

გიორგი მეფემ მირ-ვეისი დაამშვიდა და ძმისნული ალექსან-დრე ლუარსაბის ძე იხმო სასწრაფოდ. ქართველთა ჯარი (სულ ათასი კაცი) ჩააბარა და ფირინთა ბუდეების ასაოხრებლად და დასანგრევად აფრინა.

თვითონ გიორგი წარჩინებულ ქართველთა მცირე ამალით ქალაქში დარჩა.

უსაზღვრო სიხარულმა ააჩქროლა გული მირ-ვეისისა.

მირ-ვეისს ნადიმი გაუმართავს, საგანგებოდ გიორგი მეფის საპატიოდ, საპატიოდ კი არა, — უფრო საქორნინოდა, ან „წინა-საქორნინოდ“, რამეთუ „დარწმუნებულა“ მირ-ვეისი: გიორგის ხარჭად კი არა, ცოლად მიჰყავდა მისი ასული.

თავს ეგებიან ავღანელნი დიდებულ მეუფე-სტუმარს. „ყველა-ფერი მიართვეს, რისი მირთმევაც კი შეიძლებოდა. ყველა ცდი-ლობდა, ყოფილიყო პირველი ქართველი სტუმრისადმი ყოველ-ნაირ სამსახურში... საუცხოო ლხინი გაჩაღდა“.

უკვე დიდი სასმურებით მიაწვნენ ღვინოს.

სვამენ ქართველები, მწყურვალედ, დაურიდებლად, უდიერად. ნადიმი (თუ ქორნილი) გრძელდება შუალამემდე.

ქალაქიდან სამი ვერსის მანძილზე დგანან ავღანთა ჯარები და თავიანთი ბელადის, მირ-ვეისის, ნიშანს ელიან.

ქართველები კი ჯერჯერობით ღვინოში იხრჩობიან...

(ღვინოში და არა სისხლში... ჯერჯერობით).

ნადიმი აბარბაცდა, აიშალა და გაიყარა.

ღვინით ხელდარეული ქართველები ერთმანეთს შორდებიან და ცალ-ცალკე ბრუნდებიან თავიანთ კერძოულ საცხოვრებელებში.

(მათ არ იციან, სამუდამოდ რომ დაშორდნენ ერთურთს)...

მეფე გიორგი მარტოდმარტოდ შედის სასახლეში...



მესამედ იყივლა მამალმა.

ავლანთა რაზმეულები ერთსა და იმავე უამს მიაღვნენ ქილში  
ჩაძირულ ქართველთა ცალკერძოულ საბინადროებს.

ორმოცდაათ-ორმოცდაათი ავლანი მეომარი თითოეული ქარ-  
თველის სიცოცხლის ჩასაქრობად!

ასკაციანი რაზმი „ყოვლის მძლეველი ქართველი მეფის“ შესა-  
მუსრავად!

კარის ზრიალმა და თოფის გრიალმა წამოაგდო ფეხზე გიორგი  
მეფე.

ძილს გამოეხსნა და აიწვართა პერანგის ამარა.

მშვილდი და კაპარჭი აიტაცა წამნამისად.

რვაჯერ მოასწრო ისრის გასროლა.

რვაჯერვე გაისმა მომაკვდავის ბლავილი დალენილი კარის  
ზღურბლზე.

ისრები რომ შემოიხარჯა, ხმალგამართული ეკვეთა უკვე სან-  
თიობოში შემოქრილ მტრებს.

ზედიზედ დასცა სულგავარდნილი, ვისაც მიუხდა და ვინაც  
მოუხდა.

„თოფებიო!“ — გაისმა ბლავილი მირ-ვეისისა.

სასახლის ჭერი ჩამოაქცია საშინელმა გრიალმა.

იატაკი შეაზანზარა მძიმე დაცემამ.

წამსვე სამარისებური მდუმარება ჩამონვა.

ალიონის მკრთალმა სიომ ზლაზვნით გაითრია ნათოფარი  
წამლის ნისლი კარებმორღვეული სანთიობოდან.

სისხლით დატბორილ იატაკზე ათი-თორმეტი მკვდარი გა-  
მოიკვეთა — ზოგი მკერდში ისარგარჭობილი, ზოგიც ხმლით  
შუაგაჩებილი.

ცალკე ინვა ვეება სხეული, ტყვიის ცეცხლით დაცხრილული  
და დაბალთული.

ეს იყო გიორგი მეთერთმეტე, მეფე ქართველთა.

მიეჭრა მირ-ვეისი, დალენილი მკერდი მოუჩხრიკა და... ქრის-  
ტეს ჯვარცმამ იელვა ქართველი მეფის მენამულ მკერდზე!

იქვე, სარეცლის სასთუმალ ქვეშ, ბიბლია გამოჩნდა — ფსალ-  
მუნზე გადაშლილი.

აღტაცებული ღმუილი აღმოხდა მირ-ვეისს.

სხვა საბუთები რაღა საჭირო იყო ქართველი მეფის „ღალატის“  
დასამტკიცებლად! შაჰსა და ქვეყანას მაჰმადიანობას ეფიცებო-

და, ხოლო სულითა და გულით ისევ ქრისტიანად დარჩენილა!..

ჯეარი ააგლიჯა მკერდიდან მოკლულს, ბიბლიაც აიტენაცია მალემსრბოლი იხმო.

მიპეროდა ფაიქი ისფაპანისკენ და მიპერონდა ქრისტიანული ნივთები გიორგი მეფისა და წერილი მირ-ვეისისა.

ავღანთა ბელადი ერანის ხელმწიფეს სწერდა:

„აპა, დახედე და დარწმუნდი, როგორ გაცდუნებდა მეფე ქართველთა!“

ქალაქი მირ-ვეისის ჯარებით ავსებულიყო.

დახოცილ ქართველთა გვამები გამოათრიეს და ყანდაპარის შუაგულ მიედანზე დაყარეს.

გიორგის უზარმაზარი ცხედარი ზემოდან დააწვინეს, ხალხის და ჯარის „თვალსასეიროდ“.

მირ-ვეისი ცხენზე აღიმართა, — სიტყვა უნდა ეთქვა ხალხისათვის.

სიჩუმე ჩამოწვა.

მირ-ვეის მზერა წაართვა მის წინ დარეცილმა ვაჟკაცმა.

დიდხანს დასცეკეროდა „ცითმოვლენილ ქართველ გმირს“.

როგორც იქნა, გამოერევა, გიორგისკენ ხელი გაიშვირა და ხალხს შესძახა:

„აი, ხელმწიფე გურგინ-ხან, იგი უკვე აღარ არსებობს ცოცხალთა შორის; ქართველი კაცი, ერთადერთი სპარსელთა შორის, რომელმაც ლირსეულად დაიმსახურა სახელი ჭეშმარიტი მხედრისა, ხელმწიფისა და ვაჟკაცისა.“

იდგა 1709 წლის 21 აპრილი, დიდი ხუთშაბათი.

აღსრულებულიყო გიორგი მეთერთმეტე — უკანასკნელი „დიდი გიორგი“ (გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი მთაწმინდელის, გიორგი მესამის, გიორგი მეოთხე ლაშას, გიორგი მეხუთე ბრწყინვალისა და გიორგი სააკაძის შემდგომ).

მისი სახელით დასრულდა გამორჩეული „გიორგი-შვიდეული“ საქართველოს ისტორიაში.

აღსრულებულიყო მეფე ქართლისა, „ამირსპასალარი სპარსეთის ჯარებისა“, ბეგლარბეგი ქირმანისა, ყანდაპარისა და გირიშკისა — ერთდროულად სამშობლო საქართველოს თავდადებული გმირიც და მისი სამშობლოს მოსისხლე „უცხო თესლთა“ ისტორიის მჯედელიც.

აღსრულებულიყო „მეფე მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და

ტანითა („ძლიერი გოლიათებრ“), შვენიერ-ჰაეროვანი, პირ-მხარე რული, ენატყბილი („ასეთი სიტყვა ჰქონდა, მტერნი მოწვევრობა, შეცვალის“), უხვი და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე უებრო, სამხედროთა საქმითა სრული და ხელგამომავალი“.

იმდროინდელი აღმოსავლეთის უდიდესი სარდალი და პოლიტიკოსი.

თავისი დროის ქართული ენის დიდი მესიტყვე, ქართული მნიგნობრობის თავეაცი და ხელშემწყობი, თვითონაც მნერლობაში ხელგანაფული (მისი თხზულება — „თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ“).

გადაეგო უშვილძიროდ, თვისტომთაგან დაუტირებლად. ქართული ცრემლით დაურნყულებელი შეერთო მისი სხეული უცხოსა და უმადურ მინას. მისი საჭირისუფლო ზარი იყო მოსისხლეთა ნერვიული უღავილი, უკანასკნელ ხმალთა ნერიალი და სიკვდილის მაცნე თოფთა გრიალი. მხოლოდ ტანსაცმელი და იარალი დაიტირეს ორმოცდლიანი დატირებით ქართველებმა თბილისში — ვახტანგ ქართლის გამგებელმა, სამეფო დარბაზმა, ერმა და ბერმა.

გადაეგო ყველაზე მნარე ტრაგედიით — სამშობლო დაკარგული კაცის ტრაგედიით.

(აკი უცხო სამყაროში ჩადენილ უდიდეს გმირობასაც ადგილობრივი უმადურობისა და უფასურობის მინა ეყრება უმეტეს ნილად!).

უცნაური იყო მისი წუთისოფელი: დიდმა მამულიშვილმა საყვარელ სამშობლოს საკუთარ ნიალში მოღვაწეობისას ვერ მისცა იმდენი მადლი და სიკეთე, რამდენიც უცხოეთში მოღვაწეობით და უცხოელთათვის თავის განირვით. ამიტომაც უილბლო ჩანს მისი გმირობა... განა ვისმე გაეგებოდა (ან გაეგება?!), რომ მისი უებრო სიქველე და თავგანწირვა უმადურ „უცხო თესლთათვის“ უცხო მხარეში, მაინც დიდ მადლად გამოადგა მის ღვიძლ სამშობლო საქართველოს?! სწორედ მისმა დიდმა და ვრცელმა მიზიდულობამ გაითრია და ჩაითრია საქართველოს მოსისხლე სპარსეთის ხარბი თვალ-ყური აღმოსავლეთ ირანსა და ავღანეთს, ხოლო მასვე უამს გიორგის ძმისნულმა, დიდმა მამულიშვილმა ვახტანგ მეექესემ დრო დაიხელთა და მისი დიდი ბიძისგან „გათრეული“ ერანის ზურგს უკან მშობლიური ქართლი მკვდრე-თით აღადგინა, ააღორძინა და ააყვავა.

განა ყოველივე ეს გიორგი მეთერთმეტის „უილბლო გმირო“ ბის „მადლი არ იყო?!“

განა მისი „უილბლობა“ მისივე სამშობლოს ფეხბედნიერ „გლეხა ბლად“ არ მოევლინა?!

დაიბადა 1651 წელს, იმედა 18 წელიწადი, აღესრულა 51 წლისა.

საქართველოდან შორს, უცხო ცის ქვეშ, ცხელ უდაბნოში განზავდა ქართული მინისა და წყლის მონატრული მხურვალე გული.



## გიორგი მეთორმეტე

მეფე ერეკლე მეორეს, სამი ქორნინებით, 24 შვილი ეყოლა. პირველი ცოლის, ვახტანგ ორბელიანის ასულისაგან გაუჩნდა სამი შვილი: რუსუდანი, ვახტანგი და სახელით უცნობი ბავშვი (სამივე დაეხოცა). მეფის მეორე ცოლი იყო ანა, ზაალ აბაშიძის ასული, რომლისგანაც შეეძინა გიორგი და თამარი (ცოლი სარდლისა და სახლთუხუცესის დავით ორბელიანისა). ერეკლეს მესამე ცოლმა, დარეჯან დადიანის ქალმა მეფის შესძინა კიდევ ცხრამეტი შვილი: ელენე (ცოლი იმერელი უფლისნულის არჩილისა), მარიამი (ცოლი თბილისის მოურავ დავით ციციშვილისა), ლევანი, სოფიო (ადრე გარდაიცვალა), იულონი, სალომე (ადრე გარდაიცვალა), ვახტანგი (ალმასხანი), თეიმურაზი (ანტონ მეორე კათალიკოსი), სოსლან-დავითი (ადრე გარდაიცვალა), ასლამაზ-ხანი, ალექსანდრე, არჩილი (ადრე გარდაიცვალა), ქეთევანი (ცოლი იოანე მუხრანბატონისა), ფარნაოზი, თეკლა, ლუარსაბი, მირიანი, ხორეშანი, ანასტასია.

და აი, ერეკლე მეფის გარდაცვალებისა და დატირება-დაკრძალვის კვალდაკვალ, 1798 წლის იანვარს, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი დაიჭირა მისმა უფროსმა ძემ, გიორგი მეთორმეტემ...

ერეკლე მეფის რომ დღე-ლამეში მხოლოდ ოთხი საათი ეძინა, — მის ძეს, გიორგი მეფის, დღე-ლამეში მხოლოდ ოთხი საათი ეღვიძა.

ერეკლე მეფის ტანის სიმსუბუქე რომ არწივს შეშურდებოდა, — გიორგი მეფის ტანის სიმძიმე სპილოს შეშურდებოდა.

ერეკლე მეფე ბრძოლად მიმავალი რომ ერთ ლუკმა პურს და

ერთ ჭიქა ლვინოს იკმარებდა, — გიორგი მეფე, წოლად მიმავალი ერთ მოხარშულ ზაქს და ერთ ჩაფ ხოდაშნურს ძლივს იკმარებდა.

ასეთი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, გიორგი შე-  
თორმეტე. როცა იგი ჭამასა და ძილს მორჩიებოდა, ერთთავად  
სულ ლოცულობდა. სანოლი ოთახი ხატებით ჰქონდა გავსებუ-  
ლი. ჩამოუკლიდა და ყველას ჩაჰკოცნიდა, ხოლო რომელსაც ვერ  
მისწვდებოდა, ჯოხს მიაწვდენდა და მისი მეშვეობით „ჰკოცნი-

“ ყველას. წირვა-ლოცვის, ზარების რეკვის თავდავიწყებით  
მეტრფე იყო, რუსთ ხელმწიფის, გონებასუსტი თევდორესავით.  
ყოველი მოულოდნელობისადმი, ყოველი სიახლისადმი, სალხინ  
თუ საჭირისუფლო მოვლენისადმი იყო გულგრილი, აუღელვე-  
ბელ-აუშფოთებელი.

უკვე ცხენზე ვეღარ ჯდებოდა „ზაქიჭამია“. მძიმე სხეული უძ-  
რაობით დაუსნეულდა, ნყალმანკი გაუჩნდა (მხოლოდ ამით „მი-  
ბაძა“ მამას). ალბათ დიდხანს აღარ იცოცხლებსო და ტახტის ახ-  
ლოს მორიალე ყველა მაძიებელი „სატახტო ნახტომისთვის“ ემ-  
ზადებოდა — ცალკე მეფის ძმები და ცალკე მეფის ძენი, ერთმა-  
ნეთის მოძულენი და მოქიშპენი.

მუდამ დინჯი და აუჩქარებული გიორგი მხოლოდ მაშინ აჩქარე-  
ბულა, როცა ხელი იმ კანონზე მოუწერია, რომლი ძალითაც მეფო-  
ბა მის ძმებზე უფროს-უმცროსობით უნდა ჩამორიგებულიყო. ეს  
„აჩქარება“ ანუხებდა ყველაზე მეტად მეფე გიორგის და გამუდმე-  
ბით ცდილობდა, როგორმე შეცდომა გამოესწორებინა და ტახტის  
მემკვიდრეობა ისევ თავისი შვილებისთვის „გადმოემტკიცებინა“.

გიორგის ძმებმა ეს იგრძნეს და თავიანთ საუფლისწულოებში  
მეფისადმი მტრობა გაააქტიურეს. მაშინ გიორგიმ ძმების ასა-  
ლაგმავად და პირადი უშიშროების უზრუნველსაყოფად, დაიქი-  
რავა ლეკთა ჯარი — 1200 კაცი. ამან კიდევ მეტად გაართულა  
მდგომარეობა. ჯარის შენახვაც ძნელი იყო (ყოველ ლეკს თვეში  
ჯამაგირად 30 მანეთს აძლევდა) და ლეკების საშუალებით მშვი-  
დობიანობის ჩამოგდებაც ნარმოუდგენელი!

მეფესა და მის ძმებს შორის მტრობა უფრო გამძაფრდა.

რუსეთიდანაც მეფობის დამტკიცება გიორგის ჯერ ისევ არ  
მოსვლოდა, სამაგიეროდ, ირანის შაჰისაგან, ბაბა-ხანისგან მოუვი-  
და სიგელი. ისევ ჩემკენ შემობრუნდი, წყალობით ერევანს, განჯას,  
შაქსა და შირვანს მოგართმევო — ითვლევინებოდა ბაბა-ხანი.

გიორგის შაჰის შემოთავაზება თითქოს ჭკუაში დაუჯდა, საპა-

სუხოდ ელჩიც გაუგზავნა, მაგრამ ირანში ისევ შინაარეულობა/ ატეხილიყო და იქ საქართველოსათვის ველარავინ მოიცავდა/ ატეხილიყო და იქ საქართველოსათვის ველარავინ მოიცავდა/

მაშინ გიორგიმ ოსმალეთთან სცადა კავშირის გაბმა. ყოველივე ეს მეფემ რუსეთის მთავრობასაც შეატყობინა და ამ შემთხვევაში მან გვარიანი სიმტკიცე გამოიჩინა: უკეთუ რუსეთი ახალ ქართველ მეფეს სასწრაფოდ არ სცნობს და სათანადო დახმარებასაც არ გა- მოიღებს, გიორგი ერეკლეს დროინდელ „ტრაქტატს“ გააუქმებს, რუსეთიდან თავის ელჩისაც გამოიწვევს და დახმარებასაც სხვაგან მოიძიებს... ეს შეუთვალა გიორგიმ პეტერბურგში თავის ელჩს, გარსევან ჭავჭავაძეს, რუსეთის მთავრობისთვის გადასაცემად.

გიორგის ასეთმა მოულოდნელმა კატეგორიულობამ შედეგი გამოიღო. რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა სასწრაფოდ წყალობის სიგელი გამოუგზავნა ქართველ მეფეს. გიორგიმ მა- შინვე ტახტზე დამტკიცების ნიშნები, ტახტის მემკვიდრედ მისი ძის დავითის დამტკიცება და საქართველოში 300 რუსი ჯარისკა- ცის გამოგზავნა მოითხოვა.

პავლე პირველმა ქართველი მეფის ყველა ამ თხოვნასაც 1799 წლის 18 აპრილს, წერილობით ხელრთვით დასტური მისცა.

დავით ბატონიშვილის ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებამ სა- ბოლოოდ გადაამტერა ძმები გიორგი მეფეს. ისინი თავიანთ სა- უფლისნულოებში ჩაესაფრნენ, ვითარცა „ცალკე მეფენი“ და უფროსი ძმის მეფობას სრულებით აღარ სცნობდნენ. იულონი, გიორგის შემდგომ ძმათა შორის ყველაზე უფროსი, ნამდვილ მე- ფედ თავის თავს თვლიდა და ქსნის ხეობაში იკრებდა მომხრეებს. არაგვზე ვახტანგი მაგრობდა, ძმა-პრეტენდენტთა შორის ყვე- ლაზე ენერგიული ბატონიშვილი, რომლის გამეფებას ყველაზე მეტად მხარს უჭერდა დედამისი დარეჯან დედოფალი. მარ- ტყოფს კი მირიანი იყო, სურამს — ფარნაოზი. ალექსანდრე სა- უფლისნულოდ ყაზახს ითხოვდა, მაგრამ გიორგიმ არ მისცა, რადგან ყაზახი სამეფო-სახასოდ ითვლებოდა. მაშინ ალექსან- დრემ დაჰკრა ფეხი და 65 კაცის თანხლებით სპარსეთს გაიქცა, სადაც ბაბა-ხანის ძეს, აბას-მირზას მიეკედლა. ბაბა-ხანი და აბა- ს-მირზა საქართველოში სალაშქროდ ემზადებოდნენ და მათ- თვის ალექსანდრე ბატონიშვილის გამოცხადება ფრიად ხელსაყ- რელი რამ უნდა გამხდარიყო.

1799 წლის ნოემბერში, საქართველოში შემოვიდა გიორგი მე- ფის ნანატრი და ნაოცნებარი რუსული ჯარი, 46-ე ეგერთა (ტყის

ნადირთა მცველთა) პოლკი, რომელსაც მოუძღვდა გენერალი/ლაზარევი. ამათ მოჰყვებოდა იმპერატორისგან საქართველოს ხაზი, მეფო კარზე საგანგებოდ დანიშნული მინისტრ-რეზიდენტი კოვალენსკი, რომელსაც თან მოჰქონდა გიორგის შესამკობელი სამეფო ნიშნები: გვირგვინი, წამოსასხამი, დროშა, ხმალი და სკიპტრია.

„10 000-ზე მეტი ადამიანი მიისწოდა ქალაქს გარეთ, რათა ენახა შემოსვლა რუსთა რაზმებისა. თბილისის თითქმის ყველა სახლის სახურავი სავსე იყო ქალებით, რომელთაც ერთი ფერის თეთრი სამოსელი ემოსათ. კრიალა და გაბრნყინებული ცის ქვეშ ქალაქში განფენილი ეს ბანაკი ჰგავდა დიდ პოეტურ სანახაობას. ზარბაზნების სროლა და ზარების რეკვა ყველა ეკლესიაში ქართველ ხალხს ატყობინებდა დაწყებული ზეიმის შესახებ. ხალხის მოძრაობა, მისი აღტაცებული შეძახილები ავსებდნენ ძმური მიღების ამაღლელვებელ სურათს და ამჟღავნებდნენ რუსეთისადმი გულწრფელ ერთგულებას“ (ნერდა კოვალენსკი).

„მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულ-მა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუ-გეშისამ. დიდიხანია, საქართველოს ამისთანა ბრნყინვალე დღე აღარ ენახა“ (დაწერს ილია ჭავჭავაძე)...

ირანი შეარყია რუსთა შემოსვლამ საქართველოში. ბაბა-ხანმა რუსეთის მთავრობას საქართველოს დაცლა მოსთხოვა; თან ჯარებს აგროვებდა და ომით იმუქრებოდა. ამის პასუხად 1800 წელს პავლე იმპერატორმა საქართველოში კიდევ ერთი ლეგიონი გამოგზავნა, გენერალ გულიაკოვის სარდლობით.

რუსეთის ასეთ რადიკალურ ნაბიჯს ირანმა „რადიკალობით“ ვეღარ უპასუხა.

და მაშინ გიორგი მეფის შინაურმა და გარეშე მტრებმა ისევ ლეკების საშუალებით სცადეს ხელის შემობრუნება...

საქართველოს ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბატონიშვილი ირანიდან დაღესტანს გადასულიყო, ომარ-ხან ავარიელთან.

ომარ-ხანი ერთადერთი იყო, რომლის სისხლის ჯავრი სამარეში წაჰყოლოდა ერეკლე მეფეს. ხოლო, ახლა, სწორედ ერეკლეს სისხლი და ხორცი, ძე მისი, ხელახლა უხელებდა საქართველოზე დაგერშილ სისხლს დაღესტნის ბელადს.

უიმისოდაც გადაწყვეტილი ჰქონია ომარ-ხანს საქართველოს ხელახალი დალაშქრვა.

და დაიწყო კიდეც. 1800 წლის ოქტომბერს მთელი დაღესტანი

დაძრეს და დაცურეს ომარ-ხანმა და ალექსანდრე ბატონიშვილმა/

18 000 ლეკი მოთქარუნობდა. ყველაზე წინ ალექსანდრე ბატონიშვილი და 2 000 ნარჩევი ლეკი მოაგელვებდნენ ცხენებს.

რუსულ-ქართული მხედრობაც სასწრაფოდ გავიდა თბილისიდან.

ეგერთა და მუშკეტერთა პოლკები, სულ 2 000 რუსი ჯარისკაცი; სარდლები.— გენერალი ლაზარევი და გენერალი გულიაკოვი.

ქართველი — 1 500 ქართლელი და 1 000 კახელი; სარდლები — მეფე გიორგის ძენი, იოანე და ბაგრატ ბატონიშვილი.

საომრად შეიყარნენ ნიახურას ციხესთან, მდინარე იორსა და სოფელ კაკაბეთს შორის, 1800 წლის 7 ნოემბერს.

მარცხენა კერძით მუშკეტერთა პოლკი დადგა, მარჯვენა კერძით — ეგერთა პოლკი.

მათ შორის ქართველები ჩადგნენ.

ლაზარევმა ბრძოლის ხელმძღვანელობა გულიაკოვს მიანდო. ქართველმა სარდლებმა, იოანე და ბაგრატ ბატონიშვილებმა, რუსი გენერლის მთავარსარდლობა სცნეს, ოღონდ „ვიეთნიმე მოულოდნელის“ შემთხვევაში საკუთარი მოქმედების უფლება მოითხოვეს. შეთანხმდნენ. ბრძოლა დაიწყო. ლეკებმა დაიწყეს.

ალექსანდრე ბატონიშვილი გამოუშვა ომარ-ხანმა მენინავე მოიერიშედ. რუსთა მარჯვენა კერძს, ეგერთა ლეგიონს შემოუტია ალექსანდრემ. კარტეჩი შეაგება გულიაკოვმა. ჩაიკეცნენ მენინავე ლეკი. ტყვიები შემოიხარჯეს ალექსანდრეს მომდევნო მწკრივებმა, ხმლები იშიშვლეს და ნამოვიდნენ გამგელებულნი. ჩაიკირნენ რუსნი მიჯრილი წყობით, ხიშტის ჯაგრით ჩაჯაგრულნი. იოანე ბატონიშვილმა ჩაუჭრა გზა ბიძას, კახელთა ათასეულით. უკუიქცა ალექსანდრე. მაშინ სრულის ძალებით დაიძრა ომარ-ხანი. მარცხენა კერძს თვითონ მოუძღოდა ლეკთა ბელადი ეგერთა ასაჩეხავად. მარჯვენას ჰაჯი ახმეტ-ხანი მოაქანებდა მუშკეტერთა ასაკაფავად. ბაგრატ ბატონიშვილი გაიჭრა და დაეძგერა ხმალდახმალ ჰაჯი ახმეტ-ხანს, ელვის უსწრაფეს თავი ნააგდებინა. მუშკეტერმა ნოვიცეიმ ტყვია ატაკა ომარ-ხანის მედროშეს და დაითრია „ლეკთა სახელმწიფო დროშა“. ცეცხლიო, იბლავლა გულიაკოვმა და ცივ-გომბორი შეაზანზარა თოფთა და ზამბულაკთა გრიალმა. ცხენი გააბრუნა და გაქუსლა ბრძოლის ველიდან ომარ-ხანმა. ლეკებიც გაჰყვნენ გაქცეულ ბელადს. გააფურთხა და გაჭენდა ალექსანდრე ბატონიშვილიც. ზურგიდან ტყვია დაეწია, ბეჭი ჩაუჭრა, შექანდა, მაგრამ ისევ გაიმართა და გაფრინდა გახელებული, ჯავ-

რის კვამლით გულგატენილი. მტრის გაქცევა გამარჯვებად იქმნება გულიაკოვმა და ლაზარევმა. მაგრამ არ დადგნენ ქართველებს ბი, ვერც რუსებმა შეიმაგრეს და გამოენთნენ გაქცეულებს ისტორიაში და ბაგრატ ბატონიშვილი. მიმწუხრამდე სდიეს და სჩეხეს მოსისხლენი ქართველებმა გააღმასებით. ლამემ და ივრის პირებზე სქლად ჩაკორომებულმა ლერწმიანებმა შეიფარეს სიკვდილს გადარჩენილი და გაფანტული ლეკები.

სამი ათასამდე ლეკი დარეცილიყო ნიახურას ველზე. ორი ათასამდე გზაზე აეკაფათ ქართველებს. მეორე დღეს კაკაბელნი და მანაველნი იჭერდნენ ივრის ჭალების, ლერწმიან უალტამებში ჩარჩენილ და ჩაჩუმქრულ ლეკებს.

ამ მარცხის შემდგომ აღარ გაუხარია ომარ-ხანს. სამუდამოდ შერცხვენილმა და დაკინებულმა ლოთობას მისცა თავი, ლოთობაშივე ჩაიძირა და ჩაჰყვა სიკვდილს. ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ იბრეიმ-ხან ყარაბაღელთან მივიდა შუშაში; იქ დიდხანს აღარ დარჩენილა, წამოვიდა და დავით-გარეჯას შეეკედლა. ერთი წელინადი შეინახა თავი აქაურ ბერთა და მღვდელთა შორის. ჭრილობა მოირჩინა და ისევ წავიდა საქართველოსთვის „დამოუკიდებლობისა“ და თავისთვის ტახტის საძებრად...

მაგრამ, მაინცდამაინც, ერთ რომელიმე ნიახურას ბრძოლას არ შეეძლო რაიმე სანიშანსვეტო, შემობრუნებითი როლი შეესრულებინა უმძიმესად დაჩიხული მდგომარეობიდან ქართლ-კახეთის გამოსაყვანად.

ქვეყანას თავი ვერ დაეხსნა პოლიტიკური არევდარევისაგან, სიძულვილისაგან, უნდობლობისა და მტრობისაგან, ნივთიერი სილატაკისა და სულიერი დაცემულობისაგან.

მარტო ძმებთან მტრობა კი არა, გიორგი მეფეს ღვიძლ ძესთან — ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილთანაც არ ჰქონია თანხმობა და ერთსულოვნება. დავითი მეცნიერულად, რაციონალისტურად მოაზროვნე ახალგაზრდა იყო და, როცა მან ვოლტერის სურათი გამოაფინა, ღვთისმოსავმა მეფემ ღვთისმგმობელი უცხოელის სურათი ცეცხლში ჩააგდო...

ქვეყანა იყო ამოწყვეტილი, ქართველობა — უაღრესად გაჩანაგებული. სულ ქართლ-კახეთში გადარჩენილიყო 2006 სოფელი (1682 ქართლში, 324 კახეთში), დაითვლებოდა 40 000 ოჯახი, თითო 160 000 სული. დასავლეთ საქართველოში მაშინ მოსახლეობა უფრო მრა-

ვალრიცხოვანი იყო, მაგრამ თუ მაშინდელ ამერ-იმერ ქართველ-ლობას შევაერთებთ, საქართველოში 600-700 ათასი ქართველი ძლიერ მოიყრიდა თავს.

ამოწყვეტილ საქართველოში მუდმივი შიში იდგა გარეშე მტრების — სპარსის, თურქის, ლეკის — კვლავ მუდმივი შემოსევებისა. მეფე კი ისევ მოშლილად იჯდა ქართლ-კახეთის მორღვეულ ტახტზე და ფიქრადაც არ ეფიქრებოდა, რა ეღირებოდა ქართული სისხლი აზია-ევროპის „სასისხლო მიმოქცევის“ ბაზარზე.

და ისევ მხოლოდ რუსეთის იმედად იყო საქართველო — „ერთმორწმუნე რუსეთისა“. ქართველთა მეფეს ბაბა-ხანისგან ელჩი ისევ მოსვლოდა, ირანის წინაშე ქვეშევრდომობასა და საიმედო პირობად მძევალს მოითხოვდა შაჰი. გიორგიმ კი ამის პასუხად ირანელ დესპანს კედელზე დაკიდებულ პავლე პირველის სურათზე მიუთითა და მშვიდად უთხრა: მარტო მას, ერთადერთს ვცნობ ჩემს ხელმწიფედ, მფარველად და სხვას არავის ამ ქვეყანაზეო.

რუსეთის მთავრობასაც გასცხოველებოდა იმუამად პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ინტერესები საქართველოს მიმართ. 1800 წელს საქართველოში საგანგებო მისით მყოფმა მუსინ-პუშკინმა შეისწავლა ამ ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრენი და მისი ეკონომიკური სარფიანობის შესახებ პეტერბურგის კარს მოახსენა. იქვე ნაგულისხმევი იყო ქართლ-კახეთის საერთოდ „მიერთება“ რუსეთის სახელმწიფოსთან, რაც, თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლებას გაუადვილებდა კავკასიის „ლინიაზე“ ბატონობას და სამხრეთისაკენ, წინა აზიისაკენ, შემდგომ „მრავალ-მხრივ დამაინტერესებელ“ წინსვლას.

და სწორედ იმ უამსვე გიორგი მეფის ელჩებს — გარსევან ჭავჭავაძეს, გიორგი ავალიშვილსა და ელიზბარ ფალავანდიშვილს, უკვე წარედგინათ თავიანთი მეფის თხოვნა („ნოტა“) რუსეთის იმპერატორისადმი: მისი აღმატებულება მეფე ქართლ-კახეთისა გიორგი, ჩვენი ხელმწიფე, დიდებული, სამღვდელოება და ხალხი მონადინებული არიან, მიიღონ სრულიად რუსეთის იმპერიის სამუდამო ქვეშევრდომობა, ვალად იღებენ, წმინდად შეასრულონ ყველაფერი ის, რაიც სრულდება საერთოდ რუსეთის ქვეშევრდომებისაგან, რომ არ გადაუხვიონ არც ერთ კანონსა და ბრძანებას... სცნონ სრულიად რუსეთის იმპერატორი საკუთარ ხელმწიფედ და თვითმპურობელად... და საქართველოშიც გატარდეს ისეთი მმართველობა და კანონები, რომლებიც დადგე-

ნილ იქნება რუსეთის საიმპერატორო კარისაგან, რომ თავზე  
მხრივ ქართველ მეფეებს, იმპერატორის ბრძანებულების განვითარება,  
შე, უფლება არ ჰქონდეთ არც ერთი კანონის გამოცემისა!

ამაზე მეტი რაღა უნდა თქმულიყო! დანარჩენიც იმ „ნოტაში“  
იყო ყოველივე მეორეხარისხოვანი და რუსეთის მეფისათვის  
სრულიად არასაგულისხმო: ქართველი მეფე რომ თავისთვის და  
თავისი შვილებისთვის ტახტის დანარჩუნებას, ჯამაგირის დანიშ-  
ვნას, ფულის მოჭრის უფლებას და სხვა მისთანებს ითხოვდა.

მთავარზე მთავარი კი სწორედ ის იყო, რომ საქართველოს მა-  
შინდელი მეფე, მეფე ერეკლეს ძე და მემკვიდრე, ერეკლესული  
„მფარველობითი ტრაქტატის“ ნაცვლად რუსეთის იმპერატორს  
„ქვეშევრდომობის ნოტას“ სთავაზობდა. მაში, თითქოს, 1783  
წლის „მფარველობითი ტრაქტატი“ მოძველებულა და ქართველ-  
თა მეფე რუსთა ხელმწიფეს ეაჯება, ქვეშევრდომად და ყმად მიგ-  
ვიღეო წიაღსა შინა შენი იმპერიისასა! ამაზე მეტი სასიამოვნო  
მოსასმენი რაღა უნდა მოესმინა და მოეხილა პავლე პირველის  
კარს „საშხრეთულ საქმეთაგან?!“

და სასწრაფოდ ამოძრავდა სანკტ-პეტერბურგის სასახლეები —  
„ზამთრისაც“ და „ზაფხულისაც“. კავკასიის „ლინიის“ უფროსს, გე-  
ნერალ კნორინგს, 1800 წლის 15 ნოემბრის რიცხვით, პავლე იმპე-  
რატორის საიდუმლო ნერილი მოუვიდა: გიორგი მეფის ავადმყო-  
ფობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი მალე მოკვდება  
და ამიტომ, — როგორც კი ეს მოხდება — ზომები მიიღეთ, მიცვა-  
ლებული მეფის ნაცვლად ჩვენი ნებართვის გარეშე არავინ დაინიშ-  
ნოსო. ხოლო 1800 წლის 22 დეკემბერს ისე, რომ გიორგი მეფის სიკ-  
ვდილისთვისაც არ დაუცდიათ, პავლე იმპერატორმა უკვე მოაწერა  
ხელი რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტზე.

მანიფესტის ხელმოწერიდან ექვსი დღეც და, 1800 წლის 28  
დეკემბერს, მეფე გიორგი მეთორმეტე გარდაიცვალა.

1801 წლის 12 სექტემბერს კი რუსეთის ახალი იმპერატორი,  
ალექსანდრე პირველი, ხელს აწერს ახალ მანიფესტს, რომლითაც  
ცხადდება ქართლ-კახეთის შეერთება რუსეთის იმპერიასთან.



<b>გიორგი პირველი</b>	3
შირიმთა.....	6
ახალი ხმალთაკვეთებანი.....	7
აღსასრული „უხორცოისა“.....	11
<b>გიორგი I აღზეველი</b>	12
<b>გიორგი პირველი</b>	12
<b>გიორგი მეორე</b>	13
ფარცხისი.....	14
„აპა, „ქუეყანა საქართველო!“.....	15
ნაბიჯი – „ყველაზე ჭკვიანური“.....	18
<b>გიორგი მეორე</b>	20
<b>გიორგი მეორე</b>	20
<b>გიორგი მეორე, ავგიორგი</b>	21
<b>გიორგი მესამე</b>	22
ანისისათვის.....	22
დვინთან და გაგთან.....	25
„არს ქამი...“.....	27
„სუფევითა ულუმბიანითა“.....	28
შეთქმულება ბიძაშვილისა.....	30
ასული – თანამოსაყდრე.....	33
აღსასრული „ლომთა უმხნესისა“.....	34
<b>გიორგი მესამე</b>	35
<b>გიორგი მეორეს – ლაშა</b>	36
ლაშა – ვითარცა კაცი.....	41
საათი დადგა!!!.....	44
ლაშას აღსასრული.....	47
<b>გიორგი მეორეს გოჩია</b>	49
<b>გიორგი მახუთე ბრძყინვალე</b>	50
მეგვიდრეობად – „ულუსობანი“.....	50
უკანასკნელად – მონღოლთა კარზე.....	52
„ძეგლის დადება“.....	53
მაშტილი ნაყარია.....	56
თემიდას მახვილი.....	58
კვლავ – „ნიკოფისით დარუბანდამდის“.....	59
ისევ „პონტოელ ქართველთათვის“.....	61



მსოფლიო ძალისხმევანი.....	63
რწმენა რწმენისა.....	67
<b>გიორგი მამაკავა მცირე.....</b>	
გიორგი მამაკავა.....	67
გიორგი მამაკავ.....	68
გიორგი მამაკავ.....	95
გიორგი მარვა.....	95
გიორგი მაცხრე.....	96
გიორგი მაათე.....	98
<b>გიორგი მათერთმატა.....</b>	
ერეკლე პირველისა.....	105
„ორხელმწიფობა“.....	108
„ვაი თქვენ, რამეთუ ქართველები მოვიდნენ!“.....	116
„გამოაჩინე ლომგულობა შენი!“.....	120
„უცხო პურის მთხოვნელთა“.....	125
ქართველებს საქართველოსთვის „არ სცალიათ“.....	127
„ქება-მიუწვდომელი“.....	139
ბედისწერას ერქვა — „მირ-ვეის“.....	132
შაპის ნაიბი, გინა — მოადგილე.....	136
„სიტყვის კონას“ რომ კითხულობდა.....	139
Deus ex machina.....	144
<b>გიორგი მათორმატა.....</b>	
გიორგი მათორმატა.....	149

---

გარეკანის წინა გვერდზე ფრესკა ვარძიიდან — გიორგი III და თამარ მეფე.

გარეკანის უკანა გვერდზე დავით მესამე კურაპალატის საწინამდღვრო ჯვარი.

---

7672/287

ՀԱՅՈՅԻ  
ՏԱՐԱԾՈՒԹՅՈՒՆ

